

114  
1976/3

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# ბავშვები

საბავშვო ჟურნალი

6

1976

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



# გეოტოპი

სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 52-ე

№ 6

ივნისი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორბანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

რამაჟ კობიძე — გვირგვინ ფოთელანი, რომანი. გაგრძელება . . . . .	3
ალექსანდრა ქუთათელი — ლექსები . . . . .	21
ნეზარ კვიციანი — ლექსები . . . . .	24
რამაჟ მიშველაძე — ნოველები . . . . .	29
გიორგი ბიბაური — ლექსები . . . . .	51
ნიკოლოზ პაპაიანი — აბიჯიანი ძალაძე, რომანი. გაგრძელება . . . . .	54
მ. ი. ლაჩოვანი — 1881 წლის 11 ივნისი. თარგმანა კოლაუ ნადირაძემ . . . . .	95
იოსებ ვოლფგანგ გოთე — შაუსტი. გაგრძელება. გერმანელიდან თარგმანა გიორგი ჟორჯანელმა . . . . .	104

### კრიტიკა და კუმბლიზისტიკა

გიორგი ნატროშვილი — ღონა შენგელაიას შემოქმედება . . . . .	115
დავით თევზაძე — ქართული სიტყვის დიფოტატი . . . . .	119
ელენე ვირსალაძე — კოლიპარა კაპახაის მკამბრეჭიის ხალხური საფ- ქისები . . . . .	127
აკაკი ვახაძე — „ვინ იყო ბალახიონის მერი“ და ზოგი რამ კოეზიკა . . . . .	141
ქონსტანტინე წარბაქიანი — არაბული ენა საბჭოთავლოში . . . . .	150
რამაჟ კახიანი — ქართული წარმართული კალენდარი. გაგრძელება . . . . .	158
ალ. ვინაიანი — „მეფისტაფოსის“ ლექსიკონი . . . . .	169

### წიგნების მიმოხილვა

აკაკი გარეაძე — აკაკი შანიძის ახალი ნაშრომის გამო . . . . .	172
ალ. ლომიძე — ა. მონღაზის შრომათა ახალი კრებული . . . . .	179
დავით კობიძე — რუსთაველის მსოფლმედიოლოგიის საკითხები . . . . .	184
ვივი ახვლედიანი — ქართული ლექსის სათვამებთან . . . . .	190

ქვე. სსრ კ. მირქსის  
სახ. საბ. ინსტუტა



**შთავარი რედაქტორი პირები ნატროსვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

ი. აბაშიძე, კ. აბაშუაძე (მ/შე მდიანი), ხ. ავალიანი, ო. ვიციანიძე, მ. ლაპა-  
 ნიძე, ლ. მარაბუხიძე, ბ. ძიანგი, ბ. სულაიაშვილი, ა. ჯუღაშვილი, ხ. შანდიაშვილი,  
 დ. შანდიაშვილი, ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, ო. შილაძე, ბ. ხარაძე, კ. ჯაფარი-  
 ძე, პ. ჯიბლაძე.

**რედაქტორი კ. ნაპოვაძე**

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 03-55-11,  
 მ/შე მდიანის — 03-55-12, განყოფილებე-  
 ზის — 03-55-15, 03-55-17, 03-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20/VI-76 წ., ხელმოწერი-  
 ლა დასაბეჭდად 15/VI-76 წ., ასაწყობის ზომა  
 $71/4 \times 12$ , ქაღალდის ფორმატი  $70 \times 108/16$ .  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი  
 ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-სავამომცემლო  
 თაბები 16,58

უფ. 00140. ტირაჟი 14.650. შეჯ. № 1403.  
 საქ. კა. ცე-ის ვამომცემლობის სტამბა,  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

## გვიგის ფოთლები

გოგანი

წიგნი პირველი

ნაწილი მეორე

\* \* \*

ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებულ „ვოლგებთან“ ნათიას ძველი ნაცნობები იდგნენ. წინათ, სტუდენტობისა, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გამოსულ ნათიას ასე არაერთხელ დაბვედრიან ბესარიონიცა და თაზო ბულესკირიაც, თენგიზ ჯაველიძეც, შირაზა ჭირაქაძეც და ანზორ კუპატაძეც. მუდამ ასე იდგნენ ხოლმე, — ერთი „ვოლგის“ კარებს მიყუდებული, მეორე — ხის ჩრდილში გულხელდაკრეფილი, მესამე კიბის მოაჯირზე ჩამოშვდარი, და ელოდნენ. ოღონდ წინათ ყოველთვის მზიარული თუ არა, უზრუნველი გამომეტყველება მაინც ჰქონდათ, ცა ქუდად არ მიიჩნდათ და დედამიწა ქალამნად, და არც ერთ მათგანს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ნათია მათ დაუფიქრებლად, უყოყმანოდ წაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი ისინი მოიარებდნენ. ამაში მართლაც ყოველი მათგანი დარწმუნე-

ბული იყო, — მუდამ სახეაწითლებული და უაზროდ მომღიმარი ბესარიონიც, შუბლქვეშიდან მომზირალი ბულესკირიაც, თითქოს სითხითა და მზიარული, მაგრამ ნამდვილად კი ფლეგმატური, ყველაფრისადმი გულგრილი და ყველაფერზე ხელჩაქნეული ჯაველიძეც, და წითური ანზორ კუპატაძეც, რომელიც ნათიას ყოველ გამოჩენაზე იათ მზერას შეაგებებდა ხოლმე, თითქოს ეუბნებოდა, რაც არ უნდა მოხდეს, მე მუდამ შენი ერთგული ვიქნებათ.

ახლა იმ უზრუნველობისა და არხეინი თავდაჯერებულობის ნატამალიც აღარსად ჩანდა. ნათიამ ეს მაშინვე მთელი თავისი არსებით იგრძნო. ბესარიონ მაგრაქველიძე ჩვეულებრივზე უფრო მეტად სახეშეოფლილი და აჭარბებული იდგა და ნათიასაც ჩვეულებრივზე უფრო უაზროდ, საწყურადაც კი უღიმოდა. ერთხელ თუ ორჯერ მზერაც კი აარიდა — ალბათ, სინ-

\* გაგრძელება. იხ. „ნათობი“, № 5.

დისმა თუ შეაწუხა. ნათიას ეს დიდად არ გაჰკვირვებია — ბესარიონ მაგრაქველიძე მთლად წყალწაღებულ და ნამუსგარეცხილ კაცად მას არასოდეს მიუჩნევია და მის მიჭნურობასაც ამიტომ ითმენდა.

მირზა ჭირაქაძემ ნათია ჯერ ვითომ სულაც ვერ დაინახა და ვიღაც ნაცნობებს ესალმებოდა. მერე ნათიას. „ანახდად თვალი ჰკიდა“, „გაუხარდა“ და რამდენჯერმე თავის სწრაფი დაკვირვებით მიესალმა. სახეზე მირზას, — თუ იქნებ, ნათიას მოეჩვენა? — ცოტა ფერმა გადაჰკრა. მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ნათიას თავი დიდი აზრით დაუკრა.

„შენი, შენი დაწერაღია ის წერილი, ვხედავ“.

თენგიზ ჯაველიძემ უგუნებობა ეტყობოდა. ჩასუქებულ სახეზე აშკარად ეწერა, ქალის მოტაცება და ამისთანები ჩემი საქმე ნამდვილად არ არის, ესაა, რომ მშაკაცებს ხათრს ვერ ვუტეხავ, ოღონდ იცოდნენ კი, რომ ეს პირველიც უნდა იყოს და უკანასკნელიცო.

„ყოჩაღ, ჩემო მშაკაცებო“ — გულმოკლულად გაიფიქრა ნათიამ. — ეტყობა აღარ ხუმრობთ. მაგრამ მე რა ვქნა ახლა?“

— გამარჯობა, — ქალბატონო ნათია! — ბესარიონმა კისერი მოიდრიკა და ჯიბიდან ჩვეულებისამებრ ცხვირსახოცი დააძრო. — როგორ ბრძანდებით?

— ვმადლობთ!..

— კარგა ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავა.

ნათიამ ამაზე არაფერი უბასუხა. შეფარვით მიმოიხედა. სხვა ნაცნობი არავინ ჩანდა, მაგრამ ვინმე კიდევ რომ გამოჩენილიყო, ნათიას ჯერჯერობით რა უნდა ექნა? „მეგობრებს“ ასე ხომ ვერ მიატოვებდა და ვერ გაიქცეოდა. დაშავებით კი ჯერ ისინი არაფერს უშავებდნენ.

— ეს „ვოლგები“ ჩვენია, ქალბატონო ნათია. ხომ არ ჩაბრძანდებით?

— ფეხით გავლა მირჩევნია.

— როგორც გუნებოთ.

— „ვიკივლო? რა აზრი აქვა? ვიღაცას ვიგი ვეგონები. არა, კიდევ მომკლან, მაინც ვერ ვიკივლები!“

როგორც უოველთვის, ბესარიონი ნათიას ახლაც გვერდით გაჰყვა. სხვები შორი-ახლოს მიამიჯებდნენ. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივ ხდებოდა, ოღონდ ეს იყო, რომ ხმა კარგა ხანს არავის ამოუღია.

— რაქვია... — ბესარიონმა\* ცხვირსახოცი ოფლით დანამულ ნიკაპზე მოისვა. — ამ სიციხეში გადახრუჯა და გადაბეჭდა ყველაფერი. ვითომ შემოდგომა კია, მაგრამ საშველი აღარ დაგვადგა. თუ ასე გაგრძელდა, მოსავალს არ ვიცი, რა ეშველება“.

„ოჰო! როდის აქეთია, ბესარიონ, მოსავლის ამბები რომ გაწუხებს? ბრიყვო! ერთი მართლა უნდა ჩაგიჯდე მანქანაში და იმ ფასანაურში გამოგყვე. ნეტავი, თუ მართლა რამეს გამიბედავ“.

— თქვენ სულ არ გცხელათ, ქალბატონო ნათია?

— არა, ბესარიონ, წარმოიდგინე, სულ არ მცხელა. პირიქით, თითქოს მცივა კიდევ. წელან გამაყრეოლა.

— ხა-ხა-ხა! მუდამ გონებაშახვილი ქალიშვილი იყავით, ხე-ხე-ხე!.. რა ღაროს სიცივეა!.. ისე კი, მოსავლის აღება, შეიძლება, ნამდვილად გაჭირდეს, ქალბატონო ნათია.

— როგორმე აიღებენ. სხვა? როგორ ვიკითხოთ? ერთმანეთი მართლაც დიდი ხანია, აღარ გვინახავს. — ნათიამ ეს ისე უთხრა ბესარიონს, რომ მისკენ არც კი მიუხედავს. ქალიშვილმა თავისთვისაც კი სრულიად მოულოდნელად სრული სიმშვიდე იგრძნო. ამ წუთში მას მართლაც აღარაფრის ეშინოდა.

— თქვენ აღარ გეკადრულობთ და...

ესე იგი, ჩვენზე უკეთესი საზოგადოება გაგიჩნდათ.

— თქვენზე უკეთესი რით უნდა იყვნენ?

— რა ვიცი.. გააჩნია, ესე იგი, ვის რა მოსწონს ხე-ხე-ხე-ხე!..

„არა, ისე, მართლა ღმერთი არ გამოწყურეს და მანქანაში ჩავუჯდე, თორემ მართლა საღვაც გამაჭროლებენ. ეს ბულესკირია ასეთი დაბლვერილი ჯერ არც კი მინახავს“.

ნათიას ოდნავ თავი ასტკიცდა. მღელვარებისა და შიშისაგან ხომ არა? კარგი შეფარდებაა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ერთი უღონო გოგო და რამდენიმე მგელივით აეარა. ნეტავი, მართლა ვინმე გამოჩნდებოდეს!..

— ავტო, ჩემი ამხანაგები სულ მიმტკიცებენ, ნათია ჩვენ აღარ გვკადრულობსო, მაგრამ მე ვუეუბნებო, ნათია ავალიშვილი და ამპარტავენობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან-მეთქი.

ხომ მართალს ვამბობ, მირზა? — ბესარიონი შორიხლო მიმავალ ჭირაქაძეს ხმამაღლა შეესიტყვა.

— ბატონო? — მირზა შეკრთა. მაგრამ იმ წამსვე გონს მოეგო და ბესარიონსა და ნათიას სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა. — რაღაც მიბრძანეთ?

— ნათია და ამპარტავენობა-მეთქი... კრთხელ ჩვენ ვილაპარაკეთ, აღარ გახსოვს?

— ა? — მირზა ვერაფერს მიმხვდარიყო.

— მჰ!.. არა, ისეთი კი არაფერი, მაგრამ... ხომ გახსოვს, თქვენ ყველამ რომ მიტხარით, ნათიამ, შეიძლება, აღარ გვკადროსო და მე რომ გიპასუხებო, ნათიასაგან ამპარტავენობა და მეგობრების დავიწყება არ იქნება-მეთქი.

— ნამდვილად! ნამდვილად! — მირზას ამის მსგავსი არაფერი ახსოვდა, მაგრამ დასტურის ნიშნად ნათიას თავი მაინც რამდენჯერმე სწრაფად დაუქნია. — მართლაც უნდა გითხრათ, ქალბატონო ნათია, რომ ბესარიონს თქვე-

ნი მუდამ სჯეროდა და... დიხს! ერთი სიტყვით, ბესარიონის საქმე თქვენ ნამდვილად ერთგული და ღირსეული რაინდი გყავთ.

„სასიამოვნო მოსასმენია! მაგრამ თქვენი სახით ვინლა ჰყავს რაინდ ბესარიონს, ბატონო მირზა? რომ არ გვეტყოდით? თუ გირჩევნია, ეს შეკითხვა ხმამაღლა მოგცე?“.

— რა ქვია... მართლაც, ნამდვილად უნდა გითხრა, ქალბატონო ნათია, რომ... — მირზას მხარდაჭერამ ბესარიონი გაახალისა. უნდოდა, კიდევ რაღაცა ეთქვა, ელაპარაკა, ნათიასათვის თავი მოეწონებინა. მაგრამ ვერაფერს ატერხებდა. შეოფლილი სახე ხელით მოიწმინდა და მერეღა გაახსენდა, რომ მარცხენა ხელში ცხვირსახოცი ეჭირა. რაღას იზამდა, ის ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიტენა. — ნამდვილად... ცხოვრება ასეა... აღამიანებს შორის მთავარია სიყვარული, ეს პირველი, რა თქმა უნდა, შემდეგ გავება და ურთიერთპატივისცემა. მე ასე მგონია.

„ნამდვილად ეგრება! შენი პირით თვითონ ჰეშმარტება-ლაღდებს. შე ნაძირალა, ლაჩარო და ბრიყვო ნაძირალა! და ამისი უნდა მეშინოდეს?“. — ისე, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მირზაც ძალიან დიდად გაფასებო.

ბესარიონი სულგრძელობის ხასიათზე დადგა. — არა, მტერი და აუგად მახსენებელი ჩვენს მეგობრებმა შორის თქვენ არავინა გყავთ. ამისგან ნამდვილად ღმერთმა დაგვიფარა. ხე-ხე!.. მაგრამ, მე ყოველთვის ვიცოდი, რომ მირზას, ასე თუ ისე, თქვენი ნამდვილად სხვაზე უფრო გავება. დიხს! ერთგვარად, თქვენი პირადი ბუნება იქნება, ჩემო ბატონო, თუ სხვა რაიმე მონაცემები, აქ მირზას ნამდვილად გვრავინ შეედარება. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი ჩვენი ბიჭები, რა თქმა უნდა, თავის მაღალ დონეზე ყველანი დგანან და თანამედროვეობა, ესე იგი მხარს უსწორებენ.

ბესარიონმა ეს აბდაუბდა წამოროშა და უმწეოდ მიმოიხედა.

„ყველანი ერთმანეთზე უკეთესები ხართ“.

ბესარიონი დუმდა. სათქმელი შემოვიდა.

მირზა ჰირაჩაძე შეუმჩნევლად ჩამორჩენილიყო.

ორი „ვოლგა“ აუჩქარებლად მიჰყვებოდა ქუჩის ნაპირს, ფეხით მოსიარულეებს არც წინ უსწრებდნენ და არც უკან რჩებოდნენ.

„ნეტავი, საჭეს ვინ უხის? ვინმე ამითსავით წყალწაღებული იქნება“.

გმირთა მოედანზე გასულიყვნენ. ბესარიონი შეჩერდა და სახე ახლა კი ნამდვილად ცხვირსახოციტ მოიწმინდა.

— ნასადილევი ნამდვილად არ იქნებით, ქალბატონო ნათია.

„მერე, შენ რა გნებავა? ხინკალზე მეპატიეები?“

— თუ, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, აგერ მანქანებია და სადმე წავადეთ. რაქვია... ჯერ კი არ მაკლებს მამაჩემი ამ ფულებს და... ზვალ რა იქნება, ვნახოთ. ხე-ხე... რაე, დიდი ხანია, ჩვენთან ყოფნით არ გაგინარებივართ ა?

— კი, მართლაც კარგა ხანია.

— მერე?

— არა!

— ა?... — ბესარიონმა დაბნევით მიმოიხედა. ისეთი გამოლენიებული გამოხედვა ჰქონდა, რომ ნათიას კინაღამ დიმილი მოერია.

„მიხვდა, რომ ყველაფერი მისი გეგმის თანახმად არ მიდინ და დაიბნა. რა სულელი და უსუსურია“

ბესარიონის დაბნეულობა და დუმილი მაინც ცოტა ხანს გაგრძელდა. დანარჩენები წამოეწივნენ და ამ დროს შემოეხვივნენ. მაშინ ბესარიონმა ნათიას იქვით შეაფლო ჰროლა თვალები.

— აღარ გკადრულობ?

— კადრება რა შუაშია!

— აბა?!

— არა მცალია.

— წინათ გეცალა ხოლმე!

— ის წინათ იყო. საქონელი  
გეზულირთქვა

— ესე იგი?

— არაფერი. ვითხარი, არ მცალია!

— სად მიგეჩქარება? — ნათიას ეს თაზო ბულესკირიამ ჰკითხა.

— დედა მეღის. — ნათიამ ჩანთა ჩვეულებისამებრ მხარზე მოიგდო. ამ ხალხით სავსე გმირთა მოედანზე რა უნდა გაუბედონ?

— სპორტსმენები, რაქვია... ცნობილი სპორტსმენები...

— ნუ სულელობ!

— ბესარიონ, ალბათ, მართლა არ სცალია — ბულესკირიამ გვერდზე გაიხედა. — თორემ როდის იყო, ქალბატონი ნათია ჩვენთან წამოსვლაზე უარს ამბობდა? სხვა დროს იყოს. მგონი, ქალბატონი ნათია ჩვენ არ დაგვეკარგავს.

— რა თქმა უნდა!..

— რაქვია... ისეთი რა დაგვიშავებია, რომ... ესე იგი... ა?

— რა უნდა დაგვეშავებინა? ან დანაშაულზე საერთოდ ვინ ლაპარაკობს? უბრალოდ, ადამიანს ეჩქარება. ამას იქით წინდაწინ გაეფრთხილოთ ხოლმე და... დაბრძანდით, ქალბატონო ნათია, ორ წუთში სახლში მიგავრიალებთ.

— რაქვია. თუ მართლა გეჩქარებათ. — ბესარიონი ისევე „თქვენობით“ ალაპარაკდა.

— გინდათ, წინა „ვოლგაში“ დაბრძანდით, გინდათ უკანაში. ორივე თქვენ გელოდებათ. — ბულესკირია ნათიას ბოროტ, მრავალმეტყველ მშერას არ ამორებდა. — ორ წუთში სახლში იქნებით.

„რა ვუპასუხო?!“

— არ გინდათ? — ბულესკირიამ მიმოიხედა.

— არა! — მიახალა ნათიამ თავის დაუნებურად. — არ მინდა! არ მინდა და არც ჩავედები.

ქალიშვილმა მხარზე ჩანთა შეისწორა და სწრაფი ნაბიჯით აჰყვა ვარაზისხევის ქუჩას.



არავის დაუნახავს, თუ როგორ გა-  
კრთა წამიერი, კმაყოფილებით აღსაყ-  
სე ღმინილი მირზა ჭირაქაძის ტურნებზე.

ბესარიონი და მისი დანარჩენი ამფ-  
ნონები კარგა ხანს ხმაამოუღებლად  
მისჩგრებოდნენ, თუ რა სწრაფად  
მიამიჯებდა ნათია აღმართზე.

— გამოვეციდით?

— კარგი ერთი და! — ბუღესკი-  
რიამ ბესარიონს სახეში იმდენი გესლი  
და შხამი შეანთხია, რომ აქლემს წაა-  
ქცევდა. — მორჩი!

საიდანღაც, თითქოს მიწისქვეშეთი-  
დან ამომსვრალმა აბდულამ ბესარი-  
ონს დიდი ამბით გაუწოდა მოკლე ხე-  
ლი, თან პირს აწკლავუნებდა და თავს  
სინანულით აქნევდა, აფსუს აი, მართ-  
ლა აფსუს, რა საქმე ჩაგვეყარდაო. თუ-  
მცა ამ საქმის ჩაყარდა მისთვის მხო-  
ლოდ სასარგებლო იყო: ხუთასი მან-  
ეთი უკვე განადღებული ჰქონდა, გა-  
საკეთებელი კი აღარაფერი რჩებოდა.  
იგი თავიდან ბოლომდე ყველაფერს  
თვალს ადევნებდა და მშვენივრად მი-  
ხედა, რომ ის ლამაზი გოგო მანქანაში  
ჩაჯდომას სულაც არ აპირებდა. უფრო  
მეტად, ბევრისმნახველი და გამოქეჩი-  
ლი ავარა იმაც კარგად მიხედა, რომ  
ამ საქმეს თვითონ ბესარიონი გულის  
გარეშ აკეთებდა, არაფრის გულანათ-  
ვის აღარ ვაიმეორებდა და ახლა მარტო  
საბაბსლა ეძებდა, რომ თამაშიდან  
„შერცხვნილი“ გასულიყო.

— დავიწვით, რაღა, ბესარიონჯან,  
ძალიან მაგრად დავიწვით. აფსუს! —  
აბდულამ პირი ისევ გააწკლავუნა და  
ვეება თავი სინანულით გადააქნია.

ბესარიონმაც მუშტი ზოპარკის მო-  
აჯირს დაახალა. და ეს ისე ბუნებრივად  
გამოუვიდა, რომ ვინმე იფიქრებდა,  
ეს ბიჭი მართლაც გულმოკლულია და  
თავს აღარ იცოცხლებსო.

თენგიზ ჯაველიძე იმავე მოაჯირზე  
აფორთხდა, საიმედოდ მოეწყო, რომ  
არ ჩამოვარდნილიყო, და სიგარეტი გა-  
აბოლა, ისეთი დაღლილი და უგუნებო  
გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამ  
ქვეყანაზე ოციოდე წლის წინათ კი არა,

ორი ან სამი ათასწლეულს წინ მაღნაც  
მოსულიყოს, კაცობრიობის მთელი ისე  
ტორია საკუთარი თვალთ ეხანოს და  
ამხანაგებისთვის მხოლოდ ამისი თქმა-  
ლა ნდომებოდეს: ნეტავი თქვენ, რომ  
კიდევ რაღაცას ჩაღიჩობთ და რაღაცას  
ცდილობთ, ან იქნებ, რაღაცისა გჯერა  
კიდევ, მე უკვე ყველაფერი ვნახე,  
ყველაფერი გამოვეცადე, აღარც რაიმე  
მინდა და აღარც ვინმესი მჯერაო.

— აფსუს, ზნაო, მართლა აფსუსა! —  
აბდულამ გაპარსული თავი ერთბაშად  
ამოხვრით გადააქნია. მთელი თავისი  
საქციელით ამას ამბობდა, მე ყველაფ-  
რისთვის მზად ვიყავი და ახლაც მზად  
ვარ, მაგრამ თქვენ თვითონ ვერაფერი  
მოგიხერხებიათ და მე რაღა გრწვე-  
ლოთ, იმ ხუთას თუმანს კი, — პირობა  
ხომ გასსოვო, — ისევე ველარ ნახავთ,  
როგორც საკუთარ ყურებშო. რამდენ-  
ჯერმე პირი გააწკლავუნა, მერე გა-  
ბუშტულ ცხვირზე ცერი და საჩვენე-  
ბელი თითი ისე ჩამოისვა, თითქოს ხე-  
ლში ცხვირსახოცი სჭეროდეს, და წა-  
სასვლელად შეემზადა.

— მახლას, მე საეალ, ზემებო. თუ  
რაიმე იყოს, პაეალუსტა!

— ძალიან გიჩქარებმა? — ავღებით  
ჰკითხა ბუღესკირიამ.

— მე? არა, რატომ...

— პოდა, აქ დარჩი, სალაპარაკო  
გვაქვს.

— პაეალუსტა!

— უნივერსიტეტის ბაღში ავიდეთ!  
— მოკლედ, ბრძანების კილოთი ის-  
როლა ბუღესკირიამ. დანარჩენები მყო-  
სვე ხმაამოუღებლად, მონუსხულები-  
ვით უკან მოიხვენენ. მოაჯირიდან ამომ-  
ხტარმა თენგიზ ჯაველიძემ შარავლი  
სასწრაფოდ გაიფერთხა და მშაკაცებს  
დაედევნა.

უნივერსიტეტის თეთრ შენობას  
უკვე მოღურჭო ბინდ-ბუნდა მონდგო-  
ნოდა. ეზოში აფურის ფხენილით მოფე-  
ნილ გზებზე ხეების შავი ჩრდილები  
იწვა. მთავარი შესასვლელის გასწვრივ  
ნაადრევად ანთებული ქურჩა ლამპიო-  
ნების შუქზე ბრინჯაოს ძეგლი ლაპლა-

პებდა. ეზო ახლო-მახლო სახლების მცხოვრებლებით იყო სავსე. ახალგაზრდა დედები ჩვილ ნაწმევებს დაასვირებდნენ და ერთმანეთს ესიტყვებოდნენ. თუთრად ჩაცმული პენსიონერები გაჯვამულნი ისხდნენ მწვანე სკამებზე, გაზეთებს ამრიალებდნენ და, რაკი ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში კითხვა აღარ შეიძლებოდა, მოსაყრდენებს აკვირდებოდნენ. დროდადრო ეზოს ვერის ნიავს შემოუბერავდა ხოლმე და ხეებს ააშრიალებდა.

მეგობრები ეზოში შევიდნენ და ზოოპარკის მხარეს წავიდნენ.

— მაშ, არ გეჩქარება, აბდულ? — ბულესკირიამ ეს ისე იკითხა, რომ აბდულასაკენ არც კი მოუხედავს.

— არა, ზმათ, თაზოჯან სულ არ მეჩქარება.

— ჰოდა ძალიან კარგი.

ბულესკირია აუჩქარებლად მივიდა უნივერსიტეტის ეზოს ბოლოსთან სწორედ იქ, საიდანაც ზოოპარკისა და გმირთა მოედნის ზედი იშლება, და ბალახზე მოირთხა, დანარჩენებიც იქვე მილაკ-მოლაგდნენ. ფეხზე მარტო აბდულა დარჩა. კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია. მერე ბეაარიონ მაგრაქველიძემ საპიროდ ჩათვალა, წარბები შეეკრა და საქმიანი და მრავალმნიშვნელოვანი ტონით ეკითხა:

— ვითომ, გაყიდულები ვართ?

— გამოჩნდება. — მიუგო ბულესკირიამ.

— მანქანაში არც კი ჩავვიჯდა. — თავის კითხვას ბეაარიონმა ეს არგუმენტიც მიაშველა.

— გამოჩნდება. — ოდნავ ხმას აუწია ბულესკირიამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. თენგიზ ჯაველიძემ აბდულას ხელით ანიშნა, ცოტა გვერდზე გაიწიეო, ბალახზე გულადმა გადაწვა და ხელები თავქვეშ ამოაწყო.

თაზო ბულესკირია იმ დღეს დილიდანვე უსაზიზღრეს სახიათზე იყო. ეს სულელი ბესარიონი და მისა ამფსონები მას კარგა ხანია, მობეზრდა და თავის ტოლებად აღარ თვლიდა. მაგ-

რამ იმ არეული ხასიათის მიზეზი იმ დღეს სულ სხვა იყო. იმ დღით რატომღაც ძალიან ადრე, თითქმის უთენისა გამოღვიძებულმა ღიად დარჩენილი კარებიდან დაინახა, რომ მისი „მამობილი“ — ის ოქროსკბილებიანი ბერიკაცი დედამისს საწოლზე ჩამოჯდომოდა და ბილწი ხითხითით ეალერსებოდა. თვალმდებარეული, სახეაწითლებული ეკატერინე, თავს ბალიშზე ხან აქეთ გადმოაგდებდა და ხან იქით. კოცნასა და ალერსს ვითომ ირიდებდა.

დიდად მოულოდნელი ამ ამბავში თაზოსათვის არაფერი იყო. მან კარგად იცოდა, თუ ვისი ფული აცხოვრებდა ეს რამდენიმე ბოლო წელიწადი. მაგრამ წინა საღამოს, როცა თაზო დასაძინებლად დაწვა, ბერიკაცი აქ არ იყო. ესე იგი, გვიან ღამით შემოძვრა? ეს ვითომ რატომო? თაზოს რაღაცას უმაღავნე? ეს-ლა აკლია...

თაზო ერთი ნახტომით შეიკრა ოთახში. ბერიკაცს ხელი პერანგის საყულოში ჩააგლო, დაითრია და გამეტებული წიხლით კედელს მიანარცხა. ბერიკაცი წაიქცა. თაზომ წიხლი ერთხელაც ამოკრა და კარი გამოიჯახუნა.

მერე არც კი გაუგია, ბერიკაცი როდის და როგორ გაძვრა სახლიდან თავის ტახტზე გულადმა ეგდო და სიგარეტს სიგარეტზე ეჭაჩებოდა. ხუთი თუ ექვსი რომ მოსწია, მაშინ-ლა გაახსენდა, რომ ის სიგარეტებიც იმავე ბერიკაცის ფულით იყო ნაყიდი. გესლიანად ჩაიღიმა და კოლოფი მაგიდაზე მიაგდო. თვალები დახუჭა და გაირინდა.

ათი საათი იქნებოდა, როცა თავისი ოთახიდან ეკატერინე გამოლასლასდა. სკამზე მძიმე ამოხვნეშით ჩამოჯდა.

კარგა ხანს დუმდნენ. ეკატერინე ტირილსა და სცენის გამართვას, ეტყობოდა, არ აპირებდა. მან არც კი იცოდა, თუ შეიღისთვის რა ეთქვა და, საერთოდ, როგორ მოქცეულიყო. ტკბილი და დალაგებული ცხოვრება არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ...



— გესმის? შენ!.. — თაზო უეცრად წამოიჭრა.

— ა? — ეკატერინეს გული შეუქანდა. ქალი ისე შეხტა, თითქოს მუჯ-ლუგუნი ჰკრესო.

— აქ მოთრეული აღარ ვნახო!

ეკატერინემ შვილს არაფერი უბასუხა. ახლა, ამ წუთებში, თვითონაც ნანობდა, რომ იმ ჩაჩანაკს გადაეკლდა. მისი საყვარელი ვინმე ნამდვილი ვაჟკაცი რომ ყოფილიყო, თაზო ვერაფერს გაბედებდა და არც ეს ამბავი მოხდებოდა. ყველაფერს ბედი უნდა.. მაგრამ ცხოვრება ხომ უნდათ? თვითონ ეკატერინეს თავის სიცოცხლეში არსად უწიშავია და, სიმართლე რომ ითქვას, ლოკინის გაშლია და ალაგების მეტა არაფერი ეხერხებოდა. მისი გაყვთებუ-ლი საკმელი პირში არ ჩაიშვებოდა. თვითონ თაზო კი თითის განძრევასაც არ ფიქრობდა. მაგრამ ჭანდაბას! მან ბრძანა, წუ მოვაო. ჰოდა, წურც მოვა. ამას იქით ეკატერინეს მანც ვეღარაფერი გაახარებს.

ქალი ამოოხვრით წამოდგა და ისევ თავის ოთახში შეღალასდა. თაზო მანამდე ეგდო ტახტზე, სანამ მოშვდებოდა. მაშინ ჩაიკცა და ქუჩაში გამოვიდა. სანამ დათქმულ დროზე ბესარიონსა და დანარჩენებს შეხვდებოდა, ბარე ოთხ სახინკლეა თუ სასაუბრეში შეიარა და ყველგან თითო ჰქა არაყი დალია. მაგრამ არ იქნა და არ მოეკიდა. და როცა ამხანაგებს შეხვდა, მამლარსა და ნასვამს კი არა, შიმშილისა და წყურვილისაგან გაწამებულს უფრო ჰგავდა.

მერე ხომ ის იყო, ბესარიონმა თავი შეირცხენა, და ძმაცაყებს ამდენი წვა-ლეზა და თადარიგი წყალში გადაუყრა. თაზოსთვის ეს მოულოდნელი არც ყოფილა, მაგრამ მანც... არა, თაზო ბუღესკირიას ბესარიონიც ფეხებზე ჰკიდია, ნათია ავალიშვილიც და მთელი ქვეყანაც, მაგრამ იმან, ვისაც თაზოს მეგობარი თუ ამხანაგი ჰქვია, ასეთი სი-ლაჩრის გამოჩენა ვერც კი უნდა გაბე-დოს. აი, თაზო დღეს ასეთ ხასიათზე!

— სიგარეტები გამომლეგია. — ბუ-ღესკირიამ ჯიბეები აუჩქარებლად მო-იღებოდა.

— აგერ „მზიური“. — ბესარიონმა თავისი კოლოფი ამოიღო.

— „მზიურს“ მე არ ვეწევი.

ბესარიონმა კოლოფი ბალახზე მიაგ-დო. ამხანაგებმა ბინდშიც კი შეამჩნი-ეს, თუ როგორ წამოწითლდა იგი სა-ხეზე.

„იმდენი შენ რა ვითბრა, რამდენა ცალი „მზიურიც“ მოგეწიოს!.. — გაი-ფიქრა მირზა კირაქაძემ. — ეს ახლა განგებ ვაყვთე, რომ ბესარიონათვის ეგერ უღიერად შეგეყვდა. იქნებ, ჯიბე სიგარეტებით სავსეც გქონდეს“.

— შენ — ბუღესკირიამ ანზორ კუ-ბატაძეს აძხედა და ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო. — „კოლხეთი“ ამომიტანე.

— ახლა ყველაფერი დაკეტულია. — კუბატაძემ ფული მაინც გამოართვა და თვალუბი დაბნევით აახამხამა.

— დაკეტული შენი ტვინია! ეგერ თე-თრმეტართულიანის გასტრონომში ჩა-დი.

აქედან გმირთა მოედანზე ჩარბენა ადვილი იყო, უკანვე ამოსვლა კი კარ-გა ძნელი. მაგრამ ანზორს კრინტიც აღარ დაუძრავს, დაღმართზე, ხეებს შო-რის ისე დაეშვა.

ანზორ კუბატაძეს დედამიამა სწო-რედ წინა საღამოს ერთხელაც უთხრა შეილო, იქმარე იმ უსაქმურ ხალხში სიარული და შენი გზა მონახე, თორემ ხომ ჰხედავ, მე აღარაფერი შემიძლია, მამაშენს კი მთელი სიცოცხლე ცალკე სხვები ატყუებენ და ცალკე ეგ ჩვენ გვატყუებსო. ამ ლაპარაკს დიმიტრიც შემოესწრო. ნასვამი იყო, ბანცალო-ბდა და ცოლს აუხირდა, ამ ბავშვს რას ერჩი, ცოტა იმხიარულოს და დრო გა-ატაროს, მუშაობა, ოჯახის რჩენა და ოფლისდგრა მერეც ეყოფათ. ისე იჭ-ვიმებოდა და ისეთი რიხით ლაპარაკო-ბდა, რომ იფიქრებდით, ამ კაცს თი-თქოს მთელი სიცოცხლე პატიოსანი შრომისა და ოფლის დგრის მეტი არა-ფერი გაუკეთებიაო.



— მაშ, ასე უსაქმოდ სანამდე უნდა იხეტიალოსა!

— სანამდეც თვითონ უნდა! მაშ! მოჩჩა! ეგ ჩემი შვილია და მე მინდა, რომ მაგან ცხოვრების გემო ნახოს.

— იმ!...

— რას ოხრავ, დედაკაცო?!

— ცხოვრების გემო!.. რამდენი ხანია, პაპიროსის ფულიც აღარ მივიცია. სხვის სუფრაზე ქეიფი — ცხოვრებინა გემოა?

— რაო?! რა თქვი? უკაცრავად! ჩემი შვილი ვერ სხვის სუფრაზე არ დამჯდარა და არც დაჯდება. ანზორ! მოახედე: სხვის სუფრაზე ჯდომა არ გავიგონო. ან არადა, სხვა თუ ერთხელ დაგპატიებებს, მერე შენ ორჯერ დაპატიებე, სამჯერ დაპატიებე, ოთხჯერ დაპატიებე... დაიხ!... ხუთჯერ დაპატიებე! ფული არ გაქვს? მოგცემ! მე შენ ფულს არ გამოგიღევი მამაშენს მალე იპდენი ფული ექნება, რომ... სულ მალე ნახავ! მანამდე კი — არა! სხვის სუფრაზე? არავითარი! არა! ჩვენ კუპატაძეები გექვია, მაშ!

იმდენი ილაპარაკა და იბორკა, სანამ სკამს ფეხით არ წამოედო და იატაკზე არ გაიშლართა. ანზორმა და დედამისმა ძლიერ წამოაყენეს, ტანთ გახადეს და ლოჯინში ჩააწვინეს, თან იელარე ბურტყუნებდა, ნეტავი მაცოდინა, შენ თვითონ ამ საღამოს ვის სუფრაზე გამოტყვევრო. მერე ანზორი მოწყენით უჯდა მამამისს სასთუმალთან და თავის სიკოცხლეში პირველად ფიქრობდა, რა უბედური ვიქნებო, ყველაფერში მამაქემს რომ დავემსგავსო. მაგრამ მერეც დილა რომ გათენდა, ანზორს გულმა ისევ ქუჩინაყენ გაუწია, — ან სხვაგან სად უნდა წასულიყო? იმ დღეს ბიჭებს ხომ ის საქმე უნდა გაეყვითნათ. ანზორმა მთელი დღე აღმადამა იხეტიალა, ნასადილეც კი დანარჩენებს შეუერთდა და მთელი იმ ამბის მოწმე გახდა, თუმცა თავიდანვე იცოდა, რომ მას ფასანაურში წაყვანას არავინ უპირებდა.

ანზორი კუპატაძე თავის მეგობრებთან

ერთად უნივერსიტეტის ეზოში მიმო-სვლისას ცოტა არ იყოს, შემართულ ფიქრობდა ნეტავი ეს ყველაფერი რითი და როგორ გათავდებო. უცნაური სჭირდა: შეზინდებისას მას ამ თავის ამხანაგების, განსაკუთრებით კი თაზო ბულესკირიასი, ისე შეეშინებოდა ხოლმე, რომ გაქცევა მთელ ქვეყნიერებას ერჩია. მაგრამ იგივე შიში ან, იქნებ თავმოყვარეობა ხელფეხს უბორკავდა და აიძულებდა, ისევ თავის ამხანაგებთან დარჩენილიყო. ამ საღამოს იგი იმასაც ვრძნობდა, რომ შეიძლებოდა, — როგორც არაერთხელ მომხდარა, — საქმეში ხელის მოცარვით გააყვებულ ამხანაგებს გული მასზე მოეფხანათ და ერთი მაგრად მიებეგვათ. ყველაზე ადრე ამას ისევ თაზო ბულესკირია იზამდა. მაგრამ ანზორი ახლა სად-ღა უნდა წასულიყო? მაშინ ამისთვის მიზეზგავდნენ, რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, ხომ პხედავ, ჩვენ ვერ კიდევ აქა ვართ და შენ რაღა წითელი კოჭი ბრძანდებიო.

სანამ ანზორი ქოშინით ამოფორთბლებოდა იმ აღმართზე და ბულესკირიას „კოლხეთს“ მიართმევდა, დანარჩენები ჩუმად ისხდნენ, აბღულა სიბნელეში ხეა მიყრდნობოდა და კაცი-შვილი ვერ ხედავდა, ან სახეზე რა ეწერა, ან გულში რას ფიქრობდა. გულში გაშობილი თენგიზ ჭავჭავაძე ვარსკლავიან ცას ვასცქეროდა. მირზა ჭირაქაზე და ბესარიონ მაგრაქველიძე კი საკუთარ საფიქრალს მისცემოდნენ.

მირზა ჭირაქაძე მთელი ძალ-ღონით ცდილობდა საკუთარი ვრძნობების დამალვას. მაგრამ სულის წიღრმეში კარგა მაგრად იყო აფორიაქებული. კარგად პხედავდა, რომ ის, რაც ბულესკირიამ ჩაიფიქრა, მისთვის, მირზა ჭირაქაძისათვის, — ექნებ, ბულესკირიას ნებისგან დამოუკიდებლადაც, — სახარბიელო და სახალისო არაფრით უნდა ყოფილიყო. კაცი ხომ ვერაფერს გააკეთებს ამ ქვეყანაზე, რომ რაღაც ეშმაკის მანქანებით სხვებმა არ გაუგონ, იქნებ, ამანაც რამე იაზრა? მაგრამ ამავე დროს ჭირაქაძე ცდილობდა, თავი

დაერწმუნებინა, ბულესკირია თუკი რამეს ხედება, მაინც არ ვამიმეტებს და ხელს არ დამადებსო. სხვა თუ არაფერი, მირზა პირაქაძე ამ გულვის გავლენიანი წევრი იყო და თაზო ბულესკირიას იგი ჯერჯერობით ძალიან პირდებოდა. ესეც არ იყოს, მირზას წინააღმდეგ ბულესკირიას რა საბუთი უნდა პქონებოდა? არა, საშიში ნამდვილად აქ არაფერი იყო. მაგრამ ამ კაცმა მაინც რინთვის წამოიწყო ეს ყველაფერი? თვითონ მაინც თუ იცის, რა უნდოდა და რას ეძებს? არადა დიდიდანვე ისეა მოზღვერილი და აძაღლებული, რომ კქუა არც კი მოეციოთხება.

ბესარიონს დანა კბილს არ უხსნიდა. კაცმა რომ თქვას, ნათიას გატაცება თვითონ ბესარიონს ხომ არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია და მთელი გულთ არც როდისმე მოუნდომებია, ყველაფერი ბულესკირიამ წამოიწყო და მერე ბესარიონიც აიყოლია. აიყოლია კი არა, პირდაპირ ძალით, უტოფრად ჩაითრია. ისე, რაღა დასამალავია, ოთახში შემწყვდეული და ტანისამოს-შემოხეული ნათიას წარმოდგენაზე ერთი-ორჯერ გულისთქმა ბესარიონსაც აეშალა. მაგრამ სულის სიღრმეში ერთხელაც კი არ დაუჭერებია, რომ ეს მართლა მოხდებოდა. ჯერ ერთი, მან როგორღაც უკვე ერიდებოდა ნოშალა დიხამინჯიასი. ის სახელიანი ახალგაზრდა იყო და ბესარიონს იმასთან მუდამ გამტყუნებდნენ. მერე კი ისა. რომ მას აქეთ, რაც ბულესკირიამ საქმეში ეს ვალე აბღულა ჩარია, ბესარიონი გამედუმებოდა იმას ფიქრობდა, გატაცების საქმე რომ კიდევ გაკეთდეს, ხომ ვიღაც ამ ოზრის დახმარებით გაკეთდება და მორჩა, თბილისში თავი აღარ ვამომეყოფა, მაშინ ან ნათია რაღად მინდაო...

ახლა ნათიასთან ყველაფერი ისე გააყადა, რომ ბესარიონი უკეთესს ვედარც კი ინატრებდა: გოგო ვილაცას გაუფრთხილებია, მანქანაშიც კი აღარ ჩაუჭდათ და ამიტომ ბესარიონის ვაჟკაცობას ერთიბუნო ჩრდილიც არ მისდ-

გომია. გოგოზე შუა ქუჩაში მართლაც ძალას ხომ არ იხმარდა? პოდა... მორჩა. რაც იყო, იყო. ახლა ამ რჩილია მოზვერს რაღა უნდა? ბიჭებში პირველობის დაჩემება! აი, მაგაზე კი დიდი ბოდიში! მკლავის ღონით ვე ბესარიონს ვერ შეედრება და იმ გროშებსაც როგორ შოულობს, ესეც ქვეყანამ იცის. პოდა, აბა წაცადოს! ეს ბიჭები, მთელ თბილისში რომ მოქეიფებოდ და დარდიმანდებოდ იცნობენ, ბესარიონმა მოაგროვა და შეამპიდროვა. დრო არ დაუზოგავს, მონდომება და ფული. შარშან ანზორ კუპატაძეს ამერიკული პერანგი აჩუქა. და ახლა ამათ ბულესკირია უნდა გადაეფაროს? ნურას უკაცრავად! ნურას უკაცრავად! დიდი ბოდიში!

ბულესკირიამ რაღაც თავის ფიქრს სმამოუღლებლად, თავიანტური გესლით გაუღმმა და წამოღვა.

— რა ენათ? — იეთხა ისეთი კილოთი, თითქოს ყველამ უკვე კარგად იცოდა, ლამაზაკი რასაც შეეხებოდა.

კაცმა რომ თქვას, ასეც იყო. მაგრამ ბულესკირიას მაინც არაიენ არაფერი უპასუხა. მერე მირზა პირაქაძე ხელის გული ბალახზე დიდი მონდომებით გაიწმინდა:

— ჩემო თაზო, გუშინდელი ბავშვები აღარა ვართ და რაც შენ გადევლებს, ყველას გვესმის. პოდა, მე მგონი, ჩვენს ბესარიონს ახლა ნულარ შევაწუხებთ. მაგ კაცს თავისი საფიქრალიც ეყოფა. რა, ბესარიონ, შენ ნათიაზე ხელი საბოლოოდ აიღე? — მირზა ბესარიონს მიუბრუნდა.

— არავითარ შემთხვევაში! — გაიჭვიმა ბესარიონი.

— პო, მეც მინდა ვარ, ეს საქმე კი ბოლომდე ახლა თაზომ გამოარკვიოს. ვინმე წინააღმდეგია?

სმა არაიენს ამოუღია.

— თუ ვინმე წინააღმდეგია, თქვას. — ბულესკირიამ მხრები აიჩეჩა. — ამ საქმეში მე არც ორდენებს მომცემენ და არც ახალ ბინას.

წინააღმდეგი არაიენ იყო.

— ჰოდა, ვინც გაგვიყიდა, თითონვე თქვას! — ბულესკირიამ ხელი ჩაიჭინა. — აი ეს ექვსივე კაცი აქა ვართ. — და ისევ ბალახზე დაეშვა.

ყველა დუმდა.

ბესარიონი კარგად ხედავდა, რომ ბულესკირია ხელსაყრელ კალაპორტში ჩადგა: მოლაღატეს გამომავლავნებდა, ცემით სულს ამოართმევდა (იქნებ, არც ეტის ხმარებებს მორიდებოდა) და მთელი თბილისის უსაქმურებსა და ავარებს შორის დიდ სახელს დაიდებდა, — ჯამუშებსა და გამყიდველებს არ ახარებს, საქმის ბოლომდე მიმყოფი და ნაღდი ბიჭიაო. ბულესკირიას გავლენა აქაც, ამ წრეშიც განუზომლად გაიზრდებოდა და იქნებ, ბესარიონიც კი დაეჩრდილა. ბესარიონი ამას ჰხედავდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ხომ ვერ ეტყოდა, იმ გამყიდველისა და მოლაღატის ძებნას თავი დაანებებო.

— შენ, რასაკვირველია, მართალი ხარ. — შეკავებული ბოლომით აღაავსე ხმით უთხრა მან ბულესკირიას. — მოლაღატე და ორგული უნდა დაისაჯოს, და დაისჯება კიდევ. ამის ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, მაგრამ... ასე, პირდაპირ ჩვენს ხალხზე დაეშვება — რა ვიცი... ჯერ დავიცადოთ, გავივაროთ, იქნებ, ვინმეს დაუფიქრებლობით წამოსცდა.

— შენ ოქში არ ყოფილხარ? — ბულესკირიამ ბესარიონს აღმაცერად აპხედა. — ფრონტზე არ ეკითხებიან, დანაშაული დაუფიქრებლობით ხომ არ მოგივიდაო. დააშავე? მორჩა!

ბულესკირია ინიციატივის ზელიდან გაშვებამ არ ამირებდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— გაყიდულები რომ ვართ, ეგ ნაღდა. — ჩაილაპარაკა მერე მირზა ჭირაქაძემ, პირში რაღაც ბალახის ღერი ჩაიდო და ისეთი ნაღვლიანი და თანაც ღრმავაროვანი გამომეტყველებით გაცნობა, თითქოს უნდოდა აი, ახლავე, ამავე წუთში გამოერკვია, ადამიანის ვერავობასა და მუხთლობას რაიმე საშლევარი ვააჩნდა, თუ არაო. მაგრამ ამ

უძნელესი კითხვის პასუხი ასე უცბათ ვერ იპოვნა, ბალახის ღერი გამოყოფურთხა და თავი მწარედ გადააქნია.

— აბდულა გავუშვათ. — მოკლედ, ქვასავით იაროლა ბულესკირიამ.

— ნამდვილად. — მყისვე დათანხმდნენ ბესარიონიცა და ჭირაქაძეც.

აი, ჩოხ სალოლ, ზმებო! — აბდულას საღდაც ეჩქარებოდა და ამკარად გახალისდა. — მაგ საქმეში ჩემი ბრალი სულ არ არის. ეგ გოგო დღეს პირველად ვნახე.

— ვიცით, წადი. — ნება დართო ბესარიონმაც. ასე რომ არ ექნა, იფიქრებდნენ, რა ხუთასი მანეთი ენანებო.

აბდულამ ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თან ოხრავდა და რაღაც ვაუგებარს ბურტყუნებდა. მერე წელში მოიხარა, ჩოხ სალოლ, ბიჭებო, ჩოხ სალოლო, ჩაბურტყუნა, და ქვევით დაეშვა. სიბნელეში ჩაიკარგა.

— კარგია! თითო ხელის ჩამოართმევაში — ხუთასი თუმანი. — თენგიზ ჯაველიძე თავქვეშ ხელუბამოწყობილი ისევ გულაღმა იწვა და ეს სიტყვები ვარსკლავიან ცას უთხრა:

— აქ საქმე ფულში არ არის. ეგ საქმის კაცია და ჩვენ მთელი საღამო შემოგვწირა. — ბულესკირიამ ჯაველიძეს ავად შეჰხედა.

— ნამდვილად! — მყისვე სულგრძელად დაეთანხმა ბესარიონი. — მაგ კაცმა თავისი გააყეთა და ჩვენ რომ არ ვვარგოდეთ მაგისი რა ბრალია.

— ჰოდა, ახლა სწორედ ეგ უნდა გამოვარკვიოთ, ჩვენში ვინ ვარგა, ვინ არ ვარგა და რატომ!

ეს უკვე აშკარა გამოწვევა იყო.

პაი გიდი, ბულესკირია ბესარიონმა უკვე როგორი კილოთი ლაპარაკს უბუდავს. ეს — დღეს! და თუ ანუ ვაგრძელდა, ხვალ და ზეგ რაღა იქნება?

— მე უკვე ვთქვი, აჩქარება არ გვარგია-მეთქი.

— მე არ ვჩქარობ.

— ჰოდა, ძალიან კარგია, რომ არ ჩქარობ.

— თუ გინდა, დილამდე ამ ბაღში ვცხსდეთ.

— არა, მე მაგ აზრით კი არ მიტყვამს.

— აზრი აქ რა შუაშია! ამხანაგის ნათქვამა მე როგორმე ვიგებ.

— უაზრო ლაპარაკს მამრალეებ?

— ვის? მე — შენ? არასოდეს!

— აბა!

— არაფერი.

— ჰოდა...

— ბესარიონ, შენ ვერ გამოიგე.

— ყველაფერი ძალიან კარგად გავიგე!

— ჰმ! — ბულესკირიამ თავი გადააქნია და გულ-ხელი დაიკრიფა.

საქმე ის იყო, რომ ამ ყველაფერზე გააფებულ კაცს ბესარიონის ტორებო-სა მინც ეშინოდა: მაგრაქველიძეს შეეძლო არგუმენტების ძებნისათვის თავი აღარ შეეწუხებინა, სცემოდა და მაგრად მიეხებოდა. მას ასეთი რამ არაერთხელ გაუკეთებია და სახელიც ამით დაიგდო. მით უფრო დაუნდობელი ცემმა იცოდა, რაც უფრო უსუსური მოწინააღმდეგე შეხვდებოდა. ასეთი ვარიანტი კი ბულესკირიას ახლა ნამძვილად არ სურდა.

— დაწყენარდეთ. — რამდენადაც შეეძლო, რბილი კილოთი შესთავაზა მან ბესარიონს. — ნერვებს ნუ აფუქვით.

— მე დაწყენარებული ვარ.

— ნერვებს გავუფრთხილდეთ.

— შენ საკუთარ ნერვებს მიხედე.

— აი, ვჩუმდები.

— ჰოდა, განუმდი!

მირზა ჭირაქაძე სულგანაბული უვდებდა ყურს ამ წაყინკლავებს.

ბესარიონი რომ წამომხტარიყო და ბულესკირია მიეხებოდა, მირზაზე ბედნიერი კაცი აღარ იქნებოდა, მაგრამ როცა შეატყო, საქმე ჩხუბამდე აღარ მიდისო, სასწრაფოდ ჩაერია:

— თაზო! ბესარიონ! ბავშვები ხომ აღარა ვართ! აქ საჩხუბრად მოვედით?

— საჩხუბარი მე არაფრითან არაფე-

რი მაქვს! — და თუ ვინმეს უნდა ჩხუბი, ჰირდაპირ გვიტორას.

— ბესარიონ, შენთან ჩხუბი არავის უნდა.

— არა, იმე, მაინც... იქნებ, ვინმეს გუნებაში ჰქონდეს.

— არც გუნებაში არავისა აქვს.

— ჰოდა, ძალიან კარგი.

— ჰოდა, დაწყენარდეთ.

— დაწყენარდეთ.

— შენ სხვას ნუ აწუხებ. ჯერ თვითონ დამშვიდდი.

— მე დამშვიდებული ვარ.

— ჰოდა, ძალიან კარგი.

ბულესკირიამ თავი გულმოკლულად გადააქნია, აი, ჩემი რა სხვანაირად ესმითო, და დადუმდა.

— მოლაღატე ვერ დაიმალება, თაზო. — დამამშვიდებელი კილოთი უთხრა მას მირზა ჭირაქაძემ. — აღრე თუ გვიან გამოჩნდება.

— მეც ეგ მინდა.

— შენ რაღაც სხვა გინდა! — ისევ იფეთქა ბესარიონმა და სახე წამოუქარხნდა.

— რას მკადრებ, ბესარიონ!

— რაააც გკადრებ!

— კარგით, ახლა კარგით!... ბესარიონ, თუ ხატრი გაქვს... — მირზა ჭირაქაძე ფეხზეც კი წამოდგა.

— ხატრი... გოგო ლამისაა, ხელიდან გამიფრინდეს და აქ... იმის მაგივრად, რაქვია... ხატრი...

„ის გოგო შენ უკვე გაგიფრინდა“.

— გაიფრინა მირზამ.

— მე ახლა ნუგეში და თანაგრძნობა მჭირდება, ეს კი... ხატრი... ჩემგან რომ ყველაფერი გინდათ, ცოტა ხატრი თქვენც გამიწიეთ.

— კარგი ახლა, ბესარიონ! — ჭირაქაძემ ბესარიონს საყვედურით სავსე მზერა მიაპყრო.

— კარგი... ბესარიონ — კარგი, სხვები კი... — ბობოქრობდა მაგრაქველიძე.

— მითხარი მაინც, რას შედავები?

— მე არავისთან სადავო არაფერია მაქვს. თუ ვინმესი რამე მმართვებს, მიბრძანოს და — ახლავე. სადავო კი —

ნურამ უკაცრავად! — ბესარიონი აღარ ხუმრობდა. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, რომ ტანმოჩილ ბულესკირიას ქვეშ ამოიდებდა და მაგრად მიბეგვავდა. უკან დასახვევი გზა მის მართლაც აღარ ჰქონდა. ყველა, და მათ შორის ბესარიონიც, მიხვედრილნი იყვნენ, რომ მან დღეს დიდი სირცხვილი ჰქამა, და შელახული ღირსების აღდგენის ერთადერთი გზა ახლა ვინმეს ლაზთიანი მიბეგვა იყო. ეს საქმე კი ბესარიონს არასოდეს გააჭირვებია.

ბულესკირია ასეთი ფერდაკარგული და დაბნეული ჯერ არავის უნახავს, მირზა ჭირაქაძემ გესლიანდაც კი გაიფიქრა: ისეთი ფერი დაედო, რომ ამ სიბნელეში პირდაპირ ფოსფორივით ანათებსო.

„სასამართლოს“ წამომწყები სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და აცახცახებული ხელების დამალვას ამაოდ ცდილობდა. დანარჩენები თვალეზს არ უჯერებდნენ. ანზორ კუპატაძისათვის ეს იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი სანახაობა იყო, რომ იგი ბულესკირიას გაოცებულ მზერას ერთი წამითაც კი ვეღარ წყვეტდა. და მხოლოდ თენგიზ ჭავჭავაძე თითქოა ვერაფერს გრძნობდა და არაფერს ხედავდა: ბალახზე მწოლიარე ხანდახან გვერდს შეინაცვლებდა ხოლმე და ისევ ვარსკვლავიან ცას მიაჩერდებოდა. ალბათ მას არც დაბნეული ბულესკირიას დანახვა გააკვირვებია.

ბესარიონი თანდათან წენარდებოდა. ამ უკანასკნელი დღეების მღელვარებაში, მოლოდინში, თვალთმაქცობაში, ამ ხუთასი მანეთის საშოვნელად სირბილში, დღევანდელმა მარცხმა და სირცხვილმა იგი ისე დაჰქანცა, რომ ჩხუბი, უბრალოდ, ეზარებოდა. და რაკ ისიც დაინახა, ბულესკირია მოტყუაო, თვითონაც მოეშვა. წამოდგა და წასაგლეჯლად შეემზადა. ოღონდ ეს კი იყო, რომ ბულესკირიას მტრული მზერა ერთხელაც შეაელო და თავიც მიიმედ გადააქნია, აქაოდა, კაცი ამ ქვე-

ყნად ყველაფერს უნდა მოელოდეს და არაფერი უეცირდესო. დანარჩენებიც წამოდგნენ. აქ მირზა ჭირაქაძემ საჭიროდ დაინახა დარბაისლური კილოთი რამდენიმე სიტყვა ეთქვა:

— ხალხო, ევრე დაუბრებულები ერთმანეთს ნუ დაეშორდებით. რალა გამოდის? იმის მაგიერად, რომ იმ ვილაც არამზადა ვიპოვნოთ ერთმანეთს ვეკამათებით. თაზო ერთი მხრივ მართალია: ის ვილაცაა უსიკვდილოდ უნდა მოინახოს...

— მაცაღე! — ბესარიონმა მირზას მხარზე ზელი მოუთათუნა. — ძამიკო მირზა, ახლა ცოტა მე მაცაღე. არავისზე ნაკლებად მე იმ ვილაცის მისიკვდილება არ მწყურია, მაგრამ... რატომ უნდა იქნარდეთ? დამაცაღე! ყოველ ქალს გენაცვალე, საყუთარი ფსინალოგია აქვა. ნათიამ ახლა სამსახური დაიწყო, ვითომ ხალხში გაერია და, შეიძლება, იმსაც ფიქრობს, მეგობრებიც უნდა გამოვიცვალოო. მანქანაშიც იმითომ არ ჩაგვიჭდა. ახლა? ამაზე რას იტყვი? ჰოდა.. ნუ გეშინიათ, არაფერი დაიმალება და თავის დროზე ყველაფერი გამოჩნდება, ახლა კი... გვეყოფა. მე მივდივარ. თუ მოღიხართ წამომყევით, თუ არადა, ამ პერზე ჯდომაც კარგი საქმეა.

ბესარიონმა საყულო შეისწორა და გამოსასვლელისაკენ წამოვიდა, მან ისევ დაიბრუნა თავისი გავლენა ამ ბიჭებზე, არავინ შეჰკამათებია და ულაპარაკოდ უკან გამოჰყვნენ. ჯერ მირზა მიჰყვა, მერე ანზორ კუპატაძე, მერე თაზო ბულესკირია და ბოლოს ბალახიდან ზარმაცად წამომდგარი, მთქნარებაბტეხილი თენგიზ ჭავჭავაძეც. ასევე დამწყრივებულებმა გამოიარეს ორმოცდაათიოდე ფეხის ნაბიჯი და ამ დროს მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ბულესკირიას წინ მიმავალი ანზორ კუპატაძე თავისდასაუბედუროდ დაინახა. ალბათ, ფესსაცმელს ისწორებდა. ბულესკირია თავზე წაადგა და რალაც ჰკითხა. თენგიზ ჭავჭავაძემ სიტყვები ვერ



გაარჩია. ვერც ის გაიგო, ანზორმა რაიმე უბახუსა, თუ არა. ის კი კარგად დაინახა, რომ მოულოდნელად ბულესკორიამ წასრილ კუპატაძეს უკნიდან გამეტებით პანდური ამოსცხო. კუპატაძემ ამოიგმინა, წაიქცა, გვერდზე გადატრიალდა და აღარ განძრეულა.

. . . .  
მეორე დილით დარაჯებმა დასაწყისში წითური ქაბუკის გვამს წააწყდნენ. ორივე ხელი ლაჯებს შორის ჩაეწყო. უკვე შეშუპებულ, წყალივით უფერულ სახეზე კი ქიანკველები შესეოდნენ.

თავი VII

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს ბავშვი ნამდილად აღარ ეთქმოდა. ჯერ ერთი, ოცდათხუთმეტს აღარაფერი უკლდა, და მეორეც ამ ქვეყნის ავიცა და კარგიც — უკვე ყველაფერი გამოსცადა. ერთი ეგ არის, რომ ომში არ ყოფილა, მაშინ პატარა იყო, თორემ სხვა — ყველაფერი. შიმშილიც გამოუცდია, სიტრტვლეც, სიკეთის დაუნახავობაც, ახლობლების ვაჟუშაძრობაც და შორებულების გულგრილობაც... ერთხელ ცოლიც კი დასწამეს, ჯერ სასაცილოდაც არ იყო, მაგრამ მერე ისე გამწარდა, რომ სიკვდილამდე არ დაავიწყდება. ცამდე მართალი იყო და თავი კი ძლივს იმართლა. რას იზამ, კაცი იმის კაცია, რომ ყველაფერი უნდა გამოსცადოს. ჯიბრაილმა ყველაფერს გაუძლო. არც გატეხილა და არც საკუთარი სინდის-ნამუსი შეურაცხვენი. წელში გაიმართა. დაეჯაკიცდა და ოჯახსაც მოეკიდა. აღამიანიშვილი ისეთს ვერაფერს ინატრებს, ჯიბრაილს მაშინ რომ თავსაყრელად არ ჰქონოდა. მარტო გოგუტუნას დაბადება, მისი პირველი ატიკტიკება, მისი ფეხის იღვმა რად ღირდა, მაშინ ჯიბრაილს სამუშაოდან სახლში ისე მიეჩქარებოდა ზოლმე, რომ პირდაპირ დასაბმელი იყო. ირინესთანა ცოლი ხომ... რაღა დასამალავია, ჯიბრაილს ახალგაზრდობაში ქალები არ ასვენებდნენ, ცოდვა გატეხილი სჯობია, ქალის სახიერ სილამაშეს ჯიბრაილი ზოგჯერ არაფრად ჩააგდებდა, ოღონდ ქალი ტანად კარგი, მოსსლტეილი, ჯანიერი მკვრივი და აკვართული ყოფილიყო...

მაგრამ მას შემდეგ, რაც ირინეს გადაეყარა — მორჩა! სხვა ქალები ჯიბრაილისათვის სამუდამოდ გაჰქრნენ. რა ვაეკაცის საკადრისია ცოლის ქალობაზე და ამისთანობაზე ლიპარაკი, თორემ... რომ შეიძლებოდეს, ჯიბრაილს სალაპარაკო და თავმოსაწონი აქაც ნამდილად არ გამოეღეოდა. ჰოდა...  
ჰოდა — ეს ყველაფერი სიზმარივით გაჰქრა და როდესმე დაბრუნდება თუ არა, ის ღმერთმა იცის.  
მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯიბრაილს ერთხელაც კი არ გაუფიქრია, რომ ირინე მას გამოირდებოდა. არა, ეს საფიქრალი ახლაც არ უნდა იყოს, ოღონდ...  
ქუთაისიდან ქვანახშირის ქალაქამდე ისე იმგზავრეს, რომ ირინეს ჯიბრაილისაკენ ერთხელაც არ მიუხედავს. ერთთავად გოგუტუნას უტრიალებდა. არადა, ბავშვს ეს გაუთავებელი ზრუნვა არაფრად ქირდებოდა, გადასარეც ხასიათზე იყო, ენას აღარ ამერებდა და მერე, შეღამებულზე, დაძინებითაც ტკბილად დაიძინა. ირინემ ჯიბრაილს ყურადღება არც ახლა მიაქცია. საწოლზე გოგუტუნას გვერდით მოიკუნტა, წელქვეით საზაფხულო პალტო წაიფარა და თითქოს ცოტა წაივლიმა კიდევ. თვალზე მარცხენა ხელი ჰქონდა მიფარებული. თვითონ ჯიბრაილს კი, რა თქმა უნდა, თვალის არ მოუხუტავს და თავისდა უნებურად ერთი პატარა, მაგრამ გულის ამანუყებელი ამბის მოწყვეც კი გახდა.  
მეზობელ კუბეში ვიღაც ახალგაზრდე-

ბი სვამდნენ. და ხმაურობდნენ ლაპარაკზე ეტყობოდათ, რომ მეშახტეები უნდა ყოფილიყვნენ — ხან ბიჭებს ახსენებდნენ, ხან ღერითონიკს, ხან აკაკი ნიშნიანიძეს, და ხან, მგონი, სარდიონ რაჭველიშვილსაც, სარდიონს ზომ მთელი ქალაქი იცნობს... მატარებელი შეუჩერებლად მივუგუნებდა ბინდმორაფულ ხეობაში. ჯიბრაილი ცოტათი კიდევ შეფიჭრიანდა, ის ბიჭები რაც უფრო მეტს დალევენ, უფრო მეტად ახმაურდებიან და ვაი, თუ გოგუტუნას და ირინეს მოსვენება დაუფრთხონო. მაგრამ საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა, მეზობელ კუბეში მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა და ვიღაც იმ ახალგაზრდათაგან ამხანაგებს გადაულაპარაკა, — აბა, ახლა კი გვეყოფა, თორემ გვერდით კუბეში თავისი ცოლ-შვილით ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მგზავრობს და ჩვენ რომ ახლა მათ მოსვენება არ ვაცალოთ, ნამდვილად არ ივარგებსო. ახალგაზრდები, ეტყობოდა, არც ისე მთვრალეები იყვნენ, ზმაურსა და ყაყანს მაშინვე უკლეს, მერე სულაც მიწყნარდნენ და კიდევ ცოტა ხანი რომ გავიდა, იმ კუბედან ისეთ ძალუმი ზვრინვა მოისმა, რომ მკვდარს გააღვიძებდა. ჯიბრაილს კიდევ ჩაელიმა, თუ ასე უსასველოდ იხვრენდნენ, ისევ ის სჯობდა, ღვინო ესვათ და ემხიარულათო.

იმ ახალგაზრდებმა, ალბათ, არ იცოდნენ რომ ჯიბრაილი უბნის უფროსი აღარ იყო და ჯერჯერობით სამუშაოც კი საქმზნელი ჰქონდა. რომ ცოდნოდათ, მაშინ ვინ იცის — მოერიდებოდნენ კი?

თავიანთ სახლში, სადაც ამდენი ბედნიერი დღე გაატარეს, ჯიბრაილი და ირინე დამძიმებული გულით შევიდნენ. ჩაკეტულ ოთახებში დახშული ჰაერისა და მტერის სუნის დამდგარიყო. გოგუტუნა მაშინვე ტელეფონს მივარდა და ვიღაც თავის „მეგობართან რეკვა“ ასტტხა. ირინეს ცრემლიც კი მოერია. „ქუთაისიდან წამოსვლისას კარგად ვერ იტირა და მოთავებას ახლა აპირებსო“ — გაიფიჭრა ჯიბრაილმა. მაგრამ ირინემ

ჯიბრაილს ყურადღება არც ახლავიქცია. ფანჯრები დაალოც გოგუტუნას სასწრაფოდ ერბო-ვევრცხი გაუკეთა და ოთახების დალაგებას შეუდგა. ამის გადაღება მართლაც აღარ შეიძლებოდა — მეორე დილას ირინეს უკვე სამსახურში ელოდნენ. ჯიბრაილი კი თავის ოთახში შეეხეტა, ტახტზე, ჩამოჯდა და მშრად გაიფიჭრა, ამოდენა ქალაქში, სადაც ამდენი წელი გავატარე, ახლა ერთი კაციც კი აღარ არის, ვისი დანახვაც მე ამ წუთში გამეხარდებოდაო. ეეპ, მართლაც რა სწრაფად იცვლება ცხოვრებაში ყველაფერი! სარდიონ რაჭველიშვილის დანახვა ახლა ჯიბრაილს თვითონ არ უნდა, ანთიმოზ ჩახუნაშვილისა — არც როდისმე სდომებია, უბნის მეშახტეები კი ჯიბრაილს, ალბათ, თვითონვე უწყრებიან: ვიღაც გამოუცდელი ბიჭის ხელში ჩასტოვა და თვითონ ქუთაისში გაიქცა, რა მიარბენინებდა? ან იქით რა მიჰქონდა, აქეთ რა ჩამოიტანა? კიდევ იმიტომაც ახლა ასე კენტად.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ჯიბრაილი მართლა ყველას კი არ დავიწყებია. ამათი სახლში შემოსვლიდან ერთი საათიც კი არ გასულა, რომ შახტის კავშირგამბულობის უფროსი, ის ცნობილი მექრთამე და გაიძვერა აფრასიონ გობეჯიშვილი ეწვიათ. ეს შეჩვენებული სადგურზე იჯდა და ამათ ჩამოსვლას ელოდებოდა, თუ რა იყო? შემობანცალდა, წინკარი ნაღვინევი და გამაძლარი კაცის სუნით გაავსო და ჯიბრაილს მხარზე ხელის მოხვევაც კი დაუპირა. ჯიბრაილმა ხელი აუკრა და თავის ოთახში შეიყვანა.

— რამ გაგახსენა ჩემი თავი?

— მაგას ვის ეუბნები? ბიჭო, ჯიბრაილ, შენ მე როდესმე დამავეწყდები.

— მაინც?

— არაფერი. ნურაფრის გეშინია. აქ ზოგიერთები მომესივნენ, ჯიბრაილი უბნის უფროსი აღარ არის და ტელეფონი აღარ ეკუთვნისო. ესე იგი, იმას მოუხსენი და ჩვენ დაგვიდგო, გესმის? მაგრამ, მე ვუთხარი, ეს საქმე — ნიჭით! რას მიქვია, მე ვუთხარი... აბა! ახლა მე



პატარა ნასვამი ვარ, მაგრამ... ჯიბრაილ მე და შენ — ხომ იცო... მაგ საქმე, მე ვუთხარი, ნიჭვით!...

— ტელეფონი მე მართლა აღარ მეკუთვნის?

— ჯიბრაილ, მე შენ გეუბნები...

— მიპასუხე? — ჯიბრაილმა ისე შეუყვია, რომ გობეჯიშვილი შეკრთა, თვალები გაუფართოვდა. სავარძელში მოწყვეტით ჩაქდა, თავი ხელებში ჩაიხრგო და კბილები გააკრავუნა. უსასველოდ მთვრალი იყო.

— გესმის, თუ არა?

აფრასიონმა თავი ძლივს ასწია და ჯიბრაილს ამღვრეული, უგონო თვალებით მიაშტერდა.

— კანონით? კანონით, რა თქმა უნდა ე... მაგრამ...

მაგრამ სანამ გობეჯიშვილი თავის საქმელს მოათავებდა, ოთახის კარი ისე მაგრად გაიღო, რომ კედელსაც კი მიენარცხა. კარებში გაალმასებული ირინე იღდა.

— კანონით ტელეფონი მე შერგება! გესმის? თუ აქამდე არ გაგიგია, მე სადაც ვმუშაობ? ა? ახლავე ვაეთრეიე აქედან! — და ირინემ თითი მბრძანებლურად გაიშვირა შემოსასვლელი კარისაკენ. — და აქეთ გამოხედული აღარ დაგინახო!

— ადექი! — უჩნია გობეჯიშვილს ჯიბრაილსაც.

გობეჯიშვილი მთვრალი კი იყო, მაგრამ მაინც ოდნავ გაწითლდა. ტორტმანითა და კბილების კრავუნით წამოდგა და კარებისაკენ წალასლასდა — კარებთან მოტრიალდა:

— ბოდიში... მე...

— არაფერი! კარგად იყავი! — ირინემ კარი ცხვირწინ მიუჭახუნა, ჯიბრაილს გვერდი აუარა და სამზარეულოსაკენ წავიდა.

ესეც ასე! გობეჯიშვილი ტელეფონის მოსახსნელად კი არ მოსულა, არამედ იმისათვის, რომ ჯიბრაილისაგან რამე დაეციცლა. მაგის ხელობა ეგ არის. ჯიბრაილს კი ვერ ისიც ვერ მოუხნებდია,

2. „მნათობი“, № 6

რომ ქუთაისში ატესტატი ქრთამით უნდა აეღო. ასეთ რამეებს ჯიბრაილს სუკედელი ურჩევნია. ტელეფონს მაგ წყალწალბებულს თავში ჩასთხლიშვავდა და გოგუტუნა უტელეფონოდ დარჩებოდა. და ეს თუ არ მოხდა, ამას ჯიბრაილი ახლა ირინეს უნდა უმადლოდეს რაც მართალია, მართალი.

მეორე დღით ირინემ გოგუტუნა საბავშვო ბაღში წაიყვანა და თვითონ სამსახურში წავიდა. ჯიბრაილი სახლში მარტო დარჩა. არავინ ურეკავდა, — თუმცა, ალბათ, ყველამ უკვე გაიგო, ქუთაისიდან ჩამობრუნდნენო, — კარხეც არავინ უკაქუნებდა და თვითონაც არ იცოდა, ვისთან და როგორ წასულიყო. მარტო იმას ჰხედავდა, რომ ასე უსაქმოდ გდგება არაფერს არგებდა და რაღაცა უნდა ეღონა...

ჰოდა, სწორედ ამ დროს გამოირკვა, რომ ჯიბრაილის ქუთაისიდან ჩამობრუნებას, თურმე, მარტო აფრასიონ გობეჯიშვილი არ დაარჯობდა ჯიბრაილის ჩამოსვლას ერთი კაციც უცდიდა, ვისგანაც ეს სრულიადაც არ იყო მოსალოდნელი.

ვაკაკი ვინ თქვა უმეტროო, ნათქვამია. და ქვანახშირის ქალაქში ერთი ჩასაფრებული, თავდავიწყებით მოძულე მტერი, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილსაც ჰყავდა — მიტუშა კაიმაშიშვილი, სწორედ ის უბნის უფროსი, ჯიბრაილის მოხსნისთანავე კომბაინერ იულო სოფრომაშვილს რომ შეუჩნდა, ოქროს მთები დაჰპირდა და თავისთან გადაიყვანა.

ჯიბრაილს კაიმაშიშვილისათვის არასოდეს არაფერი დაუშავებია. ის კი არა, მისი არსებობაც კი წელიწადში ერთხელ თუ გაახსენდებოდა. სხვადასხვა შახტებზე და უბნებზე მუშაობდნენ, ორივეს თავის საქმე ებარა. მაგრამ მუდამ ისე ხდებოდა, რომ ყველაფერი, რაც კაიმაშიშვილს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული და გაკეთებით კი ვერასოდეს ვერ აკეთებდა, იმას ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი სულ თამამ-თამამით აკეთებდა.



რაიმე ახალი მექანიზმის დანერგვა იქნებოდა, თუ ახალი სამაგრი კონსტრუქციების გამოცდა, უბანზე ციკლიურობის მიღწევა თუ ქვანახშირის ნაცარიანობის მორიგი შემცირება, აღებულ ვალდებულებების განაღდება თუ შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ელექტროენერჯის, დამსმარე მასალების თუ ხელფასის ფონდის ეკონომია და ათასი სხვა რამე, — ერთი სიტყვით ყველაფერი, რითაც უბნის უფროსმა შეიძლება თავი გამოიჩინოს და რითაც მისი მუშაობა, ადამიანობა თუ ვაჟკაცობა ფასდება, — ვერაფერში კაიმამიშვილი ვერასოდეს ჯიბრაილს ვერ უტოლდებოდა. კაცი შურითა და ბოღმით დადნა. ამ გრძნობებს იგი ვერც მალავდა და არავის გაუკვირდებოდა. კაიმამიშვილს რომ მოეხერხებინა და ჯიბრაილისათვის რაიმე კვანტი გამოედო. სწორედ რომ უნდა მოეხერხებინა, თორემ კადრებით — ისე იყო გამწარებული, რომ კადრებით ყველაფერს იკადრებდა და არაფრის წინაშე უკან არ დაიხვედა.

მაგრამ აი, ბედმა თუ რაღაც სხვა ძალამ იწება და ჯიბრაილს ფეხი თვითონ გადაუბრუნდა. კაიმამიშვილი გაძვრა-გამოძვრა, ნამდვილად შეიტყო, რომ იმავე კაცად ქცევას ჯიბრაილი ან სულ ველარ მოახერხებდა, ან, თუ მოახერხებდა, ძალიან დიდი დაგვიანებით. თვითონ მას რაღაც სამთო უტრსები ჰქონდა დამთავრებული და ჯიბრაილისთანა მარცხის სულაც არ ეშინოდა (აი, მართლა ბედის დაცინვა: იმ კურსების მსმენელებს პრაქტიკის ვასაველელად და კუისის სასწავლებლად ჯიბრაილთან აგზავნიდნენ ხოლმე; ახლა კი...) ამიტომ კაიმამიშვილი ჯიბრაილის გაკილვა-დაცინვას მოეშვა და ერთ დღეს თავისი შემახტეები იმითი გააკვირვა, რომ საჭაროდ განაცხადა, მე და ჯიბრაილი, დიდი მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ აი, სახალხოდ ვამბობ: მაგ ბიჭს აალიან უსამართლოდ მოექცნენ და მე თუ რაიმე შემიძლია, დახმარების ხელს

ნამდვილად სულით და გულყოფილად ვაძლევდი.

გულყოფილად

— შენ რა უნდა გაუკეთო?! — გაუკვირდათ შემახტეებს.

— რატომ? კაცი კაცითაო, ნათქვამია. სულ ერთია, უფროსობას და თანამდებობას ეგ ახლა კარგა ხანს ვეღარ მიაღწევს. ჰოდა, მობრძანდეს, ბატონო. რომელ სანგრევშიც უნდა, გავუშვებ. ამაგროს და ხვეტოს ფული. აი, წინასწარ გამომიცხადებია: სიტყვაზე, თქვენ რომ თითო მანეთს მოგცემთ, იმავე საქმეში მაგას, შეიძლება, სამი და ოთხი გამოვიუწირო.

— ეგ ვითომ რატომ?

— კარგი ვაჟკაცია და იმიტომ.

— ხელფასების საქმეში ასე შენს ნებაზე ვინ მიგიშვებს?

— ეგ მე ვიცოდე.

— კარგი, ბატონო, მაგრამ... უბრალოდ შემიგდო ისევე თავის უბანზე იმუშავეს, რაღა ჩვენთან წამოვა?

— სადაც უფროსად იყო? ეე, ჩემო კარგო, შენ ამ ცხოვრების არაფერი გცოდნია. სადაც უფროსი იყავი და ყველა ქუდს გიხდიდა. იქ დაქვეითებას და ამისთანებს სიკვდილი გერჩიოს. თუ დაგაქვეითეს, იქაურობას უნდა გამოარდევოცი, ჩემს საკუთარ ტყავზე გამომიცდიდა. მეექვსე შახტზე, მაგალითად, ახლა ქუდი რომ შემიგდო, არ შევალ.

— იქ დაგაქვეითეს;

— იქ დამაქვეითეს. ერთი სიტყვით, ასე. ჩემი სიტყვა თქვენ იცით.

— ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს.

— ვადასცემთ?

— რაღა ჩვენ გადავცეთ, მისი ყოფილი თანამესანგრე და მეგობარი იულო სოფრომაძე აგერ არ არის? დაავალე და გააკეთოს.

— ეგუც სწორია.

იულო სოფრომაძემ ეს საქმე დიდი სიხარულით იცისრა. და გაიგო თუ არა, ჯიბრაილი ქუთაისიდან ჩამობრუნებულა და სასლში ზისო, მაშინვე მასთან გაიქცა.

ის ნათქვამი სხაპა-სხუბით უამბო და მერე თავის მზრიავ დაუმატა, მეც და უზნის სხვა მეშახტეებიც ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ გვკრავ და მხარში ამოგვიდექი, დაგვამშვენე და სამაგიერო პატივისცემა თუ ანგარიშის გაწევა ჩვენზე იყოსო. ეს ყველაფერი რომ უთხრა, იულომ მერე-ლა მოისაზრა, რომ ფეხზე იდგა, დაჭდა, ქული მუხლებზე დაიღო და ჯიბრაილს მუხლზე ხელი აღერსიანად მოუთათუნა.

ჯიბრაილი ჩაფიქრდა.

თავისსავე უბანზე უბრალო მეზიგედ მიბრუნება ჯიბრაილს მართლაც სიკვდილივით არ უნდოდა, ბოლოსდაბოლოს ისიც აღამიანია, თუ არა? ის უბანი ამდენ წელიწადს აშენა, გამოაწყო, დაამშვენა და ახლა... არა! იქაური ბიჭები მასზე ახლა გულნატყენები იქნებიან, რატომ მიგვატოვო, და თუ მიბრუნდა, სიხარულით მიიღებენ. მაგრამ — არა, აღამიანმა ზოგჯერ საკუთარ თავზეც უნდა იფიქრო. თორემ ჯიბრაილის ქუთაისიდან ჩამობრუნება იულო სოფრომაძემ სხვა შახტზე თუ გაიგო, იმ „იქაურმა ბიჭებმა“ ველარ გაიგეს? რატომ ერთი მაინც არ მოვიდა და ისე, უბრალოდ მაინც არ მოიკითხა? გვარიშვილობა ჩამოერთმეოდათ? ესეც არ იყოს, ჯიბრაილის მეორე შახტზე მიბრუნებას ირინეც არ იყაბულებს. სარდიონ რაჭველიშვილის სახელის გაგონებაც კი არ უნდა და ჯიბრაილს ქუთაისშივე გამოუცხადა, — თუ მეორე შახტისკენ ცალი თვალით მაინც ვაგებედია, იცოდე, მეც სამუდამოდ დამკარგავ და გოგუტუნას ნახეც სანატრელი გაგიხდებო. ირინე — თავმოყვარე და თავის ნათქვამის ქალია. ჰოდა, ჯიბრაილს ახლა რა ძალა ადგია, რომ თქახი დაანგრიოს? არა!.. არა და არა!

მაგრამ ჯიბრაილს გაგონილი ჰქონდა კაიმაშიშვილს თავის უბანზე ბევრი ყალბთანდი და ყალბი რეკორდსმენები ჰყავს, ზედმეტ ქვანახშირს ხან რკინიგზიდან „სესხულობს“ და ხან სხვა უბნიდან, სხვა მეშახტეების ნამუშევარს ერთ

ვილაცის მიაწერს ხოლმე და უფროსობას თვალში ნაცარს აყრისო! ყოველ ბევრ სხვა რამესაც ამბობდნენ და, როგორც ეტყობოდა, ტყუილი და მონაქორი ბევრი არაფერი უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ამისთანები ჯიბრაილს რომ არ უყვარს?

— შენ თვითონ გადაციდი იულო, და ახლა მეც გინდა, ვადამაციდინო?

— მე რატომ ვადავციდი?

— აბა!

— აბა და — ჩემს თავს მივხედე. შენთან დასამალი რა მაქვს? იმ ღლაპის ხელში ტანჯვას კაიმაშიშვილი არ მირჩევნია.

— ის უბანი ისევე კარგად მუშაობსო?

— ჯერ შენი აწყობილი საქმით მუშაობს, ცოტა მოიცადონ! იქაურობა სულ ნაცარტუტად წავა და მე კი ბავშვიალარა ვარ, იმის ხელმეორედ აწყობას ვუცადო ან ამწყობი სად-ღა არის? არა, ჯიბრაილ, მე არაფერში ვადავმცდარავარ.

— კარგი. მანდ როგორა ხართ?

— დიდებულად! ვმუშაობ და ვარ. მუქთა პური მიდღემნი არ მიქამია და არც ახლა ვქამ.

— რალაცეებს რომ ლაპარაკობენ?

— არ დაიჭერო! ან შენ ის ამბები როგორ შეგერგება რა, სხვისას მიითვისებ, თუ?

— სხვისას, ალბათ, არ მივითვისებ.

— ჰოდა, ვადაწყვიტე! ჯიბრაილ, აი, როგორც უმცროს ძმას, ისე გთხოვ. მეც და დანარჩენი ბიჭებიც. შენ ყველა გიცნობს. შეაფურთხე ეშმაკს და წამოდი. ერთი შენისთანა კაცი ნახევერ უბანს უდრის. შენს საკუთარ თავზე თუ აღარ ფიქრობ, ჩვენი ხათრით წამოდი.

— ვნახოთ.

ჯიბრაილმა იულო დაიმედებული და ვახარებული გაისტუმრა, თვითონ კი ისევე ფიქრს მიეცა...

ჯიბრაილის ვასაოცრად, სამსახურიდან მობრუნებული ირინე ამ ამბავს მაინც შეხვდა. ბოლომდე ყურადღებით მოისმინა და უხმოდ გატრიალდა, იმ სა-

ლამოს ქმრისათვის ერთი მწარე და დამცინავი სიტყვა არ უთქვამს და სამზარეულოში მაგიდაზე სადილიც თავისი ხელით გაუწყო, ოღონდ ეს კი იყო რომ თვითონ იმ მაგიდას მაინც არ მიუჭდა — მან და გოგუტუნამ მერე ცალკე უფრო მოგვიანებით ისადილეს. და თავის ოთახში მომღიმარე ჯიბრაილს ესმოდა, გოგუტუნა ჭამისას როგორ ანცობდა, კისკისებდა და ჭურჭელს გამეტებით ახმაურებდა.

სალამოს რვა საათი იქნებოდა, რომ ჯიბრაილს თვითონ კაიმამიშვილმა დაურეკა, და, თუ კაცის სიტყვა საერთოდ დაიჭრება, ძალიან კაცურად და გულიანად ელაპარაკა. უთხრა, რაღა დაგიშალო, ჩემთვის დიდი სახელი და პატივი იქნება, თუ შენისთანა ვაჟკაცი ჩემს უბანზე იმუშავებსო. როცა გინდოდეს, მაშინ გამობრძანდი, ისეთ დავალებას მოგცემ, როგორც შენ გაგებარდებო; მომავალში კი, რაშიც არ უნდა დაგვირდებ, მუდამ მხარში ამოგიდგებიო. ჯიბრაილმა მადლობა უთხრა და ყურმილი დასდო.

უფრო მოგვიანებით, გოგუტუნამ დაიძინა თუ არა, ჯიბრაილის ოთახში ირინე შევიდა. ჯიბრაილი ჩვეულებისამებრ გაუხდელად ტახტზე იყო წამოწოლილი. ირინეს დანახვაზე გული აუბაგუნდა. წამოიჭრა და ცოლის შეგებება დააპირა. მაგრამ ირინემ ხელით ანიშნა, ჩემთან არ მოხვიდე, მიდი და ისევ ტახტზე წამოწეკიო. ჯიბრაილი, რა თქმა უნდა,

აღარ დაწვა. ისე ჩამოჭდა ირინე მის პირდაპირ სავარძელზე დაეშვა და კარისაკენ მიიხედა, კარგად მივხურე, თუ არაო. კარი მჭიდროდ იყო მიხურული. ირინე მოტრიალდა და ჯიბრაილს პირდაპირ თვალებში შეჰხედა.

— მოესწარი?

— ა?!...

— მეზიგეობას — მოესწარი?

— ირინე!

— კარგი! საჩხუბრად არ მოესულვარ.

ყური დამიგდე: ჯანდაბას ქუთაისიც, ის ატესტატიც და ის მექრთამეებიც. ლომაიცას მე კიდევ კარგებს ვეტყვი. შენ კი დაიხსოვ: სანამდე კანონი უფლებას გაძლევს, ტყავი გაიძრე და გაზაფხულზე, როგორც წესი და რიგია, საშუალოს ატესტატი აიღე. უბრალოდ, უსწავლელი ქმარი მე არ მინდა. ხალხის მრცხვე-აია. მე არავეს ვათქმევინებ, ირინე ქმარს იმიტომ ვაეკცა, რომ იმას მოუტყუებია, სწავლა არაფერი ჰქონიაო. მე შენ დიპლომსა და თანამდებობის გულისათვის არ წამოგყოლივარ, ეს შენც კარგად იცი, მაგრამ... მეტის მოთმენაც აღარ მინდა გაიგე? გაზაფხულზე — ატესტატი ჩამაბარე, თორემ მაშინ მართლა არ ვიცი, რა მოხდება... თუ გამიჭირდა გოგუტუნას უშენოდაც გაეზრდი. ეს იცოდე. ახლა კი მანდ იჯექი. ნუ ბორგავ. არ შემოძლია. თუ შევიძელი, მე თვითონ დაგიძახებ.

წამოდგა, კაბის სწორებით გავიდა და კარი მჭიდროდ გაიხურა.

## ზ ა მ თ ა რ ი

თბილისს თოვლით დაყურსულს  
ქუჩებს, სახლებს გაყუჟულს  
მთაწმინდიდან დავსცქერი,  
როგორც ჭადრაკს ლასკერი.  
თუმც ცა უღვთოდ მდღმარებს,  
ნუ ვერ გამაურჯულებს  
და ჩემს ნაიდუმალეგ  
ფიქრს უჩუმრად ვჩურჩულებ.  
დუმს ფიქრში ჩაძირული  
ჭადრები და იფნები,  
მავთულზე გაყინული  
თოვლის ქულა, ფიფქები,

შიშველ შტოზე ივლის  
დამსხდარან თოლიები,  
დუმს ბროლის ლოლუები  
და ხეგ-ხუვის რუები.  
თრთის მავთულზე ქარიული  
მოციმციმე საყურე  
და სიჩუმით გართული  
მკვდარი მთვარე დაჰყურებს.  
ყინულით მოქარგულან  
ვარდისუნის ვერხვებიც  
და სუსხით გათანგული  
თუმურ ქურქში ვეხვევი.

## ნ ა ზ ვ რ ა

მენატრება აპრილი,  
ია ეშხით მზირალი  
და მთაში რქებაყრილი  
ხარირეში მყვირალი,  
ცისკარის თვალის გახელა,  
მზე, მყინვარის მწვერვალი,  
რუსთაველი და ყველა  
ჯადოჭარი მწერალი.  
მხიბლავს ბარათაშვილის  
ტკუა, გრძნობის მშვენება  
და შაირში გამლილი  
მერნის შმაგი ჭენება,  
გრიგალით და ქარიშხლით  
ზოგუგუნე ვერხნარი.

მხიბლავს: ვინაც არ იშლის  
ამბოხს, როგორც ვერჰარნი,  
ზეთაძოვენის დიადი  
სიმფონია, ჰანგები,  
რომ გალია წყვდიადი  
ბოროტ ხელით ნაგები,  
ამღერა ქვეყანა  
ჯადოსნური ხელხავით,  
და-ძმასავით შეჰყარა  
ხალხი, ბნელის მხერხავი...  
მენატრება აპრილი,  
ია, ეშხით მზირალი  
და მთაში რქებაყრილი  
ხარირეში მყვირალი.

## ჩვენი სიმღერები



მზიბლავს რაკული „ქედრულ“,  
 სვანთ მზისეული „ლილე“,  
 სხვა კუთხე თუ დამემდურა,  
 ჩაწვდეს ჩემეულ ილეთს.  
 მზიბლავს გურული „სელხვაი“,  
 მხედრული „ალიფაშა“,  
 კრიმანჭული და მხერსავე  
 ხმა, მოძახილი „რაშა“.  
 მომწონს დამტკბარი მგვრული  
 „ჩელა“ და „სისატურა“,  
 პანგი კაემნით შემკული,  
 სულში რომ ჩაიწურა.  
 და მომწონს ისევ კახური  
 პანგი, სიმღერა შილდის,  
 დიდებამემონახული,  
 ჯანსაყსე, დინჯი, მშვიდი.  
 მასში წარსული დიდების  
 გუგუნებს ძალა, სიმხნე,  
 დგას მტრებთან შენაჭიდები,  
 შეუმუსრავი ციხე  
 კახურ სიმღერის ბარაქა  
 მზიბლავს, მზიბლავდა მარად.

იგი სხვის კილოს არა ჰკავს  
 და ეღერს ქორალის დარად.  
 მისი ბარაქა იოლად  
 წართლავს გასწვდება ყველას,  
 ალანანმა და იორმა,  
 გამამაც ვერ გამოწველა.  
 ის ბებერ ეამის ტოლია,  
 ჩვენამდეც გასდო ხიდი,  
 იგი ქორალი მგონია,  
 მოგვუგუნე და მშვიდი.  
 კახური ძველი სიმღერის  
 მზიბლავს ეშში და ძალა,  
 სიმღერა დინჯი იმგვარი,  
 როგორც: „სოლომონ ბრძანა“,  
 ეთ „გუმინ შვიდნი“ ან კიდევ  
 „ბერი კაცი ვარ“ და სხვა,  
 შეების ცეცხლი რომ წამკიდეს  
 და მწუხარებაც დაცხრა.  
 კახთ პანგში წარსულ დიდების  
 გუგუნებს ძალა, სიმხნე,  
 დგას მტრებთან შენაჭიდები,  
 შეუმუსრავი ციხე.

## ყინველის ატეფი

მაგონდება, მალონებს  
 ჭირი საქართველოსი,  
 თუმც გადურჩა მონკოლებს  
 ყინველის ანგელოზი  
 ვინ შეამკო, დახატა  
 ზენაარსი, მზე იგი,  
 ცას თაეი რომ ახადა,  
 გვამცნო სულის ზეიმი!  
 სახე ვინ დაუმშენა  
 ნაზი და გულსაკლავი,  
 ღვთისმშობელს რომ უჩვენა  
 თითით შეილის საფლავი!  
 კლდეს შეეხო ნეტარი  
 და მოირღვა კლდის ლოდი,  
 ნიშში იღვა ცხედარი,  
 დედაც, რომ მისტიროდი.  
 ცამ იხეულა, იგრგვინა

და იხილეს ცოცხალი,  
 ეკლიანი გვირგვინით  
 დაჩხვლეტილი მოძღვარი.  
 დარჩა მიწის და ცისა  
 გამთიშავეი საფლავი,  
 სისხლში შესვრილ კაცისა  
 თავი დაუდაფნავეი,  
 დახატული კრანახის  
 ჯადოსნური ფუნჯითა.  
 ეთქვი და მითის კრანახით  
 ჩანს გოლგოთა — მუნჯი მთა.  
 მაგრამ გაქრა ხალასი  
 ძველი მითი, ზღაპარი,  
 ჩვენს ატომურ ხანაში  
 გამოფხიზლდა საპყარიც.  
 ახლა ღმერთის სანაცვლოდ  
 კაცმა კაცი იწამა,  
 იგი იბრძვის, შამაცობს,  
 ბრძოლით გამოიწაფა.  
 მატთანეს ჩაბარდა  
 ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა,  
 კაცი მთვარეს ავარდა,  
 დადგა ბნელის საგმობად.  
 არვის ასხოვს ამჟამად  
 ქრისტეს ცნება, იგავეი,  
 გაქრა ძველი მაჯამა  
 წინათ რომ გაუყავით.  
 ფიქრი მოდის, მდინარებს,  
 როგორც ტალღა რიონის,  
 მსურს ვიხილო მცინარი  
 სახე კაცობრიობის.

თხზარ კვიციანი

### კვიციანი და ანუ ბიბლიოთეკის გადარჩენისათვის

რა ვუყო, რომელ თაროზე შევდო —  
ერთად შეყრილი — ამდენი ფსევდო...

გადალაქული ყდა და სუპერი;  
მოდექ, სუყველას სული უბერე.

ბრწყინავს ვარაყი თავსართის, ყუის;  
გასვლია ვადა, უღმერთოდ ტყუის.

ქსელი გაუბამს ზოგზე ობობას,  
თვალი დაუდგეს უფართობობას...

ვედარ იკავებს ბეჭი, იღლია.  
არ წაიკითხავ? თავში გიხლია.

რას მოელოდი ან რა გერგება, —  
გულს — გაქვაგება, ტვინს — გაქერქება.

ბოლოს იკითხონ — ვინ სად და ვინ ვის?  
ვის დაატყდება კბილები ყინვის.

დაგლახებულია მოდგმა უნასთა,  
ზოგს რა საეჭვოდ ხმა გაუნაზდა.

კაცად დამჯდარა ბევრი პამპულა,  
იკალი მორცხვად გადაბამბულა.

ამის პატრონმა, მითხარით, რა ქნას?  
მამალ ინდაურს ფრჩხილები დაქნას.

ამან? რადგანაც არ გავს უმადოს,  
კითხვას მოუშვას, წერას უმატოს.

ამას რა მიცვეთ ფეხის ქირაში?  
ღთხოვით — გაზარდოს ზომა, ტირაქი.

„გასაგებია, — ამბობს შემდეგი, —  
შეგშურდა ჩემი, მიტომ შემდექი“.

ღმერთი და რჯული არავის ვერჩი,  
თუ ურჩევნიათ, ვყარონ მტვერში.

• • •

რა ვალი. რისი გამათხორცება.  
არავინ მითხრას — ტყუის კანონი.  
მიდის, წინ მიდის ჩვენი ცხოვრება,  
ცოტანი დავრჩით უმანქანონი.

გვანია დალი ძველი ტკივილის  
და ხასიათიც შეგვრჩა ბალღური;

ეტყობა, მაინც შორიდან გვივლის  
დრო — ჩვენი მეფე და მეთვალყურე.

წლები სიმღერად შეიკონება,  
ამოწმდება სხივი კეთილი.

კვლავ პოეზიას: სისხლი, გონება,  
გული — ელვარე და დაფლეთილი.

გაგვიყოლიოს ტრიალმა მზისამ  
(ადრე თუ გვიან ისიც ჩაქრება).  
რაც ხარ, იმასვე იტყვი და იზამ,  
თავს დააბრალოს, ვინც იჩაგრება.

ახლოა ფსკერი. ვიღვეით, ვდნებით.  
ვის ახსენდება — გრიე, მანონი...  
ჩვენი სურვილით და ჩვენი ნებით,  
ცოტანი დაურჩით უმანქანონი.

## ძველი კანკა

გრძელი ტომები კოშკებია ზურგშექცეული,  
მომხვევენ კალთებს და მატყვევებენ.  
ფრთხილად მივყვები —  
ჩაქცეულია ყველა ბილიკი,  
მორღვეულია ყველა კედელი...  
ერთი ხე ხარობს  
და შავ-შავი ნაყოფი მისი  
ხრამში ცვივა, დარბილებული.  
დაგყურებ, მიკვირს...  
ამ დაბზარულ, ხორკლიან მიწას  
რამ დააფინა ამდენი ჩრდილი.  
ვატყობ — ღრუბლებში მოსრიალე ნაცარა ჩიტი  
მეფის მოკვეთილ თავს დააჯდება,  
ქარის ხმაზე მოყვება სტვენას.  
ნესმის — გრანიტის ფხაზე იმტვრევენ  
მორევის გულში ჩაბრუნებული მლაშე ტალღები  
უღონო მაჯებს.  
გამომშრალია სახსრებიდან გამოწველილი  
თეთრი ძარღვები  
და ქანაობენ შიშველ ფლატეზე.  
ასე ფორები უფრიალებს,  
სარეცხის თოკს ჩამოძენძილი...  
ხვალ რა დღე არი? სად მიმიწყვადევენ —  
ტყავში ჩამჯდარი,  
ზურგშექცევით ჩალაგებული მძიმე ტომები.

მიწად მიქცევა ახალთა, ძველთა...  
დაუნდობელი გითრევს პროცესი.  
ჯერ განუცდელი შიში და ელდა, —  
გალევა წელის მეორმოცესი.

უცადე — ბოლოს გამოჩნდეს კვალი,  
რასაც სისხლი და ტვინი ენთხევა  
და რაც მანამდე უსიტყვოდ მალე,  
ყველაფერს იტყვის ერთი შემთხვევა.



## მწიკნი ყვავილები



აქ ვარ. სასაფლაოს წყალით  
ვაგებ სასაფლაოს ქილებს.  
„აქ იქნები“, ვიღაცის ხმა  
ყურში ავად ჩამჭირქილებს.

გაჩენიდან ნაწამები,  
ძმია ჩემი, ვინც აქ მიწევს.  
მიწა, რბილად აშელილი,  
ფენისგულებიდან მიწოვს.

რომელ დედის გასაგონად,  
თეთრი მარმარილოს ლოდი,  
თეთრად გაწოლილი წყალში,  
ტირის: „ნეტა არ გყოლოდი“.

დამარხულის, დასამარხის,  
ცხვირწინ გრიალია ჩარხის,  
ყოველ შემობრუნებაზე,  
ასე მეუბნება: „არ ღირს“.

დამტვერილი, გასაწყვეტი,  
რას ტრიალებს მწვანე ღვედი...  
ერთი მოთქვამს: „სად გეძებო,  
შვილო, საით წამიხვედი?!“

გარდასულთა ძვლებით ნაგებს,  
სისხლად გადაველო ბავებს  
მზე წითელი; ყოფნას ჩვენსას  
და არყოფნას ის განაგებს.

## პ ო რ ბ რ ე ბ ი

ასეთი ვიყავ მე წაქცევამდე,  
დატბორილ ბინდში ვენთე დილაამდე, —  
გარდასახვამდე, მიწად ქცევამდე,  
როგორც იტყვიან, ბრმა სიკვდილამდე.

მინახავს ცოფი და ტყვიის დახლა,  
წუხილი კაცთა, ენით უთქმელი...  
ელავდა ყველა სურვილზე მალლა —  
მთა დათოვლილი, ფხვდაუდგმელი.

## ჩ ი ბ უ ბ ი

მთელი ცხოვრება გვეჩვენება,  
რომ ისინი კვდებიან.  
ჩვენ მხოლოდ ფერს ვხედავთ.  
იმდენს ვერ ვხვდებით —  
გამკვრივებული ლაქვარდი იწოვს  
გაფრენილებს. გვიკვირს: —  
დაცვენილ ბუმბულს დავჩერებივართ.  
არავინ დაიჯეროს ჩიტების სიკვდილი.  
ცა რომ ცაა, ისიც გვატყუებს, —  
სპირალად დაგრაგნილი სადაფის მორგვში  
ბროლია გადამდნარი. ძნელია გაღწევა.  
ვერ გატანს ჩვენი გასანთლული მწერა  
ფრთხილით გაბურღულ ნახევრტებში.  
ერთ ხაზზე უყვართ გამწყვრივება,  
არც ფიჭობენ დაბრუნებას.  
იქ უცდით:  
კრიალა, ლურჯი სიყვარული.  
გაიშლებიან,  
ფრთების მოსმა აღარ დასჭირდებათ.  
ბევრი გვინახავს —



მანქანის ცხვირს შენარცხებული, გაფშევილი.  
 რასაც ვხედავთ, წრდილია მათი;  
 თითონ არასოდეს კვდებიან.  
 ზოგი შეიძლება ასფალტში იყოს აწეული,  
 ფოთლის ანაბეჭდი გვეგონოს.  
 ნურც მაშინ დავიზნევიო, —  
 მოჩვენება ყველაფერი.  
 მდინარის ქვები უყვართ, ამოჩრილი,  
 ჭაღლებში მკერდის ამოვლება.  
 დასრიალებენ გაქცეულ ხარკეში, —  
 უფრო ორნი: ბოლოქანქალა, მერცხალი.  
 ამაოდ ვწუხდებით,  
 არაფერი სჭირთ ჩვენი შესაცოდი.  
 შემძლია ზოგი რამ გაეხსენო:  
 მალალი სახლის დაშენებულ ხართულზე,  
 შემინულ სამრეცხაოში,  
 ორი ფიტული დაინახე — მტვერწაყრილი,  
 პირვე დამხობილი, არ მოგტყუვდი.  
 ვიცოდი: ეს ორი მწყურნიტა,  
 იმ წამს, ნამჯის გორაზე ეშვებოდა  
 ქართლის ერთ გადატრუსულ სოფელში...  
 მალაზიის ვიტრინასთან, გადაკრეჭილ ბალახზე,  
 ნამგალას ბარტყი ვგდო (აღმათ დახიციხული),  
 ჩემს გარდა არავის მიუქცევია ყურადღება;  
 რომც დატყდათ, მკვდრად ჩასთვლიდნენ.  
 ჯიუტი, კირის შხეფებით დაწინწკლული;  
 ჩარტობოდა მწვანეს, ნემსად ქცეული ნისკარტი,  
 იფთრ ქუთუთოებს მორიგეობით იფარებდა  
 ამოღამებულ თვალეზზე, ყველაფრის მომლოდინე  
 ხომ გიმწერიათ — ზღვაში ჩაჭრილ კლდეს,  
 მოშიშვლებული გვერდებიდან, როგორ უვლიან  
 ქარზე აფარფატებული ზედურები.  
 პირადად მე — შემწურებია.  
 ნეტა ვიცოდე, რად ვწანავართ იმათ თვალში;  
 ვისაც არ უნდა ჰკითხო, ისოცებიანო, გეტყვის.  
 არაა მართალი. ჩიტები არასოდეს კვდებიან.



ჩემს გოგოს,  
 ღაქოს ბარტყივით რომ იკბინება,  
 ხან ერთი ფეფი მოუჩანს  
 ფუმფულა ღრუბლიდან,  
 ხან — მეორე.  
 ლოყაზე უდევს  
 გაბუტული თათის ოთხივე ფოსო.

ისე ძინავს,  
 გადარცმბილია ყველა ბოროტება;  
 თითქოს ჯერ, კაცს კაცი არ მოეკლას,  
 თითქოს კლანჭი არ გაყოოდეს  
 აცანცაზებულ კურდღელს,  
 ცეცხლის აღზე არ დაპლაპებდეს,  
 ძროხის დასაკლავი დანა.

## მეგობრის განსვენება

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

(მ. ჩ.)

დღეს ვნახე შენი მოხუცი დედა,  
ფანჯარას თეთრი მოადგა ლანდი...  
მის გამხდარ მხრებზე მტრედები სხედან,  
გაუთავებლად კენკავენ წანდილს.

ტანჯვით გავშორდი დერეფანს ვიწროს,  
გარეთ დავტოვე სმაური წვიმის...  
შემომხედა და მაშინვე მიცნო,  
ვაი, იმ ცნობას, იმ გამჭრალ ღიმის.

როგორც დავტოვე, ისევე დამხედა  
შენი ოთახი — ფრინველის ბუდე.  
ისევე დამხედა მაგიდა... ტახტი...  
აპნევეს საათი დამტვრეულ წუთებს...

გული შეტეხული და მწუხარება,  
ცრემლის გუბეში დგას დედაშენი...  
ალარაფერი არ უხარია,  
ალარაფერი აღარ აშინებს.

## ს ი ზ ბ ა რ ი

გადაწყვეტილი მქონდა ღალატი,  
შენი ღალატი, არც გიმაღავდი.

ჩავეცილდი კედელს, მოწულს სუროთი,  
შენ მიყურებდი, არ შემდუროდი.

ასე გულგრილად უმზერენ ავდარს...  
ცხადსაც გავდა და სიზმარსაც გავდა

ის დღე, ის წუთი შხამით ნალესი,  
გარეუბანი. უცხო აღერსი...

აფეთქებული გულის დუდილი,  
უფლის დადგმული მძიმე უღელი...

ფეხზე ვიდექი ძალისძალათი,  
თავგზას მირევდა შენი ღალატი.

## 28 ბ ა ი ს ი

ქანსულ ჩარკვიანს

ყველა სინათლე რაღაცას ნიშნავს, —  
თითო სურვილი და თითო ბედი...  
ეცემა შუქი მორღვეულ კვიშნარს,  
ბორბლები გაჭრილ მღვიმეში შედის

მაღალი ცა და მაღალი სალტე,  
ბნელს ჩაფრენილი გრძელი თითები.  
მოსწორებული მთაწმინდის კალთა,  
კლდეზე გაფრენა და დაკიდება.

სიყრმის დღეები აქეთ გეგულების,  
და მოდის, წლებმა რაც ვერ დამარხებს, —  
დამსკადარ ფილტვებში დაგუბებული  
ის ძველი სისხლი და სიამაყე.

არგია, თვალში იმედი ბრწყინავს,  
უმჯერ მამულის ეზოებს მოვლილს:  
მოდის ათასჯერ მოსული წვიმა,  
ღნება ათასჯერ დამდნარი თოვლი.

## ნოველები

ბ ი ძ ბ ი

კინო „კომუნის“ წინ, წულუკიძის ბაღის შესასვლელთან, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ორმოციოდე წლის, ჩაფსკერილი კაცი მათე კილაძე იდგა. ოქტომბრის სრულიად ჩვეულებრივი საღამო იყო. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ამ დროს თითქმის შეუძლებელი გახლდათ, რადგანაც ტროლეიბუსი პირველსავე გაჩერებაზე იტენებოდა სამსახურიდან გამოსული მოქალაქეებით და თუ ვინმე არ ჩადიოდა, ან ნაცნობს არ შენიშნავდა, მძლოლი გეგუთის გადასახვევამდე არ აჩერებდა. ამიტომაც რიგითი მოქალაქეები, თუმცა ძალიან ეჩქარებოდნენ, მაგრამ მაინც უარს ამბობდნენ ისეთ უინედო საქმეზე, როგორც გახლდათ წულუკიძის ბაღის წინ ტროლეიბუსის ლოდინი. მათე კილაძე მარტოდმარტო იდგა გაჩერებაზე. მათემ იცოდა, რომ კაცი, რომელსაც იგი ელოდებოდა, სწორედ ამ გაჩერებაზე უნდა ჩამოსულიყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ცეკვეშირის მაღაზიის თავზე, ყოფილი ტურბაზის წინ ცხოვრობდა. მათეს ფართოჯიბიანი, ყვისფერი ბერეტი ილინ-ცურად ეხურა. მსუქან ლოყებს შავი ხეჭუჭია ბაცნბარდები უფარავდა. იტალიური საწვამარი (რომელსაც კარგა-

ხანია ვეღარ იყრავდა) ქარში უსიამოვნოდ ფართხუნობდა. მათეს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში ედო, ხოლო მარჯვენით კი გაზეთში შეხვეული, სტანდარტული ზომის, წითელი აგური ეჭირა.

როცა ტროლეიბუსი მეზობელ გაჩერებიდან გამოვიდა, მგზავრებს შორის სიძვედოდ ჩაქედნილი ეგნატე გარუჩავა საეჭვოდ ახვანცალდა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა წინ და უკან მიაწვა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ცოცხალი კედლის გარღვევა მის შესაძლებლობას აღემატებოდა და იყვირა: „ჩაედივარ, ბატონო!“. მგზავრები უკმაყოფილოდ შეიშმუნნენ და მკერდზე ჩანთაახუტებულ ეგნატეს როგორც იყო, გზა მისცეს გასასვლელისაკენ. რა იცოდა, რა დღე ელოდა ეგნატეს თავის გაჩერებაზე, თორემ ჩასვლაზე თავს მოიკლავდა? ტროლეიბუსი გაჩერდა. მგზავრები კარგა ხანს უოყმანობდნენ, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ეგნატე ნამდვილად აქ ცხოვრობდა, იგი შესამჩნევი ბიძგიით ისაროლეს ტროტუარზე. ეგნატე ოთხით შეეხო ასფალტს და კმაყოფილმა იპით, რომ თავისას მაინც მიაღწია, ღიმილით გააყოლა თვალი ცალ გვერდზე გადახრილ ტროლეიბუსს, თეთარ ხილზე ძლივს რომ მიირწყოდა.

ეგნატემ პიჯაკი და პორტფელი გაიფრთხა, შერჩენილი ლილეები შეიკრა, წყლში გასწორდა და ის-ის იყო ქუჩა უნდა გადაეჭრა, რომ უკანდან მათე კილაძე წამოეპარა და ორივე ხელით ხეთქა თავზე გაზეთში გახვეული აგური. აგური გატყდა და მათეს ნახევარი შერჩა ხელთ, ეგნატემ კი სახარელი ხმით დაიბლაღლა და ასფალტზე პირაღმა დაეცა. შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა. მათეს მიმალვა არც უცდია. მან კბილების ღრქილით დახედა ხელში შერჩენილ აგურს და რადგანაც იგი თავის თავზე დასარტყმელად, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელი ეჩვენა, ელვის სისწრაფით შემოტრიალდა და შორიახლო განმარტოებით მდგარი ქადრისაკენ გაექანა. „დაიჭირეთ!“ იყვირა ვილაძემ, მაგრამ უკვე გვიან იყო. მათემ თავგანწირულად ლეწა ქადარს თავი და სანამ მის გასაკვებლად მოვიდოდნენ, ორჯერაც მოუნაცვლა. მეტი ვეღარ შესძლო. მას უკვე დაჰერა აღარ სჭირდებოდა, გული წაუვიდა, ქადარს ხელები შემოჰხვია და ჩაიყვცა.

ორივეს თავპირზე სისხლი ჩამოსდიოდა. ორივენი ერთი სასწრაფოთი წაიყვანეს. წითელი ჯვრის მანქანის იატაკზე ერთმანეთის გვერდით იწვნენ და გაუგებრად ფსლუჟუნებდნენ.

წულუკიძის ბაღის წინ კარგა ხანს ზრიალებდა ცნობისმოყვარეთა ბრბო. ერთმანეთს ამბავს ეკითხებოდნენ, მიზეზს არკვევდნენ, არჩევდნენ, ბჭობდნენ. „დაიშალეთ ახლა, რა იყო, ჩხუბი არ გინახიათო?“, ეხვეწებოდა ხალხს პარტიტველა ახმაბი მილიციელი გიგლაია ხარაბაძე. გიგლაიას ტყუილად ეშინოდა, დაინტერესებული მოქალაქენი თავისითაც მალე დაიშლებოდნენ.

\* \* \*

სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „წინსვლის“ კანტორაში მათე კილაძემ შეიხედა და ქალღღებში ჩაჯარგულ ეგნატე გარუჩავას შეაჩერდა. კანტორა-

ში სტეებიც ისხდნენ, მაგრამ მათეს სხეები ამგერად არ აინტერესებოდა.

— ეგნატე!

ეგნატემ თავი ასწია.

— რა იყო?

— გამობრძანდი ერთ წუთს.

— წადი, კაცო, შენ მოცილილი ხარ, ვილაძა ხარ.

— ერთ წუთს გამობრძანდი.

— რა გინდა? — სათვალე მოიხსნა ეგნატემ, წამოდგომას კი არ აპირებდა.

— საქმე მაქვს პატარა.

— მე დასამალავი არაფერი მაქვს. აჯერ მითხარი. ხომ ვილაპარაკეთ, ხომ გავარკვიეთ ყველაფერი, ახლა შენ შენთვის და მე ჩემთვის. გლახა სიტყვაა?

— გამოდი ერთ წუთსთქვეა, მე შენ გელაპარაკები!

— „გადი ეგნატე, გადი ერთი რას გეტყვისო“, შეუძახეს აქეთ-იქიდან. ეგნატე წამოხტა და ჯიქურ გავარდა გარეთ. ამკარად ჩანდა, ამ კაცთან ლაპარაკი საიმოვნებს რომ არ ჰგვრიდა.

ორივენი „წინსვლაში“ მუშაობდნენ. მათე ექსპედიტორი იყო, ეგნატე მთავარი საქონელმცოდნე. ორივეს საფერწლო ტექნიკუმში ჰქონდა დამთავრებულობა. მთავარი საქონელმცოდნის ადგილი რომ გამოჩნდა, ორივემ სცადა ბედი. მიდგნენ-მოდგნენ და ეგნატემ აჯობა. სწორედ გულშინაობის დაიწერა ბრძანება. მერე ვილაძემ მათეს ენა მიუტანა, რომ თითქოს ეგნატეს ეთქვას, „ტყუილად გაიბითურა თავი, მე წინ არ უნდა გადამდგომოდა, უნდა ცოდნოდა, რომ ვერაფერს გააწყობდა. ჯერ ერთი, რა იცის მაგან საქონელმცოდნეობის და მეორეც, ჩემი გამავლობა და მაგის გამავლობა ერთიათო?“. მათე ისედაც გაბოროტებული იყო და ამ სიტყვებმა სულ გადარია. გუშინ გაიყვანა და მთელი საათი ელაპარაკა. ეგნატე ჯერ ცოცხარზე იდგა, არ მითქვამსო, მაგრამ ბოლოს ნერვები აეშალა და პირში მიახალა: „ბოლოსდაბოლოს ყველა ჩვენ-ჩვენთვის ვჩალიჩობთ. გულშიც რომ გქონდეს, შენ ასეთ რალაცას არ უნდა

მუხუბნებოდღე. იცოდი შენ, რომ ამ ადგილს ველოდებოდი ოცი წელიწადია და, ზენაკალე გამჩენს, სამართალმა პური კიამაო. ახლა, თუ გინდა, ქე მითხარი ზეალიდან გამარჯობა, თვარადა შენ შენთვის და მე ჩემთვისო. მე შენთვის არაფერი წამირთმევია, მთავრობა დამნიშნა ამ ადგილზე და საერთოდ უნდა იცოდე, კინკული და უბედურა არავის არ უყვარხარო". გუშინ ასე დაშორდნენ ერთმანეთს. სიმართლე გითხრათ, ასეთი საუბრის შემდეგ ეგნატე აღარც ელოდა, რომ მათე დღესაც გაიხმონდა.

მათე წინ გაუძღვა და კიბის თავზე, სალაროს წინ მიდგნენ.

ეგნატეს საჭდომზე და იდაყვებზე გაპრიალებული კრების კოსტუმი ეცვა. კოსტუმი დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო შეკერილი, რადგანაც ჩამცმელს იგი ყოველდღიურ სამუშაო ტანსაცმლად გაეგდო. შარვალი საათის ჭიბის ქვეშათ საქამოდ გამოსაჩენად იყო ამოკემსილი. ჩანდა გაუფრთხილებელმა უთოობამ გამოწვეა, თორემ იმ ადგილზე შარვალი საერთოდ არ ეცდება. უბედურად ამოქაჩული მწვანე სეიტრი ეცვა. მისი კოსტუმი მხარბეჭზე ისეთ ნაკლებებს ტოვებდა, რომ ადვილად მიხვდებოდით ამ მხარ-მკლავის პატრონი სპორტით გატაცებული პიროვნება რომ არ იყო. ზურგიდან ეგნატე ძალიან გამხდარი ჩანდა. ჩაეარდნილ გულმკერდს ქვეშათ, პატარა, წინწამოსროლილი ღიბი მოუჩანდა და ეტყობა, ამ ღიბის გამოისობით, შარვალი მუდამ ჩაჩაჩულად ეცვა. სასაცილოდ შეეარდნილ ნიკას და ფართო ტუჩებს ნახევარმთვარედ გადმომშობოდა ქერა უღვანეაზი. ეგნატეს თავზე და ხელის ზურგზე შავი, კუპრით თმა ჰქონდა, მარტო უღვანეებზე უზრინავდა სანთლისფრად. თითქმის უწარბო იყო და წარბების მაგივრობას ავადმყოფურად გამოხერხილი, დასივებული ქუთუთოები სწევდნენ.

— რა ექნათ ახლა? — ჰკითხა მათემ და დონიჩი ვაიკეთა.

— ძიძგი-ძიძგი მამალო ვითამა-

შოთ. — ზიზღნარევი ირონიით მიუღო ეგნატემ — რა გაწუხებხარ, გინდა ეს ორი დღეა რომ გამოგყავარ-მგელი ბიკივით გარეთ. ხვარაფერი გეშლება, მათია, შენ?

— რა ექნათ ახლათქვა, — დონიჩი მოიხსნა მათემ და ავისმომასწავებელი, ვაშკალი მხერით შეაჩერდა.

ეგნატეს სულ არ შეშინებია.

— რა გინდა?

— სამშობლოს დალატისთვის იქდა ბიძაჩემი? რამ გათქმევინა ამხელა ტყუილი, შე უნამუსო, შენ!

— შე ცხრაჯერ უნამუსო, მართლა. ბიძა თუ გყავდა პირველად ახლა გაეიგვა.

— არ გითქვამს აბა შენ გუშინ, ქვეყნის გამოიდგელი ბიძაჩისის ქმისწული რა იქნებო?

— ისე აუშენდა ოჯახი, ვინც ენა მოგრტანა და გაგახელა.

— კარგი — ისე ვაიკეთა დონიჩი მათემ — რა ფასად ვაგვიყიდი ჩვენ სასლი?

— ახლა მაგი მარკვევინე, მეტი საქმე არა მაქვს.

— ისე ზეავი და ბარაქა შენს ნავრამს, რაეარც ჩვენ მილიონი ვეიღეთ იმ სახლში.

— გადამრევეს ეს კაცი. — სიმწრით გაიციხა ეგნატემ.

— არ გითქვამს. რაეა გითქვამს, ტყუილი მოგიგონეს. რატომ დათია ბუნაიძეზე არ მომიტანეს ენა, რატომ გენალ კანთარიანზე არ გამახელეს.

— რაში მიანტერესებს შენ სახლი გაყიდეთ თუ ცეცსლი წოუყიდეთ. რაში მესება მაგ ამბავი მე.

— იმდენი ვაყვარობა მიინც გქონდეს, შენი სიტყვის პატრონი იყო.

— ჩემი სიტყვის პატრონი ვარ მშვენიერად მე. არა, ბიჭო, მეშინია ახლა შენი და ვეაროდ. — თვალი თვალში გაუყარა ეგნატემ.

მათემ დონიჩი მოიხსნა.

— როდის იყო მკვდარს რომ გყიდლით, ბიჭო, ჩვენ?

— ახალი ამბავი!

— რამ ამოგათქმევინა მაგ მყრალი პირიდან, ბაბუამისის გადასახურავით ცოლ-შვილი შემოსაო. ღმერთი არაა ქვეყანაზე? ფული შევავროვე მე ბაბუაჩემის ქვლებზე? იქ არ ეგდე შეენც? რამდენი შემოიტანე თუ გახსოვს?

— ნამეტანს ნუ მირეკავ, გეყოფა ახლა. წამიყენე პირში ვინც გითხრა. სულ ბაბუაშენის ხსენებაში ვარ, მეტი არა მაქვს საქმე.

— ვინ წაგიყენო პირში. მე შვიონი გამოვალ და შენ ასე გადავარავ იმასთანაც.

— მომშორდი თუ ძმა ხარ, ცოდვას არ შემამთხვიო დღეს.

— რა გინდა აბა, რას მაგინებ, საქმის ჩაწყობით ადგილი ამალლიტე პირიდან. გაჟიერდი. ახლა აღარ მსხვენებ? ოჯახსაც მილანძღავ? ვეილო თავზე ხელი? ეგნატემ ივრძნო, რომ ამ საუბარს ყარგი ბოლო არ უჩანდა და ხმას დაუწვია.

— წამიყენე ის მკვდარგაციებულო ვინც გადაგრიათქვა და არ შერება და მეტი რა გიყო. არ მითქვამს თქვა და არ გეჟურება და მეტი, ახლა, შელოცვით ვერ შეგილოცავ. მაინც არ გაჭრის, სულურთია.

— რა ექნათ აბა?

— ნუ მელაპარაკები მათე ასე ქურდულად. ჩვენ ახლა თხუთმეტი წლის ბიჭები აღარ ვართ. რა ქნა და ურტყი თავი კედელს, მაგი მე არ ვიჯავრო.

— რისი ღირსი ხარ ახლა შენ! — ოვალეზში სისხლი მოაწვა მათეს.

— ხელები დაუშვი, შენთვის სჯობია, არ ხარ შენ მაგის კაცი. არ გობდება მახს, ძველიბჭურად დგომა. დონიჭით წენ, სახლში, ბოვშებს ელაპარაკე და **ახინი** შეამინე.

მათეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

— რა მიწერია მე საბუთებში?

— ყველაფერი კაი. — არ დაიბნა ეგნატე.

— ესე იგი სულელი ვარ მე?

— ვინ თქვა.

— რაჟა თქვი გუშინ? „სუსტი ნერვების მქონე“ უწერია საწყალს საბუთებ-

ში და თუ ჰკვიანად არ იქნება, აქედანაც გაუშვებთო? შენ უნდა გამოიშვა მე, ასე წვეიდა ჩემი საქმე?

— ღმერთი, რჯული, არ მითქვამს, არც ვიცოდი.

— რა არ იცოდი?

— სუსტი ნერვები თუ გქონდა.

— მერე ვისა აქვს სუსტი ნერვები?

— რა ვიცი მე?

„წინსვლის“ დოსაათის თავმჯდომარემ გურამ გვენეტაძემ გამოიარა და სისინით მოლაპარაკე ორ თანამშრომელს რომ მოჰკრა თვალი, შეატყო, უსიამოვნო საგანზე მსჯელობდნენ და ხუმრობით შეეხშიანა: — აბა, თქვენ იცით, პატარა რამეზე ჩხუბი არ მოშალოთო“. როცა დარწმუნდა, რომ მისა სიტყვებმა შედეგი ვერ გამოიღო, აქ რაღაც სერიოზულადაა საქმეო და შორიასლო გაჩერდა. სწორედ ამან გააფუჭა საქმე.

— სულელმა, ხომ იცი, რა იცის? — წმას აუწია მათემ.

— რა იცის? — ჰკითხა ეგნატემ.

— რა იცის და დაგიმთავებს მაგ ცხვირპირს!

— გაფიცებ ყველაფერს? — ცხვირი ცხვირთან მიუტანა ეგნატემ და ამით ავრძნოზინა, სიგაფემდე ნუ მივა საქმე თვარა, შენზე ნაკლებ გიყს რა ვუთხრა, ჩემდა თავად, მეო.

ეგნატემ შეინშნა, რომ მათეს მარცხენა ქეთეთო უთამაშებდა და თვალებს სახითათოდ წკურავდა, „ეტყობა დარტყმა უნდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გადაუწყვეტიაო“, დაასვენა ეგნატემ. დარტყმას გახედა და მათეს ზურგს უკან, კედელს მიმდგარ გურამ გვენეტაძეს ჰკიდა თვალი. „ახლა რომ დამარტყას, ვი თუ დავეცე და ხელი ველარ მოუქნო, ხომ მომეჭრა თავი. არა და ნაღლა — ჯალახვას მიპირებს. იქნებ ჯობდეს, მე დავასწრო. რომც მომერიოს. პირველი დარტყმა მაინც ჩემი იქნება. იანაც გურამი ახლოს დგას, ვინ იცის, მე რომ დავარტყამ, იქნებ მეტი ველორც მოვასწროთ, გურამი მოვარდება და გაჯვაზავებს. მერე? მაგას ქე შერჩება

ხუთი თითი ლოყაზე და შეგვარიგებენ ამა რა იქნება, ზომ არ დაგვახოცინებენ ერამანეთისო — ეს ყველაფერი ერთ წამში გაიფიქრა ეგნატემ და სანამ მათე ჯელის მოქნევისათვის საკმარის გაბრაზების მარაგს დაიგროვებდა, მთავარმა საქონელმცოდნემ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ისე მოულოდნელად რეკა ყურისძირში მათეს, რომ ეს უკანასკნელი დაბარბაცდა; წაქცევით კი, ცოდვას ვერ ვიტყვით, არ წაქცეულა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეგნატე ვარაუდობდა. გურამი ჰოვარდა და მათეს შეუვარდა წელში. მთავარი აქ მათეს დაკავება იყო, რადგანაც ეგნატე აღარც იწეოდა. ეგნატემ თავისი საქმე გააკეთა და აქოდა მოთმინებულად გამომიყვანაო, ფანჯრის წინ მიმოდიოდა, თანაც ვითომ ქვეყანა დაუჭკიოს, აქარხალბუღი სახით და სიბრაზისგან ჩახრინწული ხმით წამდაუწუმ იმეორებდა: „ეს ვინდოდა შენ და გამომტყუე კიდევო“.

— შედით ოთახებში! არაფერი სერი არ მომხდარა, პატარას შელაპარაკდნენ. გამოაბით ახლა კუდი ყველაფერს. საქმე არა გაქვთ არაფერი? — დაუცაცხანა გურამმა დერეფანში გამოცეცილ თანამშრომლებს და წამსვე შეაბრუნა. თვითონ საბოლოდ კაცის თანხლებით. მოჩხუბარტ „დოსაათის“ ოთახში შეუღიღდა. ერთ საათს არკვია ჩტუბის მიზეზი და რაიმე სერიოზული საბაბი რომ ვერ იპოვა. გული დაწყდა. — ვილაც, ოხერის შავბნელი ენის გულასათვის ამ ხნის ხალხი ზოცავთ ერთმანეთსო? სირცხვილი არ არის, სიკვდილი არ არის ახლა ესო? ჩამოართვით ახლა ერთმანეთს ხელი და, თუ ვაეკაცები ხართ დღევანდელი წაკინკლავება აღარ გაიხსენოთ არასოდესო. ისედაც ზეკრი გაჭირვება ამ ცხოვრებაში, ჩვენ რომ არ დავემოთ ახლა ერთმანეთით.

გურამის პოზიცია ყველას მოეწონა. მოულოდარნი წამოდგნენ, ხელი უსიტყვოდ ჩამოართვეს ერთმანეთს და თითქმის სირბილით გაეშურნენ თავიანთი ოთახებისაკენ, არა, ბოდის ვიხდი, ეგ-

ნატემ თავის კაბინეტს მეგაქურტუმათე კი ლაბადა მოისხა და ქუჩაში წავიდა. კაცმა რომ თქვას, მათე სწორად მოიქცა. ასეთ მდგომარეობაში დღეს მისი შრომის ნაყოფიერება წელის ტოლი იქნებოდა. ქუჩაში ცოტა ხანს იარა, დაწყნარდა და თავისი სახლისაკენ გაემართა. მათე „მთერალი ბაზრის“ წინ, აბანოს გვერდით ცხოვრობდა.

მათეს გამყოლი გული არ ჰქონდა. მართალია, იგი თავს შეურაცყოფილად გრძნობდა, მაგრამ გაიხსენა ის სამაგალიათო შეურაცყოფები, ამ ქალაქში სხეილსხვა დროს სხვებისათვის რომ მიუყენებიათ და ეგნატეს საქციელი მათთან შედარებით სასაცილო ფხაკურად მოეჩვენა. „ეგება მართლა არ უთქვამს ამ კაცს ჩემზე არაფერი და ტყუილი ნითხარესო“, ერთი პირობა ესეც კი გაიფიქრა — „მინც რამ გააბედვინა ჩემთვის ხელის მოქნევა. მისდა იღბლად გვენეტაქმეს რომ არ დავექირე, ზომ შევეკამდი თავის ჭინჭებიანადო. ისე, ყოჩაღ; ვაეკაცი ყოფილა მინც, გული ჰქონია მაგარი მაგასაცო. ახლა ვინც მე მიცნობს და მაგას იცნობს, არაფრით არ დაიჯერებს, რომ ეგნატემ გამლახაო. ვინ იცის ახლა ზის და ვალიდოლს ულაპავს საწყალიო. მოქნევიტ ქე მომიქნია ხელი, მაგრამ კაცის ფერი აღარ ედო, ორივე ხელი უკანკალბელო. რა ვუყო ახლა, გარუჩავას ვერ გადავყობი, ხან ასე იქნება და ხან ისე. კაცმა რომ თქვას, პატარა დამნაშავე მეც ქე ვარ, ეს ორი დღეა არ მოვასვენე, გული და ნერვები მე თუ მაქვს, სხვასაც ქე აქვსო“ — დაახლოებით ამ ფიქრებით დაბრუნდა სახლში მათე. პირი დიბანა, სარკეში ჩაიხედა და სახეზე ეგნატე გარუჩავას რბილი, კოტიტა თითების კვალეც რომ ვერ იპოვა, დღევანდელი შემთხვევა სულ გაღიჯდო გულიდან. ტახტზე წამოწვა და გაზეთი გაშალა.

• • •

— მათეს გოგო ხარ შენ? — ჰკითხა კუკუმა სოფრომაქემ ცამეტ-თოთხმეტი წლის შავგერემან გოგოს და მიპატი-



ყვებისათვის არც კი დაუცდია, შესასვლელში შეაბიჯა.

— კი ბატონო.

— შენ რომელი ხარ?

— ნაია, უფროსი.

— ნაია, ბიძია, მოიცა არ დაკეტო კარი, კაცი მახლავს. — თავი გაყო და კიბუნთან ატუზულ სეიტრიან ბიძს გასძახა — ეურკუტია, შემოდი.

ეურკუტიამ ფინური ლაბადის სახელთ ჩამოიწია, ფეხებშუა ჩადგმულ პატარა ჩემოდანს ხელი დაავლო, აქა მშვიდობათ, თავაუწველად გასძახა ტანსაცმლის კარადას, ჩემოდანი კუთხეში მიდგა, ხელის თითები ერთმანეთს მოუკირა და დასჯილ მოწაფესავით კუთხეში გაჩერდა.

— რას შერება მამაშენი? — ჩურჩულთ ჰკითხა კუკუშამ ნაიას და თანაც თითების მოძრაობით ანიშნა, საით შევიდეთ. აქეთ არის, თუ აქეთო.

— აქეთ მობრძანდით, წევს — ჩურჩულითვე უპასუხა გოგონამ.

— წევს? — უკან დაიხია კუკუშამ.

— არა. ისეა წამოწოლილი, გაზეთს კიბულაობს.

„გაზეთის საკითხავად აქვს ახლა მაგას საქმე?“ — გაიფიქრა კუკუშამ, ეურკუტია წინ გაატარა და სასტუმრო ოთახში შევიდა.

კუკუშა სოფრომამე არსად არ მუშაობდა. კიდევ რომ ემუშავა, სახელმწიფო მისგან ვერაფერ ხეირს ნახავდა, რადგანაც კუკუშა უპროდესიო კაცი იყო. ამბობდნენ ათას საქმეზე დააყენა მამამისმა ბავშვობაში, მაგრამ არსად არ ივარჯაო. არც ნაკითხი იყო მინცდამინც და არც დალაგებული ლაპარაკი იცოდა. მაგრამ ფილარმონიის წინ, სადაც თვა ჩვეულებრივად დილის ცხრა საათიდან ეჭვისის ნახევრამდე იდგა, უოკელთვის გარშემორტყმული იყო ოთხი-ხოთი გამოსული ბიჭით. კუკუშას ბოლო წყება ცოლშვილიც მიტოვებული ჰყავდა. მისმა ახლო მეგობრებმავე კი არ იცოდნენ. ამ ოცი წლის წინათ, რა დანაშაულზე ჩასვეს კუკუშა. ამის შესახებ თვითონაც არაფერს ამბობდა.

ნაჯდომი იყო და ეს ბევრ რამეს ნიშნავდა. პატიმრობაში ყოფნის ყოველი განწავლობაში მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შეეძინა და ახლა ის გამოცდილება აქმევდა პურს. კუკუშა საქმეებს არჩევდა. ამ პატარა ქალაქში კუკუშას სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა. რომ იტყოდნენ კუკუშამ ასე გადაწყვიტო, წყალი არ გაუვიდოდა. ის ამბავი ისე უნდა გაკეთებულიყო. კუკუშას უყვარდა თავისი საქმე და ვერ უტანდა, როცა გასარჩევი არაფერი იყო. თუ არავინ ჩხუბობდა, მოვალენი ვალს ღრუხე და პირნათლად ამრუნებდნენ, წაგებული ნაღდით იხდიდა და არავინ არავისზე არაფერს ეჭვობდა, კუკუშა მოწყენილობისაგან ამოქნარებდა და უკმაყოფილოდ ბრუნდებოდა სახლში.

როცა ეგნატესა და მათეს ჩხუბის ამბავი გაიგო, გამოაცოცხლდა. იგი ორივეს შორიდან იცნობდა და არცერთის ძმაცკი არ იყო, მაგრამ საქმე რომ აწონ-დაწონა, მათეს მხარეზე ყოფნა არჩია. შუღამებულზე აღიარებულ რუცადივისტს ეურკუტია სალდაძეს გაუარა და მათეს სახლს მიადგა.

როცა ოთახში შემოსულნი დაინახა, მათეს მაინცდამაინც არ ესიამოვნა — „საიღან გაიგეს ასე უტბალო“ გაიფიქრა, უსიტყვედ ჩამოართვა სტუმრებს ხელი და სკამები გამოაჩონა. სამივენი მრავალ მაგიდას შემოუსხდნენ და ყბებს ხელეში ამოაფარეს. ასე, იდაყვს-დაყრდნობილი მღუშარედ ისხდნენ ერთხანს.

სიჩუმე კუკუშა სოფრომამემ დაარღვია.

— რა გადაწყვიტე? — ჰკითხა მან გალახულს და შერს ახედა.

— რაის? — ყრუდ იკითხა მათემ.

— ამ საქმის.

— ჯერ არაფერი.

— ხალხში დაგარტყა?

— ერთი კაცი გვიყურებდა. ფილიპეს ბიჭი, გვენეტაძე.

— რატომ გაგარტყა?

— კიბზე. — მხრები იჩიჩია მათემ.

„უყურებ შენ რას ბედავს ეს ხალ-

ხი? შენ დაამყარებ ამ ქალაქში წეს-  
რიგს? რაც დრო გადის, მით უფრო  
გლახავდება და ბეჩაედება აქაურობა.  
ეგნატია მუდღუ თუ კაცს გაართყამდა  
ვის ეგონა? — გაიფიქრა კუკუშამ.

— არ განხატვრებულაო, კარგი იყო.  
— ჭერს თვალი მოაცილა და მათეს შე-  
ხედა ნაჯღომში. „ეი მარა ასე რბილად  
რა დაართყა ამ მკვდარძაღლში. ახალ  
დარტყმულს ცოტა მაინც ხომ უნდა  
ეტყობოდეს“.

— გახშირდა? — შიშით იკითხა მა-  
თემ.

— მიუღი ქალაქი ამას ლაპარაკობს.

— უყურებ შენ?

— ვერ მოკალი იქვე, ვერ დაახრჩვე?

— არ გამიშვია ზვენიტაძის მუტრუკ-  
მა. გოდოლშენდა პატრონი, თვარა მე  
ვიტოდი მაგის წამალი.

— დაგავდო?

— აა, რისი დამგდება. გული რალ-  
მე შეუწუხდა თვითონ.

— რა ვიცი, ასე თქვეს ცემით კინა-  
ღამ მოუკლავსო. ექვსი ნაკერი აქვს და-  
ღებული თავზეო.

— ისე აშენდა მაგის მუტმელი. არა  
კაცო, იმდენი კი არაფერი ყოფილა.  
მომიქნია ხელი და აწყავწყავდა გლახა  
ძაღლივით.

— ასე იყო თუ ისე, გლახული შენ  
ხარ. — აქაოდა საქმის სერიოზულობას  
ჩრდილი არ ნიადგესო, ხაზგასმით თქვა  
კუკუშამ — რავა იტყვი კურკუტია შენ?

— დიახ, პატივეცმულო — თქვა კუ-  
რკუტამ და ნიკაპზე ხელი ჩამოისვა.

— ხომ იცი, რა მდგომარეობაა ახლა  
ქალაქში? — იღუმალი ხმით ჰკითხა  
კუკუშამ.

— ვიცი. მეტი რა ვიცი—თავი დაუქ-  
ნია მათემ. თუმცა ნამდვილად არ იცო-  
და, რა განსაკუთრებული მდგომარეო-  
ბა იყო ქალაქში ასეთი.

— მე კანონს ვერ გადავალ.

— არ უნდა ლაპარაკი.

— გამოჩენითაც ვერ გამოეჩნდები  
მაინცდამაინც, ისე შენთან ვარ სულით  
და გულით. დამნაშავე უნდა დისაჯოს.  
რავა იტყვი კურკუტია?

— ოღონდაც, პატივეცმულო, ამ საქ-  
მის აჩქარება არ უყვარს კურკუტია.  
კუტამ და სვიტრის შიგნით თეთრ  
პერანგზე შორგებული პეპელას ტიპის  
ყელსასხვევი გაისწორა.

— არ მოგატყუოს არავინ. შენ რომ  
ახლა მაგას აპატიო, დაიღუპები.

— რატომ? — ხმის კანკალით იკით-  
ხა მათემ.

— შერე ვადასახლდე აქედან გრ-  
ჩენია. რად გინდა ასეთი ცხოვრება ამ  
ქალაქში თავს ვერ გამოყოფ რაღა  
მგდარი და რაღა ცოცხალი ელოკება  
რამედ შენი ყოფნა? არაფრად.

— რა ვქნა, ვუჩივლო?

— რავარც ჰქვამ გაგიკრას ისე მაგ-  
ნაირ კაცთან ყოველთვის მთავრობის  
ენით სჯობია ლაპარაკი. რავა იტყვი,  
კურკუტია შენ?

— განსჯის და მოფიქრების ამბავია  
ყველაფერი, პატივეცმულო.

— მოვკლა? — თითქმის ტირილით  
იკითხა მათემ და ხმაშივე შეეტყო, რომ  
იგი კაცის მომკვლევი არ იყო.

— მე ვერც ჰოს გიტყვი და ვერც  
არას. მე ერთი რამ ვიცი, არ უნდა ეპა-  
ტიოს, თვარა რაც შენ ხარ ჩემთვის,  
იგია ეგნატე გაირჩიავ. მე სამართ-  
ლიანი ლაპარაკი მიყვარს — დაასკვნა  
კუკუშამ და კურკუტიას შეხედა, „ხომ  
ახეაო“.

კურკუტიათ თავი დაუქნია.

კუკუშას მისი ასაკისათვის შეუფერე-  
ბელი, დანაოკებული სახე ჰქონდა. შე-  
წითლებულ დაწვებზე და ბადრიჯნის  
მსგავს. ნესტოებდაბერილ ცხვირზე ეტ-  
ყობოდა, რომ ღვინისაგან თავს მაინც-  
დამაინც არ იკავებდა. საშუალოზე მაღა-  
ლი იყო. ბეჭებში წახრილი, წვევრგაუ-  
პარსავი. ხმაში ხრინწი ერეოდა. რომ  
გაიციენებდა, ნიკოტინისაგან გაყვითლე-  
ბული, თოხბივით კბილები მოუჩანდა.  
კურკუტია სუფთად დავარცხნილ-გაყ-  
რიალებული, საპარიკმასხერობის რეკ-  
ლამისათვის დაქირავებულ მენატურეს  
ჰგავდა. სუფთა სახეზე სიმშვიდისა და  
მტკიცე ნებისყოფის კვალი აღბეჭდო-  
და. გულმოდგინედ დაუთავებელი შარ-

ვალი ეცვა და თითქოს ეშინია მტვრით არ დაესვაროსო, ლაპარაკის დროს ხელუბის თითებს ერთმანეთს აწეებდა. დაბვეწილი მანერებით ლაპარაკობდა და ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა.

ფერეფანში ეილაცამ ჩაახველა. სანამ მასპინძელი გამორეკვეოდა, ოთახში გამ-ჭურჭელის გამჭირავებელი პუნქტის გამგე, მათეს სკოლის ამხანაგი გრიშა ვაჩიბერიძე შემოფრინდა. სტუმრებს გვერდი აუარა, მათეს მივარდა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა და ელექტრონის სინათლეზე შემოატრიალა. კარგა ხანს თვალიერა და ცოტა სული რომ მოითქვა, კუკუშასა და კურკუტასათვისაც მოიკალა.

— რა მოხდა, რა იყო?

— გალახეს კაცი. — კეფა მოიფხანა კუკუშამ.

— გამლახეს კი არა ის, — განზე გაიხედა მათემ.

— ეგნატია გლახას რავე დაარტყმევინე, ბიჭო, ხელი — აღწვოთდა გრიშა ვაჩიბერიძე.

— ჭე შაინც კაცს გველახა, მაგას ეტირი მეც. — ჩაილულულა კუკუშამ.

რატომღაც გრიშამ დაასვენა, მათგან ხეელაზე საქმიანი კურკუტია არისო და მასთან ჩაიმუხლა.

— რავე გადაწყვეტეთ. ჩემგან ხომ არაფერია საქირთ?

— მე ვერას მოგახსენებთ, პატივცემულა — ფეხი ფეხზე გადაიდო კურკუტამ და გრიშას აუმღვრეველი თვალები შეანათა.

— ყველაფერად მზად ვარ. ხომ იცი შენ?! — ახლა კუკუშას მიუბრუნდა გრიშა.

— ჩემი გადაწყვეტილებით უნდა უჩივლოს. — განაცხადა კუკუშამ.

— აბა რა. ჩემი თავი აღარ მუშაობს, რავარც სჯობია, თქვენ უკეთ იცით. ჩქარობდა გრიშა.

— ამას რომ ჰკითხო, პატივბას უპირებს.

— რას ჰქვია პატივბას?! — მაგიდას ხელი დაარტყა გრიშამ და კუკუშასთან

ვის თვალი არ მოუცილებია, კუკუშამ მწყრალად შეხედა და ამით აგრძნობინა, შენ პუნქტის გამგე, თუ ვილაც ოხერი ხარ, მე კი ნუ მიყურებ, შენს მამაკაცს უხვირე და ჰქუა დაარიგეო.

— მე შაინც არ გამეგო, ათასჯერ მერჩივნა. ახლა მე რომ ჩავერიე ამ საქმეში, ქვეყანას ეცოდინება. თუ დამნაშავე, რავარც დიარსია, ისე არ დისაჯა. მათეას კი არ დადანაშაულებენ. შენ რას შვრებოდით. მე მომთხოვენ პასუხს, — თავის ავტორიტეტს გაუფრთხილდა კუკუშა.

ფერე დიდხანს და ცხარედ ბუბღუნენ, სასჯელის რა ზომა გადაეწყვიტათ ენატესათვის, ლინჩის წესით დაესაჯათ თუ სასამართლოსათვის გადაეცათ. კუკუშა რატომღაც გამაწყვეტ სიტყვას ჯირჯერობით არ ამბობდა. ეშინოდა, გაითუ ჩემი წინადადება მათემ არ მიიღოს, ზომ დავეცი სამუდამოდ კურკუტიას თვალშიო.

ვილაცამ ზარი დარეკა. ნაია სასტუმრო ოთახში ეგნატე გარუჩავას დის ქმარს, ისტორიის მასწავლებელს ზურაბ კულაღიშვილს შემოუძღვა. ზურაბს არ გქანნივა, მათე რომ მარტო არ დაბვლა, მაგრამ ისტობარი არ გაიტეხა. ახლა მათე რომ ცალკე გვიხმო, სულერთია შაინც ყველამ იცის რა საქმეზეც ვარ მოსული და ბარემ ამათთან ერთად გეტყვი. იქნებ ამ ხერხმა აჯობოსო, მაგრამ მწარედ შეცდა.

ზურაბი ერთხანს ფეხზე იდგა. სკამი რომ არავინ მიაწოდა, თავის თავს თვითონვე ნიბღდა და გაბედულად დაიწყო.

— რა იყო, შე კაი კაცო. მაგი კი არა, შე კაი კაცო, ერთმანეთს ტყვიას ესვრიან, შე კაი კაცო და რიდებთან მერე. სირცხვილი არაა, შე კაი კაცო, ამდენი ხანი ერთად მუშაობთ, შე კაი კაცო, და ერთმანეთს დაარტყით, შე კაი კაცო?

— ვინ დაარტყა! — კბილებში გამოსცრა კუკუშამ.

— რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაარტყა. — აწრილდა ზურაბი. მაგრამ მიხვდა, რომ პირველსავე წინადადებაში ჭულა დაჰკარგა.

— მნიშვნელობა როგორ არა აქვს, პატივცემულო — მშვიდად, გარკვევით თქვა კუკუტია.

ზურაბმა პროფესიონალ მკვლელს ამრეზით შეხედა. აქოდა მე შენთან არა მაჭვს საქმე, შენს დონემდე არ მივიყვანო ამ საქმეს ჩვენი.

— ახლა ამ საქმეს შერიგების მეტა არაფერი უშველის. შე კაი კაცო, არ დაქვევლა ქვეყანა. არ მომხდარა ისეთი არაფერი.

— შერიგება არ უშველის ამ საქმეს. — დაიბუბუნა გრიშა ვაჩიბერძემე. ზურაბმა ახლად შეამჩნია იგი, ამ სულით მათხოვარს რაღა უნდა აქო, გაიფიქრა.

— რა გაქვს გადაწყვეტილი მათე შენ? შენ ჭკვიანი კაცი ხარ. — მათეს მიზრუნება სცადა ზურაბმა და ინტონაციით აგრძნობინა, „შენ ჭკვიანი კაცი ხარ. არ აფეე ამ ჯიბვირებს, ამგენის ჭკუაზე სიარული არ გარგაო“.

— ვერაფერს გეტყვით. — კუკუტის შეხედა მათემ.

— უჩივლებს. — ბეჭედი დაარტყა კუკუტმა.

— ლუბავთ კაცს, შე კაი კაცო! შენგან არ მივირს, კუკუტმა? — უკანასკნელ იმედს ჩაებლაუჭა ზურაბი — ჩივილი და შენ ვრთად? შენ მაინც იცი, რას ჰქვია იქნა მოხვედრა.

— არაფერი. ის თუ კარგად შეუძლია, რომ კაცს ხელი ვაარტყას, იმასაც კარგად შეძლებს.

— რა ჭირს ახლა ამას საჩივლელი?

— მსობუქი დაზიანება აქვს თავის არეში. ექიმის ცნობა აღებული გვაქვს.

— იცრუა გრიშამ და გულში დააყოლა, მართლაც როგორ ვერ მივხვდით, იმ წუთისავე ექსპერტთან გავქცეულიყავით და ჟურნალში გავგვეტარებინა, თუმცა ახლაც არაა გვიანო.

— ბოდიშს მოვახდევინებ. — მუდარა გაერია ხმაში ზურაბს.

მათემ კუკუტის შეხედა. ბოდიშს თუ მომიხდის, მოვეშვათ, ცოდოაო, მეტყველებდნენ მისი თვალები.

— ჩვენ არ ვვაპრობთ, ბატონო ზუ-

რაბ. — კატეგორიულად განაცხადა კუკუტმა. ჯიბეში ხელეზიყუდილი წყვილი გა დაოთახში გაიარ-გამოიარა, რითაც ზურაბს ანიშნა, აუდიენცია დამთავრებულია და დროს ტყუილად კარგავთო.

ზურაბის გასვლა და კბილის ექიმ მირიან ჩხიკვაძის შემოსვლა ერთი იყო. მირიანი კაი ხნის მოსული გახლდით, მაგრამ ნაიამ რომ უთხრა, ზურაბ მანაწაფლებელია ოთახშიო, სამზარეულოში გავიდა და ეგნატეს სიძის წასვლას დაელოდა.

— შესარიგებლად მოვიდოდა. — ისე ბუნებრივად და უშუალოდ შეერია საუბარში მირიანი, თითქოს თავიდანვე აქ იყო და ყველაფერი ესმოდა.

— კი — დაუდასტურა გრიშამ.

— მაგათმა თავის ხეტქვამ. ბოდიშს ქე არიან მიჩვეული. მე ვინ მკითხავს, მარა ახლა გვაქვს დროი, ახლა უნდა ისწავლონ ჭკუა მაგენმა.

— ვინ მაგენმა? — იკითხა კუკუტამ.

— მაგათმა ოჯახმა საერთოდ. ვერ ეტყვიან კანში. ჭერ არ ჩავარდნით ფეხი მაგენს. რტყმევა დეიწყო ეგნატია დაფხვილმაო?

კუკუტის მაინცდამაინც არ ესიამოვნა ამ ენაღვარეფილი მოხუცის ბუნლოვანი საუბარი, მაგრამ ბოლომდე უურადლებით მოუსმინა.

— ოთხი კბილი დამაპლომბია მარშან ოა ფული რომ მოეთხოვე, ასე მითხრა: „რასი ფული, მთავრობა ხელფასს ხომ გიხდის ამაშიო“. ხელფასით ვარჩინო ცოლშვილი, მე ვუფხარი? შენ, მე ეუთხარი, ხელფასზე ცხოვრობ-მეთქი? გაიფინა და კარი მომიხურა. ეს რომ იყო, ახლა, აქანა, ეს თავგასიებული, ამას თურმე დიპლომი ნაყიდი ჰქონია. არაფერი უნივერსიტეტი მაგას არა აქვს, თურმე, დამთავრებული.

— ეს საკითხი ახლა ჩვენ არ გვინტერესებს. — მოკლედ მოქრა კუკუტამ.

— რას შერები ახლა? — გაწბილებულმა მირიანმა მათეს შეხედა.

— შეიძლება ვაპატიო — ყველასაგან

მოულოდნელად თქვა მათემ და ფანჯარას მიაჩერდა.

კუკუშამ ხელი ხელს გაუტყავუნა, გრიშამ ამოიოსტა, კურკუტია მთავონებული სახით მირიანს შეხედა. მირიანი აღავლავდა ბებერი ინდაურივით.

— აბატიე და ჩემდა თავიდ შენს ეზონი ფეხის დამდემელს ექცა შავად და ზნელად! დევიჯინოთ თავზე სუყველა? შენი საქმე შენ იცი, ბაბია, მარა არ უნდა დაგლახედე მთლად. მე შენ კი არ გჯავრობ. მე ჩემს თავს ვტირი. დღეს შენ რომ დაგარტყა, თუ აბატიე, ხვალ მე შემდგება ეგნატის წიხლებით. პატარა წინაც უნდა გეიხედო. შენ ვინ რა გააბატია, აბა შენ დაგერტყა ხელი? რავა იტყვი კურკუტია ბიძია შენ?

— ჭეშმარიტს ბრძანებთ, პატრიცემულო — დაუდასტურა კურკუტია და დაამთქნარა.

### თინის პირი წირვინა

— რა უნდათ? — ჩასძახა ყურმილს ოთარ კუკუშაძემ და კარგა ხანს ამაოდ ელოდა პასუხს. ეტყობოდა, მოსაუბრე მისთვის ახსნა-განმარტების მიცემას არ აპირებდა. მერე ოთარი წამოდგა და თავისი ციწრო კაბინეტის კედელს სამჯერ მღუკაუნა. მეზობელ ოთამიდანაც კაკუნით რომ უპასუხეს, თავი მაღლა ასწია და კედელს შესძახა:

— მელენტი!

— რა იყო? — დაიგუგუნა კედელმა.

— ჭვევით ჩამოდიოთო ყველა.

— რა უნდათ?

— ვინ გეტყვის მავას. სხდომა გვექნება ალბათ.

— როდისო?

— ახლავე, ამ წუთში.

— ვინ თქვა?

— კარკემ დარეკა.

— გოდოუშენდათ პატრონი!

კედელი დადუმდა. ოთარს გაეცინა. მაგიდის უკრა გამოსწია. ყოველ შემთხვევისათვის ცარიელი საქაღალდე ამოიღო და კარი გაიკეტა.

ცაწირო დერეფანში ერთიმეორის მი-

ღამის სამ საათამდე ითათბირეს მათ კილაძის ოჯახში. როცა საღმრთოს ტყეს საცხე მთვარე გაუსწორდა, სათითაოდ გამოემშვიდობნენ მასპინძელს და უკაცრიელ ქუჩაში გაიძვრნენ.

• • •

მთელი ღამე ფანჯარასთან იჯდა მათე და ფიქრობდა.

თავზე რომ დაათენდა შესცივდა და ცოცხალი გამოფხიზლდა.

საწვიმარი მოიხურა, გაზეთით ხელში ქუჩაში გამოვიდა, აბანოს ეზონში ჩათათურდა, ძველი აგური მოძებნა, გაწმინდა, გაზეთში გულმოდგინედ შეახვია და კიბის ქვეშ დამალა.

ამოსულ მხეს მათე კილაძე ფანჯარასთან შეეგება. იჯდა თავის შუშაბანდში და გაქვავებული სახით ქუჩას გაჰყურებდა.

ყოველი იღებოდა კარები და საყოფაცხოვრებო მოშახურების მთავარი სამმართველოს მუშაკები საქმიანი ნაბიჯებით გამორბოდნენ. „ეტყობა ყველა განყოფილებას დაუქანეს“, გაიფიქრა ოთარმა და ინანა რომ კროსეორლიანი ქურნალი არ წამოიღო. „კვი ერთი საათის ამბავია. გაძლება არ ვინდა?“.

ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით აჭრელებულ სხდომათა დარბაზში ოთარმა მელენტი მოძებნა და გვერდით მიუჯდა. „რა მოგარბენინებდა? ჰკითხა და პასუხს არ დაუცადა. „არიგებენ რამეს თუ?“ „კი — ერთი თვის სამყოფე ქვას“, გაეცინა მელენტის. „დამანებონ თაღი, არაფერი მინდა მავათი. ეს გაუთავებელი თათბირები რომ არ იყოს, ჩვენ-ჩვენ საქმეს უფრო გავაყვებდით“ — ჩაიბუზღუნა ოთარმა. „მისე გგონია შენ...“ — მელენტი კიდევ რალაციის თქმას აპირებდა, მაგრამ წითლად აბრღვეილბული მაგიდის თავში მჯდომი ადგილკომის თავმჯდომარე წამოდგა და აუდიტორიას შთავონებული სახის, ფრავითა და პეველა-პალსტუ-

ბით მოჩითული სტუმარი წარუდგინა. სტუმარმა სიზმრის წარმოშობაზე მოკლედ ისაუბრა, მსოფლიოს ცნობილ ილუზიონისტთა საზოგადო ღვაწლს შეეწო, ძილით მკლრნალობის სიყვთენი ღაახასიათა და ბოლოს, თითქოსღა სხვათაშორის, ჩაიღაბარაჯა: თქვენი მონა-მორჩილი ილუზიონიზმის საფუძვლებს საკმაოდ ფლობს და ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, გამოვიდეს სცენაზეო. უმცროსი ინსტრუქტორები და გასყოფილების წამყვანი ინჟინრები პანიკამ მოიკცა.

— რას გვიზამს? — წამოიძახა ვიღაცამ. ადგილკომის თავმჯდომარე ილუზიონისტთან მივიდა და რაღაც უთხრა. სტუმარმა გაიღიმა და თავის მხრივ რაღაც უპასუხა. თავმჯდომარემ თავი დაუქნია და დარბაზს მოუბრუნდა: — „ერთა სიტყვით, დააძინებს ვისაც უნდა. აგე, სცენაზე“.

დარბაზი ისევ ახმაურდა. დაძინების მსურველი არ აღმოჩნდა. „მერე თვითონ გაგვადვიძებს, თუ ჩვენიო უნდა გავიღვიძოთ? — იკითხა ისევ იმ მსმენელმა, წელან „რას გვიზამსო“ რომ წამოიძახა. ადგილკომის თავმჯდომარე კვლავ მივიდა ილუზიონისტთან და შეეტყო, სასამოვნო პასუხი მიიღო, რადგანაც აუდიტორიას სახეგვაბადრულმა ამცნო: — „მე თვითონ გაგვადვიძებთო, კი“.

ილუზიონისტი, კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებულს არაფერს აცეთებდა. თვალბში შეჰქურებდა დასაძინებელ მსტვერპლს და თითებს ათამაშებდა. ნახევარ საათში მეოთხე კაცი რომ მიადინა სცენაზე, ოთარს ეკვი შეეპარა; — იღბათ მართლა აძინებს, თორემ ოთხივე წინასწარ დარიგებული როგორ იქნეოდაო. ილუზიონისტიმა მესხუთე სკამი რომ გამოიტანა, ოთარი გავიდა. მას ძალიან უნდოდა ამ სასწაულმოქმედი კაცის ძალა თავის თავზე გამოეცადა. ილუზიონისტიმა მშვიდად შესთავაზა მოსულს სკამი და თვალეები გაუშტერა. ოთარი დაძაბა. გაკვირვებული ათვალაერებდა იგი სტუმრის ხელებს, სა-

მაიას მოცეკვავესავით რომ ირბოდენენ, ლაკის პრილა ფუნსადელებსა ჳროლა თვალებს, ცდილობდა დამჭერე ჯა ნორჩილი გამხდარიყო, მაგრამ ძილი არა და არ მოდიოდა. ილუზიონისტი დაიღლა. შეწუხებული სახით ჩასტკეროდა იგი ოთარს, ჳიუტი სიფხიზლით რომ ნიშტერებოდა მის ჳადოქრულ ხელუნს. ილუზიონისტიმა უეცრად სეამსი შეწყვიტა, ოთარი წამოაყენა, მიკროფონთან მიიყენა და ჳითხა:

— კონტუზირებული ხომ არა ხართ?  
 — არა, — მშვიდად მიუგო უცნაურმა პაციენტმა.  
 — ნერვული ხომ არა ხართ?  
 — არა.  
 — ჳილი როგორი ვაქვით?  
 — შესანიშნავი, — გაციენა ოთარს.  
 — დასამშვიდებელი ტაბლეტები ხომ არ ზივილიათ? — წუხდა სტუმარი.

— არა.  
 — ამ წელიწადში სურდოთი ხომ არ ყოფილხართ ავად? — ჩააცვიდა ილუზიონისტი.

— კი.  
 — გეტქვა მერე. შე კაცი, — დამშვილდა ილუზიონისტი — დაბრძანდით თქვენს ადგილზე, თავისუფალი ხართ. სხვა გამოვიდეს.

ოთარი ღიმილით მიანერდა სტუმარს და მოეჩვენა, რომ დაძინების ოსტატს იგი ამ წუთში ელემენტარულად სძულდა. თავის კანტურით დაეშვა კიბეზე და ნანანვე დაკარგა ყოველგვარი ინტერესი იმისადმი, რაც ამ დარბაზში ხდებოდა.

მელენტის პირზე ხელი აეფარებინა, ოთარს ათვალეერებდა და მოგუდული სიცილისაგან ვერტმფრენში მჭდომივით ძაგბაგებდა.

— რა გაციენებს? — შეუბღვირა ოთარმა.

— რა უქენი იმ პატიოსან კაცს იმ ნაირი, რომ აურიე მთელი პროგრამა?

— რამდენადაც მოუხერხდა, სერიოზული სახე მიიღო მელენტიმ.

— აფერისტი — მკაცრი განაჩენი გამოუტანა სტუმარს ოთარმა.

— რატომია აფერისტი?

— აბა დამაძინოს მე, თუ ბიჭია.

— კი მარა ის ოთხი კაცი რომ მისა-  
ფნა სკამებზე, არ უთელი არაფრად?

— რალაც მაიმუნობასა აქვს აღგილა.  
არ მჭერა მაგი მე.

მელენტი ისევ ახითხითდა.

— თუ არ იწამე, არაფერი გამოვა.  
შენ რომ გახვედი, სახეზე გეწერა —  
ჩემი დამძინებელია ესო? პატარა შენც  
უნდა უნდა, პატარა შენც უნდა წაეხ-  
მარო, ილუზიონისტი ღმერთი კი არაა.

— რა უნდა წავეხმარო. თუ არ მეძი-  
ნება, ძალით დავეძინო? გამოდიო —  
ხომ გავედი, დაბრძანდი სკამზეო —  
ხომ დავჯექი, მიყურე თვალბშიო —  
ხომ მიღჩერებოდი. თქვენ ახლა ღრმა  
ძილში ხართო, რომ მითხრა, გამეცინა.

— რა გავინა გულში ალბათ?

— თუ შემავინა, მის გეარსა და ჭილაგს  
მიუციდეს ხუთეცად. რას მერჩის მე.

უკანა რიგებიდან ვილაცამ ჩაილაპა-  
რაკა — მოგვასმენინეთ თუ შეიძლებაო  
და მეგობრები გაჩუმდნენ.

ოთარმა მოწყენილად მიმოიხედა. მის  
გვერდით გამხდარი ინჟინერი იჭდა. ილ-  
ლიაში ილუსტრირებული ჟურნალი  
ამოეჩარა, თვალბზე ქუდი ჩამოეფხა-  
ტა და ეძინა. ოთარმა მოკრძალებით  
გააღვიძა გამხდარი ინჟინერი და ჟურ-  
ნალი სთხოვა.

ილუზიონისტი თავის საქმეს განაგრ-  
ძობდა. სცენა გაივსო დაძინებული სა-  
ქონელმკოდნეებით, ინჟინერ-ეკონო-  
მისტებით, ინსტრუქტორებით, რევი-  
ზორ-ზედამხედველებით და პრაქტიკან-  
ტი სტუდენტებით.

ოთარი გაფართოებული თვალბით  
ილუსტრირებულ ჟურნალს ჩასცქერო-  
და. ილუზიონისტის ლექცია-კონცერტი  
დასასრულს უახლოვდებოდა, როცა  
უფროსმა ინჟინერ-ეკონომისტმა ოთარ  
კაცმა შემე ჟურნალი ცხვირწინ გაუშა-  
ლა მელენტის და პატარა სტატიაზე  
ანიშნა.

— წაიკითხე.

მელენტიმ სათვალე გაიკეთა, ჟურნალ-

ლი ცოტა მოშორებით დამაძინა და უთი-  
ხვა დაიწყო.

„ამ სურათზე თქვენ ხედავთ ორასი  
წლის წინათ ქარბეთში ნაპოვნ თიხის  
ფირფიტას წარწერით. ორასი წელია  
ნსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიე-  
რები და ამომკითხველები ამოდ ცდი-  
ლობენ ამ წარწერის წაკითხვას. ინგ-  
ლისულმა მეცნიერმა ჯეიმს პარმა თა-  
ვისი მეგნებული ცხოვრების ორმოც-  
დაათი წელი მოანდომა ამ საიდუმლო  
ანბანის ამოცნობას, მაგრამ მიზანს ვერ  
ჩააღწია. ხელმოცარულმა სწავლულმა  
საკუთარი თავის რწმენა დაკარ-  
გა. სამოცდაათს მიღწეულმა, თავი  
მოუკარა მოწაფეებს და მოწაფეთა მო-  
წაფეებს; — ამ იდეალურმა ფირფიტა  
დანამარცხაო. ჩემს სიცოცხლეს აზრი  
არა აქვსო, თქვა და მამაპაპური ბრაუ-  
ნინგით. დემონსტრაციულად, იქვე მო-  
იკლა თავი“.

მელენტიმ სათვალე მოიხსნა და  
ოთარს შეხედა. ჩანდა, იგი ვერ მიხვდა,  
რატომ მაინცდამაინც ეს სენსაციური  
(როგორც თვითონ ფიქრობდა) სტატია  
შესთავაზეს წასაკითხავად.

— ხომ ხედავ? — თავი დაუქნია  
ოთარმა.

— რას?

— წაიკითხე?

— კი.

— ხომ ხედავ, რას შერება ხალხი.

— თავის მოკვლის მიზეზი ვერ გა-  
ციე. ვერ წაიკითხა, რა მოხდა მერე?

— ამაშია საქმე.

— თავის მოკვლა ცოტა ყალბია,  
თეატრალური.

— ეს ჩვენი ჭკუით. კაცმა ორმოც-  
დაათი წელი ერთი პატარა ფირფიტის  
წაკითხვას მოანდომა. გესმის შენ?

— და მაინც ვერ წაიკითხა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, —  
ოთარი კიდევ რაღაცის თქმას აპირებ-  
და, მაგრამ ილუზიონისტის შემყურენი  
წამოიშალნენ და ტაში გაახურეს. სცე-  
ნაზე ოვაციებით გაბედნიერებული  
სტუმარი მარტო იდგა.

ოთარი მეზობელს დაედრიჭა, თუ

წეიძლება, მაჩუქე ეს ჟურნალი. გამხ-  
ლარ ინჟინერს ჟურნალი აღარც ახსოვ-  
და, მაგრამ ოთარის მუდარით სავსე  
თვალზე რომ შეხედა, ეტყობა რაღაცა-  
შია საქმეო და დაამაძლა: — არ წამი-  
კითხავს, მაგრამ რაკი ასე ძალიან  
გვირღებათ, თქვენი ფეშქაში იყოსო.

• • •

ოთარ კაცუშაძემ მოსვენება დაჰკარ-  
გა.

ქარჭეთის თიხის ფირფიტამ და ინჟ-  
ლისელი მეცნიერის ტრაგიკულმა ის-  
ტორიამ შეაძრწუნა იგი.

ეს დღეები სხვა საფიქრალი აღარ  
ახსოვდა. თავის თავს აღარ ეკუთვნო-  
და. სამსახურში დადიოდა, კრებებზე  
სიტყვით გამოდიოდა, შეკითხვებზე პა-  
სუხს იწლავდა, კედლის გაზეთისათვის  
წყაპურებს წერდა, მაგრამ ამას ყველა-  
ფერს ანგარიშმიუცემლად, რომოტი-  
ვით აკეთებდა. როგორც კი თავისუფალ  
დროს იშოვიდა, ილუსტრირებულ ჟურ-  
ნალს დაამბობდა და ათასეული წლე-  
ბის წინათ გამოყვანილ ასოებს დაჟინე-  
ბით დაჰკურებდა.

„ვინ იყო? რა უნდოდა? რისთვის და-  
წერა. არა და რა ნაცნობი ასოებია. ნე-  
ტა რა აწუხებდა. რა ეცვა, რანაირი  
თვალზეა ჰქონდა. დაავალა ვინმემ თუ  
თავისი ინიციატივით დაწერა? ისე,  
ღნჯალ კი უმუშავნია. ეტყობა არ ჩქა-  
რობდა. არი წერტილიც სცოდნია. აქ,  
აღბათ, დაამთავრა აზრი და აბზაკით  
დაიწყო.

სამინელებია, დანაშაულია ამ ფირ-  
ფიტის დუმილი, ვინ იცის რა აწუხებ-  
და კაცს. რისი თქმა სურდა ჩვენთვის  
ახლა მისი ძვლები აღარ იქნება მიწაში.  
რა შესცოდა ასეთი მისმა ხალხმა, ამბის  
მოტანი რომ აღარ დარჩა? ასე პირწ-  
მინდად რამ გადააშენა. ყველაფერი მი-  
წას შოაუნთქავს, ყველაფერს მტვერი  
დასდებია. ამ წარწერითლა მოაღწია გა-  
წერილი კაცის ბლავილმა ჩვენამდე და  
ესეც ვერ ამოგვიკითხავს ჩვენდა სამარ-  
ცხენოად.

სისულელეა, მაგრამ უნდა ვცადო.

ბოლოსდაბოლოს სულ თოთხმეტი  
ცოცხალი ანბანია ქვეყანაზე და რამდენ  
ნიმე შეკვდარი. წიგნები ხომ იქნება, დაე-  
ძებნი ყველას. ვისწავლი, ვივარჯიშებ.  
ბოლოსდაბოლოს ვილაკამ ხომ უნდა  
აიხსნას, ვილაკამ ხომ უნდა წაიკით-  
ხოს. მე ჩემსას ვცდი. ჩემის მხრივ არა-  
ფერს დაეკლებ. თუ ვერ ამოვიკითხე,  
სირცხვილად მაინც არ ჩამეთვლება, ჩე-  
მისთანებმა ვერ ამოვიკითხეს?“

შუალამისას ასოების კირკიტით გაწა-  
მებული ოთარი ცოტა ხნით ჩასთვლემ-  
და და უკვე მერამდენედ ერთსა და იმა-  
ლე სიზმარს ხედავდა: მოწაფეებით (მათ  
შორის ერთერთ მოწაფედ ოთარიც  
ერია). გაქედლი კაბინეტში ჩქარი ნა-  
ბიჯით შემოდოდა თეთრწვეროსანა  
სწავლული, ჯოხს ვაიშვერდა კედელზე  
ჩამოკიდებული თიხის ფირფიტისაჟენ  
და ცაქცახით ამბობდა: „ამ ფირფიტამ  
დაამარცხა მე. დღიდან ჩემს სიცოც-  
ხლეს აზრი არა აქვს!“. ამ სიტყვებთან  
ერთად იმიშვლებდა იგი ბრაუნინგს და  
საფეთქელთან დააქუხებდა. ეს ყველა-  
ფერი ელვის სისწრაფით ხდებოდა. ამ  
სიზმრის სატვისას ოთარმა წინასწარ  
იციოდა რომ პროფესორი თავს მოიკლა-  
ვდა. ყოველთვის სურდა ხელებში სცე-  
მოდა და ბრაუნინგი წაერთმია, მაგრამ  
ვერასოდეს ვერ ასწრებდა. სანამ იგი  
მოწაფეთა რკალს გაარღვევდა, პრო-  
ფესორი უკვე უსუსულო ეგდო იატაკზე.

ახე გადიოდა თვეები. ოთარი თავი-  
სას არ იშლიდა. წუთს უქმად არ კარ-  
გავდა. სამსახურიდან პირდაპირ საჯარო  
ბინდოთოთყაში ვარბოდა და შინ მობ-  
რუნებული გვიანობამდე ლუპამომარ-  
ჩვებული უჯდა მაგიდას.

ერთხელ, შესვენებაზე გამოქცეული,  
სახელდახელოდ სადილობდა და თან  
ცალი თვლით ცაცმცურ გადაშენე-  
ბულ ანბანს რომ ათვლიერებდა,  
ოთარს ლუკმა ყელში გაეჩხირა და  
ვეელცემულივით გაშეშდა. ცაცმცური  
ასოები უსაშველოდ ჰგავდნენ ქარჭე-  
თულს. ფირფიტის ანაბეჭდი მოარბე-  
ნინა და სიხარულისაგან ელდა ეცა. ეს  
ყო ზუსტად იგივე ანბანი, სხვადასხვა



კლიგრაფის მიერ შესრულებული. ოთარმა სათვალე მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. ქარპეთის ფირფიტა ალაპარაკდა:

„მე აბიათარ აბიათარის ძემ ითია წელს (ესე იგი ხუთიათას ორას ოცდახუთი წლის წინათ) თავი მოვუყარე ჩემს მოძმეებს და განვუცხადე, რომ სამ დღეში მიწა იძვროდა და მეწყერი დაანგრევდა ჩვენს ქვეყანას. მოძმეებმა მშვიდად მომისმინეს, მაგრამ არ დამიჯერეს. — თავს ვუშველოთ, ავიბარგოთ აჭედანი! ვტეროდი მე, მაგრამ არა ირწმუნეს ჩემი. რაღაი არავინ მომეყვება, მეც არსად წამსვლელი არა ვარ, თუ რღესმე იბოვი ამ ფირფიტას, დამიჯერე წამკითხველო, რომ წე აეღლავერი წინასწარ ვიცოდი. მე ჩემი ხალხის გადარჩენის სურვილი მწვავედა“.

თოფის ხმაზე ოთარის ცოლმა დი შეილებმა კარები შეამტკრიეს. მათს ქმარს და მამას თავზე წითელი რიფე მოეჭვია, თოფი ხალიჩაზე მიეგდო და ცეკვით უფლიდა გარს.

წრეგადაბული სისარულის გამოსატვა თურმე ასეც შეიძლება.

\* \* \*

მეცნიერების ქურუმად მონათლულმა, პროფესორმა შალვა ჯალაბაძემ თეორიი ქედი დაიხურა, ხალათი მოიცვა და კართან მიფლატუნდა.

— ვინ არის?

— მე ვარ — უბასუხა ოთარმა.

— ვინ თქვენ?

— ოთარ გაკუშაძე.

— რას წარმოადგენთ?

— ინჟინერ-ეკონომისტი ვარ.

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემთან რა საკითხზე მოზრძანდით?

— ქარპეთის ფირფიტა წავიკითხე.

— სასიამოვნოა, მაგრამ იქნებ სხვა დროს მოზრძანებულავით, ასლა არა მცალია.

— ქარპეთის ფირფიტა წავიკითხე, გესმით თქვენ?! — გასაღებას ეუჭრუტახას ჩაჰყვირა ოთარმა.

შეშინებულმა პროფესორმა კარი გაღო, და სახეგაბადრულ ინჟინერს უხა-

ლისოდ შეუძღვა კაბინეტში ვიზიტის უკვე ქარპეთის ფირფიტის მეხუთე წამკითხველი მოდიოდა და მეცნიერების ქურუმს თავი ჰქონდა გაბეზრებულ მათი პრიმიტიული აზრებითა და წსაბუთო, ახსნა-განმარტებებით.

— დაბრძანდით და მოკლედ ამიხსენით რას აკეთებთ. თქვენ ხარისხი გაქვთ?

— არა.

— შერე რაღა ქარპეთის ფირფიტის ამოკითხვით იწყებთ.

ოთარმა დაიმორცხვა.

— მანვენეთ, აბა რა მონაცემები გაქვთ, — საქმეზე გადავიდა პროფესორი.

ოთარმა მოკლედ განუმარტა: მე დავამტკიცე, რომ ცაცმცური და ქარპეთული ერთი და იგივე ანბანია. აი, დავაჯერდით (ოთარმა საქალაღე გაშალა). ასოების მოხაზულობა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ზოგიერთ ასოს კი დროთა განმავლობაში სახე უცვლია, რადგანაც ჩვენს ხელთ არსებულ ცაცმცურისა და ქარპეთულის წერილობით ძეგლებს შორის, სულ მცირე ათასი წელი მაინც ძვესო.

პროფესორმა გულდასმით გასინჯა ირიფე ანბანი, შეიადარა ერთმანეთს და ოთარს მოუბრუნდა:

— მაინც რა ამოკითხეთ, რა სწერათ?

ოთარმა გამიფრული ქარპეთული წარწერა დაედო წინ.

პროფესორმა წაიკითხა და მოწამულეღვით ვადასდო გვერდზე.

— ერთი მოთხარით გეთაყვა, თქვენ თუ გაგიგონიათ ჯეიმს ჰარის ამბავი?

— კი, თავი მოიკლა.

— როგორ ფიქრობთ, ჯეიმს ჰარმა ცაცმცური არ იცოდა?

— როგორ არა, კოლეჯი ცაცმცურ ენაზე დამთავრა და მისი წინაპრებიც ცაცმცურად მეტყველებდნენ.

— შერე? როგორ ფიქრობთ, ქარპეთის ფირფიტის ამოკითხვას ინგლისელი მეცნიერი ცაცმცური ანბანით არ ეცდებოდა?

— ადვილი შესაძლებელია რომ არა.

— რატომ?

— იცით? ცაცმცური ჯეიმს პირისათვის ძალიან ახლოს იდო. ჭარბეთის ფიზიკის საიდუმლო კი მას შორს ვგულუბოდა და ამიტომაც ცაცმცური არც გახსენებია.

მეცნიერების ქურუმი მოიღუშა.

— მე შეტს ვერაფერს ვეტყვი. მე ამ საკითხებზე აღარ ვმუშაობ. ამიტომ კომპეტენტური ვერ ვიქნები. მიბრძანდით პროფესორ შალვა ნაცვალაძესთან, ის დაგეხმარებათ.

— მე დახმარება კი არ მჭირდება, პატივცემულო, — მე ეს ფირვიტა ამოვიკითხე და მინდა გახაროთ. მე არც იმის გასაგებად მოვსულვარ თქვენთან: სწორი ვარ თუ არა. მე დარწმუნებული ვარ ჩემს აღმოჩენაში. თქვენი მოვალეობაა ირწმუნოთ ეს ამბავი.

— ასე ადვილი არ არის მეცნიერება, ჩემო კარგო. — გაუღიმა ქურუმმა და კარი ცხვირწინ მიუჭახუნა.

დაახლოებით თხუთმეტ წუთში ოთარი შალვა ნაცვალაძის პირისპირ იჯდა.

— ეს მექანიკური დამთხვევაა. — უხსნიდა პროფესორი.

— რა არის მექანიკური დამთხვევა? მექანიკურად შეიძლება ხუთი-ექვსი ასო დამთხვეოდა, აქ კი მთელი ანბანია იდენტური.

— შეიძლება ასეც მოხდეს — ოფელს იშვენდდა პროფესორი.

— იქნებ წაითხვაც მექანიკურია? — არ, ცხრებოდა ოთარი.

— თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება. არ გეწყინოთ და თქვენთან ძნელია მეცნიერების ენაზე ლაპარაკი.

— ფაქტებით ვილაპარაკოთ, პატივცემულო, — სევდა გაერია ხმაში ოთარს. — მე რაც წავიკითხე, ხომ სწორია?

— არ არის სწორი.

— სწორაა არის თუ არა, ამას ვინ დამტკიცებს. მე მოგახსენეთ, რაც მე წავიკითხე, ის ხომ სწორია ქარბეთის თიხას ფირფიტაზე?

— ეგ თქვენი ჰიპოთეზაა.

— რა არის?

— ჰიპოთეზა.

— ასე არ შეიძლება, პატივცემულო, ცოტა უნდა მენდოთ. ცოტა თქვენც უნდა ირწმუნოთ. მე სხვა იარაღი არ გამაჩნია. თუ არ დამიჯერეთ, არაფერი გამოვა.

პროფესორს გაეცინა.

— რა უნდა დაგიჯერო ბიჭო, მე შენ? შენ ახლა მოვიდე წიგნს ხელი და ჩვენ, ხალხი, გავეთუარდით ამ პრობლემებზე მუშაობით.

— და მაინც ხომ მე წავიკითხე?

— რაი?

— ფირფიტა.

— რომელი?

— ქარბეთის.

— ისევ იმას ამბობ? აბა რას გელაპარაკები, გენაცვალე, არ ხდება ასე. არა ხარ სწორი.

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა შენ წავიკითხა. შენ არ უნდა წავიკითხა. შენ ვერ წაიკითხავდი.

— რატომ, რატომ?

— არა გაქვს შენ მაგის საშუალება. მაშინ მეცნიერება და ხარისხი არაფერი ყოფილა და შენ ყოფილხარ ყველაფერი.

— თუ არ დამიჯერეთ, თავიდანვე თუ უნდოდ შემიხედეთ, ცოდო ვარ, პატივცემულო.

— რა ვქნა, მეგობარო, მეტი მიმიღეთო — მივიდე, მომისმინეთო — მოვისმინე. ახლა რაც არ მჭერა, ის დავიჯერო?

ამ სიტყვების შემდეგ ბატონმა შალვამ აღუდგინა დამთავრებულად ჩათვალა და სტუმარს შემდგომი წარმატებანი უსურვა როგორც პირად ცხოვრებაში ისე საზოგადოებრივ — სასარგებლო საქმიანობაში.

„მაინც დავამტკიცე, ჩემს სიმათლეს მაინც გეფიქნაო“ — ფიქრობდა ოთარ კაქუშაძე და შუა ქუჩაში ფართო ნაბიჯებით მიდიოდა.

ღამის პირველ საათს გადაცილებული იყო და ტროლეიბუსი არ მუშაობდა.

და. ოთარი გოჭოურაზე ცხოვრობდა და წინ კარგი მოზრდილი გზა ედო.

\* \* \*

ეს-ის- იყო შალვა ნაცვალაძემ ოთარი გააცილა და ძილისპირულის ღიღინს შეუდგა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— პროფესორი ნაცვალაძე! — ჩასმახა შალვამ.

— მე ვარ კოლეგა, მიცანი?

— გიცანით, ბატონო შალვა, — ხმაზე ყოველთვის ცნობდა შალვა თავის მასწავლებელს, მეცნიერების ქურუმად წოდებულ შალვა ჭალაბაძეს.

— ჩემთან ერთი ახირებული კაცი იყო. თქვენთან გამოვეშვი, ხომ არ მოსულა?

— კი იყო.

— აი, ქარპეთის ფირფიტის ამომკითხველი.

— დიახ, დიახ. ვესაუბრე, არ არის ეს თქვენი საქმე-მეთქი, მწიფე ყუფილა.

— მეც დაახლოებით ამგვარად ვუპასუხე.

— არა და ამოკითხული აქვს ბატონო შალვა, ხომ იცით. ყველაფერი ზუსტადაა.

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია, რასაკვირველია. — ყურმილში შალვა ჭალაბაძის ხითხითი გაისმა.

შალვა ნაცვალაძემ კარგად კი ვერ გაიგო, რა იცინებდა მის მასწავლებელს, მეცნიერების ქურუმად მონათლულ პროფესორ შალვა ჭალაბაძეს.

სასტუმრო ოთახში პროფესორას მრავალრიცხოვანი ოჯახი მდუმარედ იჯდა. ყველას ვერცხლისფერი ათინათი გააპკრავდა სახეზე.

ტელევიზორში ფიგურულ სრიალს უჩვენებდნენ.

## მ ა რ ტ ი

კაბეზე სვენებ-სვენებით აღიოდა შევსათელიანი კაცი.

ხელში ტყავის სუროგატისაგან შეკერილი ყვითელი ჩემოდანი ეჭირა. ჩემოდანი, ეტყობოდა, ძალიან მძიმე იყო, რადგანაც უცნობს შესვენების დროს დაგროვილი ენერჯია ხუთ საფეხურზე ძლიერ ჰყოფნიდა. შეჩერდებოდა, ჩემოდანს ფეხებს შორის ჩაიდგამდა, თიქოს ვილიყას ეძებსო, ირგვლივ ქურდულად მიმოიხედავდა, გახუნებული, ფართოპლატფორმიანი ცილინდრული სისტემის ქუდის მოუხდელად ცვირსახოკით მოიწმენდა ოფლს და გზას განაგრძობდა. როცა უერთზე სართულს მიაღწია, ბეწვის საყელიანი პალტო გაიხადა (პალტო ძველი იყო, მაგრამ ნაცრისფერი კერძოდ ტყავის საყელო ახალი გახლდათ), მოსაცდელში სკამზე დაჰკიდა, ჩემოდანი ჩვეულებისამებრ ფეხებშუა ჩაიდო და დაჰდა. მოსაცდელში მის გარდა არავინ იყო. ცოტა

მჯზლს შევასვენებ და საქმეს შეველდგებიო, ფიქრობდა უცნობი და იქაურობის დახვერვას განაგრძობდა. მუხლებს ცოტა შეღავათი რომ მისცა, ჩემოდანი გახსნა, პასპორტი და საგზური ამოიღო და ჩემოდანი ისევ დაკეტა. ამას რომ აკეობდა, დერეფნისთვის თვალი არ მოუშორებია, ვინმემ რომ გაიაროს, არ გამოემპაროსო. საღამოს შვიდი საათი იყო და შენობაში არაჩვეულებრივი სიმუდროვე სუფევადა, რადგანაც ყველანი სავაშშიოდ იყვნენ წასულნი.

გამოჩნდა. საათიც კი არ დასჭირვებია ლოღინი. დერეფნის ბოლოდან მხარზე პირსახოცგადაკიდებული კაცი გამოვიდა, ვითომც აქ არაფერიყო, ღიღინით წამოვიდა უცნობისაკენ. უცნობმა ჯალალდები ელვისისწრაფით ჩამალა უბეში, ცილინდრი შეუბლზე ჩამოიფხატა, პალტო მხარზე ნაბადივით მოიგდო და პირსახოციანს გზა გადაუჭრა. პირსახოციანს ჯერ შეეშინდა და უკან დაი-

ხია, არაპროფესიონალური თვალთ  
თვდაპირველად ხელეზში შეაჩერდა  
უცნობს, მერე მის დანაოჭებულ სახეს  
და წვრილ კისერს დააკვირდა და ოდ-  
ნავ დამშვიდდა.

— ბოდიში, აქ სარეგისტრაციო ოთა-  
ხი სად არის? — ჩურჩულით ჰკითხა  
უცნობმა.

პირსახოციანამაც ხმადაბლა აუხსნა —  
ბარჯენივ, დერეფნის ბოლოში „წითე-  
ლი კუთხე“ რომ აწერია, იქ ტელევი-  
ზორი დგას, ტელევიზორთან არ შეიძ-  
ლება ამ დროს ვინმე არ იჯდეს, იმას  
ჰკითხე და გასწავლისო.

უცნობმა მადლობა გადაუხადა. დაახ-  
ლოებით ოცდახუთი წუთის შემდეგ  
იგი რეგისტრატორის სარკმელთან იდ-  
გა და ანექტას ავსებდა.

— მე ცალკე ოთახი უნდა მომცეთ. —  
ჩაილაპარაკა უცნობმა ისე, რომ მის  
ხმას მხოლოდ ადმინისტრატორამდე მი-  
ეღწია. როცა ადმინისტრატორმა გაკ-  
ვირვებით შემოხედა, უცნობმა თავი  
დაუქნია და მისი პიროვნებისათვის  
მეტე იდენტიფიკაციის მისაცემად წარბები  
ასწია.

— ჩვენ ცალკე ნომრები არა გვაქვს!  
— ცოტა არ იყოს, ხმადაბლა უთხრა ად-  
მინისტრატორმა და ამით აგრძნობინა.  
მე არავისი არ მემინია და საჩურჩულ-  
ლოც არა მაქვს რაო.

— რა გაყვირებთ! — შიშით მიმოი-  
ხილა უცნობმა და ცხვირზე მარცხენა  
ხელ "ამოიფარა, — მე მარტო უნდა  
ვიყო.

— რატომ? რატომ? — ხმადაბლა,  
გამოჯავრებით უთხრა ადმინისტრატო-  
რმა და ისევე აუწია ხმას, — მე მგონი,  
გასაგებად მოგახსენეთ: ერთადგილია-  
ნი ნომრები არა გვაქვს. ეს სასტუმრო  
არ არის, დასასვენებელი სახლია. ორი-  
ანიც ერთი დავგროჩა, თქვენს იდნლად,  
იორემ ოთხიანში შეგასახლებდით.

— თქვენ მე ყველაფერს ვერ ავიხ-  
სნივ, -- არ დაიბნა უცნობი, — მე სა-  
მუშაოდ ჩამოვედი. მეტის თქმის უფ-  
ლება არა მაქვს. — ხმას უფრო დაუწია  
და გაოცებისაგან პირდაღებულ ადმი-

ნისტრატორს ჩემოდანზე მიუთითა: —  
ამ ჩემოდანში სახელმწიფოტყუპნიშნა-  
შვნელობის დოკუმენტები. ეს რომ  
უცხოეთის დაზვერვას ჩაუვარდეს ხე-  
ლში, დავიდუქებით.

— მაპატიეთ, — აწრიალდა დასასვე-  
ნებელი სახლის თანამშრომელი, —  
გირ გიცანით (თუმცა ვერც ახლა იც-  
ნო). მოვახერხებთ რამეს, ხომ იცით,  
ყველას ცალკე უნდა. არ დაიჯერებთ;  
ერთკაციანი ოთახები მართლა, არა  
გვაქვს, რამდენჯერ ვუთხარი დირექ-  
ტორს, ყოველ სახანძრო შემთხვევისათ-  
ვის თითოკაციანი ნომრები უნდა გქონ-  
დეს — მეტეი, მაგრამ ესმის?

უცნობმა განზე გაიხედა. მან ჩათვა-  
ლა, რომ რეგისტრატორზე საკმაო ეფე-  
ქტი მოახდინა და შემდგომი დაკონკ-  
რეტება საჭირო აღარ იყო. ადმინისტ-  
რატორს ლაპარაკში შეატყუო, რომ დი-  
რექტორთან მთლად კარგად ვერ უნდა  
ყოფილიყო. არც დირექტორ-ადმინისტ-  
რატორის ურთიერთობის გარკვევა ინ-  
ტერესებდა უცნობს. მას ცალკე ოთა-  
ხი უნდოდა.

ადმინისტრატორი არც ისე მიაპიტე  
კაცი იყო, მაგრამ „სახლვარგარეთი“ და  
„დაზვერვა“ რომ უხსენეს, რამე საშა-  
რო საქმე არ იყოსო და შესაძლებლო-  
ბის მაქსიმუმი გააკეთა:

— ორკაციანი ნომერში გაგაფორ-  
მებთ. ნუ ლეღავთ, მეორეს არ შემო-  
გისახლებთ. მარტო იქნებით. ზვალ დი-  
რექტორსაც მოველაპარაკებთ და თუ  
რაინე შევანგებინე, ხომ კარგი, თუ არა  
და, პატროსან სიტყვას გამლევეთ, თუ  
დირექტორმა ნება არ დავგროთო, სანამ  
ქალიან არ გამიპირიდება, არავის შე-  
მოვეუშვებ თქვენს ოთახში.

უცნობმა იცოდა, რომ ზედმეტი მად-  
ლობები და რვევრანსები, ასეთ შემთხ-  
ვევაში, მოსულს დამხედურის თვალში  
გააუფერულებდა. ამიტომაც, ცოტა არ  
იყოს, ზანტად აიღო გასაღები, ჩემოდან-  
ი კარამდე მიიტანა, დადგა, სწრაფად  
შემოტრიალდა და ისევე ადმინისტრა-  
ტორის სარკმელში შეჰყო თავი.

— თუ იცით, რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?

დემინისტრატორი ასეთ უბრალო შეკითხვას არ ელოდა და უხერხულობისაგან თავდასაღწევად, საკმაოდ ზოგივრად უპასუხა:

— ვერ გეტყვით. ყინავს.

— ეგ უთქვენოდაც ვიცო. მე მაინტერესებს, ზუსტად რამდენი გრადუსი ყინება.

— ფანჯარას გამოვალე და ახლავე მოვახსენებთ, — შემოფოთდა დემინისტრატორი.

— არ არის საჭირო, — მოუჭრა უცნობმა და ამით აგრძობინა, ფანჯარა თუ გამოაღე და თერმომეტრს თუ დასხედე, ასე ხომ ყველა გამოიცნობსო.

შესათვლიანმა უცნობმა ფეხაკრეფით გაიარა ღერეფანი. თავის ოთახში იდგა არაფერი შეხვედრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალ-ვაეს, რომლებიც კიბის ქვემოთ, მოსაწვევ კუთხეში ერთმანეთს ჩაფსკენონდნენ და როცა უცნობმა გაიარა, თვალი გააყოლეს, რადგანაც ხნიერ კაცად მიიჩნიეს. ხნიერები კი ამ დასასვენებელ სახლში იშვიათი მოვლენა იყო.

უცნობმა № 11 ოთახს გასაღები მოარგო, უხელოდ გადასწია, ერთხელ კიდევ მიიხედა-მოიხედა და კარი შეაღო.

ჩემოდანი ლოჯინქვეშ შეაღებდა, პალტო გარდერობში დაკიდა, ცილინდრი მაგიდაზე დადო, ფეხსაცმელი დაუხრებლად, ფეხების დახმარებით გაიხადა და ლოჯინზე წამოიწვა.

უცნობი კმაყოფილი იყო. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ამ ხერხს იგი პირველად არ მიმართავდა. დასასვენებელ სახლებში ყოველთვის „სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებით დატვირთულად“ გაასაღებდა თავის ჩემოდანს და ეს მეთოდი ჭერჯერობით ყველგან ჭრიდა.

ვინ იყო ეს კაცი და რატომ მოითხოვდა ასე დაეინებით ცალკე ნომერს? ეს უცნობი გახლდათ საპროკტორ ლაბორატორიის რიგითი მხალეელი, სამოცსმოწვეული, კაფანდარა, უცოლოდ

დაბერებული კირილე ვაჭარაძე. კანასკნელ თვეებში კირილეს მუცელი საჭმელ დაუგროვდა. თავს ძალა დაატანა. თიჩქმის დღედაღამ ხაზავდა. ბოლოს შეატყო, რომ დასუსტდა. დღის ბოლოს უჯუნებოდაც იყო და თავბრუ ეხსნოდა. ექიმისათვის არ მიუმართავს. თავისი თავის ექიმი თვითონ იყო. ერთი ათი დღით თუ სადმე არ წავედი და არ დავისვენე, ცუდადაა ჩემი საქმეო. მიაკითხა ადგილკომს და სხვა რომ აღარათერი შემორჩენოდათ. სოფელ მაღალგორის სათხილამურო ბაზის საგზური შესთავაზეს. კირილეს თხილამურები ახლოდან არც კი ენახა, მაგრამ პაერს ხომ გადაეყლაპავ ერთ ათ დღესო, დაასვენა და საგზური გამოაწერინა.

„ნეტა ვინმე ნაცნობი არ შემხედებოდესო“ — ფიქრობდა ლოჯინზე წამოწოლილი კირილე. იმდენად დაღლილი იყო. რომ ნაცნობის მისაღება-მოკითხვის თავიც აღარ ჰქონდა. „გარეთ არც კი გავალ. წამოვწეები, კარგად გამოვიძინებ. რასაც მაქმევენ, შევქამ და ხანდახან ჩემს საქმესაც მივხედავო“. მკითხველს ალბათ, აინტერესებს, თუ რას გულისხმობდა კირილე „თავის საქმეში“. გამოვუტყდებით და საიდუმლოდ ვეტყვით, რომ კირილე მემუარებს წერდა. ამასწინათ, მან ერთი ცნობილი ავტორის კარგი მემუარები წაკითხა და ძალიან მოუწონდა თვითონაც დაიწერა თავისი თავგადასავალი. მართალია, კირილეს სამეშუარო ასაკი ჯერ არ ჰქონდა, მაგრამ ძალიან მოეწონა ეს მისთვის ახალი საქმე და წერდა მთელი გატაცებით. კირილეს მარტო ყოფნა საერთოდ უყვარდა და ახლა მითუმეტეს. სურდა, ოთახში მასთან არაფერი შესახლებულიყო, რათა თავისუფლად წერის საშუალება ჰქონოდა.

ცოტა რომ დაისვენა, კირილემ პალტოები მოიხსნა, მრგვლად დაახვია და ჩემოდანში ღრმად ჩაჩურთა. ამას რომ არ წავიკერ ყელში მარტო ეს რად ღარს ამ თორმეტ დღესო. კირილეს პალტოები საშინლად სძულდა, მაგრამ ინ-

ტელიგენტთა ძველი თაობის წარმომადგენელი იყო და უპალსტუხოდ საზსახურში არავის უნახავს. აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა საპროექტო ლაბორატორიაში თანამშრომლები გაცვეთილი „ჯინსებითა“ და სვიტრებით მიუსხლებოდნენ სახაზავ მაგიდებს. ერთი-ორჯერ ხუმრობით წამოცდა — დიპლომაინები მაინც არ იყოთ, თვე კი ხალხო, უწინ ინჟინერს რომ ასხენებდნენ, ხალხი სანახავად მოდიოდა — რანირია, ნეტავი, ცოცხალი ინჟინერიო. ვიცი, ახლა სმოკინგის და ტრასტის დრო აღარ არის, მაგრამ ჩაცმულობით ცოტათი მაინც ხომ უნდა განსხვავდებოდეთ კალიფორნიელი მწყვესუებისაგანო. ახალგაზრდა მხაზველები დიპლით უსმენდნენ. იმდენად გულუბრყვილოდ მიანდდათ მისი ნათქვამი, რომ კამათითაც აღარ ეკამათებოდნენ. კირილე დროზე მიხვდა, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლო, დამრიგებლობით საქმიანობას თავი გაანება და, თუ სავანებოდ არ მიმართავდნენ, რჩევასაც აღარავის აძლევდა. ცხოვრობდა თავისთვის.

კირილემ კოსტუმში გაიხადა და ახალი, მწვანეზოლებიანი ფლანელის პიჯამო ჩაიცვა. ეს პიჯამო მხაზველს დიდ ხნს ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ არ იცვამდა, მანამ სანამ ძველი (ისიც ფლანელის იყო) თითქმის ტანზე არ შემოეხა. კირილე სპორტულ პიჯამოებს ვერ იტანდა. ორგანიზმმა უნდა ისუნთქოსო. პიჯამო დასასვენებელი ტანსაცმელია და ტანზე შემოტმასნილი არ უნდა იქოსო. ფლანელი რბილი და ალერსიანი ნაჭერიაო. რომელიღაც არტელის მიერ გამოშვებული კირილეს ახალი პიჯამო სრული კი იყო, მაგრამ, შევერილი უღაზათოდ გაბლდათ. სინამ აბაზანაში შევიდოდა, კირილე ერთხანს სარკის წინ შეყოვნდა და ცდილობდა აღმოეჩინა არტელის შევრავთა სამშემსრულებლო ხარვეზი კირილეს კერვისა მაინცდამაინც არაფერი გაეგებოდა.

საშუალო სიმაღლისა იყო. ბეჭებში მოხრილი. გრძელი ექვსკუთხედი სახე

ჰქონდა. გაცრეცილი ჰალარა თმა საღვთებლებზედა შემორჩენოდა. სათვალოდან ფართო, წაქისფერი თვალები უჩანდა. კირილე ჩვეულებრივ ორ სათვალეს ხმარობდა, ერთს მუშაობისათვის, მეორეს დანარჩენ დროს.

შუა ბანეაში იყო კირილე, როცა აბაზანაში ახალშერემონტებული ზარის მკაფიო ხმა გაისმა. კირილემ შხაპი ჩაკეტა, თავიდან (თვალში არ ჩამივიდესო) საპნის ქაფი ჩამოიწმინდა, კარი ნახევრად გამოაღო და გასძახა:

— რომელი ხარ?

— მეზობელი ვარ, მეზობელი!

— რომელი მეზობელი?

— თქვენ გცმრდით ვცხოვრობ, განილე ერთწამას.

— ახლა ვერ გაგიღებთ. ტანს ვიბან. ზეალ მობრძანდით, საჩქაროა რამე?

დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ეტობოდა მეზობელი მოშორდა კარს და თავის მეზობლურ საქმეებს დაუბრუნდა.

ისე გემრიელად იბანავა, ისე მდიანად გაეხვია სუფთა საწოლში, რომ კირილეს გადგავიწყდა კილევაც მეზობელი, მაგრამ იმ უკანასკნელმა შეუღამის ორ საათზე გაახსენა თავი. ისევ აწყრილდა ზარი.

კირილემ შეკითხვისმიუცენლად გააღო. მისთვის ახლა სულერთი იყო, ვინ იქნებოდა.

— მობრძანდით, — დაიგდო კირილემ, შემოსულს მაშინვე ზურგი უჩვენა, ფეხები ლოგინის წინ დაგებულ მომკრო ფარდავს გაუსვ-გამოუსვია, და უბოდიშოდ შეგორდა საწოლში.

მეზობელი მაღალ-მაღალი, გახუნებულილუღვიმიანი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი გამოდგა. სპორტული ლურჯი შარვალი და იაფფასიანი სარეკლამო პერანგი ეცვა. პერანგზე მსოფლიოს საუკეთესო სივარეტთა ეთიკეტები ეხატა.

— გაშარკობათ! — რიზიანად თქვა მოსულმა. სკამი გამოსწვია და უნებართვად მთკალითდა. ღმერთო შეგვცოდე

და იგი ცოტა თამამად, ცოტა უმიზეზოდ იღიმებოდა.

— როდის ჩამობრძანდი, ბიძაჩემო?

— დღეს, — მოუხედავად მიუგო კირილემ და გაიფიქრა, ეს მინდოდა ახლა, დადლილ, გაწამებულ კაცს შერ?

— ანზორი ვარ ხუნდაძე. ბათუმელი. ხუთი დღის ჩამოსული ვარ. რა ყოფილა, კაცი, ეს მაღალგორა. თხილამურებზე დგომას რა უნდა, ხელათ ვისწავლიმეთქი, საქმეში ხარ? პირველ დღესვე ღეხი ვიღრძე და ქე დადღეივარ ასე. როდის გავა ცხრამეტი დღე კიდევ. გოგოს აქანა ვერ დაელაპარაკები. ერთმა ჩმა არ გამცა და მეორემ იწინაირი შემონიბულია, რომ იმ საღამოს ვახშამი არ მიჭამია. ისევ ჩემი გემი დალოცა ღმერთმა. თავისუფლად მანც ხარ კაცი. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ღამეც რომ აღარ მძინავს?

«დავიღუპე, — ფიქრობდა კირილე, — ამას თუ მე ახლა ლაპარაკში ავეყვი, აღარ მომშორდება. ყოველ საღამოს დამიჯდება აქ და თავის მოსაწყენი თავგადსავლებით გულს გამიწყალებს. რაც შეიძლება ცივად შევხვდები, ინტერესს არაფერისადმი არ გამოვამყვანებ. სიტყვათქორ კაცად რომ მიცნობს, მოწყონდება და წაეა».

ანზორი განავრძობდა:

— წამევედი, მე ვთქვი, დავისვენებ პატარას თქვა. შევებულება მაქვს. ხომ ხომ იცით, მეზღვაურისათვის შევებულება რას ნიშნავს? ქართულ კურორტზე მიდღემში არ ვყოფილვარ. ეს რა ბოზიანები ყოფილან მოთხილამურეო ბაზაში. წაესულიყავი ადესაში არ ჯობდა? კოვო მყავს იქ, ცხრა წერილი მოწერა გემზე, შევებულება ჩემთან გაატარაო.

— რომელი საათი იქნება ახლა? — ურთულ იკითხა კირილემ. როცა საათზე დაინხდავს ეს ოჯახაშენებელი, მიხვდება რომ გვიან არის და ინებებს წასვლასო.

— სამის თხუთმეტი, — სულმოუთქვლად თქვა ანზორმა და მაშინვე გადააბა, — ახლა ვლადივოსტოკში თერთ-

მეტი საათია. ოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, ბიძაჩემო, და მთელი ქვეყანა შემოვიარე. უნახავი აღარაფერი დამჩნია. ჩვენ ნათობს ვეზიდებით. ტანკერი გეყავს, „გალი“ ჰქვია. ასოცდარვა კაცი ვეშახტურებით. ყველას ჩვენ — ჩვენი კაიუტა გვაქვს.

„რა მეშველება ახლა, დაიწყებს, მოგონებს რამეს. გასახსენებელი და მოსაყოლი არა აქვს თუ? რა გზას დავადგე?“ — ფიქრობდა კირილე.

ანზორმა მართლაც, საღ იყო კარგი მსმენელი თორემ, საინტერესოდ და უთამბეჭდავად უამბო მოხუც დამსვენებელს, თუ როგორ აჩუქა ახალშელან-დეღელმა მუშამ პატარა მაიმუნი. ცეროდენა მაიმუნის იშვიათი ჯიში. წამოყვანა არ შეიძლება უსაბუთოდ, საბუთების გაფორმების (მაიმუნის პასპორტი, ჯანმრთელობის მოწმობა, ნასყიდობის აქტი და სხვ.) დრო აღარ იყო. პატარა ყუთში ჩავსვი და გემზე ამოვაპარეო. მეტე დაწერილებით აღწერა მეზღვაურმა მაიმუნის ავამდყოფობის მთელი ისტორია და ის სავალალო ამბავიც, რომ პატარა მაიმუნი სწორედ მოგზაურობის დასასრულს, ბოლო ნავსაღვტროან სულ ახლოს. გიბრალტარის სრუტეში გარდაიცვალა.

კირილემ ოთხ საათზე თავი მოიძინა. მეზღვაურმა მასპინძლის ხერხევა რომ გაიჯონა, ღონივრად შეინჯღრია იგი და ჩასძახა: — ბიძაჩემო, თუ გეძინება, არაუეს მოვიტან და გამოგაფხიზლესო. — მეძინება ძალიან და თუ კაცი ხარ დამაძინეო, შევხეწა კირილე.

ანზორი ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდა.

მეორე დღეს კირილე, რაც შეიძლებოდა, ცივად შეხვდა ანზორს. მთელი დღე მასთან ლაპარაკს გაუბოდა, ცდილობდა ეგრძნობინებინა, რომ მეზღვაურსა და მოხუც მხაზველს შორის საერთო არაფერი იყო. ანზორი კი პირიქით, თითქოს მთელი დღე მას დაეძებდა, დაინახავდა თუ არა, ხელებს გამოლიჯა და ღიმილით მისკენ წავიდოდა, მაგრამ დღე იყო და კირილე სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სწრაფად

უსტებოდა ხელიდან. ვახშმის შემდეგ კი ანზორმა ქკუა იხმარა და ერთ ნაბიჯზეც არ მოშორებია. თავისი ოთახისაკენ გაქცეულ კირილეს კარშივე დაუხვედრა ფეხი და სხვა გზა არ იყო — ვიზიტი შედგა.

იმ ღამით ანზორმა მგზობელს ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გააცნო. ბომბეიში საპირფარეშოს ვერ მივაგენით. ვისაც ვკითხვ, ყველამ მხრები აიჩეჩაო. გავგიჟდი კაცი, აღარ ვიცოდი რა მექნაო. მერე ერთ ახალგაზრდას ვსტაცე ხელი და საკმაოდ უხერხული ეესტებით მივანიშნე, რასაც ვეძებდიო. ხუტუქთმიაჩნა ინდოელმა ასევე ესტებით გამაგებინა, ფული მომეცი და გასწავლიო. მივეცი, რა ტიპი გზა მქონდაო. ჩაიდო ფული ჯიბეში, ცხენის თეთრი კბილები შემომანათა და ტროტუარზე მიმითითაო. გავცეცხლდი და ფულის უკან გამორთმევა მოვუნდომე, მაგრამ გამეჭკაო.

ეს და სხვა უფრო საინტერესო ამბებით გაანათლა ანზორმა კირილე და იმ ღამესაც კირილეს დაჟინებული თხოვნით ოთხ საათზე გაიხურა კარი.

მესამე ღამეს ანზორმა კონგოს ამბები გაიხსენა.

— კონგოკირილე ბიძია, კონტრასტების ქვეყანაა. დიდი მშრომელი ხალხი ცხოვრობს. ზანგები დიდხანს ვერ ცოცხლობენ. იშვიათად ნახავ ორმოცი წლის ზევით კაცს. ერთხელ გემს ვარემონტებთ და ნავსადგურში ვდგავართ. მომშივდა და პური წაფიტებე. წყლის ოსალეუვად გარეთ გამოვედი. უბედური სიცხეა. ეს პური ასე მიკავია ხელში. პალმის ქვეშ პატარა ბიკი დგას. ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. პურის გადაადგება საერთოდ არ მიყვარს და ზანგის პუქს ხელი დაუქნე — პირი ხომ არ ვინდა-მეთქი. ხელი გამოქნია, ფული არა მაქვსო. ფულს ვინ ვთხოვს, შე ვუთხარი. მოდი და, თუ გესიამოვნება, მიირთვი, გამოიქცა უნდა გენახა. რა ხარბად შეექცეოდა პურს. თურმე შეიბია მგელივით, თურმე მისი მაღლი მომიხსამს. ხელი დავუქ-

ნე და ჩემს საქნეს დაეუბრუნდი. არ გაუღვლია თხოუმეტ წუთს, ჩემს ფანჯარას სარემონტო კანტორაში ორმოცდაათამდე შავკანიანი ბავშვი მოაწყდა. აკაკუნებენ. ჰყვიიან, ხელს მოქნევენ, რა უნდათ-მეთქი, ძლივს ვიცანი ჩემი ნაცნობი ბალანა, რას იცნობ, ერთმანეთს ჰგავს ყველა. ფანჯრიდან ნიყარებს მაწვდის და მეხვეწება: ამათაც პური შიათ და მოგვეციო. შევეხვეწე მზარეულს და რაც შეგვეწო მივეციო. რამდენს ვაწვდები. ერთმანეთს ხელიდან გლეჯდენ, უბეში იყრიდნენ პურის ნაჭრებს და გარბოდნენ.

მეოთხე ღამესაც არ შეტყობია ანზორს. რომ სალაპარაკო უახლოეს ხანში შემოეღიოდა.

მეხუთე ღამეს კი უძილობისაგან გათარგულ კირილეს მოთმინების ფილა აეცსო. მან შუაზე შეაწყვეტინა (დაახლოებით ღამის ორი საათი იყო) კოსტარაიკის ამბები ანზორს და მარცხენა ლოყის ცახცახით ჰკითხა:

— კი მარა, გემზე ასე უპრაგონოდ შეგიძლია შეხვიდე ყველასთან და გაუიკავებლავ ილაპარაკო?

— კი, ბიძაჩემო, გემზე უხარია კაცს, რომ შეხვალ და ხმას გასცემ.

— მერე, გემზე ვართ ჩვენ ახლა?

— არა.

— ერთი სიტყვით, აქ მეტი აღარ შეზოხილდი, თუ ძმა ხარ. შენ კრუხის თავი გაჭვს გადაყლაპული და მე დაღლილობისაგან ისე ვარ დასუსტებული, რომ ზენაჩარს ძლივს ვიბნევ ხანდახან.

ანზორი შეცბა. მუზღვაური ამგვარ საუბარს არ ელოდა. მან გაკვირვებით შეხედა მოხუცს და ღიმილით ჰკითხა:

— რა მაქვს გადაყლაპული?

კირილე მიხვდა, რომ უტაქტოდ მოიქცა. თანაც, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, შეურაცხყოფას რომ ვაყენებ, არ ადგეს და არ დამიშვას სკამი თავშიო. ამიტომ უკან დახვევა ამჯობინა:

— გადაყლაპული კი არაფერი გაჭვს, ჩემო ბიძია, მარა, შე ავადმყოფი კაცი ხარ. შენი ხნის რომ ვიყო, სხვა ამბავია. სად შემიძლია მე ღამეების ტეხვა და



შენთან ლაპარაკი. მე დასვენება მინდა და შენ დასვენებული ხარ. ღმერთმა კარგად გაიყოფოს. ამიტომ შენ შენთვის და მე ჩემთვის. არ გამოვადგები ამქრალ, ხომ ხელავ, მე ჩემი ვაჭირვება მაქვს. ჩემი სამუშაო მაქვს. ასე ექნათ. ჩვენ-ჩვენი საქმეს მივხედოთ ყველა.

ანზორი წამოდგა. ერთხელ კიდევ გაიღიმა. ზელები გაშალა. კირილეს თავი დაუჯრა და გავიდა. თქმით არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს კირილემ კარვად დაისვენა. იგი უსახლვროდ კმაყოფილი იყო. ანზორის მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, შორეული ცურვის მგზღვეური სასადილოს წინ ფანჯარასთან მიმდგარ ექთანს ესაუბრებოდა.

მესამე დღეს კირილეს გვიან დაეძინა. იგრძნო, რომ რაღაც აწუხებდა, რაღაც აკლდა. ანზორი თითქმის ყურადღებას აღარ აქცევდა. შეხვედრისას თავს დაუჯრავდა და სწრაფად გაეცლებოდა.

კირილე წუხდა. ადგილს ვერ პოულობდა. დამნაშავესავით უღიმოდა გვერდით ჩავლილ ანზორს. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მომენტი ვერ შეაჩნია. „აშკარად ჩანს, რომ ნაწყენია. ესაა საქმე? კაცი შემოდისოდა, თავისი კეთილი გულით ქვეყნის ამბებს მაგებინებდა. რა ეშმაკად მინდა ეს გამხმარი თავი, რას ვაკეთებ იმნაირს ახლა, რომ ჩემს მარტო დარჩენას ასე ვაფასებდე. კაცმა კაცად გიცნო, შენთან ლაპარაკი უნდოდა, ვინ ოხერი ხარ, რა უფლება გაქვს შენ. კარგი, აღარ შემოდის, აღარ უნდისხარ. მერე? რა შეიცვალა ამით? ძილის ორი საათი მოგემატა. სიკვდილის ორი საათი მოგემატა, მარტოკოფენის ორი საათი მოგემატა, მეტი ხომ არაფერი“...

— ახლავე! — მოისმა თინისის სიღრმიდან და მისპინძელში ვარაძლე ისე სწრაფად მოიბრინა, თითქოს კიბესთან მისთვის უჭირფასესი არსებობდა იდგა, რომელიც წამის დაგვიანებით შეიძლება სამუდამოდ დაეკარგა.

— შეიძლება, ანზორ ბიძია? — იკითხა კირილემ და პასუხის მოლოდინში, გულმა ორჯერ დაქანა.

— მობრძანდით? — მიუგო შემცბარმა ანზორმა, და შარვალი ასკინკლით ჩაიცვა.

მეზობლები კარგა ხანს მღუპარედ შეპყურებდნენ ერთმანეთს.

ანზორი, საოცარი თავგადასავლების მქონე, მოლაპარაკე ანზორი, არაფერს ამბობდა.

— დასალევი ხომ არაფერი გაქვს? — იკითხა ბოლოს კირილემ.

ანზორი დაფაცურდა.

დალიეს.

არაუშა ორივეს მხნეობა შემატა. კარგა ხანს ისაუბრეს.

გასვლისას კირილეს „აწყვეტამ“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— ანზორ, ბიძია. შეს რომ ექთანია გოგო გელაპარაკება, მაგას დეიდა ეყოლება, ასე, ჩემი ხნის, ჩემი შესაფერი. გვეიარ-გამევიაროთთქვა. მთლად ჩამოწერილი კი არ ვარ, — მერე გაიცინა, ნამეტანი მომივიდაო, გაიფიქრა და მეზღვეურს ხელი გადახვია. — ისე გითხარი, ჩემო ანზორ, მართალი არ გეგონოს სიტყვის მასალად გითხარი; რა ექნა, ბიჭო, გამოთაყრუა მარტო ყოფნამ.

მეზღვეურმა გაიღიმა, ყოვლისმომტევებელი, იალაი, გულწრფელი ღიმილით.

ღამის სამი საათი იყო.

## საუბარი ანაუჩის ხიხუსთან

— რამ აგათრთოლა ციხე-ტაძარო,  
შიშობ შორს ვეღარ გაიმანძილო?

— იქნებ სიცოცხლე არ დამაცალონ,  
აბორგებულმა ტალღამ ჩამძიროს.

— წყალი ვერ წაშლის გმირების ბანაკს,  
ახვეტილ ტაძრებს მიწყობილს მიჯრით,  
სანამ ანთია დიდების ფარად  
ადამიანთა აზრი და ნიჭი.

ზღვა ბებერ მუხლზე გაკოცებს მხოლოდ,  
აქ ნავთსაყუდარს ჰპოვებს კატერი,  
სანამ ქართული ბუხარი ბოლავს,  
სანამდე გულობს გული ქართველის.

სანამ მთაგორებს მშვიდი ცა ხურავს,  
სანამ ღიაა მომავლის კარი,  
არ დაიღვრება სიცოცხლის სურა,  
არ დავესება სინათლეს თვალი.

## არქეოლოგები ქინვალში

...ერთი გოლიათს უსინჯავს მჯავს,  
მეორე — თითებს ლომისტორიანს,  
მღივს ერევიან ხმალსა და ხანჯალს,  
რომლითაც წერდნენ დიდ ისტორიას.

მესამე მიწას აცილებს ლითონს,  
თან საგულისხმო წარწერას შიფრავს  
და სარკოფაგში ნაპოვნი ხვითო  
ამეტყველდება სიტყვებად, ციფრად.

აღიშვიმდება აღმასის მძივი —  
ფერშეცვლილ ყელზე ფერშეუცვლელი,  
ქართლს ემატება ახალი სხივი,  
„ქართლის ცხოვრებას“ — ერთი ფურცელი...

არქეოლოგნი დედაევენ, დუშან,  
სამართვნებში წელამდე დგანან,  
პატივს ვცემ იმათ აღლოს და გუმანს,  
გმირულ წარსულთან გამართულ დრამას.

• • •

ახალგაზრდობა წყალზე გავიდა,  
ისე წავიდა,  
არც მანუგეშა,  
გალმა დატოვა ოქროს ნავი და,  
გადიკარგა სადღაც უგემოდ.

სევდით გავყურებ მეორე ნაპირს,  
ალარ შემშეენის ზვირთთა გაპობა...  
მძიმე ყოფილა სახელი პაპის  
და გემრიელი თვითონ პაპობა.

## ბ ა რ ღ ი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როცა ბოროტი მგესლავს და მშხამავს,  
არ მაქვს უფლება უკან დახვევის,  
მამზნევეს ჩემი მოხუცი მამა,  
მამის სახეზე ათი ნახმლვევი.

როცა მიჭირს და თვალნათლივ ვხედავ,  
რომ სნეულება გადამაშენებს,

მამინ საშველად ვეძახი დედას  
და სამარეშიც აღარ ვასვენებ.

დედ-მამის მადლი ავისგან მიცავს,  
ამას რად უნდა ბჭობა, მისნობა,  
მიცავს იმათი საფლავის მიწა,  
მიწა კი არა, მარადისობა.

• • •

მამისეული ქვიტკირის ქვა ვარ,  
ასჯერ ნახმლვევი და ნაშუბარი,  
მოვდივარ...

ელელავ...  
ხეიბარს ვგავარ...  
ბე მგვებება ჩემი უბანი.

და მიადვილებს მუსლის გამართვას  
დახვესებული ქარგა კიბეთა,

მათი სიწმინდე ვერვინ წამართვა,  
ვერც გადათელვა ვერ გამოიბუდა.

დამლაღეს,  
მანაც რწმენით მოვდივარ,  
ასეთი არის ბედის ტრიალი...  
ბევერი ციხის ერთი ლოდი ვარ,  
ასჯერ ნახმლვევი და ნატყვიარი.

## მთის წყაროსთან

ვეწვიეთ მთაში ცივთა წყაროთა  
და ჩავემუხლეთ ნაცნობ ტაძართან,  
მამერალი სოფლის მადლი გეწყალობდა,  
სახეუ თასები მოლზე დაჯარდა.

დაიწყო ღვინო,  
შეჯიბრი,  
მეგმა

ლექსთა თქმაში და სიმთა წერიალში,  
ზოგის როხროხი შეიტკბებს ქვებმაც,  
ზოგს უსხლტებოდა კენჭზე წრიაბი...

ნაცისკროვნებდა ერთი ქალწულის  
თმა სანთელივით ჩამოღვენილი,  
ძის თვალში ლექსი ცრემლად ჩავეწურე,  
ვეღარ დავუსვი სტრიქონს წერტილი.

აღბათ ღამაშიც ამას ელოდა,  
გამიშარტოვა იქვე წყაროსთან,  
ჩქეფდა ჩურჩული ხეთა ჩეროდან  
და სიყვარულის ღმერთი მწყალობდა.

## ს ა კ ა რ გ ყ ე რ

კარლო კალაძეს

ვერ უღალატებს ხვესური ადათს,  
ვერ მოიხსენებს მომშვს აუგად,  
ვერც ათქმევენებ,

რომ გასჭრა ათად,  
რაც ხულს არა სწამს,  
რაც გულს არ უნდა.

სტუმარს მოგართმევს საკარგუმოს თასით,  
 თვალს მოგჭრის  
 ვერცხლზე სანთლის კაშკაში,  
 ნან იცის კაცურკაცობის ფასი  
 და დაფასებაც იცის ვაჟკაცის.

არ უღალატებს ხევსური ადათს,  
 არ შეუდრკება სისხლის მდინარეს,  
 თუ ხელთ შემორჩა გორდაის ვადა,  
 შენთვის სიცოცხლეს არ დაინანებს.

## გ ე ლ ო ვ ა ნ ე ბ ი

აპრილს გაუტყდა სიცოცხლის სურა  
 და მიატოვა ივრის ნაპირას,  
 ნირზა,  
 რუსუდან  
 და თეიმურაზ,  
 რა ჩაიღინა თეთრმა აპრილმა!..  
 თქვენსკენ მიხშობდა ნისლის ფანტელი,  
 გადმომატარა მთაც და შორევიც,

ანცდით,  
 დამშორდით,  
 დაიფანტენით,  
 როგორც ფეხმარდი ნიამორები...  
 მე მაინც ველტვი იმ ლამაზ ეზოს,  
 სად კვლავ სიცოცხლის ღვივის ფესვები,  
 კიბეზე ადის პატარა რეზო,  
 ნიაცილებენ მირზას ლექსები.

## შეხვედრა შაზილთან

ნეტავ ვიცოდე,  
 პირქუს შატილთან  
 რამ შემახვედრა შენს თბილ ქალობას,  
 რამ დაგანათლა შუქი ხატისა  
 და სიყვარულის ნიაჯქარობა.

რამ გადმოგატღო ორწონთა შორის,  
 ნაკ სილამაზეს რამ მაზიარა,  
 ზეფრქვევა შენი თვალების ბროლი,  
 ცხელი დადარი,  
 სროლი კი არა.

ეწნება არის ტკბილი სიზმარი,  
 ძირს რომ გვიგია მწვანე ნოხები,

რომ რეკავს წუთი ნათილისმარი,  
 არ დახვეწების,  
 არ დაოხების.

გინდ ჩამითვალოს ვინმემ შეცდომად,  
 მე ვფიცავ ამ ჩემ  
 დასათხრელ თვალებს,  
 წინაპარივით უნდა შევეცოდო,  
 შეყვას ვაშლივით მოვწყვიტო მოუარე...

გულთა ხმაა თუ არღუნის ღელვა,  
 როგორ ბობოქრობს დამე შატილის,  
 გახედლი და მეც მაქციე ხელად  
 და სალოცავი გახდი ხატივით.



ნიკოლოზ გაბაონი

## აივნისანი ქალაქი

რომანი

### 9. სპეცბატონის შემოღება

— სად შემიძლიან ყველა ვინახულოთ, ქალბატონო? — თქვა მან იმ ძლიერი ვნებათაღელვებით, რაც ესოდენ მოსწონთ ქალებს.

— სადაც გნებავთ, — უპასუხა მან, — ტყეში, ბუფონებთან, ჩემთან, ავადგან.

ონორე დე ბალზაკი, „მამა გორიო“

ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო. გრიგოლ ზანდაროვს მარკიზი ქალები არა მარტო შესციციენებდნენ, არამედ თავიანთ სალონებშიც უშვებდნენ. არც ზანდაროვი უნდა დახვედროდა გულგრილად მათს გამოშწვევ ტრფიალს. მარკიზმა შარლოტა დე ტრენაგ ლამაზი ქალი იყო, ხოლო მისი ქმარი, თუ მოვლენები ისე განვითარდებოდნენ, როგორც გაზეთები წინასწარმეტყველებდნენ, მალე მინისტრი გახდებოდა. თვით ეოზეფინა დე ტრასის არც ისე აუშნოვებდა მოკლე ცხვირი და კიდევ უფრო მოკლე ჰკუა. სამაგიეროდ მისი მოქნილი ტანი და გულვივებული გულშეკრდი ბევრ მამაკაცს ხიბლავდა. მისი დიპლომატი ქმრის ნიჭზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ეოზეფინა დე ტრასი აღბათ მალე ელჩის ცოლი გახდებოდა და ლონდონში ან პეტერბურგში მოუწევ-

ვდა ცხოვრება. მარკიზ დე ტრენაგის და მარკიზ დე ტრასის პოლიტიკური წარმატებები მათი ცოლების სალონებს მეტ მიმზიდველობას ანიჭებდა. კნენია გოსტაშაბიშვილი საშინლად გაოცდა, როცა ამ სალონების სტუმრებს შორის გრიგოლ ზანდაროვიც აღმოჩნდა. ახლა მან ზანდაროვზე უფრო მეტი რამ იცოდა, ვიდრე ოპერის თეატრში მოსვლამდე.

ზანდაროვი გვიან დაბრუნდა ლოქაში. მან უხმოდ დაიკავა თავისი სავარძელი. არც კნენიას ამოუღია ხმა, სადაც იყო ფარდა იხდებოდა მეორე მოქმედების დასაწყებად.

სამთავენი მღელმარედ ისხდნენ ოპერის ლოქაში: გრიგოლ ზანდაროვს სავართოდ ლაპარაკი არ უყვარდა თუკრსა დასალონში, ათავადი ანდლყაფარი ლაპარაკს იყო ვადანვეული, კნენია თავისი ფიქრებით იყო გართული და რაღაც შინაგანი მღელვარების გამო ხმაგაკმენდილი.

როსინის მუსიკა ახლა არა მარტო გრიგოლს და ანდლყაფარს, არამედ მაგდასაც აღარ ესმოდა. თეალწინ ხან მარკიზა დე ტრასი ედგა, ხან მარკიზა დე ტრენაგ.

მეორე ანტრაქტში ზანდაროვმა ბო-

დისის მოხდით დატოვა გოსტაშაბიშვილების ლოყა.

ქენინას მყისვე მარკიზა დე ტრასი გაახსენდა, მაგრამ ეჭვი არ გაუმარტოლდა. ცოტა ხნის შემდეგ ზანდაროვი მარკიზა დე ტრენაგის ლოყაში გამოჩნდა.

ქენინა ერთბაშად ისე ვახდა, თითქოს მოულოდნელად ცივი წყალი გადაახსო. სახელაწილი უყურებდა თავისი ლოყიდან, თუ როგორ იხრებოდა ერთი წამით ზანდაროვის ლამაზი თავი და როგორის მოკრძალებით ეამბოვებოდა ლოყაში მსხდარი სამი მანდილოსნის თითქმის ერთდროულად გამოწვედილ ხელებს (ქმარი ალბათ გაზეთის რედაქციაში ზის ან პოლიტიკურ ბანკეტზე სიტყვას ამბობს, იხერხებოდა ქენინა, რომელსაც ქმარი არც აქ და არც სხვაგან არასოდეს არ აგონდებოდა). ზანდაროვი მოწიწებით გაჩერდა, თუმცა მას, ასე ჩანდა, მანდილოსნებმა საეარტელი შესთავაზეს. ქენინას არც ის გამოეპარა, თუ როგორ გაიბადრა ზანდაროვის წინახეზე წელან კოპებშეკრული შარლ ატა დე ტრენაგ. ისიც ჩანდა, რომ იმ ლოყაში მხოლოდ მარკიზა ლაპარაკობდა გატაცებით, აღმაფრენით, აბილილებით, სწორედ ისე, როგორც ეს საყვარლის დაბრუნებით გახარებულ დედაკაცებს სჩვევიათ.

ახლა ქენინას უკვე სწეროდა, რომ კოხეფინა დე ტრასი მას ჰორს კი არ ეუბნებოდა, არამედ ხალას სიმართლეს.

გაოცებისგან სახტაუ დარჩენილმა აღარ იცოდა რა ეფიქრა. ისედაც უკმეხი სახე სელ უფრო და უფრო ეღრუბლებოდა. თან იმ ლოყას თვალს აღარ ამორებდა და ყურადღებულ იყო გადაქცეული.

ზანდაროვი მოკრძალებით იდგა ლოყაში და დროდადრო თავს მოწიწებით ეკრავდა მარკიზას, რომელიც მას სხაპასხეპით ელაპარაკებოდა და მარაოს ხელში ნერვიულად ათამაშებდა. ეტყობოდა მარკიზა დე ლავდა ან ორი უღამაზო მანდილოსანის თანხლება ენათობებოდა. ორთავეს კარგად იცნობდა

ქენინა გოსტაშაბი. ერთი ოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მეორე კარბოვი წლის ხდებოდა. ორივეს ყოველთვის ყველგან თან დაატარებდა ახალგაზრდა მარკიზა, რათა თვითონ უფრო ლამაზი გამოჩენილიყო. ისინი მას დარაჯებით დასდევდნენ (ამიტომ ქმარს შეეძლო მშვიდად მჭდარიყო გაზეთის რედაქციაში ან სიტყვა წარმოეთქვა პოლიტიკურ ბანკეტზე, ირონიულად შენიშნავდა ქენინა), თუმცა, ამივე დროს, პარიზის ქუჩებში მარკიზა ეტლით მუდამ მარტო დასეირნობდა. ყველამ იცოდა, რომ ამ დროს იგი პაემანზე მიიჩქაროდა.

მარკიზა დე ტრენაგმა ერთი-ორჯერ ქენინა გოსტაშაბიშვილის ლოყისკენ ფრთხილად გაიხედა. ამ დროს მოკრძალებით მდგარ ზანდაროვს მხოლოდ ორი სიტყვა უნდა წარმოეთქვა. „უი“ და „ნონ“, — „პო“ და „არა“. ქენინა დარწმუნებული იყო, რომ ეს სიტყვები მისი სახელის ხსენებასთან დაკავშირებით ითქვა. საინტერესოა, მაინც რა კონტექსტში ახსენეს იქ ქენინა მაგდა გოსტაშაბიშვილი. მართალია, ორი ხნიერი და უღამაზო მანდილოსნის თანდასწრებით მარკიზა დე ტრენაგა თავის თავს ბევრის ნებას ვერ მისცემდა, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ როცა საჭირო იყო, ორთავეს დაყრუებაც და დამუნჯებაც შეეძლოთ. ქენინა უფრო იმას ფიქრობდა და ვარაუდობდა, რომ მარკიზა შარლოტა დე ტრენაგმა გრიგოლ ზანდაროვს მის ლოყაში ყოფნა უსაყვედურა.

სახე აელეწა.

ოქროსფერი თვალები გაუმწვანდა. ეჭვი შემოენთო.

ეს უკვე ეჭვიანობა იყო. ეჭვიანობა კი სიყვარულის დადასტურებაა.

მას უყვარდა.

ამის უარყოფა თავის მოტყუებას ნიშნავდა ან იაფფასიან ფარისეველობას.

ამას მოწმობდა მის მარჯვენა ხელში ნერვიულად ათამაშებული მარაოც. ეს

კნენას დიდი მღელვარების დროს ემართებოდა ზოლმე.

უცებ მის გვერდით ვილაც გაინძრა. მისი ქმარი იყო. თავადი ანდრუყაფარ გოსტაშაბიშვილი. სრულიად მოულოდნელად თავადმა თავისი ბოხი ხმით დაიბუხუნა:

— ვეყო, ვერ უყურებთ, ჩვენი სოვდაგარი რა ყოფაშია!

კნენამ ხმა არ გასცა.

გამოცოცხლებული თავადი ისევ აროხროხდა:

— ჰო, ჰო, ჰო! რანაირად ირჯება და ჰხარბობს იმ კარგი ქმრის ცოლი მარკიზა! ერთი უყურეთ რანაირად იპრანკება, რანაირად იღერებს თავსა და რანაირად ათამაშებს მხრებსა! ღმერთი არ გამიწყრება, მაგ ქალს რაღაც სხვა განზრახვა უდევს გულში. ამას რაღა თქვა უნდა, ლამის კალთები დაავლიჯოს ჩვენს კობაშია სოვდაგარს. ვერა ჰხედავ, კნენავ?

— ვხედავ — გაგუდული ხმით წარმოთქვა კნენამ.

თავადს ლაპარაკის საღერღელი აეშალა:

— პარიეელი ქალები რომ დაეხვეოდნენ ჩვენს ლამაზ სოვდაგარს, ამის ექვი არა მქონდა, ვეყო. მაგრამ თუ მარკიზა ქალებიც თავს შეიერცხვენდნენ და თავზე ლაფს დაისხამდნენ, ამას როგორ ვიფიქრებდი?!

კნენამ თავი ჩაქინდრა.

როცა გრიგოლ ზანდაროვი დაბრუნდა, ოპერის ლოჯაში პირველად ვამხინარულებულმა და ალაპარაკებულმა თავადმა სოვდაგარს ისეთნაირად შესძახა, რომ მთელმა პარტერმა გოსტაშაბიშვილების ლოჯას ახედა:

— აფერუმ სოვდაგარო! პარიეში მირზაჯანობა დაიწყე?!

კნენა გოსტაშაბი ქარხალივით გაწითლდა.

გრიგოლ ზანდაროვმა მხრები აიჩინა, კნენას გაკვირვებით გადახედა.

კნენას მისი გაოცებული გამოხედვა არ დაუწახავს. იგი თავდახრილი იჯდა,

საშინლად აღელვებული, დაკრძალებული.

ნიკოლოზ ბაგაოანი

ქმარი მას ეჭაერებოდა, ახლა კი ეზიზღებოდა.

თავადი მიხვდა, თუ რამ შეუკრა მრისხანედ წარბები კნენას.

დაიბნა, შეწუხდა და დაფრთხა. ვეება დეკაცი საცოდავად მოიკუნტა ლოჯის სავარძელში.

კნენა მხოლოდ ფარდის ახდის შემდეგ დამშვიდდა. თავს ძალა დაატანა, რათა აღარაფერზე ეფიქრა და მხოლოდ იმიანთის მიეჭკია ყურადღება, რაც სცენაზე ხდებოდა.

როსინის მუსიკა მისთვის თანდათან ნაცნობი, მაჭლობელი, მიმზიდველი და სასიამოვნო ჰანგებით აჟღერდა. ყური მოუგდო და გაინაბა. უეცრად მასში ძლიერად გაიღვიძა მისმა ამპარტაუნულმა ბუნებამ, თავი მალლა აიღო და მტკიცედ გადაწყვიტა ოპერის წინ თავის ოდნავი დაკვირვით სამუდამოდ განშორებოდა ზანდაროვს. ეს კნენას განაჩენი იყო და არა დედაკაცის გადაწყვეტილება. მოუხედავად ამისა, ერთბაშად დამშვიდდა და დაწყნარდა. გრიგოლ ზანდაროვი მისთვის აღარ არსებობდა. ამიტომ მასთან განშორება ისევე აუცილებლად მიაჩნდა, როგორც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ფარდის ჩამოშება.

ოპერის წინ კი სულ სხვა რამ მოხდა, როცა ისინი ეტლს უახლოვდებოდნენ, კნენა სწრაფად მოტრიალდა ზანდაროვისკენ და ფრანგულად გადაულაპარაკა:

— გრიგოლ, ხვალ იქ გიცდი. შენ თვითონ იცი როდის უნდა მოხვიდე ზანდაროვმა გაიღვიძა და ოდნავ დაუკრა თავი.

კნენამ არ იცოდა ნამდვილად დაინახა თუ მოეჩვენა მის ტუჩებს შორის ჭიუტად ჩაკეცილი ლიმილი.

კნენა უფრო გაიჭკია, ვიდრე გაემართა ეტლიკენ. ეტლში ქმრისა და სავარლის დაუხმარებლად ავიდა. გა-

კვირებულს და გაოგნებულს სირცხვილის გრძობა სწვავდა. ეტლში გარინდებული იჭდა, თუმცა შინაგანად აფორიაქებული. და აწრიალებული იყო. ხან ოპერაში მიღებული გადაწყვეტილება აგონდებოდა, ხან თავისა საქციელი და სიტყვები ოპერის წინ. თავის თავისთვის ვერ ეპატებინა ის, რომ ერთხელ კიდევ დამდაბლდა იმ კაცს წინაშე, რომლის საყვარლებში

კენიანა ვარდა მარკიზი ქალბერი ეწვე-  
ნენ.

ღამე თეთრად შემოათენდა. უძილობით დაღლილს და დატანჯულს განთიადზე ძლივს ჩაეძინა.

ნაშუადღევს გრიგოლ ზანდაროვს ეტლი ფონტებლოსკენ მიაქროლებდა. ფონტებლოს პატარა სასტუმრო „ბრიტანიკაში“ მან მარკიზა ეოზეფინა დე ტრასი უცდიდა.

პარი მითიქსნახიძე

1. ვახტანგ ტაშირელის პარიზული ცხოვრება

კომუნისმის პროპაგანდა ფლობს ისეთ ენას, რომელიც ყველა ხალხს ენის

ჰაინრიხ ჰაინე. „საფრანგეთის ამბები“.

ოქრომჭედლის მალაზიაში მომხდარმა ინციდენტმა ვახტანგ ტაშირელზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დღიდან იგი გრიგოლ ზანდაროვს ჭირიადღესავით გაუბრბოდა და ერიდებოდა. სამაგიეროდ ზანდაროვი აღარ ეშვებოდა მას, ხან რას თხოვდა და ხან რას.

ზანდაროვი ფრანგულად საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ არც საქმიანი ქაღალდების შედგენა და არც წერილების დაწერა არ შეეძლო. ამიტომ ვახტანგ ტაშირელის მდივნობა შესთავაზა.

პარიზში ლუკმა-პურის შოვნა ძნელი იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა და სასამართლო ყოფილმა მოხელემ მდიდარი ვაჭრის წინადადება მიიღო.

ვახტანგ ტაშირელი სავაჭრო გარიგებების პირობებს ადგენდა ან ზანდაროვის სახელით წერილებს წერდა ლიონის მეფობრივებისა და მარსელის გემთმფლობელების მისამართით, ზოგჯერ ბუღალტრის მოვალეობასაც ასრულებდა. ზანდაროვის მიერ ნაყიდ და საქართველოში გაგზავნილ ნუსხებს აწესრი-

გებდა და დავთარს ახალ-ახალი ციფრებით ავსებდა. ასეთი სამსახური მას სოცდაგრის ყალთაბანდობის მოწმედ არ ხდიდა. ამიტომ დაუზარებლად აკეთებდა იმას, რასაც მას გრიგოლ ზანდაროვი ავალებდა.

— თუ დავთარი არ დავიჭირე, ვახტანგჯან, ფეხებმოღრეცილი ფირუზა არ დამიჭერებს, შარს მომღებს, — უთხრა ერთხელ ზანდაროვმა ტაშირელს და წინ დიდი დავთარი დაუდო, გადაფურცლა და სერიოზულად განაგრძო.

— რას იხამ? ფირუზა ჩემი გამზრდელიცაა და ამხანაგიც. მაგრამ არ გავიგონია, ამხანაგი რომ კარგი იყოს ღმერთსაც ეყოლებოდაო. პოდა, ყველაფერი დაწვრილებით ჩასწერე ამ დავთარში, ვახტანგჯან. სიფრთხილეს და თადარიგის დაჭერას სხვა არაფერი სჯობიან. სამაგიერო კი ჩემზე იყოს. შენთვის ქისა ყოველთვის გახსნილი მაქვს.

ზანდაროვს ქისის მაგიდაზე დარღიმანდულად გადმოპირქვაება უყვარდა, ოღონდ ქისაში ყოველთვის იმდენი ფრანკი ედო, რამდენიც მისი აზრით ტაშირელს სახლის მანსარდზე გამოსაძინებლად და ლუკმა-პურისთვის ეყოფოდა.

ვახტანგ ტაშირელს კი ასე ეგონა მეტს ვიღებ, ვიდრე მეკუთვნის და ზანდაროვის „მოწყალებით“ ვცხოვრობო. ეს მას ცუდ გუნებაზე აყენებდა. ბევ-



შევით წითლდებოდა, როცა სოვდაგარი მაგიდაზე ქისას აპირქვევებდა. სამაგიეროდ თავაუღებლივ მუშაობდა. ცდილობდა რაც შეიძლება სუფთად და ფაქიზად შეევესო დავთარი „ფეხებმოლრეცილი ფირუხასთვის“.

ზანდაროვის გასამრჩელო ვახტანგ ტაშირელს ყოველდღიური ცხოვრებისათვის უოფნიდა. გადარჩენილი გროშებით წიგნებს ყიდულობდა ან თეატრში დადიოდა. წიგნი, გაზეთი და თეატრი მისთვის ყველაფერი იყო. მზად იყო „წყალსა და პურზე დამკდარიყო“, ოღონდ საინტერესო წიგნი ეყიდა ან მოლიერის სახლში წარმოდგენას დასწრებოდა.

შორიდან უთვალთვალებდა გამოჩენილ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და მსახიობებს. იმათ, ვისაც წიგნებით და გაზეთებით იცნობდა ან სცენაზე უყურებდა. პუნებით მორცხვი და მოკრძალებული ყავახანებში მათ შორი-ახლოს იჯდა ყურადღებად და სმენად გადაქცეული.

ყავახანებში ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა. პოლიტიკური ვნებათაღელვა უყიდურეს წერტილს აღწევდა აქაც და ბანკეტებზეც.

ყველა რაღაცას უცდიდა, რაღაცას მოელოდა. ვისაც ლიონის აჯანყება კარგად ახსოვდა, შიშით იყურებოდა მოედნებისაკენ, სადაც ამბოხებული ხალხი თვალის დახამხამებაში ახერხებდა ბარეკადების აღმართვას და თანხის ბოძზე თოკის გადმოშვებას შეპყრობილი მტარვალის დასასჯელად. სერიოზულად შემფოთებული ლაბერალები ივლისის რევოლუციის მონაპოვრით დაკმაყოფილებას ქადაგებდნენ, რომანტიკული განწყობილების უყიდურესი რესპუბლიკელები რადიკალურ გარდაქმნებს მოითხოვდნენ, კოსმოპოლიტები ევროპის გაერთიანების აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ. მათი აზრით, მხოლოდ ეს გადაარჩენდა ევროპულ ცივილიზაციას და ბრბოზე მაღლა ინტელექტუალურ ადამიანს დააყენებდა. სოციალისტი სენ-სიმონისტები ძალის გამოყენე-

ბის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ბოლოს სოციალისტი ფურიე გულდაკრებით უცდიდა მილიონერთა მოწყალებას, რათა მზავი ფულთი თანასწორ ადამიანთა ფალანგა აეგო. პოლიტიკური წინააღმდეგობები და აზრთა სხვადასხვაობა სოციალისტებს შორისაც ისევე შეაფიოდ ვლინდებოდა, როგორც ბურჟუაზიულ ფენებსა და არისტოკრატიულ წრეებში.

სენ-სიმონისტები დაშლილი და დაქსაქსული იყვნენ, ფურიეს მიმდევარნი კი ჯერ ისევე მრავალრიცხოვანნი ჩანდნენ. მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად ცნობილი ხდებოდნენ ისინი, ვისაც იმდროინდელ პრესაში კომუნისტებს უწოდებდნენ. კომუნიზმის აჩრდილი შეუპოვრად დაძრწოდა ევროპის ქალაქებსა და მუსათა გარეუბნებში. არსებობდა კომუნისტთა კავშირიც და კომუნისტური გაზეთიც. ერთიმეორის მიყოლებით ქვეყნდებოდა „სიმბოლო სარწმუნოებისა“, რომელიც კატეხიზმის ფორმით იყო დაწერილი, „კომუნიზმის პრინციპები“ და ბოლოს „კომუნისტური მანიფესტი“ — კომუნისტთა კავშირის სრულიად ახალი პროგრამა და მეცნიერული კომუნიზმის ყველაზე უფრო დასაფუძვლებული ნაშრომი. მაგრამ ვახტანგ ტაშირელი პარიზში ცხოვრობდა იმ დროს, როცა კომუნისტებისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო პარტიული ურთიერთობის ფრანკ-მასონური და კარბონარული წესები. ყველა ამისგან ისინი სამუდამოდ განთავისუფლდნენ კომუნისტთა კავშირის ბრიუსელის პირველ კონგრესზე და, განსაკუთრებით, შვირე კონგრესზე, რომელსაც თვითონ კარლ მარქსი ესწრებოდა.

ვახტანგს უყვარდა ლურჯბლუზიანი მუშების ყურება, მათს ქირ-ვარაშზე დაკვირვება, მათ შორის ყავახანებში ყოფნა, მათი ჯანსაღი სიცილი, მოსწრებული ზუმრობა და აზრიანი გართობა. თვითონაც მათს თანაყოფაში ხალვათად გრძნობდა თავს და, რაც მთავარია, სადად და უბრალოდ ეცვა — რკოსფერი,

თითბრის თეთრი ღიღებით გაწყობილი სერთუჟი. კნენია გოსტაშაბიშვილის სალონში კი შავი ფრაკით და შავი ფეხსაცმელებით ცხადდებოდა და ოფლში იწურებოდა.

გამოუცდელმა ტაშირელმა არ იცოდა, რომ შავი ფრაკიც და შავი ფეხსაცმელებიც უკვე იმდენად ყოველდღიური რამ იყო, რომ პირწაყარდნილ არისტოკრატებზე მამაკაცთა ეს სამოსელი დემოკრატიული განწყობილების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ივლისის რევოლუციის ერთ-ერთი შედეგთაგანი შავი ფრაკის და შავი ფეხსაცმელების იმათ შორის გავრცელებაც იყო, ვისაც რესტავრაციის პერიოდში არისტოკრატიული სადარბაზო კარების ზღურბლზე ფეხს არ ადგმევინებდნენ.

**2. კნენია გოსტაშაბიშვილის სალონი**

მეფის ტახტი სხვა არაფერია, თუ არა ყოველ ზვეულზეზივი, წითელი ხვერდით ვადაკრული ხის უბრალო სკამი, დღეს ზურჯეუბია და პოლ დე კოჟის და ვეენ სკრიბის ვმირებო ბატონობენ.

ბაიარის ბაიენ, „ფრანგული სცენის გამო“

ვახტანგ ტაშირელის გამოჩენას კნენია გოსტაშაბიშვილის სალონში არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მან არც თავისი გარეგნობით მიიქცია ყურადღება, არც ჩაცმულობით. შეუმჩნევლად ჩაიარა დისონანსში; რომელიც მან თავისი შავი ფრაკით და შავი ფეხსაცმელებით მწვანე, ჰიაფერ, ლურჯ, ზეთისხილისფერ და დოღნოშოსფერ ფრაკებით მკაცრად გაწყობილ არისტოკრატთა საზოგადოებაში შეიტანა.

მხოლოდ ერთმა ფაშფაშა მანდილოსანმა შეაჩერა ლორწეტი მის დარცხვენილ სახეზე და მეზობელს, აწოწილს და ხმელ-ხმელ ბობოლას ვადაულაპარაკა, რომ კნენიას ახალი სტუშარი ვანსაკვიფრებლად ჰგავდა ამატ ლამენეს, თავისი ახალი რელოგიური მოძღვრების ქადაგებისას იაკობინური ქულის ვვარზე მორაგებას რომ ცდილობდა.

მეზობელმა უსიცოცხლო თვალები

ერთი წამით ვახტანგ ტაშირელის გამხდარი სახის მოგონო ცხვირზე ვახტანგ ტანა და კელავ ისე გაშეშდა, როგორც პერთა პალატაში იყო ხოლმე ვამეშეშული.

მოსკოველი აზნაური თავს შეზღუდულად გრძნობდა კნენია გოსტაშაბიშვილის სალონში. აქ ყოველ ოთხშაბათს მხოლოდ ძირძველი და ზეიადი არისტოკრატები მოდიოდნენ, რამდენიმე რუსი თავადი და გრაფი (ერთ მათგანს მიხრწნილი დედა დაჰყვებოდა, მეორეს კი ვადაბერებული ცოლი ახლდა თან), პოლონელი ემიგრანტები ჩარტორიჟის წრიდან და მხოლოდ ის ფრანგი კეთილშობილნი, რომელნიც 1789 წლამდე იყვნენ კეთილშობილად დაბადებულნი. აქ ვერ ნახავდით იმათ, ვინც რევოლუციის შემდეგ მიიღეს მეფის, ჰერცოგის და მარკიზის ტიტულები, მაგრამ ყასბების, ლუდისმზდევლების, კალატოზების და ღურგლების ჩამოშავლები იყვნენ.

კნენია გოსტაშაბიშვილის სალონში მოდიოდნენ ვანტქმული მწერლებიც, მხატვრებიც და მუსიკოსებიც. მაგრამ მხოლოდ ისეთნი, რომელთაც არისტოკრატობა პატივმოყვარულ სიამეს ჰგვრიდათ ანდა თავიანთ კონსერვატიულ განწყობილებას არისტოკრატიულ სულისკვეთებას უხამებდნენ. ხშირად იყო აქ კრიტიკოსი სენტ-ბევეი. მას სძაგდა მდამიო ლიტერატორები და თვით არაჩვეულებრივად პოპულარულ ყორყ ზანდთან შეხვედრას ერიდებოდა, რადგან ეს ლოყებწითელა მორალისტი მის თავამეხულ საქციელს კიცხავდა და თან არასდროს არ ავიწყუდებოდა, რომ მისი დედა ოდესღაც მოხეტიალე თეატრში ცეკვავდა. სენტ-ბევეზე ათი წუთით ადრე ან ათი წუთით ვვიან ჩნდებოდა სალონში ადელ ჰიფო. სენტ-ბევეს იგი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ გაცილებით ამ უწყინარ ქალბატონს ყოველთვის სენტ-ბევეი აცილებდა ხოლმე. იშვიათად მოდიოდა აქ თვითონ ექტორ ჰიფო. ალბათ იმი-

ტომ, რომ საერთოდ არისტოკრატები მას ყველგან გულცივად ზედებოდნენ და მასთან შეხვედრას დემონსტრატიულად გაუბრძოდნენ კარლისტებს იგი ივლისის რევოლუციის მეხოტბედ მიანდათ, ხოლო რეზიუბლიკელებს არისტოკრატებისა და კათოლიციზმის ფარულ მომხრედ. დროგამოშვებით მოდიოდა კნენინა გოსტაშაბიშვილის სალონში ონორე დე ბალზაკი, რომლის მონარქისტული მიდრეკილებანი ყველასთვის კარგად იყო ცნობილი ამიტომ ყველა ითმენდა და იტანდა მის დაქვანებულ კბილებსაც, ცუდად დავარცხნილ თმასაც და ფეხსაცმელების დაუდევრად შეკრულ ყაითნებსაც.

საუბარი კნენინას სალონში დინჯი და მონოტონური იყო, თუმცა ყოველდღიურ ამბებსა და მოვლენებს აქაც ჭორიკნული ცნობისმოყვარეობით აღნიშნავდნენ და სჯაბაასში არც აქ ავიწყდებოდათ ამა თუ იმ საყურადღებო თუ საინტერესო მოვლენაზე თავიანთი შენიშვნები, აზრი, კმაყოფილება, უკმაყოფილება, მოწონება ან აღშფოთება გამოეთქვათ და ყოველივე ეს შესაფერისი, უაღრესად რაფინირებული მანერებით გამოეხატათ.

ლაპარაკში მსხვილმანსაც ურევდნენ და წვრილმანსაც.

ლაპარაკობდნენ ორლენანის ჰერცოგის ფათერაიან სიკვდილზე, ვერსალის რკინიგზის სადგურზე მომხდარ ხანძარზე, მუნიციპალიტეტის იმ დადგენილებაზე, რომლის ძალითაც ბანტილიის მოედანზე თაბაშირის თეთრი სპილო უნდა აეღოთ, უნივერსიტეტების გარშემო გამართულ პეჭრობაზე და საუნივერსიტეტო რეფორმებზე; ანალი აეტორის ახალ პიესასა და კომედიასზე; ხალონის ყველაზე ღირსშესანიშნავ სურათზე, ბერლიოზის უცნაურ მუსიკაზე და მის კიდევ უფრო უცნაურ დირიჟორობაზე; ახალმოღურ ქუღზე, ქინძისთავეებსა და ხელთათმანებზე; სატუხადოების რეფორმაზე და სხვ. ყველაფერი ეს, როგორც წესი, ყოველთვის ურთა და იმპვე საკითხით მთავრდებო-

და, რაც ერთნაირად აღეღებოდა, მწემოურებსაც და ქვემოქურებსაც დაგმობოდა თუ არა გიზოს მთავრობა.

ლაპარაკობდნენ დიდკაცურად, აუქქარებლად, მონოტონურად ანდა მოწყენილი ისხდნენ ლუი XIII მელანქოლიური ტაქიმასხარების მსგავსად.

ერთგვარ გამოცოცხლებას სალონში მხოლოდ გიზოს მთავრობის დამხობის საკითხი იწვევდა. ამ შემთხვევაში კნენინა თაადელვის დათრგუნვას ვერავინ ვერ ახერხებდა.

რესპუბლიკური იდეების გავრცელებით შემფოთებული მონარქისტები წამალს რელიგიის ავტორიტეტის ზრდაში ხედავდნენ და მართლმადიდებელი კნენინას სალონში კათოლიციზმის განმტკიცების აუცილებლობას ქადაგებდნენ.

ვახტანგ ტაშირელს მალე მობეზრდა კნენინა გოსტაშაბიშვილის სალონში ყოფნა და ისევ ყავახანებს, ბიბლიოთეკებს და თეატრებს მიამშურა.

მისი სალონში მოუსვლელობა ვერც დიასახლისმა, მით უმეტეს, ვერც მისმა სტუმრებმა შეამჩნიეს.

### 3. პარიზული თაბაშონი

დიდ თეატრებში, სადაც ბრწყინავენ გრიზი, ლაბლანში, რამელი და მაკრელი, დარბაზი მხოლოდ მაშინ წყნარდება, როცა ფარდის ახლისას მათი საყვარელი მსახიობი გამოჩნდება ხოლმე.

ფერნან კაბალიერი, „თოლია“

ერთხელ როგორღაც ბივიანის ქუჩაზე, სადაც დიდ დარბაზში კარნავალების დროს კანკანს ცეკვავდნენ, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში კონცერტები იმართებოდა, კნენინა გოსტაშაბიშვილი ვახტანგ ტაშირელს წააწყდა. ორივენი კონცერტზე იყვნენ მოსული. იმ საღამოს ერთად სრულდებოდა მოცარტის, ბეთჰოვენის და ბერლიოზის მუსიკა. კნენინა ვახტანგს ზრდილობის გამო გამოელაპარაკა და სასწრაფოდ გაშორდა. მეორედ იგი მოსკოველ აზნაურს კვლავ კონცერტზე შეხვდა. პარიზელუბი ჩელოზე დამკრედი პოლანდიელ ბა-

ტტას კონცერტს ესწრებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მან ტაშირელს შოპენის, ლისტის და ტალბერგის კონცერტებზე მოკრა თვალი, კვირას თავზე კონსერვატორიაში მენდელსონის სიმფონიის დამთავრებისთანავე ნაცნობ აზნაურს შორიდან უნებლიედ გაუღიმა და როცა გვერდში კაბის შარი-შურით გაუარა, რამდენიმე სიტყვით გამოეცხადებოდა კიდევ. რამდენიმე დღის შემდეგ ლეპელტიეს ქუჩაზე, როცა ისინი ერთად შედიოდნენ თეატრში შარლოტა გრიზის ცეკვის საყურებლად, სადარბაზო კართან ახალგაზრდა კნენიამ ახალგაზრდა აზნაური ხელით შეაჩერა და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— ბატონო ვახტანგ, ნუთუ ასე გატაცებით გიყვართ მუსიკა და ხელოვნება. ტაშირელმა მოკრძალებით დაუკრა თავი.

მუსიკისა და ხელოვნების სიყვარულმა ისინი ისე დააახლოვა ერთმანეთთან, რომ ერთად დაიწყეს სიარული კონცერტებზე, თეატრებსა და გამოფენებზე.

როგორც ყველა არისტოკრატი, კნენიანა გოსტაშაბიშვილიც უფრო ხშირად ფრანგულ თეატრში და დიდ ოპერაში დაიარებოდა (არისტოკრატებს ეს მემკვიდრეობითი უფლების ერთ-ერთ ატრიბუტად და მტანჯველ აუცილებლობად მიაჩნდათ). დემოკრატიული განწყობილებების ვახტანგ ტაშირელი კი ყველა თეატრში, თუ კი სადმე გემოვნებით იდგმებოდა ახალი დრამატული ნაწარმოები.

ახალგაზრდა ტაშირელს ხიბლავდა და იტაცებდა გრიზეტი ქალების როლების შემსრულებელი დეკაზე, რომელსაც რესპუბლიკელები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, ხოლო ტრადიციული მორალის შებღალავით შემფოთებული კონსერვატორები უკმაყოფილოდ აქნევდნენ თავს. სისადავისა და ბუნებრიობის გამო მოსწონდა შარლოტა გრიზიც, რომელიც, ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვით, არისტოკრატიულ მყურებლებში ისე ჩანდა, როგორც ფორთხალი კარტოფილის გროვაში. დემოკრატიუ-

ლი განწყობილების ოდნავი გამოხატულებით კი სცენაზე, მუსიკის დასრულების შემდეგ რომანში თუ სურათზე მას ისევე ბედნიერს ხდიდა, როგორც ყველას, ვინც კი თავისუფლებისა და თანასწორობის აზრით იყო გატაცებული.

კნენიანა გოსტაშაბიშვილის კერპი სცენაზე რაშელი იყო. რასინი და კორნელი ვერც მას უქარგებდა მოწყენილობას, მაგრამ მაინც ზედიზედ ესწრებოდა მათი პიესების წარმოდგენებს ფრანგულ თეატრში. ახალი დრამატურგებიდან იგი ვერც სკრიბს იტანდა და ვერც ალექსანდრე დიუმას და ერთგვარ უპირატესობას მხოლოდ ვიქტორ ჰიუგოს ანიჭებდა.

ვახტანგ ტაშირელს უყვირდა, რომ ჰკვიანი და განათლებული მაგდა გოსტაშაბიშვილი მხოლოდ სენ-ჟერმენის უბნის თვალსაზრისით უყურებდა ყველაფერს, რაც კი პარიზში ხდებოდა. იგი არ იცნობდა არც მდაბიოთა პარიზს და არც პარიზელ ხალხს, თუმცა მისი ეტლის კოფოზე მეეტლედ ყოფილი სანკულოტი იჭდა.

ამგვარ დასკვნამდე ტაშირელი იმ უბრალო აღმოჩენამ მიიყვანა, რომ კნენიანა გოსტაშაბიშვილს ჯერ მარეში ფეხი არ დაედგა და იქაურობა არ ენახა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის პარიზის მკვიდრად ითვლებოდა და აქ დიდხანს ცხოვრობდა. მარე ლატაკთა, საბრალოთა და განკიცხულთა მთავარი უბანი იყო. სწორედ მარე ქმნიდა საშინელ კონტრასტს პარიზის თავბრუდამხვევ ფუფუნებასა და ამაზრზენ სილატაკეს შორის, რომლის შესახებ იგი თავდაიწყებოდა ელაპარაკებოდა კნენიანას ხან თვლით ნანახის და ხანაც პრუდონის ახლადგამოსული წიგნის მიხედვით.

4. საშინალი სიყვარული

— რას უჩვენებენ თეატრებში? — იკითხა ერთმა.

— თი რას: 1. სიმფონია, 2. სახელგანთქმული სკრიბის პიესა, 3. სიმფონია, 4. მრავალნაყოფიერი სკრიბის ახალი პიესა, 5. სიმფონია, 6. ტრონიელი ცეკვები, 7. ახალი კომედა

ორ მოქმედებად, სკრიბადან ვადმოთარგმნილო, მ. სიმფონია...

— ემარა, ემარა, ლუთის გელისათვის!

მარიანო ხოზე დე ლარა, „მადრიდის ცხოვრება“.

კენინა გოსტამაბიშვილი, თავის მხრივ, ყურადღებით უსმენდა ვახტანგ ტაშირელს, მაგრამ ირონიულ ღიმილს ვერ მალავდა, როცა მისი ახალგაზრდა მეგობარი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. პოლიტიკისა და პოლიტიკოსების მიმართ კენინა სკეპტიკურად იყო განწყობილი.

ერთხელ რომელიღაც ბანკეტიდან დაბრუნებულმა ტაშირელმა კენინას აღტაცებით უთხრა:

— პარიზში ახალი რევოლუციის ევირაძალი დგება. ის, რაც იელისმა ვერ შეძლო, იმას ახალი რევოლუცია გააკეთებს!

კენინას ოქროსფერ თვალებში ირონიულმა ღიმილმა გაიელვა, თავის აზრში ღრმად დაჭრებული ადამიანის იერით წარმოთქვა:

— რევოლუციას ერთნი აკეთებენ, მისი შედეგებით კი სხვები სარგებლობენ.

— ეგ ცნობილი აზრია, — ფრთხილად შეედავა კენინას ტაშირელი, — მაგრამ ის, რაც მოხდა, იმას ველარაგინ ვერ შეცვლის. რევოლუციის იდეა ამ საუკუნეს წითელი ზოლივით გაჰყვება ადამიანთა შეგნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მტკიცედ ფესვგადგმული.

კენინამ გაიღიმა.

— იცით, ბატონო ვახტანგ, ვინ არის ამჟამად დემოკრატიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი?

ტაშირელი მას ყურადღებით მიაქეპრდა.

— ნაპოლეონი!

ტაშირელს არ გაჰყვირებია. რესტავრაციის პერიოდში და იელისის რევოლუციის შემდეგ ნაპოლეონის ავტორიტეტი განუზომლად იყო გავრდილი. მის პიროვნებას ჯადოქრული შარავანდე-

დით მოსაგდა ისიც, როცა ევროპის მონარქიული რეჟიმები მას ჰერკულესის ჯარისკაცს უწოდებდნენ. ეს დემოკრატიული ახალგაზრდობის აღფრთოვანებასა და თაყვანისცემას იწვევდა.

— ნაპოლეონის სახელი, კენინავ, — შთაგონებით უბასუხა ტაშირელმა, — თავისუფლების იდეალს უკავშირდება. აი, რამ აქცია იგი ახალგაზრდობის ეროპად!

კენინამ ისევ ირონიულად გაიღიმა.

— ეს ილუზიაა, ბატონო ვახტანგ.

— არა, არა. — არ დათმო თავისი აზრი და შეხედულება ტაშირელმა — ახალგაზრდობამ შესანიშნავად იცის რას ნიშნავს ნაპოლეონის სახელი და პიროვნება ისეთ დროს, როცა მტარვალნი კვლავ ფარფაშებენ!

კენინას უყვარდა ვახტანგის გაღიზიანება და გაბრაზება, ეს თითქოს კიდევ უფრო აახლოვებდა მასთან. ამიტომ არც ახლა დანიღო იგი და მოკლედ მოუქრა:

— დიახ, ილუზია, ლეგენდა!

— ლეგენდა?!

— დიახ, ლეგენდა! ისეთივე ლეგენდა, როგორც ის, რომ ეს კორსიკელი დედამ იმ ხალიჩაზე შობა, რომელზედაც ორი ხახადადებული ლომი იყო ამოქარგული. ასეთი ხალიჩა არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობდა ზეადამიანური ნაპოლეონი. იგი მხოლოდ თავისი გასაოცარი აღღოთი იყო დიდი. მოვლენების განვითარებას თავის მომხმელი ესაჭიროებოდა. ქალაქელ ბურჟუას, რომელმაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, და სოფლელ გლეხს, რომელმაც მიწა იგდო ხელთ, წესრიგის დამამყარებელი სჭირდებოდა. ასეთად ნაპოლეონი აღმოჩნდა თავისი ცნობილი კოდექსით.

— მართალი ბრძანებაა! — მყისვე დაეთანხმა ტაშირელი და ერთბაშად ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ამ აზრს ასე სხარტად და ორიგინალურად გამოთქვამდა არისტოკრატი ქალი, რომელიც უმთავრესად კარლისტებსა და რუს თავადებს შორის ტრიალებდა.

— მაგრამ ნუ გავიწყდებათ, კნენია, რომ ნაპოლეონი წამებულის ელვარებითაც არის შემოსილი. პოეტები მას ახალ პრომეთეოსად თვლიან, რომელიც მტარვალებმა წმინდა ელენეს კუნძულზე მიაჩაქვეს.

— ეგვე მითია და მეტი არაფერი. ტაშირელი მოიღუპა.

კნენიამ განაგრძო:

— მეგრ იცით ვინ შეთხზა ეს მითი?

— ვენის კონგრესის შედეგებმა. — უყუყუმანოდ უბასუხა ტაშირელმა.

— არა, თვითონ ნაპოლეონმა.

— რასა ბრძანებთ, კნენია! — გაუკვირდა ტაშირელს.

— დიას, თვითონ ნაპოლეონმა, წმინდა ელენეს კუნძულზე. ინგლისელების ტუსაღს მითი და ლეგენდა სჭირდებოდა, უფრო გასაგებად რომ ეთქვათ ზეადამიანურობა, რადგან ეს კორსიკელი აზნაური ადრე მეტისმეტად ადამიანური იყო. ისევე როგორც ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული ყველა ადამიანი, ნაპოლეონიც ძალიან სწირად იყო ყოფილი რადაც ყოფილი კორსიკელი, ყოფილი იაკობინელი, ყოფილი რთესპიერისტი, ყოფილი რესპუბლიკელი, ყოფილი კონსული, ყოფილი იმპერატორი. ნაპოლეონი მხოლოდ წმინდა ელენეს კუნძულზე უნდა დარწმუნებულიყო, რომ აშენდნ ყოფილს მარტო მითი წაშლიდა და მხოლოდ ლეგენდა უკვდავყოფდა მის სახელს.

ტაშირელი ახლა უკვე ინტერესით უსმენდა კნენიას, რომელსაც სახე სულ უფრო და უფრო ეღრუბლებოდა და დაფიქრებული ლაპარაკობდა:

— ვგონებ, ყველა ჭკვიანმა მბრძანებელმა კარვად იცის, რომ ხალხს არა მარტო კოდექსი უნდა მისცე, არამედ კერპიც. სწორედ აქაა, ბატონო ვახტანგ, ყოველგვარი მითის და ლეგენდის სათავე.

— ადამიანი უკეთესი ზედრის ღირსია, კნენია! — მეოცნების გატაცებით და მღვდვარებით წარმოთქვა ტაშირელმა. — მოწესრიგებულ საზოგადოებაში, მჭერა და მწამს, ადამიანი გაცილე-

ბით უკეთესი იქნება, ვიდრე აქამდე იყო და არის.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას.

საჩქაროდ დაამთავრა საუბარი კნენიამ, რომელიც ცხოვრებასაც და ადამიანთა ურთიერთობასაც სექსტუკურად უყურებდა, მაგრამ ამავე დროს პატივს სცემდა ვახტანგ ტაშირელის უკეთესი მომავლისადმი შეუღრეკელ რწმენას და მის ოპტიმისტურ განწყობილებას. ამ თვალსაზრისით თავისთან შედარებით მას ბედნიერ ადამიანად თვლიდა.

ისინი ერთად დაიარბოდნენ კონცერტებზე და გამოფენებზე. მოსმენილისა და ნანახის გამო ორთავეს ერთი და იგივე შთაბეჭდილება რჩებოდა. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი მელაგნდებოდა მუსიკაშიც, მწერლობაშიც და მხატვრობაშიც. სალონში გამოფენილ ტილოებზე მთავარი ყურადღება რელიგიურ სიუჟეტებს და ბიბლიურ პერსონაჟებს ეთმობოდა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ წინასწარმეტყველთა თავგადასავლის, ქრისტეს ვსებებისა და წმინდანთა მარტივლოებების მონაწილეებს სააქციო საზოგადოებების ღირეჭტორების, რანტიების, კომერსანტების და კლერკების გამომეტყველება ჰქონდათ, როცა ეს აზრი ვახტანგ ტაშირელმა კნენია ვოსტაშაბიშვილს გაანდო, მან ღმილით ფოხრა:

— თქვენი შთაბეჭდილება ორიგინალური არაა, ბატონო ვახტანგ. ის, რაც თქვენ ეხლახან თქვით, თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში აღნიშნა და „აუტს-ბურგერ ალგემინე ცაიტუნგში“ დაბეჭდა ჰაინრიხ ჰაინემ. პო, თანამედროვე მხატვრები რელიგიას მეტ ყურადღებას აქცევენ, რელიგიურ სიუჟეტებს იმისთვის იყენებენ, რათა მონარქიის დაცვის საჭიროება სურათებზე აღბეჭდონ, ოღონდ მხედველობაში ყოველთვის თანამედროვე ბანკიერები ჰყავთ. ერთი სიტყვით, მონარქიის გადარჩენა ეხლა რელიგიური ალტყინების საშუალებით სურთ. ეს აზრი ასულდგმულეს ყველა იმ მხატვარს, რომელთა სურათები აქ არის გამოფენილი. ვგონებ, ამასვე

ციდილობს დელაროში. ეს მხატვარი დაუსრულებლად მხოლოდ საფრანგეთის და ინგლისის სიკვდილით დასჯილი მეფეების და დედოფლების სურათებს ხატავს. არა, ეს სურათი სიბრაველის გამოსაწვევად როდი არის და ხატული, ისინი ეშაფოტზე აყვანილი მეფეების და დედოფლების გასაოცარ მხნეობას და წარბშეუხრელ თავდადებას მოგვითხრობენ, თუმცა იმავე დელაროშის ერთ-ერთ სურათში ლუი XVI ეშაფოტზე ისე კვდება, როგორც უბრალო და საწყალობელი ბურჟუა. ალბათ მხატვარს ამ შემთხვევაში არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულობა, რადგან ცოცხალი ლუი XVI გილიოტინის გვერდით ეხლაც ბევრს ახსოვს. აი, თუნდაც ჩემს მეეტლეს. რაღა მეტი გავაგრძელოთ, ამ მხატვრების სურათებიც და ლორეტის ლეთისმშობლის ტაძრის აგებაც ფულის მფლობელთ, ნაპოლეონის კოდექსთან და ივლისის რევოლუციის შედეგებთან ერთად, მხოლოდ ბურჟუაზიული წესრიგისათვის სჭირდებათ. ეს არის და ეს, ბატონო ვახტანგ!

— თქვენ... თქვენ... ქალბატონო მაგდა... — ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა ძალზე აღელვებულმა ტაშირელმა, — ხალხს თითქმის არ იცნობთ... საოცარია, პირდაპირ საოცარი, საიდან გაგიჩნდათ ეს მართებული აზრი...

საზოგადოებაში მუდამ უკმეხ კნენია გოსტაშაბიშვილს არ სწყენია, წყნარად მოაბრუნა ტაშირელისაკენ თავი და თითქმის აღერსიანად უთხრა:

— ბალზაყის რომანებიდან!

ტაშირელმა მის კიაფად ნათქვამში აღერსიანი კილოს მაგიერ პილიპილიანი ირონია აღმოაჩინა, შეცბუნდა, დაიბნა, გაწითლდა. კნენიას შეეცოდა, მკლავი მკლავში გაუყარა და იმ სურათს მოაშორა, რომელზედაც ჯვარცმის ნიშანი იყო გამოსახული.

— ამას წინათ, ბატონო ვახტანგ, — ხმადაბლა, სულ ხმადაბლა გადაუღაპარა კნენიამ, — დიდხანს გიყურებდით, თუ როგორი აღტაცებით შესცქე-

როდი დელაკრუას თავიქველვებში ქალღმერთს. დელაკრუა უნდა იყოს მხატვარია, მაგრამ თუ ახალი რევოლუცია მოხდა, როგორც თქვენ ხშირად ამბობთ ხოლმე, ბატონო ვახტანგ, დელაკრუა ხელს არ გაანძრევს, თითქმის არ დააკარებს; ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ვახტანგ.

ვახტანგ ტაშირელი ისე უცნაურად შეტოვდა, რომ კნენიას სიცილი მოუხდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისეთაირად მიეკრო მას, როგორც ამას არცერთ მამაკაცთან არ სჩადიოდა.

ტაშირელი თანდათან გონზე მოდიოდა და მის ცნობიერებაში მხოლოდ ერთი აზრი მწიფდებოდა: „არა, არა. ეს კეთილი და გონებანათელი ქალი ცინიკოსი არ არის. მის გარშემო საშინელი სიცილივლე არის გამეფებული და ამას, აშკარად ჩანს, მტკივნეულად განიცდის“.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აზრთა წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა მათი მეგობრობის საფუძვლად იქცა.

#### 5. ორი მკვლავი

— გიყვართ თქვენ მუსია, ბატონო?

— ძალიან — უპასუხა ეფენმა.

ონორე დე ბალზაყი, „მამა გორიო“

კნენიანა გოსტაშაბიშვილს მოსწონდა ახალგაზრდა ტაშირელი. ჭეროვნად აფასებდა ევროპულად აღზრდილი და განსწავლული ყმაწვილის ცოდნასა და განათლებას. მან ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ვახტანგი არაჩვეულებრივად მორცხვი, მორიდებული და მოკრძალებული ახალგაზრდა იყო. ამიტომ მას ჭერ მფარველობითი გრძნობა გაუჩნდა მისდამი, უფრო გვიან კი ეს გრძნობა მეგობრულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა. სწორედ ამის შედეგად გაიღო ვახტანგ ტაშირელისათვის კნენიანა გოსტაშაბიშვილის სახლის კარი.

ისინი ხშირად ზედმოდუნენ ერთმანეთს. დიდხანს საუბრობდნენ განმარ-

ტოებით მსხდარნი. ვახტანგი მაგდას ზოგჯერ ქართველი ემიგრანტების ისტორიას უყვებოდა, აღნიშნავდა მათი მოღვაწეობის მნიშვნელობას მოსკოვსა და პეტერბურგში, აცნობდა მათს პოლიტიკურ შეხედულებებს და ლიტერატურულ ინტერესებს. ქართველი ემიგრანტები უსაქმოდ არასოდეს არ მსხდარან, ეუბნებოდა ვახტანგი მას. ბევრი მათგანი ან წიგნის დამწერი იყო, ანდა წიგნის ვადამწერი. მაგრამ არც საქართველოს ისტორია და არც ქართული ენციკლოპედია, აღტაცებით განაგრძობდა ვახტანგი, მოწყენილობის გასაქარვებლად და თავის გასართობად არ იწერებოდა რუსეთში. ყველაფერი ამას, დასძენდა იგი, სრულიად გარკვეული მიზანი ჰქონდა: ქართველი ხალხის გაეფროპიელება, საქართველოს განათლებულ ევროპასთან დაკავშირება.

მაგდა ყურადღებით უსმენდა ვახტანგს. ამ დროს მას საკუთარი მამა აგონდებოდა. ეს კიდევ უფრო აახლოვებდა მას მოსკოველ აზნაურთან. ორივენი ქართველი ემიგრანტების შთამომავალნი იყვნენ, ორივენი რუსეთში დაბადებული და აღზრდილი. მაგრამ ორივე თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წინაპრები ასი წლით წინათ იყვნენ რუსეთში საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ გადასულნი. მხოლოდ ახლა, ვახტანგ ტაშირელთან საუბრების დროს, ხედებოდა კნენა გოსტაშაბიშვილი ამის მიზეზს. მისთვის ახლა ცხადი ხდებოდა ისიც, რომ მისი მამა თავადი დავით სავარსამიძე მთელი თავისი არსებით სამშობლო ქვეყანასთან იყო დაკავშირებული, მისით სულდგმულობდა, მის აწმყოზე დაფიქრებული და მისი მომავლით გატაცებული. ამიტომ იგროვებდა თურმე იგი ქართულ ხელნაწერს და ნაბეჭდ წიგნებს, ამიტომ მწიგნობრობდა და სხვებსაც აქეზებდა, რათა ქართულად გადაეთარგმნათ, რაც კი ახალი და მნიშვნელოვანი იყო ევროპულ მწერლობაში, მეცნიერულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში.

კნენა გოსტაშაბიშვილს ახსენდებოდა თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკის ქართულად გადათარგმნილი წიგნების ავტორები: რასინი, კორნელი, ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, მარმონტელი, ფენელინი, ფლორიანი, მილტონი; რუსი პოეტებიდან და მწერლებიდან: ლომონოსოვი, ხერასკოვი, დერჟავინი, ხემნიცერი, კარაშინი. ყველაფერი ეს, რწმუნდებოდა კნენა, მოწყენილი ადამიანების ნამოღვაწარი კი არ იყო, არამედ საკუთარი ხალხის და ქვეყნის ბედნიერებისათვის მოჭირახულე, მზარუნველი და თავდადებული მამულიშვილების შემოქმედება. სწორედ ამის დადასტურებას და დამტკიცებას ცდილობდა ახალგაზრდა ტაშირელი, როცა კნენა გოსტაშაბიშვილთან საუბრების დროს ქართულად გადათარგმნილ სხვადასხვა წიგნებს ასახელებდა.

კნენამ თავის ახალგაზრდა მეგობარს თავად დავით სავარსამიძის ბიბლიოთეკის კარი გაუღო. ვახტანგ ტაშირელი სიხარულით ცას ეწია, როდესაც ქართული წიგნებით გავსებულ დიდ ოთახში მოხვდა. მისი გულწრფელი აღტაცებით მოხიბლულმა მაგდამ გადაწყვიტა მისთვის ყველაფერი ეწვენიებინა და გაეცნო თვით თავად სავარსამიძის იხტიმური დღიური და კერძო წერილებიც კი.

თავად დავით სავარსამიძის საწერა მაგიდის უკრაში მისი დღიური ინახებოდა. იქვე ელაგა რუსეთიდან მისთვის გამოგზავნილი წერილები. ამ უკრის გასაღები კუთხეში დასვენებული ღვთისმშობლის ხატის უკან უბრალო ლურსმანზე იყო ჩამოკიდებული. მაგდა დროდადრო მამის დღიურს კითხულობდა, კერძო წერილებს კი ხელუხლებლად ინახავდა ისე, როგორც ისინი თავის დროზე მის მამას დაეტოვებინა. მათი შინაარსი მაგდამ არ იცოდა.

მხოლოდ ახლა მოინდომა მან მათი წაყითხვა ვახტანგ ტაშირელის თანდასწრებით. ამ გადაწყვეტილებამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა, თუ რამდენად



ახლობელი იყო უკვე მისთვის ეს მოსკოველი ახალგაზრდა აზნაური.

როცა კნენამ წერილებს შორის ქართულად გადაკეთებული რილევის ლექსები აღმოაჩინა, ვახტანგ ტაშირელს თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებულმა წამოიძახა:

— მაშ, მამათქვენი, თევადი დავით სავარსამიძე დეკაბრისტი იყო?

— მამაჩემი ბევრ დეკაბრისტს იცნობდა. — მიუფო კნენა გოსტაშაბიშვილმა. — მათგან ხშირად მოსდიოდა წერილები და თვათონაც წერდა მათ წერილებს. თუ ვაინტერესებთ, მათ საუბრებს ამ წერილებში იპოვნით.

კნენა გოსტაშაბიშვილი წერილების კითხვას შეუდგა. იგი საწერ მაგიდასთან მამისეულ ვოლტერის სავარძელში იჯდა. წერილებს ხმამაღლა კითხულობდა იმ თანამიმდევრობის მიხედვით, როგორადაც ისინი მაგიდის უკრაში ელაგა. ვახტანგ ტაშირელი ფეხზე იდგა და ასე უსმენდა თავად დავით სავარსამიძის ასულს.

ქართველი ბატონიშვილების წერილები პეტერბურგიდან იყო გამოგზავნილი, უცნობი მგზავრის ხელით. ჩვეულებრივ მოკითხვასა და პეტერბურგის ბალ-მასკარადების აღწერაში ყრუდ იყო ჩართული რაღაც მნიშვნელოვანი რამ, რაც მალე საქართველოში უნდა მომხდარიყო. წერილის დასასრულს ქართველი ბატონიშვილები თავად დავით სავარსამიძეს თხოვდნენ მათი შიკრიკისათვის იმდენი ფული გადაეცა რამდენსაც შეძლებდა, თვითონ კი დაუყოვნებლივ გამგზავრებულყო საქართველოში. კნენა ვერაფერს მიხვდა, ტაშირელს მიაჩერდა და გაკვირვებით წარმოთქვა:

— მაშ, მამაჩემი ბატონიშვილების რჩევით წავიდა საქართველოში? მაგრამ რატომ ან რისთვის? ან რისთვის თხოულობდნენ მისგან ფულს ბატონიშვილები?

— როდის არის დაწერილი წერილი, კნენა? — ჰკითხა ტაშირელმა.

— 1828 წელს. სწორედ ამ წელს დაიღუპა მამაჩემი ახალციხისათვის მებრძოლაში.

— თქვენც ამ წელს მოხვდით საქართველოში, კნენა?

კნენამ თავი დაუქნია.

— მამათქვენს თავად დავით სავარსამიძეს არაფერი უთქვია თქვენთვის საქართველოში გამგზავრების მიზეზებზე?

— იმ დროს ცამეტი წელი მისრულებოდა. — უპასუხა კნენამ. — მამაჩემს ძალიან ვუყვარდი, მაგრამ, ეტყება, იმდენად პატარად მოვლიდა, რომ საჭიროდ არ ჩათვალა ჩემთვის საქართველოში წასვლის მიზეზი გავგებინებინა.

ვახტანგ ტაშირელი ჩაფიქრდა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდა და მოაგონდაო, აღელვებით წამოიძახა:

— 1832 წელს საქართველოში შეთქმულება მოხდა.

— ვაიცი. იმ დროს მე თბილისში ვცხოვრობდი. — თქვა კნენამ.

— ამიტომ, — განაგრძო ტაშირელმა, — შეიძლება ვთქვაოთ, რომ თავადი სავარსამიძე შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას აპირებდა. ბატონიშვილებიც ფულს ალბათ შეთქმულების მოსამზადებლად თხოულობდნენ. ეხლა არ მივირის, რომ მამათქვენმა საქართველოში წასვლის ნამდვილი მიზეზი არ გავიმხილათ. რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასაგდება თქვენი მცირეწლოვანობაც და შეთქმულების საიდუმლოებაც. ერთი რამ მაინც გამოსარკვევი რჩება, კნენა. როგორ უნდა შევეთანხმოთ თავად სავარსამიძის რესპუბლიკური შეხედულებები შეთქმულების მიზანს? შეთქმულებს ხომ მეფობის აღდგენა სურდათ საქართველოში?

— ეს გასაოცარი არ არის, ვახტანგ.

— წყნარი ღიმილით მიჯგო კნენამ, — მამაჩემი რაღაცნაირად იყო დაკავშირებული ქართულ ამბებთან და საქართველოსთან. თუმცა ისიც, როგორც ყველა, ათასნაირი წინააღმდეგობით გამოი-



რჩეოდა. მე, მაგალითად, მონასტრის კათოლიკურ სკოლაში ვსწავლობდი, გამდელი კი მართლმადიდებლურად მაწერიებდა პირველად. ამავე დროს მამა რუსოს მიხედვით მზრდიდა ბუნების მაგალითებით. ვოლტერს თაყვანს სცემდა, მაგრამ აგერ იმ ღვთისმშობლის ხატს ისე არ ჩაუვლიდა, რომ პირველად არ გადაეწერა, თუმცა არც ღრმად მორწმუნე იყო და არც ცრუმორწმუნე.

— მაგრამ დღიურის ფურცლების მიხედვით თავადი საგარსამიძე აშკარად რესპუბლიკელი ჩანს!

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მამაჩემი რესპუბლიკელად დარჩა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას, ვფიქრობ, მაინც მონაწილეობა უნდა მიეღო ქართულთა შეთქმულებაში, რომლის მონაწილეთა შორის, ადვილად შესაძლებელია, სხვა რესპუბლიკელებიც იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთ ვიცი, რაც აწუხებდა მამაჩემს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, ვახტანგ, ისინი ვარდებიან, ვისაც მოქმედება სწყურია, მაგრამ მოქმედების სარბიელს მოკლებულია. — კნეინა ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა. — იმედის გაცრეება ზშირად რწმენის დაკარგვით მთავრდება.

— ეგ რაზე ბრძანეთ, კნეინა? — ფრთხილად შეაპარა სიტყვა ტაშირელმა.

კნეინამ ნაღვლიანად გაიღიმა და სევდიანად განაგრძო:

— ასე მგონია და ყოველთვის ასე ვფიქრობ, რომ მამაჩემის გულჩათხრობილობის მიზეზი რწმენის დაკარგვა იყო. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მაგონდება, თუ როგორ იმოქმედა მასზე დეკაბრისტთა აჯანყების დამარცხებამ. სულერთიანად შეიცვალა, დადარდიანდა, განმარტოვდა, მღუმარე და გულჩათხრობილი ვახდა. ბევრს მოგზაურობდა, რადგან ერთ ადგილზე ვაჩერება არ შეეძლო. ახლა კარგად ვხვდები და კარგად მესმის რატომ გადადიოდა მამაჩემი ქალაქიდან ქალაქში, რატომ

ხეტიალობდა დაუსრულებლად. სწორედ ამ დროს უნდა გასჩქნოდა მას საქართველოში გამგზავრების სურვილი. ბატონიშვილების წერილს მხოლოდ უნდა დაეჩქარებინა ეს განზრახვა, მას მუდამ მოქმედება სწყუროდა, ბუნებით მოძრავსა და დაუდგრომელს. მოქმედების სარბიელი კი, როგორც ჩანს, მისთვის მხოლოდ საქართველოში იყო, რადგან რუსეთში დაბრუნება არ უნდოდა, აღარც ევროპაში უდგებოდა გული. დამეთანხმებით, ვახტანგ, რომ თვით განათლებულ ევროპაში ბევრს ისეთ რამეს ვნახულობთ და ვამჩნევთ, რაც ჩვენ უკეთეს მომავლისადმი რწმენას გუჯარგვინებს. იცოდეთ, ვახტანგ, ეს მამაჩემის დღიურიდან ამოკითხული სტრიქონებია. მისი დღიური კარგად შევისწავლე, რადგან ამ ქვეყნად არავინ ისე არ მყვარებია, როგორც მამა მიყვარდა. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ჩემს აღმზრდელად სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, აღბანი ცხოვრებას ამ უკუღმართ წუთისოფელში ისევე ავიტანდი და გავუძლებდი, როგორც სხვა მდიდარი და განებზერებული ქალები იტანენ. მერწმუნეთ, ვინც მეტი იცის, მეტადაც იტანჯება. სენტიმენტალური ფრაზაა, მაგრამ სრულებით არ მრცხვენიათ ეს იმ ადამიანთან ვთქვა, რომელმაც კვლავ დამიბრუნა ძვირფასი მოგონებები და ერთხელ კიდევ გამახსენა ის, ვინც ჩემი არა მარტო მშობელი, არამედ ერთადერთი მეგობარიც იყო ამ ბედკრულ ცხოვრებაში.

ტაშირელი სულგანაბული უსმენდა მაგდას. მისთვის სავსებით მოულოდნელი იყო ის, რასაც ახლა მას მედიდურობით და ამპარტავნობით განთქმული კნეინა ეუბნებოდა. ტაშირელისთვის არც იმის მიხვედრა იყო ძნელი, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი არა მარტო საყუთარ მამაზე, არამედ საყუთარ თავზეც ლაპარაკობდა. იგი მის წინაშე გულწვიადი კნეინას ნიდაბს იხსნიდა, რათა მისთვის ადამიანთა ურთიერთობაზე დაკვირვებული, ცხოვრებაში ჩახე-

დული და ცხოვრების ორომტრიალზე დაფიქრებული გულაზრიანი და გულ-ნალგლიანი ქალი ეჩვენებინა. მხოლოდ ახლა დარწმუნდა ტაშირელი, თუ რამდენად მახლობელი იყო იგი კენიან გოსტაშაბიშვილისათვის, დარწმუნდა და აღელდა. თვალები აუწყლიანდა. კენიანამ მისი მღელვარება შეამჩნია, ხელი აღურსიანი ღიმილით გაუწოდა. ტაშირელი მის გამოწვდილ ხელს ცხარედ დაეკონა და მოწინებით ეამბორა. იმ დღიდან ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ.

## 6. თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკა

მისი მამის ბიბლიოთეკის გასაღები მის ხელთ იყო. ბიბლიოთეკა უპირატესად XVIII საუკუნის ნაწარმოებებისაგან შედგებოდა.

### ა. პუშკინი, „როსლანდელი“

კენიან ფეხზე წამოდგა, ტაშირელს საწერი მაგიდის უჯრის გასაღები უჩვენა და უთხრა:

— ეს გასაღები ლეთისმშობლის ხატის უკან ლურსმანზეა ჩამოკიდებული, ვახტანგ, როცა კი მოისურვებთ, ყოველთვის შეგიძლიათ უჯრა გააღოთ და წერილები წაიკითხოთ. მე კი დღეს მეტი აღარ შემიძლია.

მან თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკიდან მხოლოდ „ევგენი ონეგინის“ პირველი კარის პირველი გამოცემა გაიტანა წასაკითხად.

ვახტანგ ტაშირელი უფრო ხშირად იმ ოთახში იჯდა, სადაც თავად სავარსამიძის ნაწერები და წიგნები იყო დაცული. თავადის ბიბლიოთეკაში მან ბევრი ძველი ხელნაწერი წიგნი აღმოაჩინა და დაუყოვნებლივ შეუდგა მათ გადაწერას. უხაროდა, რომ პარიზში „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების და სხვა ძველი ქართული თხზულებების ვარიანტებს პოულობდა. თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკა მისთვის ამ მხრივაც საყურადღებო იყო და გატაცებით მუშაობდა.

შავდა ხელს არ უშლიდა. იმ ოთახში

საერთოდ აღარ შედიოდა, არც თავადი ან დუყაფარი აწუხებდა. მას, თავად მთელი დღით იყო ხოლმე დაკარგული. ლათინურ უბანში ერთი ბერძენის რესტორანში იჯდა, პილპილიან საქმელებს შეექცეოდა და თან ცალი თვალი კარებისკენ ექირა, გულგადაღებული უცდიდა თბილელი ვაჭრების გამოჩენას. დარაკი ქართულის მცოდნე ვაჭრები მეტად იშვიათად მოდიოდნენ, გულს აღმოსავლურად მოსადილე ლევანტის ვაჭრების ყურებით იოხებდა.

ვახტანგ ტაშირელს მხოლოდ ზანდაროვის დაეთრის შედგენა ართმევდა დროს. მაგრამ ბოლო ხანებში გრიგოლ ზანდაროვი დიდი ხნით ხან ლიონში იყო, ხან მარსელში. ეს ვახტანგს საშუალებას აძლევდა მთელი დღე გოსტაშაბიშვილების სახლში გაეტარებინა და თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში თავაუღებელი ემუშავა.

ზოგჯერ შავდა მას მზრუნველი მეგობრის კილოთი მოაგონებდა ხოლმე.

— გეყოფათ, ვახტანგ, კმარა, ამდენი მუშაობა დაგდლით.

ვახტანგი კი ყოველთვის ერთსადაიმევე პასუხს აძლევდა:

— რასა ბრძანებთ, კენიან! თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში იმდენი საინტერესო წიგნია, რომ ყველა ქართველის მოვალეობაა მათი აღწერა და აღწესება. აქ ხომ ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნამდვილი საუნჯეა! მხოლოდ ასეთი წიგნებით შეიძლება თვალი გავუსწოროთ წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც.

ვახტანგ ტაშირელი არ იღლებოდა, რადგან გატაცებით და სიყვარულით მუშაობდა თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში. სხვადასხვა დროის მრავალნაირი ხელნაწერის კითხვა მას სულ უფრო და უფრო არწმუნებდა, რომ ქართველ ემიგრანტებს ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოებები, ისტორია და ლიტერატურა, პოლიტიკური და ეკონომიური ტრაქტატები. მეცნიერული ნაშრომები და ენციკლოპედიები სრუ-

ლიად გარკვეული მიზნისათვის სკირ-  
დებოდათ — სამშობლოს აღორძინები-  
სა და განვითარებისათვის.

ახალგაზრდა ტაშირელს თავლები სი-  
ხარულისაგან უბრწყინდებოდა, როცა  
რომელიმე ავტორის ნააზრევში რესპუ-  
ბლიკური იდეების ამჟარა მქადაგე-  
ბელს პოულობდა.

ხელნაწერების გულდასმით შესწავ-  
ლის საფუძველზე იგი ადვილად ახერ-  
ხებდა კავშირის დამყარებას ქართველ  
ვოლტერიანებს, ბონაპარტიანებსა და  
რესპუბლიკელებს შორის. ვახტანგ ტა-  
შირელი იმასაც ამჩნევდა, რომ ქართ-  
ველების ვოლტერიალობაც, ბონაპარ-  
ტიანობაც და რესპუბლიკელობაც რუ-  
სეთსა და დას. ევროპაში განვითარე-  
ბული მოვლენებით იყო ნაკარნახევი და  
სრულიადაც არ წარმოადგენდნენ მწიგ-  
ნობრული დაინტერესების ნაყოფს. ამას  
მორწმობდა ხელნაწერთა თარიღები. მის-  
თვის გასაგები ხდებოდა. ნაპო-  
ლეონის პიროვნებით გატაცების მი-  
ზეზიც XIX საუკუნის დამდეგს. მაგ-  
რამ მაინც აკვირვებდა ნაპოლეონის  
ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან და-  
კავშირებულ ქართულ ხელნაწერთა სი-  
მრავლეს. აღელვებდა ხელნაწერში და-  
მრწმელებული სიტყვები: რესპუბლიკა  
„განაბრწყინებს ფრანციას“. ამავე  
დროს, მას არც ის რჩებოდა შეუმჩინე-  
ვლი, რომ „ახალი მოვლენების“ გადმო-  
ცემისას, ახალ ფორმასა და ტერმინო-  
ლოგიაში, მარჯვედ იყო გახვეული რეა-  
ქციული და პროგრესული აზრის მიმ-  
დევართა შეხედულებანი. სრულიად  
სხვადასხვა და ერთმანეთის გამომრიც-  
ხველი პოლიტიკური მიზანდასახულო-  
ბანი. ერთნი მეფობის აღდგენას მოით-  
ხოვდნენ საქართველოში, რადგან მათ-  
თვის მიუღებელი იყო „ფრანგული ყაი-  
დის რესპუბლიკელობა“, მეორენი, პი-  
რიქით, რესპუბლიკის გამარჯვებას უკა-  
ვშირებდნენ სამართლიანობის დამყარე-  
ბას. მათი აზრით, მხოლოდ თავისუფალი  
აღამიანების ქვეყანა შეიძლება

ყოფილიყო კემშირითად ფეფისუფული,  
ასეთებს ეკუთვნოდა თეფიფიფიფიფიფიფიფი  
ვით სავარსამიმე.

ვახტანგი დიდის ინტერესით კით-  
ხულობდა თავადის დღიურს. აღტაცე-  
ბაში მოჰყავდა თითქმის ყოველდღიუ-  
რი ჩანაწერების აზრებსა და შეხედუ-  
ლებებს. ისევე როგორც ბევრ ქართ-  
ველ მწიგნობარს, თავად სავარსამიმე-  
საც საესებით ჰქონდა შეგნებული მნი-  
შენლობა იმ ცვლილებებისა, რომლი-  
თაც „შეინიშნა დაბოლოება მეთვრამე-  
ტე საუკუნისა“. ისიც გატაცებით ეწა-  
ფებოდა და სწავლობდა მათემატიკას,  
ფიზიკას, ქიმიას, მედიცინას, ბუნების-  
მეტყველებას, ევროპულ სამართალს და  
პოლიტიკურ ეკონომიას. ყველაფერი ეს  
ქართულად იყო გადათარგმნილი და  
ფართოდ გავრცელებული. უკვე XVIII  
საუკუნეში გადაითარგმნა ქართულად  
ფლორინოვის „ეკონომია“ და დევერის  
„პოლიტიკური ეკონომია“. ეს წიგნები  
თავად სავარსამიმის ბიბლიოთეკაშიც  
იყო დაცული. ტაშირელი მეცნიერის  
გულმოდგინებით და ყურადღებით ფუ-  
რცლავდა ბაგრატ ბატონიშვილის „საო-  
ჯახო ეკონომიას“ და, სხვადასხვა ტექ-  
სტების ერთმანეთთან შეჯერებით, აღ-  
ვილად პოულობდა იოანე ბატონიშვი-  
ლის „კალმასობის“ იმ ადგილებში წყა-  
როებს, რომლებიც, თავის მხრივ,  
სხვადასხვა ეკონომიურ ტრაქტატებზე  
იყვნენ დამოკიდებული. ყველაფერი ეს  
მას საფუძველს აძლევდა იმის დასას-  
კვნელად, რომ ქართული ემიგრაციის  
მოღვაწენი თავიანთი სამშობლოს სა-  
მეურნეო აღორძინებაზეც ფიქრობდ-  
ნენ. მაშასადამე, თუ საშუალება მიე-  
ცემოდათ, აღნიშნავდა თავისთვის ტა-  
შირელი, თავიანთ ცოდნასა და გამოც-  
დილებას ქვეყნის საკეთილდღეოდ გა-  
მოიყენებდნენ.

ასეთ სურვილსა და მისწრაფებას  
ცხადად ადასტურებდა თავად დავით  
სავარსამიმის დღიურის ამადლევებელი  
ფურცლებიც.

დღიურის მიხედვით, თავადი სავარსამიძე ახლად დამდგარი საუკუნის ადამიანად გამოიყურებოდა. და ისიც ამკარა იყო, რომ მას მძაფრად აწუხებდა ამ საუკუნის ტყვიულები. „ძრწოდნენ მტარვალნი“ ჩაწერილი იყო მის დღიურში 1819 წლის 23 მარტს, სწორედ იმ დღეს, როცა სტუდენტმა ზანდმა კოცებუ მოკლა. იმავე წლის აგვისტოში, როცა მეტერნიხის ხელმძღვანელობით კარლსბადის თათბირზე პრუსიის თავისუფლება შეიზღუდა და უნივერსიტეტებზე მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა, თავადი სავარსამიძე წერდა: „მტარვალნი უძლურნი არიან და არ ძალუქთ ისტორიის ჩარხის ტრიალა შეაჩერონ. გერმანიაშიც ის მოხდება რაც ფრანციაში მოხდა, რუსეთშიც ის მოხდება, რაც გერმანიაში ხდება“. ტაშირელი დიდხანს დაფიქრებული დასცქეროდა თავად სავარსამიძის დღიურის უკანასკნელ ფურცელს, რომელიც 1828 წლით იყო დათარიღებული. ამ ფურცელზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იყო დაწერილი: „რესპუბლიკელები აღვილად შეიძლება მოურთივნენ თვით მონარქისტებს, თუ საქმე საერთო ძალით თავისუფლების აღდგენას ეხება“. ამ სიტყვებმა ერთბაშად გასაგები გახადა თავად სავარსამიძის ქართველ თავდაზნაურთა შეთქმულებაში მონაწილეობის მიზეზი. ტაშირელი გუშანით იმასაც ხედებოდა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი რადაცნაირად უნდა ყოფილიყვნენ დაჯავშირებულად დეკარისტულ მოძრაობასთან და პოლონელების აჯანყებასთანაც.

ამის დანამდვილებით გაგება მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა, სადაც ვახტანგ ტაშირელისთვის უცნობი მოღვაწენი ალბათ გაფაციცებით აღედევნდნენ თვალყურს ყველაფერს რაც კი მსოფლიოში ხდებოდა.

## 7. სავარსამიძის საშუადი უპირისპირება ნიკოლოზ ბაგრატიანს

ახლოდება ვადატრიალების დრო.

ა. ბაგრატიანი.

თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში მეშუაბამ, მისი დღიურისა და კერძო წერილების გაცნობამ ვახტანგ ტაშირელს საქართველოში წასვლის სურვილი აღუძრა. თავისი სურვილი მან კენიანა ვოსტაშაბიშვილს გაანდო. კენიანამ ლმობიერად გაუღიმა, მაგრამ არც ირონიას მოერიდა.

— შეთქმულებაში ხომ არ აპირებთ მონაწილეობას, ბატონო ვახტანგ?

კენიანს ირონიულმა შეკითხვამ ვახტანგ ტაშირელი დიდად გააკვირვა, რადგან ამით იგი არც საკუთარ მამას ინდობდა.

— შეთქმულება რატომ ახსენეთ, კენიან?

— არ ვიცი როგორ ვითხრათ, რადგან არ მინდა გაწყენილით შეთქმულებით იტალიელები ვერაფერს ხდებიან, მით უმეტეს, ვერაფერს გახდებიან ქართველები. გამოტეხილად რომ ვითხრათ, მე არც მამაჩემის საქციელს ვამართლებ. წინ, ეგონებ, კარგი მავალითი გაქვთ იმისათვის, რათა უბრალოდ არ გასწიროთ თავი.

ტაშირელმა მშვიდად მიუგო:

— მე შეთქმულებაში არ ვაპირებ მონაწილეობას, კენიან.

— მაშ, რა ვინდათ საქართველოში?

— ჩვენს ქვეყანას განათლებული ადამიანები სჭირდება. კენიან.

კენიან ირონიულად ახედა ფეხზე მდგარ ტაშირელს, მაგრამ მყისვე ისევ ლმობიერი გაუხდა სახე და დაუყვავებით უთხრა თავის ახალგაზრდა მეგობარს:

— განათლებული კაცი ახლა თბილისში ვერაფერს, ვახტანგ. დამიჯერეთ, რამდენიმე წელიწადი გავატარებ თბილისში და იქაურობას კარგად ვიც-

1 რადიკალური მიმართულებას რუსი ფრთხილბედი. ცხატა მოტანილია „პეტრაშვილისა საქმის მასალებიდან“.



ნობ. იქ არც ვაზეთია, არც თეატრი, არც ქუჩებია განათებული და ეტლსაც ვერსად ნახავთ. მე თვითონ პარიზში ხელახლად იმიტომ გამოვიქეცი, რომ წიგნი, თეატრი და მუსიკა მომენატრა.

ტაშირელმა კნენიას თავაზიანად შეუბრუნა სიტყვა:

— თქვენ საქართველოში გიცხოვრიათ, კნენია, და, რა თქმა უნდა, ჩემზე მეტი მოგეხსენებათ მის შესახებ. მაგრამ მერწმუნეთ, ის, რაც თქვენს დროს თბილისში არ იყო, დღეს შეიძლება უკვე არსებობდეს. თუ დღეს არა, ხვალ აუცილებლად იარსებებს. როცა მრავლად გვეყობა განათლებული ადამიანები, დამეთანხმებით კნენია, ვაზეთის, თეატრის, სკოლის და განათებული ქუჩების საპირობაც განსდებია. მაგრამ ვანა უკვე თქვენს დროს არ იბეჭდებოდა „თბილისის უწყებანი“? არა მგონია, ქართველთაგან არავინ ზრუნავდეს სულისა და გონების საზრდოსათვის. ერთი კარგი მაგალითი შემიძლია შემოგთავაზოთ. მოსკოვში ერთი ნაცნობი ქართველის ხელნაწერიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადამოვიწერე. ამ ლექსებს არაფერი აქვთ საერთო ძველ ლექსთწყობასთან. ახალია მათი ფორმაც, აზრის მოძრაობაც და შინაარსიც, ვანა ეს ზეურის მეტყველი არ არის, კნენია?

კნენია გოსტაშაბიშვილს თვალები გაუბრწყინდა, გულწრფელი აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ეგ ჩვენი ტატოს ლექსებია! კარგი ყმაწვილია...

— არ ვიცნობ, კნენია. ის კი ვიცი, რომ მის ლექსებს ბევრი გამოჩენილი პოეტი მოიწონებდა.

— ტატოს ლექსებიდან, — განაგრძო გახალისებულმა კნენიამ, — რაღაც რაღაცეები მზგონდებია, მაგრამ კარგად არ მახსოვს. ვერ წარმოიდგენთ, ვახტანგ, რანაირად მასიამოვნეთ და ვახაზრეთ, როცა ტატო ახსენეთ. ეს ყმაწვილი ყველას გვიყვარდა, თუმცა ყვე-

ლანი ვჯავრობდით, როცა ჩვენზე ხუმრობდა და ჭირჭილებდა.

— იქ ალბათ სხვებიც პოეტობენ, კნენია? — გაახსენა თავისი თავი ტაშირელმა კნენიას, რომელსაც მზერა გაუშტერდა და ეტყობოდა თბილისელი ნაცნობების მოგონებით იყო გაართული.

— რა თქმა უნდა. — გამოერკვა კნენია. — აი, მაგალითად, კურკა, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ქავჭავაძე, ქართველებში ყველაზე სახელოვანი და გავლენიანი კაცი... მაგრამ შეთქმულების შემდეგ ყველანი რუსეთის ქალაქებში გადაასახლეს და დაფანტეს არ ვიცი, რა ბედი ეწიათ მათ.

— მათი საქმის განმგრძობნი უეჭველად იქნებიან საქართველოში. — ისევ ღრმა რწმენით ალაპარაკდა ტაშირელი. — მეც ამიტომ მიმიწივეს სამშობლოსკენ გული. მინდა ჩემი პატარა ცოდნა და განათლება ჩემს ქვეყანას და ხალხს მოვახმარო. ეს ყველა განათლებული ქართველის მოვალეობაა. კნენია.

კნენიამ ცნობისმოყვარეობით შეხედა ტაშირელს და ჰკითხა:

— თქვენ, მაგალითად, ვახტანგ, რა უნდა ვაკეთოთ საქართველოში?

ტაშირელმა ბასუხი არ დაუგვიანა:

— მასწავლებლად დავდგები ან ვაზეთის თანამშრომელი გავხდები. შეიძლება სოფლის მეურნეობასაც მოვკიდო ხელი და გლეხებს რჩევა-დარიგებებით მივეშველო. არ ვიცი ჩემს ქვეყანას როგორ და რით გამოვადგები, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ არც თავს და არც შრომას არ დავუზოგავ.

— როგორც ჩანს, თქვენ მხოლოდ ვაჭრობასა და კომერციას არ კიდებთ ხელს. — სიცილით უთხრა მაგდამ. — ეტყობა, თქვენი და ბატონ ზანდაროვის გზები თბილისში გაიყრება.

— გრიგოლ ზანდაროვი... კნენია... — ენის ბორძიკით დაიწყო რატომღაც სხეწამოწითლებულმა ტაშირელმა, რაც კნენიას შეუმჩნეველი არ დარჩა და უსიამოვნოდ შეიკრა წარბი, — საინტერესო პიროვნებაა...

— პარიზელი ქალებისათვის ხომ არა?

გაიცინა მაგდამ და სცადა გულგრილი იერი მიეღო.

— არა... არა... კნენინა მაგდა... — აიწო და უარესად გაწითლდა ტაშირელი. — მე სულ სხვა რამ მჭონდა მხედველობაში. ბატონი ზანდაროვი, ამის შემჩნევა ძნელი არ არის, უფრო ევროპელი კომერსანტია, ვიდრე აღმოსავლეთელი სოფდაგარი. სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ საქართველოში ერეკლე მეფის დროება აღარ სუფევს.

— ეგ რუსული მმართველობის შედეგია.

— ეგეც, რასაკვირველია, გასათვალისწინებელი ვახლავთ. ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრება დაუდგა. გლეხი ეხლა იქ გულდამშვიდებით ამუშავენს მიწას, ვაჭარი უწიშრად ვაჭრობს, ხელოსანი ხელოსნობს. ქვეყანა წელში გაიმართა და დოვლათი ისევ დატრიალდა. განა ამისთვის არ ვიწყვიდით ხელს რუსეთისაკენ? ამისათვის არ ვთხოვდით შველას, დახმარებასა და მფარველობას? მაგრამ თუ ქვეყნის აღორძინებას საკუთარი ნიადაგი არა აქვს, იმას უცხო ძალა, ძალიანაც რომ მოინდომოს. ვერაფერს უშველის. მთავარი აზრი, რაც მე ჩემი წინაპრების და თავად საეარსამიძის ბიბლიოთეკის წიგნების კითხვიდან გამოვიტანე, ის არის, რომ მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრება, სპარსეთისა და ოსმალეთისაგან განთავისუფლება, განათლებულ და დაწინაურებულ ევროპასთან დაახლოება და დაკავშირება უზრუნველყოფდა ქვეყნის მომავალს, თორემ ქართველებს არც ისტორიული გამოცდილება გვაკლდა, არც ნიჭი და უნარი...

— მაგრამ ყველაფერი ეს რით და როგორ ხდის საინტერესოს ბატონ ზანდაროვის პიროვნებას? — ვეღარ მოითმინა მაგდამ და ვახტანგს სიტყვა შეაწყვეტინა.

— ამათ, კნენინა, რომ ცხოვრებას ალღოს უღებს და ისე იქცევა, როგორადაც ცხოვრების მიმართულემა უკარანახებს. მე ხომ მის მიერ ევროპის ქალქებში ნაყიდი საქონლის ნუსხებს

ვადგენ. ამიტომ კარგად ვიცი რას და რატომ გზანის ბატონი ზანდაროვი საქართველოში: ფორტეპიანოებს, ევროპულ ავეჯს, სარკეებს, ჭადებს, სამკაულებს, ქსოვილებს, სირაქლეშის ფრთით დამშვენებულ ქაღალის ქულებს. პოლანდიურ ხალათებს, ხელთათმანებს და თვით ხელსახოცებსაც კი. ასეთ რამეებს თბილისში მომხმარებელი რომ არ ჰყავდეს, ჩვენი გამოცდილი ვაჭარი არც თავს შეიწუხებდა და არც ფულს დახარჯავდა. მამასადამე ერთილა შეიძლება დავასვენათ, თბილისშიც გამდიდრებული მოქალაქენი ისევე ცხოვრობენ, როგორც პარიზის ბურჟუაზიული უბნების მდიდრები.

— არ მესმის, ვახტანგ, რა არის აქ გასაოცარი და გასაკვირველი? ასე იქცევა ყველა ვაჭარი, რათა რაც შეიძლება მეტი მოიგოს და მოიხვეკოს. არა მგონია ყველაფერი ეს ბატონ ზანდაროვს საინტერესო პიროვნებად ხდიდეს.

— ყველა დროს თავისი შესაფერისი ვაჭარი ჰყავს, კნენინა. მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა. მთავარი ისაა, ვინ როდის რითი ვაჭრობს.

— ჩემთვის გეკითხათ და გეტყოდით, ვახტანგ. უკვე ჩემს დროს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები ფორტეპიანოზე უკრავდნენ და ფრანგულად ტინებდნენ. ახალგაზრდა თავადის ასულები დეკოლტიანი კაბებით იმოსებოდნენ. მხოლოდ მანანა გერმანოზიშვილის მსგავსნი და ხნიერი კნენიები ატარებდნენ ქართულ კაბებს. ყველაფერი, რაც კი გაევროპიელებული ქალების და კაცების შესამოსად და ოთახების მოსართავად იყო საჭირო. იმ დროსაც ვაჭრებს ევროპიდან მოჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მჩვენებია ამის გამო საინტერესო პიროვნებად.

— თბილისელი ვაჭრებიდან მხოლოდ ბატონ ზანდაროვს ვიცნობ. კნენინა

— მე კი ცხენებზე და აქლემებზე შემსხდარი ვაჭრებიც მინახავს თბილისში. როდესაც პარიზის შემდეგ ამ მტკრიანსა და ტალახიან ქალაქში აღმო-



ჩნდებით, დარწმუნებული ვარ, ხელები ჩამოგცივიათ და ისევე მოსკოვში გაიქცევით საცხოვრებლად. ამის თქმას ჩემი საყუთარი გამოცდილება მამბედინებს, ვახტანგ.

ვახტანგი გაჩემდა. აღარაფერი თქვა. მაგდამ გამარჯვებულის იერით დაკეცა მარაო და ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ ტაშირელმა ის ხელის უნებლიე მოძრობით შეაჩერა და უთხრა:

— მე ჯერ არ მითქვამს რატომ შეჩვენება საინტერესო პიროვნებად ბატონი ზანდაროვი, ამიტომ არ მინდა ყალბი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, კნენია.

კნენიამ გაიცინა.

— არ ვიცი, ასე რატომ ირჩებით ბატონი ზანდაროვისათვის, ვახტანგ. ჩემთვის ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ თქვენ ბატონი ზანდაროვი არც მოგწონთ, არც თვალში მოგადით და არც პატივს სცემთ მას. თქვენი ხასიათის, აზრებისა და მიდრეკილებების ადამიანს არ შეიძლება საინტერესო პიროვნებად ეჩვენებოდეს ეს თავხედი ვაჟარი.

ტაშირელი დაიბნა, გაჩითლდა და ერთხანს ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა.

8. სინდანი სირიანის პირიანება

აქ ვახტანგ ერთი ბებერი რუსი სენატორი... სხვათა შორის გვითხრა რომილი არის აქო და პირდება რკინის ფხისათვის საქართველოში მე მოგცემთ ფულებსო... წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, პოი, როდის მომასწრებს ღმერთი, რომ ჩვენ ქვეყანას გზა ეშველოს.

გოგრა ერისთავი, „ჩემი მოგწაურობა ვერაპანი“.

როდესაც ვახტანგ ტაშირელი იბნეოდა და წითლდებოდა, კნენია გოსტამაზიშვილი მას ყოველთვის სიყვარულით უყურებდა და მზად იყო გადახვეოდა და გადაეკონა იგი. მას გულწრფელად უყვარდა ეს პატიოსანი, კეთილშობილი, მორცხვი და მოკრძალებული ყმაწვილი კაცი. მის თანაყოფაში ჩვეულებრივ გოროზი და მკაცრი სახე ღმობიერი უხდებოდა, ბაგზე კეთილი ღიმილი ღასთამაშებდა, თუმცა ამავე დროს მის

ოქროსფერ თვალებში მწვანედ განათებული ირონიის ნაბერწყლები კრავდნენ. მაგრამ სწრაფად ახერხებდა ირონიის ალაგმვას, რადგან მისდამი მეგობრულად იყო განწყობილი და ამ მეგობრობას არა მარტო ჯეროვნად აფასებდა, არამედ უფროთხილდებოდა კიდევ. გრძნობდა, რომ მის მონოტონურ, ერთფეროვან და აუმღვრეველ პირად ცხოვრებაში რაღაც ჯერ გაურკვეველი, მაგრამ ამაღლეგებელი ცვლილებები ხდებოდა და რომ საერთოდ მის ცხოვრებას ახალ მიმართულებას აძლევდა გრიგოლ ზანდაროვიც და ვახტანგ ტაშირელიც.

ახლაც მან ალერსიანად შეხედა ტაშირელს, მეგობრულად ჰკითხა:

— განა მე მართალი არა ვარ, ვახტანგ?

აღლეგებული ტაშირელი დიდხანს ხმას არ იღებდა. მერე განაწყენებულმა საყუედურით მიმართა კნენია გოსტამაზიშვილს:

— არავისთან არასოდეს არ მიძაგებია ბატონი ზანდაროვი, კნენია. არც ჩემი მისდამი დამოკიდებულების შესახებ მითქვამს ვინმესთვის რამე ოდესმე.

— მართალია, მართალი. — საჩქაროდ მიუგო მაგდამ, რომელსაც მარაოს სწრაფ მოძრაობაზე შეეტყო. თავის ნათქვამს უკვე ნანობდა.

ტაშირელი სივრცეს მიაჩერდა და ისე განაგრძო:

— ბატონი ზანდაროვი მე მხოლოდ იმ მხრივ მეჩვენება საინტერესო პიროვნებად, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ახალი დროების მათწყებელია, თავისდაუნებურად ახლის მკეთებელი და ახლისათვის მოღვაწე. ამ შემთხვევაში მის ადამიანურ ნაკლსა და ღირსებებს დიდ მნიშვნელობას სრულიადაც არ ვანიჭებ. ამიტომ, მერწმუნეთ კნენია, მას არც ვაძაგებ და არც ვაჭებ. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ბატონი ზანდაროვი სოვდაგარი კი აღარაა, არამედ კომერსანტი, რომელიც ახალ დროებას უქმნის ნიადაგს. ეს ჩემთვის უკვე მოსკოვში გახდა ცხადი, სადაც ბატონ ზან-



დაროვს პირველად შეეხვედი და გავიცანი. თვითონ გრიგოლ ხანდაროვს კარგად ესმის ფულის ძალაც და მნიშვნელობაც. ეს გაუნათლებელი, მაგრამ ევროპული გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი ზოგჯერ ისეთ აზრებს გამოთქვამს, რომ ვინ იცის რამდენჯერ განცდიფრებული დავრჩენილვარ. ამას წინათ რკინიგზით ერთად ვიმგზავრეთ პარიზიდან სენ-კლუდზე. ბატონი ხანდაროვი გაბრწყინებული სახით იყურებოდა მატარებლიდან და აღტაცებული ნეუბნებოდა: „თი. ნახვ, უფალო ვახტანგ, ათი ან ოცი წლის შემდეგ ასეთ რკინიგზას ჩვენშიაც გაიყვანენ. მაშინ მნახე ვინა ვარ, რისი გამკეთებელი ვარ! ესლა ვინ იცის სად არ დავეთრევი საქონლის სასყიდლად, მაშინ მე თვითონ ვიქნები ფაბრიკის პატრონი და თვითონ დავამზადებ საქონელს გასასყიდლად. თბილისელი ვაჭრები ესლა ჯარისათვის მოტანილი ჩექმებით და ტანსაცმელით ვმდიდრდებით, რადგან ქალაქში ფესსაცმელსაც და ტანსაცმელსაც ცოტა მყიდველი ჰყავს. მე ახლა ფაბრიკა რათ მინდა, გიყი ხომ არა ვარ, რომ ზარალი ვნახო?!“ ეს რომ თქვა, ამას ისეთი რამ დასძინა, რომ, წარმოიდგინეთ კნენია, გაოცებისაგან სახტად დავრჩი. მომიბრუნდა და მეუბნება: „უფალო ვახტანგ, კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა. დიდი ხანი არ გაივლის და ნახვ, რომ მთელ რუსეთში გლეხებს ყმობისაგან გაანთავისუფლებენ. ისე რუსეთში ფაბრიკები არ გამრავლდება, უამისოდ კი რუსეთსაც და მ-ს ხელმწიფესაც ყველა დასჯაბნის. პოდა, როცა გლეხებს გაანთავისუფლებენ. კასტელასავით (თბილისელი მეფაბრიკე ყოფილა. კნენია) მუშახელს როსკიპებში და ტუსალებში კი არ დაუწყებენ ძებნას, სადაც მინდა იქ ვიშოვნი. მეც, ამას ლაპარაკი რაღათ უნდა, ფაბრიკის გავალებ. ამით, არ გეგონოს, ქუთა წავაგო. მუშახელი ქალაქსაც გაზრდის და მყიდველსაც გამრავლებს. ესლა არის! უცხო ქვეყნებიდან ძვირფასეულს მარტო თავადე-

ნის და მდიდარი ოჯახებშიაფრეს ეგონდებით. აბა, სხვა ვინ აყიდის ქოგებებს ესლაც ვნახულობთ, მაგრამ მერე სულ სხვა დახლი გამოვა, იმდენს მოვიგებთ, რომ დათვლა გაგვიჭირდება. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები დღიურ ქირაზე კი არ ივლიან, როგორც ესლა არის, ფაბრიკებში იმუშავენ, მუშებად გახდებიან. ამის მეტი მადრიბის ქვეყნებში სხვა რა ვნახე? მუშას არც მიწა უნდა, არც ბოსტანი, არც ბაღი, არც საჩენელი და არც ჯარა. იმან ყველაფერი ბაზარზე უნდა იყიდოს, მწვანელიც, პურაც და ხორციც. ესლა ჩასაცმელ-დასახურავს არ იკითხავ? მუშას ყველაფერი სასყიდელი გაუხდება, ქუდიც დაწყებული და ჩუსტიც გათავებული. სახლის პატრონსაც ქირა უნდა გადაუხადოს და ვინ იცის, რამდენი სახლი ამენდება ჩვენს თბილის ქალაქში, რამდენი აგური დასკორღებათ მაცხოვრებლებს, რამდენი კრამტი თუ ქესტი, რამდენი ხეტუის მასალა, რამდენი ლურსმანი, შუშა, საღებავი და ვინ იცის კიდევ რა ღირა. ამას ზედ დასაბანი, დასარეცხი, დასაყერბელი მითთალე და ნახვ რა დახლი დადგება. აი, როდის მოგვეცემს მოგებას აგურხანა, ფესსაცმელების ან შუშის ფაბრიკა, თუნდაც საპნის ან ღუგუმების გამკეთებელი ქარხანა. როცა ქალაქში ბევრი მყიდველია, ქინძისთავებით უფრო ბევრს მოიგებ, ვიდრე მარგალიტების ვაჭრობით. მე რომ აქ საკერავი მანქანის მუშაობა ვნახე, იმისთანა ქალაქში ვის უნახავს? ეგ რა არის? შენ სხვა მანქანები იკითხე! მაგრამ სანამ ჩვენშიც ისე მოხდებოდეს, როგორც აქ არის, მანამდე მარტო ვაჭრობა გვიართებს, თორემ გაკოტრებას წინ არაფერი დაუდგება. ამიტომ ისევ ის მიჩვენია აქაურ მეფაბრიკეებს გავურიგდე, ვიდრე ფაბრიკა გვალო, კასტელასავით კუტრი გავხდე და ქვეყანას თავი მასხარად ავაგლებინო“. ყველაფერი, რაც ესლა მოგახსენეთ კნენია. იმ კაცის ნათქვამია, რომელსაც არც ადამ სმითის და არც რიკარდოს სახელები სმენითაც

არ სმენია და არც არასოდეს გაუგონია. იგი მხოლოდ აღლოთი ხედება ცხოვრების მიმდინარეობას. ჩვენი ჰკვიანი და წინდახედული ვაჭარი ამთავითვე ითვალისწინებს, თუ რა სარბიელი შეიძლება გადაიშალოს მის წინ ათი ან ოცი წლის შემდეგ. იქ, სადაც ზანდაროვები ჩნდებიან, უეჭველია, განათლებული ადამიანებიც გახდებიან საქირონი. გაზრდილ და ხალხმრავალ ქალაქს მარტო ბაზრები და მაღაზიები კი არ დასჭირდება, არამედ გაზეთიც, სკოლაც და თეატრიც, აი, რატომ გადაწყვიტე საქართველოში წასვლა. დარწმუნებული ვარ, რომ იქ ჩემთვისაც აღმოჩნდება მოღვაწეობის სარბიელი.

კენიამ ყურადღებით მოისმინა ტაშირელის გრძელი მონოლოგი. მაგრამ მისმა ნათქვამმა მასზე თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მოსკოველ ახალგაზრდა აზნაურთან შედარებით მას მეტი გამოცდილებაც ჰქონდა და ცხოვრებასაც უკეთ იცნობდა. ამასთან, მისთვის გამოცანას არ წარმოადგენდა არც გრავოლ ზანდაროვი და არც ვახტანგ ტაშირელი. პირველი ცხოვრებაში იმარჯვებდა და არც შეიძლებოდა არ გაემარჯვა. მეორე კი, კენიანს დაკვირვებით, ცხოვრებისათვის სრულიად მოუშხადებელი იყო. ღარიბი აზნაური ადამიანებისა და საზოგადოების გარდაქმნაზე ოცნებობდა, მაგრამ თვითონ სოვდაგრის გროშებით ცხოვრობდა. უკვე ეს გარემოება ირონიის საბაბს იწვევდა. კენიანა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოში მას მხოლოდ უფერული მოხელის ადგილი შეეძლო ეშოვა, ხოლო მისი წიგნებიდან ამოკრეფილი აზრებისა და იდეებისათვის აქ არავითარი სარბიელი არ არსებობდა. ამავე დროს, არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ტაშირელს შეუძლებელია სწამდა და სჯეროდა ადამიანის ვაკეთილშობილება, სამართლიანობის გამარჯვება და მოწესრიგებული საზოგადოების დამყარება. კენიანს ერთგვარად შურდა კიდევ მისი მტკიცე

რწმენა და კაბუჯური გატაცება, მაგრამ ოცდაათ წელს მიღწეულს მკვიცი ყრ არ ეპარებოდა იმაში, რომ ოდესმე ვახტანგ ტაშირელიც ისევე დაკარგავდა ადამიანის ვაკეთილშობილების რწმენას, როგორც თვითონ მას ჰქონდა დაკარგული.

9. მოულოდნელი ბადაყვამბილება

უკვე იგი ნერვიულმა კანკალმა აიტანა. — „რას ნიშნავს ეს? მიუყარს თუ არა მე ის?“ და მუხზე უმასხა:

— პო, პო. მე მიუყარს... მე მიუყარს.

გუხტავ ფლობერი, „ხენტიმენტალური აზრდა“

გოსტამაბიშველები პარიზში რუსი და ქართველი გლეხების ბეგარით და გადასახადებით ცხოვრობდნენ. კენიანა თავისი რუსული მამულების მოურავს ისე ხედებოდა, როგორც ეს მკაცრ მებატონე ქალს შეეფერებოდა, სასტიკი იერით და უცხვირპიროდ, რათა მოურავს მოტყუების და თაღლითობის სურვილი არ გასჩენოდა. გულდამით ამოწმებდა ყმა-გლეხების სიებს, აკრეფილ გადასახადებს, მამულების შეშოსავალ-გისავალს, განსაკუთრებით კი ზორბლით ვაჭრობის მოგებას, რაც მას ისევე ამდიდრებდა, როგორც ოდესის ნავსადგურთან ვაჭრობით დაკავშირებულ ყველა მსხვილ რუს მიწისმფლობელს. ამავე დროს იმათ თანაუგრძობდა, ვინც ყმა-გლეხების განთავისუფლების აზრს გამოთქვამდა. მხოლოდ ამით უხდიდა იგი ხარკს საკუთარ სინდისს.

უღრტვინველად, სინდისის ქენჭის გარეშე, დაუზოგავად და უთავბოლოდ ფლანგავდა და ფანტავდა კენიანა გამვალტყავებულ ყმა-გლეხთა ნაოფლარს. აუარებელი თანხები სჭირდებოდა პარიზში ფუფუნებით ცხოვრებას, სენეერმენის მდიდრული პორტელის, ეკიპაჟის და ეტლის, საჭინიბოს, ბულონის ტყეში სასეირნო ცხენების და მრავალრიცხოვანი მსახურების შენახვას, დაუსრულებელ მოგზაურობას და იტა-

ლიის და ესპანეთის პატარა ქალაქების აწია სასტუმროებში ჩამოხტომას, სადაც იგი ამოდ ცდილობდა სულის მყუდროების მოპოვებას, განმარტოვებას და თავდავიწყებას. პარიზში კი გაფაციცებით ყიდულობდა სამკაულებს, ოქროქსოვილებს, ძველებურ და ახლებურ ავეჯს, ნახებს, ხალიჩებს, გობელენებს, ფარდებს, ფარდაგებს. სასაღილო დარბაზი გავსებული იყო ფლანდრიული ნატურმორტებით, სხვა ოთახების და დარბაზების კედლები ვანთქმული მხატვრების ორიგინალებით. მათ შორის იყო რემბრანტის „მლოცველი ბერი“, ვან-ბაღენის „პასტორალი“ და ლუკა კრანახის „შეუფერებელი ქორწინება“. ერთი ბუდეარში ეკიდა, მეორე სასტუმროში, მესამე — საწოლ ოთახში. ეს უკანასკნელი სურათი არ ენახა არც მის ქმარს და არც მის საყვარლებს.

ახალგაზრდა, მდიდარი და ნებიერი ქალბატონი შეუფერებელ ქორწინებაში ექებდა თავის განდევნილობისადმი მიდრეკილებას. ოღონდ მხატვრის სურათზე ახალგაზრდა ქმრის გვერდით ბებერი დედაკაცი იდგა, ცხოვრებისეულში კი ახალგაზრდა ცოლის გვერდით ხნიერი და ბრიყვი მამაკაცი.

ტიტული და სიმდიდრე კნეინა გოსტაშაბიშვილს საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი ყოფილიყო (რასაც ხელმოკლე და ცხოვრებაში გამოუცდელი ტაშირელი, მისი აზრით, ვერასოდეს ვერ მიიღწევდა). თუმცა ყველაფერი ეს მას არც კმაყოფილების გრძობას ანიჭებდა და არც ბედნიერ ადამიანად ხდიდა. ვერ იტანდა და ვერ ურიგდებოდა მარჯვედ და ოსტატურად შენიღბულ ურთიერთუნდობლობას, შერს, სიხარბეს, ჭორს, ცილისწამებას, პირფერობას და ბიწიერებას. მაღალ საზოგადოებაში ყველა ამ ბოროტების აღმოჩენა მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო. ასეთებს თავისი აღზრდით და რუსოს წიგნების წყალობით კნეინა გოსტაშაბიშვილიც ეკუთვნოდა. დაბალ საზოგადოებას ის არ იცნობდა. დარწ-

მუნებული იყო, რომ *ქრ. დუხჭიტი* ხილბატავე და მომქანცველად მართმა დაბალი საზოგადოების ადამიანებს უფრო სასტიკსა და უღმობელს ხდიდა, ვიდრე მაღალი საზოგადოების გასისინებელი და ნატიფი წარმომადგენლები იყვნენ. ლიონის აჯანყების შემდეგ სალონებში შიშით ლაპარაკობდნენ ფაბრიკების დაზგებთან მომუშავე ლურჯბლუზიანებზე. ისინი არისტოკრატებსაც და ფაბრიკების მფლობელებსაც უფრო საშიშრად მიიჩნდათ, ვიდრე ქუჩების და მოედნების წინანდელი სანკულოტები. ადამიანთა შორის ისეთი მტრობა და სიძულვილი სუფევდა, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს მათ შორის არც თანხმობის დამყარების სჯეროდა და არც მოწესრიგებული საზოგადოების არსებობის შესაძლებლობა.

მას უკვე აღარაფერი იტაცებდა, ხიბლავდა და აღლევებდა. აღარც თეატრი ანიჭებდა სიამოვნებას და, მით უმეტეს, არც უნიჭო მხატვრების გამოფენები. მოყირკებული ჰქონდა სკრიბიცი, სახელდახელოდ შესრულებული სიმფონიებიც და ლაროშელის სურათებიც.

უიღბლო ქორწინებით გაღიზიანებული კნეინა გოსტაშაბიშვილი ყველაფერს ეჭვის თვლით უყურებდა. მისთვის პირადი ცხოვრება აღარ არსებობდა. ამიტომ სულ უფრო და უფრო გულგრილი რჩებოდა ადამიანური გრძობების მიმართ. მარტოდმყოფი და მოწყენილი საზოგადოებასაც გაურბოდა და საყუთარ თავსაც. თავი მუდამ ღირსეულად ეჭირა, მაგრამ მედიდური და ამპარტავანი კნეინას ნიღბის ტარება ჭანცავდა და ღლიდა. ეს მისთვის მომაბეზრებელიც იყო და აუტანელიც. მოწყენილობის გამო სასოწარკვეთილებამდე მისული კნეინასათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო გრიგოლ ზანდაროვიც და ვახტანგ ტაშირელიც. ზანდაროვი მას ცხოვრების წყურვილს უღვიძებდა, ხოლო ტაშირელი მეგობრობის დავიწყებულ რწმენას.

მაგრამ რა თქმა უნდა, მას ერთ სიმალღეზე არ შეეძლო დაეყენებინა ზან-

დაროვი და ტაშირელი. თუ პირველთან იგი თავისი რომანული ურთიერთობის გამართლების საბუთს ვერ პოულობდა, სამაგიეროდ მეორესთან მეგობრული ურთიერთობა თავისი ადამიანური ღირსების გადარჩენის საწინააღმდეგ მიიჩნედა. დედაკაცი ზანდაროვისკენ მიიღტვოდა, ადამიანი ტაშირელისკენ. ვახტანგი თავისი ინტელექტით მასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ზანდაროვი. ამ უკანასკნელს ჭერ ერთი წიგნიც არ ჰქონდა გადაშლილი, მაგრამ განსაცვიფრებელი ალღოთი, გასაოცარი შიშბაძველობით და ცხოვრების კონტრასტებთან შეგუების არაჩვეულებრივი ნიჭით და სიცოცხლით ტკბობის გადამდები უნარით იყო დაჯილდოებული.

დაბნეულმა მაგდამ არ იცოდა რომლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა.

ტაშირელის გრძელ მონოლოგში მისთვის საინტერესო იყო მხოლოდ ის, რომ ზანდაროვს მალე პარიზი უნდა დაეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო. იქითკენ მიიღტვოდა ტაშირელიც. კნენინა შეფიქრიანდა. ერთდროულად იგი საყვარელსაც კარგავდა და მეგობარსაც. მარტოდმყოფობის და მოწყენილი ცხოვრების შიში შემოენთო. უნდოდა ტაშირელთან ზანდაროვის გამგზავრების გამო ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ერიდებოდა. სათქმელს შორიდან მოუარა.

— ალბათ თბილისშიც განუყრელად იქნებით თქვენ და ბატონი ზანდაროვი, ვახტანგ.

— არა, კნენინა. — უპასუხა ტაშირელმა. — იმას თავისი გზა აქვს, მე ჩემი. ისე კი, ამას რაღა თქმა უნდა, სალამი ღვთისა!

კნენინამ დრო უხელთა და ჰკითხა:

— როდის მიემგზავრებით, ვახტანგ?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის დაგამთავრებ თავად სავარსამიდის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას. ჩემის ვარაუდით, ორი ან სამი თვის შემდეგ მოვახერხებ წასვლას.

— ალბათ ბატონ ზანდაროვთან ერთად? — ვითომ სხვათაშორის დაეკითხა

კნენინა და სცადა გულგრილად, თუ ვაჟი კერეტი იერი მიეღო.

— არა, კნენინა. — უთხრა ტაშირელმა. — ერთი კვირის შემდეგ ბატონი ზანდაროვი მარსელში ხომალდზე ავა და ზღვით სამშობლოში გაემგზავრება.

მაგდა ისეთნაირად შეინძრა სავარძელში და ისეთნაირად გაფითრდა, რომ მას ტაშირელი გაოცებით მიაკვრდა. კნენინას შერცხვა. გაწითლდა. საჩქაროდ წამოდგა. ტაშირელს თავის დაკვრით გამოეთხოვა და თავის ბუღუარისკენ გატრიალდა. განცვიფრებული ტაშირელი თავად სავარსამიდის ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

ბუღუარში განმარტოებული მაგდა ერთ ადგილზე გაქვავებული და გაშტერებული იდგა, ტაშირელი თავისუფალ ფურცელზე გადაშლილ კატალოგს დასკვრისა და თავის თავს ეკითხებოდა:

— ნუთუ სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის გონება?

მაგდას თანდათან გონება ეწმინდებოდა. ბუღუარის კედელზე „მოლოცველ ბერს“ მიაშტერდა. უცებ ზეცისაკენ ხელების აპყრობა და ლოცვის წარმოთქმა მოუნდა, მაგრამ ვერც ერთი შეძლო და ვერც მეორე, რადგან ღმერთის სახელთან ერთად პირველის გამოსახვაც და ლოცვებიც დაიწყებული ჰქონდა. აღმურშოკიდებული სახე ხელებში ჩარგო და ყრუდ აქეითინდა. მერე ცრემლები გაკვირვებით შეიმშრალა და ნერვიული ბოლთის ცემას შეუდგა.

დიდხანს სცემდა ბოლთას ბუღუარში კნენინა გოსტაშაბიშვილი. პარიზის დატოვების გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თავს მაინც უწყრებოდა და უბრაზდებოდა. ანაზღად სარკეში თავის ორეულს მოჰკრა თვალი, შედგა, ზიზღით შეხედა და ბრაზით მიამახა:

— ძუკნა!

თქვა და სწრაფად შეტრიალდა, რათა ოდესღაც მიუყარებელი და პირგამეხებელი კნენინას ნირშეცვლილი სახე არ დაენახა.

## ბარი მინიმუმები

## 1. აბარუნება

ქალაქის გარეგანი შეხედულება იცვლება. განათლებულ ქალაქებს ვმზგავებთ.

გაბრიელ სუნდუკიანი, „ხათაბლა“

გრიგოლ ზანდაროვი მარმარილოს წყაროსთან გადმოვიდა საფოსტო ეტლიდან. ქალაქი აქ თავდებოდა, მაგრამ ეტყობოდა უკვე განზე, ვერისკენ მიიწევდა.

გრიგოლმა ცნობისმოყვარეობით მიიხედ-მოიხედა. მარმარილოს წყაროსთან ძველი დუქანი ისევ იდგა. ყაბახის შემდეგ აქ ისევ მოდიოდნენ ქალაქელები დროს გასაბარებლად და საქეიფოდ. მაგრამ ახლომახლო ახლად ნაგები შენობებიც მოჩანდა. მხარმარჯვნივ ალექსანდრე ჰავაშვიძის სასტუმრო იყო ამართული, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ „პარიზის ნომრებად“ გადაკეთდა. უფრო ზევით, შუა აღმართზე, კომენდანტის ქუჩაზე, ალექსანდრე ჰავაშვიძისავე საცხოვრებელი სახლის გრძელი, თეთრად შეღებილი აივანი გარეთუბნის ბორცვების ნუშის ტევრებს გადმოსცქეროდა. ამდენი შენობა ამ ადგილზე გრიგოლ ზანდაროვს არ ახსოვდა. გარეთუბნის გრძელი და განიერი ქუჩის გასწვრივ ძველ ქოხმახებს და სახლებს ანგრევდნენ. ხარაჩოვებზე შემდგარი კალატოზები გამალებით მუშაობდნენ და ახალი მრავალსართულიანი შენობების ასაგებად აგურს აგურზე სდებდნენ.

გრიგოლმა ვაიღიმა.

ესიამოვნა.

წარბი მხიარულად შეათამაშა.

რედუთ-კალედან თბილისამდე იგი ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც მისი ვარაუდით რკინიგზას უნდა გაეყო. ცივი გონებით ანგარიშობდა და მოსაგებსაც და წასაგებსაც ფრთხილად სწონიდა. რედუთ-კალედან თბილისისკენ მიმავალი ურმების გრძელი

აღალები მას უფრო მეტად არწმუნებდა, რომ რკინიგზა მისი ქვეყნისათვის ისევე აუცილებელი გახდებოდა, როგორც ზღვის გადაღმა ქვეყნებისათვის, სადაც ვაჭრობის საფუძველს მრეწველობა წარმოადგენდა.

მარმარილოს წყაროსთან ქალაქის მიწას ფეხი ოდნავ აღელვებულმა დაადგა, მაგრამ ამავე დროს ისე ამაყად და ზვიადად, როგორც ეს ფულს განებივრებულ მფლობელს შეეფერებოდა.

სამგზავრო რედინგოტში გამოწყობილ ბატონს გარშემო კურტიანი მუშები შემოეხვივნენ. გრიგოლ ზანდაროვმა თავისი ბარგი-ბარხანა კურტიანი მუშას აჰკიდა, წინ გაუშვა და თვითონ უკან ტაბატით მიჰყვა. თვალში ეცა ახალი, მრავალსართულიანი სახლები. გიმნაზიის ნაცნობმა შენობამ, მთავარმართებლის სასახლემ და სამხედრო შტაბმა პეტერბურგი, ვენა და პარიზი მოაგონეს. ერევნის მოედანზე ავანანთ ხევს რომ ჩაუარა, გულისძგერით გადახედა ახმურებულ ბაზარს. აქ ერთხელ კიდევ მოაგონდა ფირუზა, თეთრი ღიზა და მაიკო კურტიანიძე. ფეხს აუჩქარა. თან აქეთ-იქით იხედებოდა, სოლოლაკის მხარეს ამდღების ეკლესიასა და პოლიციის შენობას შორის ლედვის ბაღები, ტრიალი მინდვრები და მწვანე გორაკები მოჩანდნენ. მხოლოდ აქა-იქ ამართულიყვენ ახლად ნაგები, იტალიური სტილის კეკლუცი სახლები. ზანდაროვს თვალი იქით დარჩა და მტკიცედ გადაწყვიტა თვითონაც იქ აეშენებინა ყველაზე მაღალი და მდიდრული სახლი.

მას გუნება მხოლოდ იმ დროს გაუფუქდა, როცა ანჩისხატისკენ შეუზვია და ვიწრო ქუჩაზე ერეკლეს დროინდელ ჭუჭია სახლებს შორის აღმოჩნდა. ქალაქი ისევ ამ არე-მარეში მდებარეობდა, რადგან სოლოლაკი და გარეთუბანი ახლად სახლდებოდა, ვერა კი ჯერ ისევ დაუსახლებელი იყო. თავრიზის

მოედანზე და შეუბახართან მხოლოდ რამდენიმე ვაჟარს ჰქონდა აშენებული დიდი, ევროპული ყაიდის სახლი. მათ შორის ყველაზე უკეთესი ანჩისხატის ტაძრის და ერეკლე II-ის სასახლის მახლობლად მდებარე მეღვინე ფერშანგოვის სახლი იყო, სადაც ფერშანგოვის ნაშვირებთან ერთად ზანდაროვებიც ცხოვრობდნენ.

ფირუზასთან და თეთრ ლიზასთან შეხვედრის მოახლოებამ გრიგოლს გული აუჩქროლა. კიდევ უფრო აღელვებდა მაიკო კურტანის ნახვა. მოუთმენლად მოელოდა ახლო „ნათესავეებთან“ და საყვარელ ქალთან შეხვედრას. ყველაზე მეტად მაინც თავლისფერთავლება მაიკოს ნახვას ჩქარობდა, მის კისკასა სიცილს მონატრებული და მოწყურებული.

თვალი ფერშანგოვის დიდ სახლს მიაპყრო, ვედარ მოაშორა. მხოლოდ ახლა მიხვდა როგორ უყვარდა ფირუზაც, თეთრი ლიზაც და მაიკოც. ჩქარი სიარული სირბილით შეცვალა, მუშას კარგა წინ გაუსწრო.

ქუჩაში მოთამაშე ბიჭების წრეს უეცრად ერთი პატარა ბიჭი მოსწყდა, შურდულივით გაქანდა ფერშანგოვის სახლისკენ და თავქუდმოგლეჯილი შევარდა სადარბაზო კარში.

სანამ გრიგოლი სადარბაზო კართან მიიბრუნდა, იქიდან ფირუზა და თეთრი ლიზა გამოცვივდნენ და გრიგოლისკენ გამოიქცნენ. მაგრამ თითქოს რაღაც მოაგონდათო, ერთბაშად ორთავემ ნაბიჯი შეანელა, გაკვირვება და რიდი ერთდროულად გამოესახათ სახეზე. მათ წინ გიგა ზანდაროვის მაგიერ ვიღაც უცხო, „ფრანგულად“ ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი იდგა.

გრიგოლ ზანდაროვი გახარებული მივარდა მათ, გადაეხვია, გადააკონა; კონით კინაღამ ლოყები დააგლიჯა, თან ცრემლნარევი ხმით იძახდა:

— როგორა ხარ, ფირუზჩან... როგორა ხარ ლიზაჩან...

ფირუზა ჩუმად იყო. იქედნურად იღიმებოდა. თეთრი ლიზა მოწიწებით და

მოკრძალებით იდგა. ბატონკაცურად ჩაცმულ გიგასთან ახლოს მისწვლია გიგა ვაგბედა. სიხარულის ცრემლებით ვაგბედას თვალები დაბლა დაეხარა. მათ უკან ლურჯთვალემა ბიჭი გაოცებული იყურებოდა. მხოლოდ ახლა იცნო გრიგოლმა მუშანიკის პირმშო კოსტა მამრამე. გახრდილიყო, ტანი აეყარა. გრიგოლმა მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ფირუზა და თეთრი ლიზა წყენით შეათვალვირა:

— რა ვქნა, რა დავემართათ? რატომ გამარჯობას არ მეუბნებით? არ მეგონა თუ დიდი ხნის უნახავს ეგრე დამხედებოდით...

ფირუზამ ჩაიციხა, აუჩქარებლად მიუხედა:

— რა უნდა გითხრა? მე სოვდაგარი გაგზავნე, შენ კი ტანციის უჩიტელი გამხდარხარ!

— ქა, ტანცი-მანცი საიდან მოიტანე? — გაკვირდა უცებ თეთრი ლიზა, — ჩვენი გიგა სულის დიდსა ჰგავს!

ფირუზამ ცოლს შეუბღვირა. გრიგოლს ისევ იქედნურად შეხედა.

ახალგაზრდა ზანდაროვს უცხოეთში ქალაქელი სოვდაგარების ნათქვამი მოაგონდა. მისთვის მყისვე გახდა გასაგები ფირუზას უკმაყოფილების მიზეზი. გაიციხა. ფირუზას ეჭვების გაქარწყლება მოინდომა:

— მე ისევ ისა ვარ, ფირუზჩან, რაც ვიყავი. როგორიც არ გამგზავნე, ისეთივე დავბრუნდი.

ფირუზამ უნდობლად თავი გადააქნა-გაღმობქნია, უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა:

— მაგაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა დავთარს გადავშლით.

თქვა და გრიგოლს ზურგი შეაქცია, სადარბაზო კარში შევიდა, კბეხს ნელა აპყვა.

გრიგოლმა ენაზე იკბინა. არ მოეწონა. წარბი შეიკრა.

დალილ-დაქანცულმა მუშამ ბარგი სადარბაზო კართან გაღმობილა. სახიდან და კისრიდან ოფლი ახალუხის ბოლოებით მოიწმინდა. მოთმინებით დაუწყა

ლოდინი ზანდაროვის განკარგულებას. გრიგოლმა მოისაზრა. მუშას საჩქაროდ ბარგი მადლა სახლში აატანინა, ვროში გადაუგდო და გაისტუმრა.

ზანდაროვები ფერშანგოვის დიდ ოთახში დასხდნენ.

გრიგოლმა რედინგოტი გაიხადა და ისეთი მდიდრული ხალათი ჩაიცვა, რომ ისედაც წარბშეკრული ფირუზა უარესად მოიღუწა და წარბთან ერთად პირიც შეიკრა. თეთრი ღიზა ისევ დაიბნა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ფეხზე მოკრძალებით დამდგარიყო, თუ თავისთვის სადმე კუთხეში მიმჯდარიყო. ხალვათხანებში საშინაოდ ასე მდიდრულად მის ნაცნობებში არავინ იყო გამოწყობილი. თვით ჩაცმა — დაბურვის მოტრფილად ფირუზა შინ ყოველთვის სოფდაგრული ახალუბით იჭდა. გალურსული თეთრი ღიზა გრიგოლისადმი უნებლიედ მოწიწების გრძნობით იმსჭვალებოდა და ქმარსავეთ იმასაც პირზე კლიტე დაედო.

ჩამოვარდნილი ღუმელი ფერშანგოვებმა დაარღვიეს.

ოთახში შუშანიკი და ფერშანგოვის დედა შემოვიდნენ. წინ ქრისტინე და კოსტა მოუძღოდნენ. უკან ძალზე გაწითლებული ვარდისმონა მოსდევდათ.

გრიგოლმა თავაზიანად მოიკითხა შუშანიკი, კიდევ უფრო თავაზიანად მიესალმა ფერშანგოვის დედას, თავმდაბლად და სიყვარულით ჰკითხა:

— როგორა ხარ, დედიჩან!

ნასიამოვნებმა ფერშანგოვის დედამ გრიგოლს შუბლზე აკოცა და კეთილი სიტყვებით დალოცა. მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ გრიგოლმა კოსტას თავზე ხელი არ გადაუსვა, არც გაეთამაშა, არც ქრისტინე აიყვანა და გულში ჩაიხუტა, როგორც წინათ იცოდა ხოლმე.

ფირუზა ისევ წარბშეკრული იჭდა.

გრიგოლმა ერთი წამით შეაჩერა მზერა შუშანიკზე. მისი ყოფილი სატრფო უკვე ჭანგატეხილი ქალი იყო, ნაადრევად გაჰიდარავეებული და დაბერებული.

მასში გრიგოლმა ოდესღაც, ლამაზი ქალის შორეული ლანდილი აღმოაჩინა, მაგრამ უნებლიედ ყურადღება მიაქცია მის მეტად კეთილ და სათნო სახეს, მშვიდად და წყნარად მაკცერალ ლობიერ თვალებს, რომელნიც ამავე დროს მტკიცე ნებისყოფასაც გამოხატავდნენ და მომავლის უშიშარ რწმენასაც. შუშანიკის დათოვლილი თავი და ნაოჭებდად შეკრული შუბლი ახალგაზრდა ზანდაროვში ერთგვარ სიბრალულს იწვევდა, მაგრამ არც აღელვებდა და არც თანავარძობას უღვიძებდა.

თავაზიანი კითხვა-მოკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ზანდაროვებს და ფერშანგოვებს სიტყვის მასალა შემოაკლდათ.

შუშანიკი ფეხზე წამოდგა.

გრიგოლმა ის ხელის წყნარი მოძრაობით შეაჩერა. ოთახის კუთხეში დაზვიანულ ბარგთან მივიდა. მობრდილი ბოხნა გახსნა და იქიდან ორი ლამაზად დახატული, აბრეშუმის ფერადი თასმებით შეკრული ყუთი ამოიღო, ბავშვებს გადახედა და ღიმილით გაემართა მათენ.

— ეს ფრანგული ნუგბარია. — თქვა მან. — პირი ჩაიტკბარუნეთ.

სიტყვა ვედარ დაასრულა და ისე გადასცა კანფეტებით გავსებული ყუთები ბავშვებს, რადგან ვერც კოსტას სახელი გაიხსენა და ვერც ქრისტინესი.

შუშანიკმა გრიგოლს მადლობა გადაუხადა. ფირუზამ ეს ყუთებიც ჩააგდო ანგარიშში და უარესად მოიღუწა.

ღერეთანში ფერშანგოვის დედა ხმამაღლა ამბობდა:

— კარგი კაცია გრიგოლი. ჩემი მეღჭეუა ჰქვიანი სოფდაგარი იყო, წინდახედული. სასიძოდ რიგინი და პატიოსანი ყმაწვილი ამოირჩია, მაგრამ ვინ დაუჭერა?!

დედაბერს თავს მხოლოდ ვარდისმონა უკანტურებდა. ფერშანგოვების ძველ მოახლეს ახლაც კედლის საათის უკუთო გუგული აგონდებოდა და თვალეები სინანულის ცრემლებით ევსებოდა.



2. უსიამოვნო საუბარი

შენ ოღონდ ფულის ყადრი იყოდი! უფულოდ სულ ტყუილაა, სულ ცარიელი სიტყვებია.

გაბრიელ ხუნდუიანი, „დაქვეულო ოჯახი“

ფერშანგოვების წასვლის შემდეგ შემკრთალი და თავგზააბნეული თეთრი ღიზა ქმარს შორიდან პირდაღებული შესცქეროდა. რაღაცას ანიშნებდა, სიტყვის თქმას კი ვერა ბედავდა. რაკი ქმარს ვერაფერი გააგებინა, ფრთამოტეხილივით აფუსფუსდა. დრო იყო სადილის თადარიგს შედგომოდა, თან ეშინოდა ბატონკაცობას მიჩვეულ გრიგოლს მისთვის სადილი არ დაეწუნებინა. თათარიანხნად ყველაფერის გაკეთება შეეძლო. ხიზილალა, თევზეული ჭაღვინო სახლში გამოუღვევლად ჰქონდა. არც თავის საყვარელი ტყბილეული აქლდა. სამწვადე ხორცისათვის ბიქს ყასბებთან აფრენდა, ეზოში ვარიებს დიოქერდა და ტაბაკებს შეწვავდა, ახლად გამომცხვარ შოთ პურებს იქვე მახლობლად მღებარე ღუქნიდან მოატანინებდა, „ფრანგული საქმელების“ არაფერი გაეგებოდა და ამიტომ არც ის შეიძლებოდა სცონოდა, თუ რა უფრო სასიამოვნო იქნებოდა ნამგზავრი და დაღლილი გრიგოლისთვის, რომელიც რაღაც მანქანებით „ნამესტინიკის ოღენა“ ბატონკაცად გადაქცეულიყო.

თეთრმა ღიზამ როგორც იქნა ოთახიდან გასვლა მოახერხა და რჩევის საკითხავად ფერშანგოვის ღედას მიმართა. ღედაბერი ჩაფიქრდა. ასეთ დროს საერთოდ დიდხანს ფიქრობდა. სარჩევს და სათქმელს ერთბაშად არასდროს არ იტყოდა. ახლაც რამდენჯერმე გადათვალა მარცვლები კრიალოსანში, რამდენჯერმე დიდმნიშვნელოვნად ჩააცქერდა ყურადღებამდ გადაქცეულ თეთრ ღიზას და ბოლოს დინჯად წარმოთქვა:

— ხორცი დაენაყოთ და კათლეთები გავაკეთოთ. მეღქუასაგან გამოიგონია, ხელმწიფე რომ სოვდაგრებმა ქარვასლაში დაჰპატიყეს, სულ ბოლოს კათ-  
6. „მნათობი“, № 6.

ლეთები ჩამოუტარებიათ. ხელმწიფეს თურმე დიდად იამა და მადლიერად დარჩა. — ეს რომ თქვა, მყვსვე! მოვალე წუნებით დაუმატა. — შენი დამმარბული ღვინო ვის რათ უნდა? ნემეცობთან, რიყეზე, ბივი გავგზავნოთ და იმათი ღვინო მოვატანინოთ.

თეთრი ღიზაც ისე მოიქცა, როგორც ღედაბერმა დაარიგა.

ფირუზასთან მარტო დარჩენილმა გრიგოლმა, რათა მომამებრებული დუმილი როგორმე დაერღვია, ცხვირჩამოშეებულ ოჩხუბს სხვათა შორის ჰკითხა:

— შეშანიკა როგორ არის? როგორა ცხოვრობს?

ფირუზა ავეყად შეიშმუშნა, პასუხი დაუგვიანა, წყალობასავით გადმოუგდო, ეტყობოდა გუნებაზე არ იყო და ლაპარაკი ეზარებოდა.

— როგორ უნდა იყოს? ისე ცხოვრობს, როგორც ეხლანდღეები ცხოვრობენ, ნამეტნავად ტანცის უჩიბლუბად გამხდარი სოვდაგრები. მაშის ნაშოვარს ქარს ატანს, უანგარიშოდ ფლანგავს.

გრიგოლი შეშფოთდა:

— იმაზე მეტს ვერ დახარჯავს, რაც აბეკუნობის ქაღალდით აქვს გადაწყვეტილი.

ფირუზა გაბრაზდა, უეცრად ლაპარაკის საღერღელი აეშალა, ჭავრის ამოყრა ერთბაშად მოინდომა:

— განა ეგ კი ცოტაა?! ტყუილ-უბრალოდ ფული რათ უნდა იხარჯებოდეს? ვინც ფულს არ უფრთხილდებდა, არ იცი, რომ ბოლოს კოტრი გახდებდა: ამას წინ რა უდგას? მაგალითებს სანთლით ძებნა რათ უნდა? არა, მამაშენი სულთნის ვეზირი ან ვეჭილი როდის იყო, რომ მავისთანა ხალათით ოთახებში დადიხარ? ფულებს წყალში რათა ყრი? გრიგოლს ფირუზასთან უსიამოვნო ლაპარაკი არ უნდოდა, ისე თავაზიანად დაუბრუნა:

— უსამართლოდ რათა მლანძღავ, ფირუზჩან. განა რაც მე აქეთ საქონელი გამოგვგზავნე, ის ფულად არ აქციე? მოგება არა ნახე?



ფირუზა გაჩუმდა. გრიგოლთან სადა-ვო და სასაყვედურო ჭერ არაფერი ჰქონდა. მისმა რუსეთის და ევროპის ქალაქებში ვაჭრობამ ორთავეს იმდენი მი-სცა, რომ ფირუზას ჭერჭერობით კმა-ყოფილების მეტი სხვა არაფერი მარ-თებდა. მას მხოლოდ სიმდიდრით გა-ნებიერებული ახალგაზრდა ოჩხუბის ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრე-ბა აღიზიანებდა. თან ეშინოდა კიდეც გამდიდრებული კვლავ არ გაღარიბე-ბულიყო. ფრთხილობდა. ოთხივე კუთ-ხივ თვალიც და ყურიც ფხიზლად ეჭი-რა და თავისი ოჩხუბისაგან ამასვე მოი-თხოვდა. პასუხიც ამის შესაფერისი ჰქონდა:

— ყაირათი სიმდიდრის დედაა. ვინა თქვა ყაირათი ღარიბების საქმეა? ღარიბებს არაფერი აქვთ დასაჯარგი, მდიდარმა კი შეიძლება ყველაფერი და-კარგოს!

გრიგოლმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— მაინც შუშანიკა რაში ფლანგავს ფულსა? ეკლესიებში ბევრ შესაწი-რავს ეზიდება, სომეხ ტერტერებს და იმათ ბერ-მონაზვნებს ბევრ ფულს აძ-ლევს?

— რის ეკლესია, რის ტერტერები? რამდენი ხანია არც საყდარში წასულა, არც სანთელი დაუნთია. მაგის მამის ფულები სულ სხვანაირად იხარჯება. სახლის ქვემო სართულში სამკერვალო აჭვს გახსნილი და უბნის ქვრივ-ობ-ლებს უფასოდ ჭრა-კერვას ასწავლის. რასაც შოულობს და პოულობს, გაჭირ-ვებულებს, ავადმყოფებს და უსახლკა-როებს ურიგებს. რამდენჯერ დავარიგე და გავაფრთხილე, მაგრამ ყურს ვინ გიგდებს? — ფირუზამ უცებ ხმას დაუ-დაბლა და თითქმის ჩურჩულით განაგ-რძო. — მეღჭუა ფერშანგოვი რომ მა-გისავით კერბი ყოფილიყო, ახლაც ცო-ცხალი ივლიდა. ჯიუტობა არც იმას აე-ლდა, მაგრამ ჭკუა არა ყოფნიდა. მაგას ვერსაიდან ვერ მიუღებდი, ვერაფრით შოატყუებ. აბეკუნი შენა ხარ, ვინძლო შენმა სიტყვამ მაინც გასქრას.

გრიგოლი განცვიფრებული უგდებ-

და ყურს ფირუზას არ მოელოდა, თუ კეთილი, სულმთლად გაღუტური და ჭე-სტი შუშანიკი მტყიცე ხასაააააააააააააააა ჩენდა და გაქნილსა და მოხერხებულ ფირუზას წინააღმდეგობას გაუწევდა. სამკერვალოს გახსნა და ქვრივ-ობ-ლისათვის დახმარების აღმოჩენა არც მას მოეწონა, შუბლი უკმაყოფილოდ შესქ-მუნხა. ფირუზამ ეს შეამჩნია, ესიამოვ-ნა და მაშინვე დაატანა:

— მაშ! მაშ! სოვდაგარ ფერშანგო-ვის სახლი იმისმა ქალმა ოხერტიალე-ბის თავშესაფარად აქცია. ერთი ქვემოდ ჩადი, ნახე, რა ჩაბურხანა არის გამარ-თული!

მან გრიგოლს მხოლოდ ის არ უთხ-ხრა, რომ შუშანიკის სამკერვალოში თეთრი ღიზაც მუშაობდა, ნაროსკიპა-ლი მარგალიტას გვერდით იჯდა და ისიც ჭრიდა და კერავდა, რადგან ცოლს მუქთად პურს ფირუზა არც ახლა აჭ-მევდა. რაც შუშანიკის სამკერვალოში იკერებოდა, ის დახურულ ბაზახხანაში იყიდებოდა. მდიდარი სოვდაგარის ცოლს თითები ნემსით ჰქონდა დაჩხვლეტილი და თვალები ძაფის აგებით გაწყალე-ბული, სამაგიეროდ მოგებაშიც მას ისე-ვე უღებდნენ წილს, როგორც იმ ხელ-მოკლე მკერავ ქალებს, რომელნიც შუ-შანიკის სამკერვალოში არა მარტო ჭრა-კერვას სწავლობდნენ, არამედ მუშაო-ბდნენ კიდეც.

გრიგოლმა ოთახში დაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა. დიდხანს ფიქრობდა. ფირუზა წარბებს ქვემოდან უყურებ-და და მის სახეს აკვირდებოდა. აშ-კარა იყო, მისი ახალგაზრდა ოჩხუბ-რალაც გადაწყვეტილების მიღებას აბი-რებდა.

გრიგოლმა ოთახში ბოლთის ცემა შეწყვიტა, ფირუზას მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენ აქ აღარ გვედგომება.

ფირუზამ გაკვირვებით ახედ-დახედა.

— როგორ თუ აღარ გვედგომება?

— აღარ გვეკადრება, ფირუზაჲნ. მაშ, ლატაკების სამკერვალოს თავზე ხომ არ ვიცხოვრებთ?

ფირუზამ მხრები უკმაყოფილოდ აიჩეჩა. გრიგოლმა თავი ყასიდად მოუქონა.

— არა, არა. შუშანიკას თავს აღარ გავუყადრებთ. ხვალვე სოლოლაკში ავალოთ, ადგილს დავათვალიერებთ. თუ მოგვეწონა, პატრონს გავუთრავდებით, ვიყიდით და ახალ დიდ სახლს ავაშენებთ.

ფირუზამ გრიგოლს აზრი მოუწონა და დაუწუნა კიდევ. მყისვე ეს უთხრა: — დიდ სახლს დიდი ფულიც უხდა.

გრიგოლმა პასუხი არ დააყოვნა:

— შენ არხინად იყავი, ფირუზჩან, ახალ სახლში ერთ გროშაც არ დავახარჯინებ. ოჩხუბობის თანხის გარეთ იმდენი ფული მოვიგე, თუ მოვინდომე, ბარე ორ სახლს ავაშენებ.

ფირუზამ შუშანიკის ასიგნაციების გამო არაფერი იცოდა. გრიგოლი არც მარგალიტებით ვაჭრობის გამო აპირებდა სიტყვის დამერას. „სასაკუთრო“ მონაგები თავისი გამჭირვალეობით და „მარბითით“ ახსნა. ფირუზამ კეთა მოიფხანა. ეჭვი ისე ძლიერად შემოენთო, რომ უნდოდა ეხლავე ენახა დავთარი. მაგრამ სწორედ ამ დროს თეთრი ღიზა შემოვიდა ოთახში. ფირუზამ დედაცაცთან ჩხუბსა და აყალმწყალს გაჩუქებდა ამჯობინა. ეჭვი მანაც მოსვენებას არ აძლევდა. აწრიალებული ბოლთის ცემის შეუდგა. ხელში ჩიბუხი ეჭირა, მაგრამ აღეღებულს და აფორიაქებულს შიგ თუთუნის ჩაყრა და ცეცხლის მოკიდება ავიწყდებოდა.

გრიგოლი თეთრ ღიზას ეხუმრებოდა და სუფრის გაშლაში შეელოდა, თან ცალი თვალი ფირუზასკენ ეჭირა. მისი უკმაყოფილება გულწრფელად უკვირდა, მაგრამ რადგანაც ვაჭრის ქული უკვე მაგრად ეხურა თავზე, ბევრს რასმეს ხედებოდა კიდევ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ საესებით ცხადი იყო მისთვის: მათი ურთიერთობა ძველებურად ველარ წარმართებოდა და ველარც გაბზარული ნდობა გამოთვლებოდა.

უნდობლობის საბაზს უკვე მათი მადრიბული და მაშრიყული ტანსაცმელი

თესდა, მათი ვაჭრობასა და ცხოვრებაზე სხვადასხვა შეხედულებებშიც მსხვილდასხვიანი დამოკიდებულება.

უფრო სერიოზული მიზეზებიც არსებობდა.

გაოჩხუბებული ნადახლიდარი წინ მიიწევდა, ფირუზას წინ უღებოდა. ცხოვრების ზედაპირზე დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით ამოტივტივებული ყოფილი ბოგანო და ავარა მის წინ გაშვებას ვერ შეუთრავდებოდა, ვერ აიტანდა. გრიგოლ ზანდაროვი უკვე ახლა თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით, გემოვნებით და მადრიბული დარდიმანდობით მას აშკარად ჩრდილში აყენებდა. ამას თეთრი ღიზაც ამჩნევდა და სხვებიც ადვილად შეამჩნევდნენ. უსიამოვნებისა და უთანხმოების სათავე სწორედ აქედან იწყებოდა. ამაზე ფიჭრი ფირუზა ზანდაროვს გუნებას ისე უმძიმებდა, როგორც მის წელს მძიმე და განიერი სოვდაგრული ვერცხლის ქამარი.

### 2. ზანდაროვი სადილი

ნახე, როგორ გავდილაკეთ, გავმეფდე? მაშინ მნახე თავი ცამდის ამელის. ჩემზე მეტად არსად არიან მსჩანდეს.

გრიგოლ ორბელიანი, „ლიბიტრი ონიკაშვილის დარდები“

სადილობის წინ გრიგოლმა ერთხელ კიდევ განაცვიფრა ფირუზა და თეთრი ღიზა. მან სამინაო ზალათი გაიხადა და ლურჯი ფრაკი ჩაიცვა. მკერდზე თეთრი ქათქათა სალფეტკი ჩამოიკიდა და დანა-ჩანგალს ისე მოკიდა ხელი, რომ ყველამ სუფრას ხელები მოაშორა და თავი დარცხვენით ჩალუნა.

სუფრას ზანდაროვები და ფერშანგოვები უსხდნენ.

ფირუზა ისევ დაბღვერილი იჯდა და ეტყობოდა არც სურდა თავისი უკმაყოფილების დამალვა. თეთრი ღიზა გრიგოლს თვალებში შესცივინებდა. შემკრთალსა და დაბნეულს შავი პირისახე დაუმწიფებელი ბროწეულივით წითელ-ყვითლად ასტრელებოდა. ფერ-

შანგოვის დედა პირმოკუმული იჭდა და სადილზე დაპატიყებით: ნასიამოვნებები აღტაცებულ თვალს კატლეტებს არ ამორებდა. მხოლოდ შუშანიკი იჭდა მშვიდად და აუღელვებლად ბებიის გვერდით, მაგრამ ისიც ნელ-ნელა იკიკნებოდა და საკმელს პირს თითქმის არ აყარებდა. სამაგიეროდ ნამგზავრი გრიგოლ ზანდაროვი მაღიანად შეექცეოდა. ზურგიელის და დოშის მსხვილ-მსხვილი ნაპრებიც, მწვადებიც და ტაბაკაც თავის დანა-ჩანგალს ქვეშ მოაქცია, კატლეტებს კი ზედაც არ დახედა. ფერშანგოვის დედამ და თეთრმა ლიზამ ერთმანეთს განცვიფრებით გადახედეს.

ფირუზა ზანდაროვის გაკვირვება თითქოს აღარაფრით შეიძლებოდა, მაგრამ მან გაოცებით დაუწყო ყურება გრიგოლს, როცა ამ უკანასკნელმა დანა-ჩანგლით ხრამული სუფთად გაფცქენა, ფაჭიზად დაჭრა, ფხები ცალკე გადაალაგა და ჩანგალი ისე კოხტად მოიმარჯვა, რომ ამის შემდეგ თევზს ხელი ვეღარავინ ახლო. ფირუზასაც, რა აქმა უნდა, აზრადაც არ მოუვიდოდა ხრამულის კუდით დათრევა და მის შესაქმელად ათივე თითის მოშველიება. გრიგოლს ლაღად ეკირა თავი, სხვები კი ღარიბი ნათესაგებივით ისხდნენ.

რაკი ფირუზა ხმას არ იღებდა, გრიგოლმა ჭიჭა ღვინით შეავსო, მალა ასწია და წარმოთქვა:

— ჩემს ჩამოსვლას გაუმარჯოს, თქვენც გაგიმარჯოთ.

ღვინო გადაჰკრა, მაგრამ მაშინვე ტუჩები აიბზუა:

— ფიე! ეს ნემეცების ღვინო აქ საიდან გაჩნდა? რატომ ჩვენებურ ღვინოს არ მალევიანებთ?

ამ სიტყვებზე თეთრი ლიზა გარეთ გავარდა და ცოტა ხნის შემდეგ სველი დოქით ფირუზას მიერ ნაყიდი და ნაქები ღვინო მოარბენინა. გრიგოლმა ყველას ჭიჭები გაუვსო. და რადგან ფერშანგოვის დედა თავის ჩიტის თვალებით დაბღვერილ ფირუზას შესცქეროდა და მისი უკმაყოფილების გამოცნო-

ბას ცდილობდა, ფირუზამ წარბი გახსნა, ჭიჭა მალა ასწია, მაგრამ მაშინვე ცალიყბით წარმოთქვა:

— გაგიმარჯოს. შენს დაბრუნებას გაუმარჯოს.

თეთრმა ლიზამ გრიგოლს თვალეში შესცივინა და დღეგრძელობა უსურვა.

— გაიხარე და იღლეგრძელე, გრიგოლჯანი!

ფირუზამ ყურები ცქციტა. თეთრი ლიზა პირველად უწოდებდა თავისი ქმრის ნადახლიდარ გრიგოლს.

არც ეს ესიამოვნა, ისევ წარბი შეჭკრა.

ფერშანგოვის ნასიამოვნებ-გატყრცი-ალებულმა დედამ გრიგოლი დედაშვილურად დალოცა და ჭიჭიდან მხოლოდ ერთი ყულუბი მოსვა, რადგან შაკიკის ეშინოდა და თავს უფრთხილდებოდა.

შუშანიკმა გრიგოლს თნი მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. როცა გრიგოლმა მას მადლობა გადაუხადა და ისევ თეთრ ლიზას მიუბრუნდა, რათა ტალახისფრად სახეაქრელებული დედაკაცი ხუმრობით და სიცილით გაემხნევებინა, შუშანიკმა დრო იხელთა, ბებიას ჩანგლით თეფშზე კატლეთი გადმოუღო, თვითონ კი მაგალითის მისაცემად ტაბაკის პატარა ფრთა აიღო და ნელა შეუდგა ჭამას. ფერშანგოვის დედას თვალეში გაუბრწყინდა, გულში შვილიშვილი დალოცა და „ხელმწიფეების საკმელს“ ისე დააქერდა, თითქოს მისთვის თეფშზე კატლეთის მაგიერ ძვირფასი მარგალიტი დაედოთ. დედაბერს თვალეში აუჭრელდა. სანუკვარი საკმლის ხელის ხლებას ვერ ბედავდა და თეჩამოკანტურებული დასცქეროდა. შუშანიკს არც ეს ღარჩა შეუძნეველი. კატლეთი თეთრ ლიზასაც გადაუღო, თვითონაც გადაიღო, თან ვარდისმონას ნახელავი შეაქო და დასძინა, რომ „ამის გაკეთება მის მოახლეს კენინას შპარეულისაგან ჰქონდა ნასწავლი“. გრიგოლმა არც ახლა მიაქცია ყურადღება კატლეტებს და ისევ მწვადსა და ღვინოს მიეძალა. დედაკაცებმა კატლეთს გემო რომ გაუსინჯეს, შუშანიკს ისეთი მადლიერებით

შეხედეს, რომ ფერშანგოვის ქალმა ღმილი ველარ შეიკავა და მათ თითო კატლეტი კიდევ გადაუღო.

სადილმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ბოლმის ამონთხევა ფირუზამ სხვა ღროსიათვის გადადო.

დანაყრებულმა გრიგოლმა მალრიბის ქალაქები და მალრიბელები მოიგონა. თავისი მოგზაურობის ამბებსა და თავგადასავალს ისეთნაირად ჰყვებოდა, რომ ყველანი გაეკვირვებინა და გაეოცებინა. უამისოდაც ყველა ნიაზით უსმენდა მას. განსაკუთრებით კი შუშანიკი, რომელსაც შვილების „ფრანგულად“ სწავლა-აღზრდა ჰქონდა გადაწყვეტილი.

დედაბერს და თეთრ ღიზას ბევრი არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ მაინც სწენად გადაქცეულნი ყურებდაცქვეტილნი ისხდნენ.

ზოგი რამ არც ფირუზასთვის იყო გასაგები. ამიტომ თავს ძალას ატანდა, რათა გრიგოლის ნაამბობში გარკვეულიყო, მალრიბელი ვაჟების ცხოვრების და მალრიბული ვაჟობის წესებს მიმხვდარიყო. კითხვით კი გრიგოლს არაფერს ეკითხებოდა. ჩუმად და ფხიზლად უგდებდა ყურს. როცა გრიგოლმა რკინიგზა ახსენა და მატარებლით მოგზაურობა აღწერა, ფირუზამ ღმილი ველარ შეიკავა, სხვებმაც, შუშანიკის გარდა, იკვნეულად გადახედეს ერთმანეთს. ვერ წარმოედგინათ, რომ უცბენოდ და უხაროდ სახლის ოდენა ეტლები აღვილიდან დაიძვრებოდნენ და ამასთან შიგ ადამიანები ისხდებოდნენ.

აქამდე წარბშეკრული ფირუზა უეცრად გამხიარულდა. „ჩემს დახლიდარს ტყუილები უსწავლია და ცხვირსაც ასეთ ტყუილებზე მოიმტვრესო“. მხოლოდ ახლა მოახერხა ჩიბუხში თუთუნის ჩაყრა, ცეცხლის მოკიდება და გაბოლება.

ჩიბუხს მჭირდავი ღმილით სწევდა და თან გუნებაში ჭირქილებდა: „ვნახოთ, ამ ჩვენს მალრიბელ ბატონს ქარვასლაში როგორ დახვდებიან! ამას რაღა თქმა უნდა, რომ ტანცის უჩინტელი-

ვით ჩაცმულ ჩემს ოჩუხს, სოფდაგრები მასხარად აიგდებენ და გინებულს სოფდაგრის კაბის ყურთმაჯები მოაგონდებო“. ეს აზრი ფირუზას სულ უფრო და უფრო ამხიარულებდა. გუნება გამოუკეთდა, გახალისდა, ენა ამოიდგა და გრიგოლს რამდენჯერმე მალრიბული საქონლების პატრონებზე ჩამოუგდო სიტყვა, მათი ვინაობით და ავლა-დიდებით დაინტერესდა.

საქმიან ლაპარაკს ნელ-ნელა შეჰყვინენ.

გრიგოლმა ეს შერიგების ნიშნად მიიღო და გახალისებული მალრიბული ფაბრიკების ხოტბას და იქ დამზადებული ნაირ-ნაირი საქონლის ჩამოთვლას შეუდგა.

ფირუზას ჩიბუხი ჩაუქრა.

გრიგოლს სულგანაბული უსმენდა.

ქალებმა სუფრა აალაგეს და ოთახიდან გაიკრიფნენ.

#### 4. სახბადღარჩინილი მაიკო

ეს რამ ილევა და განჰქრა? ნუთუ მაცუთრი ოცნება?

გრიგოლ ორბელიანი, „ღამე“

გრიგოლი შეგირდივით აბარებდა ფირუზას ანგარიშს. თან ლაპარაკით და მიზერა-მოხერით ისეთ მოწიწებას ამელავნებდა, რომ უფროს ზანდაროვს ეპეები თანდათან უქარწყლდებოდა. ზოგი რამ თვითონაც უთხრა გრიგოლს და მოგებით თავი მოიწონა, თუმცა თავდაპირველად ამაზე კრინტის დაძვრას არ აპირებდა.

ფირუზას გრიგოლის გამჭირაბობაში ეპეი არ ეპარებოდა. ნაკლად მას მხოლოდ ხელგაშლილობას და ბატონკაცურად ცხოვრების სურვილს უთვლიდა. ამიტომ ახლა იმაზედა ფიქრობდა, თუ როგორ მოეშლევიანებინა მისთვის „მალრიბული დარღმინდობა“ და სოფდაგრული ყაირათი გაეხსენებინა.

სალამო ხანზე მაიკო კურტანიძე მოვარდა. მოვარდა და ოთახის კარებთან გაშეშდა. ფირუზა ზანდაროვს გვერდით გიგას მაგიერ ვილაყ უცხო, უც-

ზოდ ჩაცმული მამაკაცი იჯდა. იუცხოვა, დაიბნა, მოსახვევად გაშლილი ხელები დაბლა ჩამოსცვივდა, სიხარული სწრაფად გაუქრა გაბადრული და სირბილის გამო ძალზე აწითლებული სახიდან.

არც გრიგოლ ზანდაროვი წამოვარდნილა თავისი სკამიდან და მაიკო კურტანიძეს გახელებული პირზე კოცნით არ მიჰგებებია, როგორც თვითონაც მოელოდა და სხვებიც მოელოდნენ. მან მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ის, ვინც ოდესღაც თავდავიწყებით უყვარდა.

ზღაზენით წამოდგა. მისკენ წელი ნაბიჯით გაემართა. ხელი მეგობრულად გაუწოდა, მაგრამ არც სიხარული გამოხატა, არც აღტაცება.

ხელის ჩამორთმევის დროს ერთმანეთს ლოყებით ოდნავ შეეხენ. ეს იყო და ეს. თუმცა ერთიცა და მეორეც რამდენიმე წლის მანძილზე კვლავ შეხვედრას ნატრობდა და ოცნებობდა.

ფირუზასი და თეთრი ლიზასი, რა თქმა უნდა, მათ არ ერიდებოდათ. უბრალოდ რაღაც ისეთი მოხდა. რაჟაც ორთავეს ცხარე კოცნაც დაავიწყა, სიყვარულით მოხვევაც და თავშეუკავებელი ტირილ-სიცილიც.

არავის არ გაჰკვირვებია მათი გულცივი შეხვედრა.

მალრიბელ ბატონკაცად გადაქცეული გიგა ზანდაროვი ძველ ნაცნობებში უნებლიედ რაღაცნაირ მოწინებს და მოკრძალებას იწყებდა. ასე დაემართა მაიკო კურტანიძესაც. უხერხულად განზე გადგა და სადღაც რომელიღაც სკამზე ჩამოკვდა.

გრიგოლმა რამდენჯერმე მოურიდებლად გაიხედა მისკენ და საბოლოოდ გაუცრუვდა მასთან ტრფილის წადილი. ეს ჯერ ისევ ლამაზი ქალი მისი შესაფერისი აღარ იყო. მისი ძველი საყვარელი დარცხვენილი იჯდა, ქალაღია ისევ მკლავზე ჰქონდა გადადებულის, კაბის ბოლოდან სპარსული წითელი შეფიღი მოუჩანდა და ნაჩქარევად გადაცმულ უბრალო, ჩითის ფოთლებიან კაბაში საკვირველად ემსგავსებოდა ბა-

ზრის ქალსაც და ზორბა მოახლესაც. ამას გრიგოლმა მყისვე შეაქცია ყურადღება. ერთი სიტყვით, შტეკერის გაღმა-გამოდმა თავისი აზოვნებით და სილამაზით განთქმული ქალი კნენია გოსტაშაბიშვილის გვერდით მდებარე, პირდაუბანელ დედაკაცად გამოჩნდა. ამ შედარებამ გრიგოლს ისეთნაირად გაუფუქა გუნება, რომ უნებურად ცხვირზე ხელი წაივლო, რათა პირში ხახვისა და ნივრის სუნი არ სცემოდა.

მხოლოდ ზრდილობის გამო გამოელაპარაკა იგი მაიკოს, რომელსაც თვალი ვერ გაესწორებინა ლურჯ ფრაკში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცისათვის, რომლის ნატიფი პირისახე თავისი უპირატესობის დრმა რწმენის შეგნებით ისევე იყო გაბრწყინებული, როგორც მისი თეთრი, ქათქათა, გულისპირთან წვრილი ბაბთებით კოპწიად დახუჭუჭებული პერანგი.

საერთოდ თამამი მაიკო კურტანიძე თავჩაღუნული იჯდა და ძველ საყვარელს პირს არიდებდა. თაფლისფერ თვალებზე ბრინჯაოსფერი გადაჰკრავდა და გაოგნებული ფირუზას ნადახლიდარის და ახლანდელი ბატონკაცის ხან ვიწრო შარვალს და შავს, გაპრიალებულ ფეხსაცმელებს უყურებდა, ხან მუცელთან გაქრილ ფრაკის თეთრი ზოლის წვრილ არშიას.

გრიგოლ ზანდაროვი თავმომწონედ იდგა.

ფირუზას ისევ აეშალა ეჭვები. პირველობის დაკარგვის შიშმა თუ შურმა ისევ გაჰკრა კლანჭი.

კვლავ შეჰკრა წარბიც და შუბლიც. სომნაბულასავით მოფარფატე თეთრი ლიზა ვერც ლაპარაკს ახერხებდა, ვერც დაჯდომას.

მაიკო კურტანიძე ჩუმად იჯდა. თავდახრილი მუხლის თავზე თითებით ქალაღიას ასწორებდა. იმ საღამოს „პო“-ს „არას“ და „არ ვიცის“ მეტი სხვა არაფერი უთქვამს.

ლაპარაკით მხოლოდ გრიგოლი ლაპარაკობდა. მალე სალაპარაკო მასაც შემოაკლდა. მოიწყინა. მობეზრდა. რა-

დაც საქმე მოიმიზეზა, ყველას თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

ხანგრძლივი დუმილი ფირუხამ დაარღვია:

— არა, მაგის ფანდი აღარა ვართ. ყველას ზემოდან დაგვეკვირის.

ეს სიტყვები გულში ტყვიასავით მოხვდა მაიკო კურტანიძეს. უარესად გადაფითრდა.

თეთრმა ღიზამ ქმარს შეუტია:

— ქა, ეგეთი რა მოხდა? რა ვუყოთ, რომ მდრიბულად აცვია? ეგვე დრომ მოიტანა. სხვა მხრივ არც ხასიათი გამოუცვლია, არც ჩვენი სიყვარული დაჰკარგვია. მეტი რაღა გინდა? კონკრეტული კინალამ ლოყები დაგვაგლიჯა!

ფირუხამ გაიცინა.

— მამ ეხლავე ვირზე ხომ არ შეგსვამდა? ცოტაც მოიცადე, აქანდაზზე დაგდებს და ქუჩაში გადაგავდებს.

თეთრმა ღიზამ ქმარს არც ახლა დაუთმო.

— ღმერთმა მაგის ცოლსა და შვილს მომასწროს და მეტი მე არა მინდა რა. მაშინ თუნდ აქანდაზზე დამდონ, თუნდ მტკვარში გადამაგდონ, არსად არაფერს დავიჩივლებ.

გრიგოლ ზანდაროვის დაცოლშვილების ხსენებაზე მაიკო კურტანიძემ უფრო დაბლა დახარა თავი. ფირუხამ ცოლს შეუბღვირა, წარბი მრისხანედ აუწია, გაჯავრებით მიახალა პირში:

— არა, არა, ლეჩაქიან დედაკაცს ეგ გვერდში არ მოისვამს, არც მაგის გულკაბაამოკრილი ცოლი მოინდომებს ამას. რაც გითხარი, ცხვირზე კარგად დაიკერე, თუ არ გინდა მაგის აფსონებმა ლეჩაქი დაგახიონ!

თეთრმა ღიზამ პირი დააღო, ქმარს გაოცებულმა დაუწყო ყურება:

— ქა, მაგას რათ მეუბნები? ზანდაროვებში უფროსი ვინ არის? შენა ხარ თუ ეგ არის?

ფირუხამ ენაზე იკბინა. მყისვე მიხვდა, რომ გაბრაზებამ ისეთი რამ წამოაროშინა, რის თქმაც ბართლომე კურტანიძის ცოლთან არც საკვირო იყო, არც სასარგებლო. ნათქვამი ხუმრობაში

გაატარა და ისეთნაირად ახსნა, რომ ალაფის ცოლს არავითარნიც ვერ დაძროდა.

— დედაკაცო, სანამ მე ცოცხალი ვარ შენ რისი უნდა გეშინოდეს? რის აქანდაზი, რის მტკვარში გადაგდება? — იცინოდა ფირუხა. — მაგრამ კაცნი ვართ და კაცურად უნდა მოვიქცეთ. ჩემი უფროსობა ღმერთზე ჰქილია, როგორც იმის დაეთარში წერია, საქმეც ისე მოვა ქარვასლაში ყველაფერს გაიგებ და ყველაფერს წინ დაუხვდები, მაგრამ სიკვდილს სად გაექცევი? ჰოდა მეც ამიტომ გარიგებ ჰკუთას, ვინძლო აქედანვე თადარიგი დაიპირო, როცა მე ცოცხლების სიიდან ამომშლიან, არც შენ შერცხვე და არც მე შემარცხვინო. მართალს არ ვამბობ, მაიკო?

მაიკომ ხმა არ ამოიღო. თავისი ფიქრებით იყო გართული. ცოლ-ქმრის, ლაპარაკი კარგად არც ესმოდა. მუხლის თავზე ისევ ქალაღაის ნაოქებს ასწორებდა, გულში კი ვიგა ზანდაროვის დაკარგვის მოსთქვამდა.

თეთრმა ღიზამ ქმრის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, არც გული აუჩუყდა. ფირუხა ისეთი გაყინელილებული სახით იჯდა, რომ ღმერთს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მის სახელს დაეთარში მაინც ვერ იპოვიდა.

მაიკო კურტანიძე ფეხზე წამოდგა.

თეთრმა ღიზამ ის ქუჩის ბოლომდე გააცილა. ორთავენი ჩუმად მიდიოდნენ. ერთი გამტკნარებული იყო, მეორე გათვინებული.

როცა მაიკომ მტკვრისაკენ გაუხვია, თეთრმა ღიზამ მხოლოდ ახლა შეამჩინა, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლს ქალაღაი მკლავზე კი არ ჰქონდა გადაგდებული, როგორც ეს ლამაზსა და თავმომწონე ქალს შეეფერებოდა, არამედ ცალ მხარზე უშნოდ მოეგდო და თითქმის მიწაზე დასთრევადა.

თეთრი ღიზა შინ დაბნეული დაბრუნდა.



## ა. სოლოლაკი

იმისთანა ალავი ვანა შეიძლება კაცმა არ შეიღვაროს?

გაბრელ სუმღუჯიანი, „დაქცეული ოჯახი“.

ვერობიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ზანდაროვი ქარვასლებში დატრიალდა.

ფირუზას იმედი არ გამართლდა. მართალია, ქარვასლაში პირველად იუცხოვეს მალრიბულად ჩაცმული სოვდაგარის გამოჩენა, მაგრამ მალე ყველამ თვალი შეაჩვია ახოვან, მუდამ სუფთად წვერგაპარსულ, ფაქიზად და გემოვნებით მორთულ-მოკაშმულ დიდუკაქარს. ყურთმაჯებიანი სოვდაგარები მას ფულის მომხვეჭელობის გამო აფასებდნენ, მის მალრიბულად ჩაცმა-დახურვას კი ადვილად ურიგდებოდნენ. ადამიანი მათ შორის მხოლოდ იმით ფასდებოდა, თუ ვინ რა ქონების პატრონი იყო და რის მოგება შეეძლო.

ფირუზაც კმაყოფილებით იფშენებდა ხელებს. ზანდაროვებს მუშტარი არ აკლდათ. სწრაფად საღდებოდა ფორტებიანობებიც, ავეჯიც, ჭაღებიც, ძვირფასი ქსოვილებიც და სამაჯულებიც. ფირუზა სხვა მხრივაც იყო კმაყოფილი. ვახტანგ ტაშირელის მიერ შედგენილი დავთრის გაცნობამ დაუყოვნებლივ გაუქარწყლა შიშიც და ეჭვებიც, მაგრამ არ შეიმჩნია, სიხარულიც და აღტაცებაც დროზე ალაგმა. ოჩხუბად გადაქცეული ნადახლიდარი არც აქო და არც აძაგა. პირიქით, ჭკუის დარიგება დაუწყო, სიტყვა სოვდაგარის ხელმოშობილობაზე ჩამოავლო და მის მნიშვნელობაზე გრძლად გაუბა ლაპარაკი.

— ვაქარი ვაქრად უნდა დარჩეს, — ამტკიცებდა ფირუზა, — სხვების აყოლა ხელს არ მოგვეცემს. ჩვენი მანა ქარვასლაში ჯდომამ! მეტი რაღა გვინდა? ამაზე მაღლა არ გავვიშვებენ. ჰა, ცხვირს მაღლა ნუ სწევ! სულერთია, ჩვენი ბოსტნის გოგრას მაღალ თახჩაში არ დასდებენ. ჰა, ფულებს ნუ ეთამაშები! ფულის ფლანგვა თავადის საქმეა, ფულის მოგება სოვდაგარისა. თა-

ვადური იალქანის ამეგბე ჩვენსაქვე არ არის!

ნიკოლოზ ვაზაჩი

თავდაჯერებული, მშვიდი და აუღელვებელი გრიგოლი მოთმინებით უსმენდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რათა ეკვიანი და მიზეზიანი აღმზრდელი არ გაეღიზიანებინა და არ ეწყენინებინა.

ფირუზა გრიგოლს გვერდიდან არ შორდებოდა. ყველგან ცხვირსა ჰყოფდა, ფუსფუსებდა, ნოქრებს ემასლათებოდა, ეხუმრებოდა და აცინებდა, წყალწყალა ღვინით და აყროლებული თევზით უმასპინძლდებოდა; სამაგიეროდ თითოეული გროშისათვის ისეთნაირად ვაქრობდა, რომ არც თავის ჭადარის რცხვენოდა და არც სოვდაგარული ყურთმაჯების.

გრიგოლს წინ არასოდეს არ უშვებდა. სულ იმას ცდილობდა, რათა თვითონ ორი ნაბიჯით წინ ევლო, გრიგოლი კი უკან ასდევნებოდა. ახალგაზრდა ზანდაროვი ამას ამჩნევდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. გარეგნულად თავი ისე ეკვირა, რომ ფირუზა კმაყოფილი დარჩენილიყო და ტყუილუბრალოდ მისთვის დაეა არ აეტეხნა. უფროსი ზანდაროვი საჩხუბრად უბრალო საბაბსაც კარგ მასალად თვლიდა.

გრიგოლ ზანდაროვი ხან ქარვასლაში საქმიანობდა, ხან სოლოლაკში კალატოზებს თავზე ადგა.

იმ დროს ერევნის მოედანზე და სოლოლაკში სახლის ადგილები ჩალის ფასად იყიდებოდა. ქართველ თავადებს არაფრად უღირდათ ავანანთ ხევის დრანტეები და კოკრის ძველ კართან გაშენებული მეფის ბაღები. ისინი ზამთრობით (ხაფხულსა და შემოდგომას სოფლებში ატარებდნენ) ორბელიანების უბანში, მადათოვის მოედანთან და ანჩისხატის უბნის მახლობლად ცხოვრობდნენ ვაქრებისა და ხელოსნებისაგან განცალკევებით. შიგ ქალაქში ერთი ოთახის იაქთალიანი სამოსახლო უფრო ძვირად იყიდებოდა, ვიდრე ქალაქგარეთ დაუსახლებელი ტრიალი მინდორი. არც გრიგოლ ზანდა-



როვს დასჯდომია ძვირად მიწის დი-  
დი ნაკვეთის ყიდვა მეფის ყოფილ ბა-  
ღებში. დაუყოვნებლივ გააჩვენებინა ლე-  
ღვის, ატმის და ბროწეულის ხეები,  
საძირკველი გააქრევიანა, მღვდელს გაა-  
ნათლებინა, შიგ მუჭით ვერცხლის ფუ-  
ლები ჩაყარა, ზედ ერთი-ორი ოქროს  
ფულიც გაურია, აგურები მოაზიდვინა  
და სახლის მშენებლობას კალატოზები  
შეუსია.

გრიგოლ ზანდაროვი ჩქარობდა. ფერ-  
შანგოვების სახლში გული აღარ უდგე-  
ბოდა. თან გუმანით იმასაც ხედებოდა,  
რომ სოლოლაკი და გარეთუბანი მალე  
უკან მოიტოვებდა ანჩისხატის უბან-  
საც, სალაყბოსაც და კლდის უბანსაც.

ქარვასლაში გრიგოლს ხშირად ეს-  
მოდა ბართლომე კურტანიძის სახელი.  
ყველანი მის სიმიდრეზე ლაპარაკობ-  
დნენ. შურით აღნიშნავდნენ ხელმწიფის  
მიერ მისთვის გამოგზავნილ მეორე მე-  
დალს. სოვდაგრებს მისი ეშინოდათ და  
ფრთხილობდნენ. ზანდაროვები მის ვა-  
ჰრებთან დამოკიდებულებას შორიდან  
უყურებდნენ, რადგან ბართლომე კურ-  
ტანიძე მალრიბული საქონლით არ ვაჰ-  
რობდა. მისი შემოსავლის წყარო ისევ  
პური, ქერი და თივა იყო, რომლითაც  
იგი ქალაქის მცხოვრებლებსაც ინახავ-  
და და ხელმწიფის ყაზარმებსაც.

გალადებულ-გაფოფინებული სოვ-  
დაგარი გამდიდრებული ალაფის წარ-  
მატების მიზეზებს უკვირდებოდა და  
აინტერესებდა კიდევ. სამაგიეროდ სულ  
არ აგონდებოდა მისი ცოლი და თავისი  
ძველი საყვარელი მაიკო კურტანიძე.

დღე ისე არ გაივლიდა, რომ სახლის  
მშენებლობისათვის არ დაეხედა. ბეჭო-  
ბზე შემდგარი დიდხანს, დიდხანს უძე-  
რეტდა თავის მომავალ საეანეს.

დიდხანს იდგა ზურგზე ხელებდაწყო-  
ბილი. მუშტით უნაბისფერი ხელჯოხი  
ეჭირა, რომლის მოკაუტებულ ბოლოს  
ლომისათვის გამოსახულება (ვერცხლსა  
და სპილოს ძვალში რომ იყო გავლებუ-

ლი) მაღალ, პრიალა შავ ცილინდრზე  
უძრავად გაქვავებულიყო.

ისე ბატონკაცურად იდგა, რომ ყვე-  
ლას მოწიწების გრძნობას უღვიძებდა.  
უფროსი ზანდაროვი შურით იხერხებო-  
და.

მშენებლობის ზედამხედველი და  
ათისთავეები მხოლოდ უმცროს ზან-  
დაროვს ეკითხებოდნენ, მასთან მართა-  
ვდნენ ბქობას და თათბირს.

უფროს ზანდაროვს ვერაეინ ამჩნევ-  
და ან არაფრად ავდებდა.

საძირკველის გათხრიდან შენობის  
გადახურვამდე მას მხოლოდ ეს ესმოდა:

— რას გვიბრძანებთ, უფალო გრი-  
გოლ!

— როგორ მოგწონთ, უფალო გრი-  
გოლ!

— უფალო გრიგოლ, კალატოზებს  
აგური შემოაკლდათ, კაცი აფრინეთ  
აგურხანაში.

— მხერხავეები ტივის მორებს ხერხა-  
ვენ, უფალო გრიგოლ!

— ამისთანა ხუროებს სად იშოვნით,  
უფალო გრიგოლ, ხელიდან არ გაუშვათ.

— გადახურვას მოვრჩით, უფალო  
გრიგოლ!

— უფალო გრიგოლ, დურგლები კარ-  
ფანჯრების კეთებას შეუდგნენ, კიდევ  
რას გვიბრძანებთ!

— მღესავეები სამუშაოზე დავაყე-  
ნეთ, უფალო გრიგოლ!

— სახურავზე თუნუქი რაფრად შეე-  
ღებოთ, უფალო გრიგოლ!

გულგასენილი ფირუზა ზანდაროვი  
მწვანდებოდა და ყვითლდებოდა.

სკუდიერიც სულ უფალ გრიგოლის  
გარშემო ტრიალებდა.

იტალიელი ხუროთმოძღვარი ხარა-  
ჩოებზე თხასავით დარბოდა და ყველა-  
ფერს აკეთებდა, რათა თბილისელი მი-  
ლიონერის პატივმოყვარეობა დაეკმა-  
ყოფილებინა.

ფირუზა სულ იმას ნატრობდა, რათა  
მას ფეხი დასხლტომოდა და ძირს ჩა-  
მოვარდნილიყო.



## 6. ძველ უბანში

დაეწეხების გახსენება ძნელია.

## ხალხური ნაყვები

როგორ მოხვდა გრიგოლ ზანდაროვი ბართლომე კურტიანიძის სახლში, თვითონაც ვერ გეტყვოდა.

შუა სექტემბრის წყნარი საღამო იდგა.

ქალაქელები ბანებზე, აივნებზე და ქუჩებში იყვნენ გამოფენილი.

ქარვასლიდან გამოსული გრიგოლ ზანდაროვი ერეენის მოედანზე შადრევნის გასწვრივ სეირნობდა.

საერთოდ საღამომობით ხალხმრავალ მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე სეირნობა და თავის გამოჩენა უყვარდა. ნაცნობებთან შეხვედრა, მასლაათი, ლამაზი ქალების თვალღერება, მათი ნიშანში ამოღება, უკან შეუქმნევლად დადევნება და ვინაობის გაგება. თბილისის ახალი ბულვარების ამ აზოვან „დენდს“ კარგად იცნობდნენ დარბაისელი მოსეირნენიც და ფუქსავეტი „ხახვის ფრანტებიც“.

გრიგოლ ზანდაროვი ჯერ აუზის შადრევნების ყურებით ერთობოდა, მერე ჩაიხანების და სამიკიტნოების თავდაღმართში დიდხანს უქჳირა საზამთროების დაგორების თამაშს, ბოლს ვანქისკენ გაემართა და სრულიად მოულოდნელად მტკვრისაკენ გაუხვია.

მის წინ მტკვარი მზის ჩამავალ სხივებზე წითლად ალაპლაპდა. ტივებზე მოყაყანე მეტივეებს გადახედა. ზევით, გაღმა მხარეს, ერთ კუთხეში ვეებერთელა შავი ფრინველებივით მტკვარში ჩამსხდარ წყლის წისქვილებს მიაცქერდა. თვალი ააყოლა მათი მბრუნავი ბორბლების წყლის ჩქერალს, რომელიც ზანტი სრილით იღვრებოდნენ მდინარეში და ბორბლებზე ჯერ ისევ ლიცლიცა ჰვალეებს ხან შინდისფერი შუქი ეკიდებოდათ. ხანაც ატმის ყვავილების ფერი. უეცრად გულმა კუკისაკენ გაუწია. ფირუზას და თეთრ ლიზას ძველი სახლის და კარ-მიდამოს ნახვა მოე-

ნატრა. მტკვრის ნაპირს გასყევან ხილზე გავიდა და ნაცნობი ქუჩებით იმ სახლისკენ გაემართა, სადაც მას ჰაბუკობის წლები ჰქონდა გატარებული.

ირველივ მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო, მტკვრის ნაპირის კიჳინა ძეძენარიც, ვიწრო ქუჩებიც და ბნელი ქუჩაბანდებიც, პატარა სახლების აივნებიც და ბაღნა-ბაღების სოფლური ღობეებიც. თავიანთი ძველი ქუჩის მოსახვევში გრიგოლმა ძალზე დაბერებული მეთულუხზე იცნო, ზოგიერთი სხვა მეზობელიც, რომელთაც მას ცნობისმოყვარეობით მოხედეს, მაგრამ ველარ იცნეს. გრიგოლს ზანდაროვების სახლი და თეთრი ლიზას ბაღნა იქ აღარ დახვდა, სადაც ეგულებოდა. მათს ნასახლარზე ეტლების დიდი სახელოსნო გაემართათ, ხოლო ქუჩის პირზე, ფირუზას დუქნის ადგილზე, ორსართულიანი აგურის შენობა იდგა. ეზოდან გერმანული ლაპარაკი მოისმოდა. გერმანული ხელოსნები რამდენიმე ეტლს ერთად აკეთებდნენ. ეტლების მუშტრები თანდათან მრავლდებოდა. ასეთივე სახელოსნო რიყეშიც იყო გამართული.

გრიგოლ ზანდაროვი ძველი ნასახლარის წინ საკმაოდ დიდხანს იდგა, მაგრამ არავითარი მღელღარება არ ეტყობოდა. თავისი წარსული ცხოვრება მას არ აგონდებოდა, რადგან ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როდის ეყიდა ეტლი. რათა ყველანი ერთხელ კიდევ გაეკვირვებინა და შურით დაედგა.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან მწუხრის ზარების რეკვა მოისმა. გრიგოლმა პირჯვარი გადაიწერა. მერე პატარა აღმართს შეჰყვა. მაკას სახლს ისე გაუარა, რომ არც იქით გაუხედია, არც თვითონ მაკა გახსენებია. მას თავისი ყოფილი დუქნის ნახვა აინტერესებდა აღმართის თავზე ზედ ქუჩაზე რომ იყო გადმომდგარი.

დუქნის წინ რუმბივით დამრგვალებული მედუქნე იჯდა. შარვლის ტოტები მუხლის თავებამდე გადაეკეცა, ბა-

ნჯგვლიანი ფეხები თათრულ ჩუსტებში წაედგა, ხელში ბუზების მოსაგერიებელი ეჭირა და თაბახებზე დალაგებულ ხილზე მისეულ ბუზებს იგერიებდა. დუქნის ერთ მხარეს საზამთროების გორი იდგა, მეორე მხარეზე თუთმა, ყვითელი ნესვები ეყარა. სახეგაყინელობებში მედუქნემ სქელი კისერი ზარმაცად მოაბრუნა ზანდაროვისკენ, არაფრისმთქმელი ლოქოს თვალებით შეხედა და კვლავ თავისი საქმე განაგრძო. ზანდაროვმა ერთი წამით დაადგა მას თვალი და კინაღამ ისცილი წასკდა. სწორედ ამ აღვილზე, დუქნის წინ, დიდი ხნის წინათ ჭერ ისევ ახალგაზრდა გიგა ზანდაროვი იჯდა თავზე ცუდად მორგებული ვაჭრის ქუდივით, რადგან იმ დროს მაიკო კურტანიძეზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე დუქანსა და ქარავსლაზე. უცებ გრიგოლი ბართლომე კურტანიძის მიერ აშენებულ კედელს დააშტერდა, რაღაც მოაგონდა, რაღაცამ ააღელვა და საჩქაროდ იქითკენ გაუხვია, საითკენაც წასვლას სულაც არ აპირებდა.

**7. დავიწყებული ბრძოლი**

ეკლესია მხოლოდ ბედნიერ ქალს უხდება.

ინორე დე ბალზაი, „პონორინე“

ბართლომე კურტანიძის ორსართულიან სახლს არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. მხოლოდ ბალს ჰქონდა მესერის მაგიერ მაღალი ქვითკირის ღობე შემოვლებული. სახლის სახურავიც ახალი წითელი კრამიტით ჩანდა დახურული, ხოლო გრძელ, მუქლურჯად შეღებილ აივანზე გაშვებული ვაზი მწვანედ გადაბარდნულიყო და ყურძნის მსხვილი მტევნებით დახუნძლულიყო. არავინ იფიქრებდა, რომ ამ სახლში მილიონის მფლობელი ცხოვრობდა.

გრიგოლ ზანდაროვს უღვაშებში ჩაეცინა, სოლოლაკში დაწყებული სახლის მშენებლობა მოაგონდა და თავისი უპირატესობის შეგნებით გამსკეპალულმა ბართლომე კურტანიძის სახლის კი-

შკარი ლაღად შეაღო, ნაცნობი ეზო გადასჭრა, ჩარდახიან კიბეს აუწყავდა ვიწრო აივანზე აღმოჩნდა.

ბატრა ხარაჩოზე შემდგარი ბართლომე კურტანიძე აივნის კედლებს მიხაკისფრად ღებავდა. გრიგოლს მყისვე თვალში ეცა მისი დაგლეჯილი, საღებავით დასვრილი ტანსაცმელი და წარბი გაკვირვებით ასწია. ბართლომე კურტანიძემ მას ცალი თვალით გადმოხედა, თავი ოდნავ დაუკრა და საღებავის საღებავში ამოვლებული ფუნჯით ისევ კედელს მიუბრუნდა.

უცხვირპირო და დამუნჯებულ ბართლომესთან გრიგოლს არც ლაპარაკი ენერგებოდა და არც საღამ-ქალამი. ქალაქური შორისდებულებიც სრულიად ზედმეტი იყო. ოღონდ თავი მდაბლად დაუკრა, გვერდში გაუარა და ნაცნობი ოთახის ნაცნობ კარს მიაღდა.

ოთახში შილიფად ჩაეკმული მაიკო დახვდა. ნახევრად შიშველი ქალისთვის გრიგოლ ზანდაროვის გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სახტად დარჩენილმა ჭერ ვერაფერი აწამა, ვერაფერი მოისახრა, მერე სახეზე სირცხვილის აღმურმა აჭკრა, „უეი“ შესძახა და ოთახიდან გავარდა. გრიგოლმა მისი შიშველი მხრების და გულმკერდის თვალის შეველება მოასწრო, რაღაც მოაგონდა, რაღაც გაახსენდა, მაგრამ საღერღელი მაინც არ აეშალა. როგორც ქალი მაიკო კურტანიძე მისთვის აღარ არსებობდა.

გრიგოლი მაგიდასთან ბატონკაცურად დაჯდა, თავიდან მაღალი პრილა შავი ცილინდრი მოიხადა, ფეხებთან იატაკზე გამობრუნებული დასდო, შიგ ყვითელი ხელთათმანები ჩაჰყარა, მუხლი მუხლზე შემოიღო, სკამის ზურგს მიეყრდნო, ორმაგი კილეტის ლილოკილოებში ცერის თითები გაჰყო და მილიონერის ოთახს გადახედა. სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა ამ მდგომარეობაში დახვდა იგი კაბაგბდაცმულ მაიკოს.

გრიგოლმა მას მეგობრულად გაუღი-  
მა:

— როგორა ხარ, მაიკო?

მიუხედავად იმისა, რომ მაიკო ისევ  
დაბნეული იყო, მას მაინც თვალში  
მოხვდა მისი დამცინავი ღიმილი. უკმე-  
ხი გამომეტყველება მიიღო, უკმეხად-  
ვე უპასუხა:

— როგორ უნდა ვიყოთ? ღვთის მად-  
ლით, მგონი არა გვიჭირს რა.

მეგობრულად განწყობილმა გრიგო-  
ლმა მაიკოს უკმეხობას არავითარი  
ყურადღება არ მიაქცია. სკამის ზურგ-  
ზე გადაქანებული ისევ ბატონაკურად  
იჯდა არც მუხლიდან მუხლი ჩამოიღო.  
მაიკოს არც ეს გამოეპარა. ქართვე-  
ლებში ყველაზე დიდ შეურაცხყოფად  
სკამზე სტუმრის ასეთნაირად ქლომა  
ითვლებოდა.

შელახულმა თავმოყვარეობამ მაი-  
კოს სითამამე დაუბრუნა. აიგნის კარი  
გაიღო და მოახლეს გასძახა:

— გოგო, თვალმშვენიერისაგ!

ოთახში ნორჩი გოგო შემოვიდა. ახ-  
ლად ტანაყრილი, პირმწყაზარი, თვალ-  
ქუქუნა და კალმახივით მოქნილი. გრი-  
ვთლმა მას აღტაცებული თვალი და-  
ადგა და აღარ მოაშორა.

მაიკოს კიდევ უფრო უკმეხი გაუხდა  
სახე, გოგოს მიუბრუნდა და მოკლედ  
მისჯრა:

— ბატონს ხილი მოართვი!

გოგო ხილის მოსატანად გაიქცა. მაი-  
კომ სუფრა გაასწორა. ბართლომე კუ-  
რტანიძის ნაკეთები განჯინიდან თეფში  
გადმოიღო, გრიგოლს წინ დაუდგა.  
ჩუმად ირჯებოდა და ხმას არ იღებდა.

ღუმელი გრივთლმა დაარღვია:

— ლამაზი მოახლე გყოლია, მაიკო.  
სახელიც კარგი აქვს, თვალმშვენიერი-  
სა, იფ!

მაიკოს თაფლისფერი თვალები ირო-  
ნიულმა ღიმილმა გაუნათა. სტუმარს  
დამცინავად გადმოუვლო:

— ჰო, ლამაზია, მაგრამ იმისავეთ  
თქომამოვარდნილი არ არის.

— ვინ იმისავეთ? მაიკო...  
ვირდა გრიგოლს.

მაიკომ მას პირდაპირ თვალებში შე-  
ხედა, მაგრამ რაკი შეამჩნია, რომ მისი  
სტუმარი გულწრფელად იყო გაკვირ-  
ვებული, შუბლზე ჩრდილმა გადაურ-  
ბინა, გულმა შემოჰკვენესა: „არ ახსოვს,  
არავინ არ ახსოვს, ყველანი დაივიწყა,  
მეც, ისიც, ალბათ მაკაც, — ამბობდა  
თავისთვის გულმოკლული მაიკო, — რა-  
მდენი ხანია აქა ზის და ბიჭები ერთხე-  
ლაც არ უხსენებია“.

სიტყვა ბანზე აადგო:

— წინათ სხვა მოახლე მყავდა, იმა-  
საც თვალმშვენიერისა ერქვა.

— ჰო.

თქვა გრიგოლმა, რომელსაც მაიკოს  
თქომამოვარდნილი მოახლე მართლაც  
არ ახსოვდა.

## 8. ზაპატივება

სატრფოს ერთი შემოხედვა მრავალ სი-  
მწარეთ გვეიწყევს.

გრიგოლ ორბელიანი

თვალმშვენიერისამ ხახალით ხილი  
შემოიტანა: პირწითელა ატმები, გადა-  
ლურჯებული ლეღვი, ქარვისფერი ყუ-  
რძნის მტევნები, დარჩეული ოქროს-  
ფრად მზინავი ნიგოზი, შარბათით სავ-  
სე ღოჭი.

— მიირთვი. — შესთავაზა მაიკომ  
სტუმარს. — ჩვენი ბალის ხილია, ბარ-  
თლომეს დარგული და ნახარები.

გრიგოლმა ატამი აიღო. თვალებით  
რალაცას დაუწყო ძებნა. ქალბატონმა  
მოახლეს გადახედა, მოახლემ ქალბა-  
ტონს.

— ატამს გაუთლელად არ გიახლე-  
ბით, მალრიბში დაეჩჩევი.

ვაგებინა მაიკოს გრიგოლმა.

თვალმშვენიერისამ მას ერთადერთი  
დანა მოურბენინა მილიონერის სახლ-  
ში დანა-ჩანგალი არ აღმოჩნდა. მაი-  
კოს შერცხვა. გაწითლდა. მერე გაკვი-  
რებით უყურებდა, როგორ თლიდა  
ატამს გრიგოლი ტლანქი და უხეში და-

ნით, რომელიც მას კარგად მოვლილი, ორი ძვირფასი ბეჭდის აღმასებით განათებული თითებით ეჭირა, ნაფცქვენს გრიგოლი თეფშზე ალაგებდა. ატმის გათლილი ნაჭრები დანის წვერით პირთან აუჩქარებლად მიჰქონდა, თან პატონაკატურად დინჯად ლაპარაკობდა.

— ბართლომე კურტანიძე განთქმული კაცია, მდიდარი, სახელოვანი, მაგრამ რათ გინდა? ისე დადის გეგონება გროშის პატრონიც არ იყოს. ჰკვიანიცაა, მშრომელიც, მომგებიანიც. ამას ვინ რას იტყვის? მაგრამ კაცი ტანსაცმელით ფასდება. ფირუზამ მითხრა, რომ ყურთმაჯებიანი კაბა ბართლომეს სულ ორჯერ სცმია, ორჯერვე ნამესტნიკის საჩვენებლად მორთულა, როცა მაგისტრის ხელმწიფის მედლები დაუკლდიათ. განა ერთი ყურთმაჯებიანი კაბა რა ღირს, რომ ყოველდღე არ ჩაიცვას ადამიანი?

მაიკო ხმას არ იღებდა. პირმოკუმული იჯდა. გრიგოლმა მოუჩივრებლად შეათვალიერა და განაგრძო:

— შენც დროა ჩითვის კაბა გაიხადო. მაიკო. ჩადრი და ქალაღია: შენ რათ გინდა, ლეჩაქი და ჩიხტი-კოპიც ეხლა თეთრი ლიზას ხნის დედაკაცებს უხდებათ. ხელს რა გიშლის? წლოვანება თუ უფულობა? მიხედულობას მიჰყევი, წინ ნურავის დაიყენებ.

მაიკო კურტანიძე ისევ ჩუმად იჯდა. მაგრამ უკმეზი გამომეტყველება თანდათან ურბილდებოდა. ეტყობოდა. გრიგოლს ყურადღებით უსმენდა, მისი ნათქვამის და ჩამოკრულების აზრის გამოკრევეას ცდილობდა.

გრიგოლმა ერთხელ კიდევ მოაქლო თვალი ღარიბულ ოთახს, თავი გადაიქნია და, რაკი მაიკო ხმას არ იღებდა, ისევ თვითონ განაგრძო ლაპარაკი:

— კარგი, მაგას თავი გვანებოთ. შენ ეს მითხარი, განა დიდის ფულის პატრონი ასეთ სახლში, ოთახებში ან უბანში უნდა ცხოვრობდეს? არ ვიცი ჩვენ ორში რომელი უფრო მდიდარია, მე თუ ბართლომე კურტანიძე, მაგრამ თა-

ვის გამოსაჩინად სოლოლაკში უნდა სახლს ვაშენებ, რომ მტრებს დაუბრმავდეთ, მოყვრებს გაეხარდეთ, დიდ-პატარამ ქალაქში ჩემზე ილაპარაკოს და ფეხქვეშ გამეგნენ. თავი უნდა მოვიწონოთ, მაიკო! სახელი და პატივი უნდა დავიდოთ. აღარც მე ვარ მედუქნე და აღარც ბართლომე ხაბაზი. ვალმა ვადით, სოლოლაკში სახლი წამოსკიმეთ, მდიდრები ვალმა ცხოვრობენ. — გრიგოლს რაღაც მოაგონდა, ფირუზასავით იქედნურად გაიციხა და დასძინა: — ვაჭრის ქუდს მოვლა უნდა, თორემ მართო ახალგაზრდა და გამოუცდელ ვაჭრებს არ უვარდებათ თავიდან. კაცის სიმდიდრე მდიდრული ცხოვრებით ფასდება.

მაიკოს გაუცინა და მოაგონა:

— არ გახსოვს, ვაჭრის ქუდზე რამდენი მელაპარაკე?

მაიკოს მყისვე მოაგონდა ოდესღაც გიგასთვის ქარაგმულად ნაიქვამი. მუნასიბი „ვაჭრის ქუდის შესახებ“. თავლისფერი თვალები გაუბრწყინდა, გაეხარდა. გულში იმედმოცემულმა გაიფიქრა: „მაშ, ზოგი რამ კიდევ ახსოვს. მაშ, ზოგი რამ არ დავიწყინა, მაშ. ძველი გიგა სულმთლად არ დაკარგულა“.

უნებლიედ კისერი წაიგრძელა, კეთილმოსურნედ გაღიმებულ სტუმარს დააქებდა. კვლავ ემცნაურა მისი სოთი ცხვირი, ელვარე ტუჩ-კბილი, ლამაზი თვალები, გრუზა, საფეთქლებთან თეთრძაფებგავლებული, მაგრამ მაინც საოცრად თმაგიშერა ქოჩორი. გიგა იყო, ნამდვილად გიგა იყო!

დაშტერებით უყურებდა მის ათასჯერ გადაკოცნილ თვალ-წარბს და გულში იმედის ნაბერწყალი უღვივდებოდა.

მაიკო ხედებოდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა თავისი ძველი საყვარლისთვის, რომელიც მას ახლაც თავდავიწყებით უყვარდა, რაღაც უნდა ეპასუხა, რათა მასთან მისასვლელი გზა როგორმე ეპოვა, მაგრამ მხოლოდ ამის თქმა მოეხერხა:

— ბართლომე ხნიერი კაცია, მაგის გამოცვლა აღარ შეიძლება.

— შენ ხომ ახალგაზრდა ხარ! ამ უბანში ცხოვრება შენ რათ გინდა?

— აქ დავიბადე, აქ გავიზარდე.

უპასუხა მაიკომ და კინალამ წამოსცა, რომ ახლაც ისე არ ჩაუვლიდა გიგა ზანდაროვის ნადუქნარს, რომ გულს არ აძგერებოდა.

— თეთრი ლიზაც აქა ცხოვრობდა, მაგრამ ესლა მტკვრის გაღმა სოფდაგრების ცოლებში ტრიალებს, შენ იმასზე ნაკლები რითი ხარ?

— მე რომ კიდევაც მოვინდომო, ბართლომე არ მოინდომებს.

გრიგოლმა გაკვირვებით შეხედა მაიკოს.

— მაშ, შენ თვითონ გამოცვლილხარ. წინათ, შახსოვს, რასაც მოინდომებდი. ბართლომე კურტანიძეც იმას აკეთებდა, — გრიგოლმა დაკვირვებით შეათვალიერა მაიკოს ლაშაზე პირისახე და სიცილით განაგრძო, — გიგა ზანდაროვიც მაგრად გყავდა დაბმული.

მაიკომ არ გაიცინა, რადგან შეეშინდა გრიგოლს მისი ორი პაწაწინა ღრჯოლი არ გახსენებოდა.

გრიგოლმა ოქროს გრძელ ძეწკვზე ჩამოკიდებული ოქროს საათი ამოიღო ფილეტის ჯიბიდან, დახედა და ფეხზე წამოდგა. მაიკომ სტუმარი გააცილა. ბართლომე კურტანიძემ ახლაც მხო-

ლოდ ერთხელ გადმოხედა გრიგოლ ზანდაროვს, თავი ოდნავ დაუქრია და გულმოდგინედ დაუწყაო თვალიერება ახლად შეღებილ კედელს. მაიკომ და გრიგოლმა ჩუმად გაიარეს აივანი, ჩუმად ჩაიარეს კიბეც, ეზოში ჩუმად გაუარეს ბაღის ღობესთან ჩარიგებულ ნუშებსა და ბროწეულებს და ქუჩაში გავიდნენ.

კიშქართან გრიგოლმა მაიკოს მალაღლი, პრიალა შავი ქუდი მოუხადა, გამოსამშვიდობებლად თავი დაუქრა და უთხრა:

— ფერშანგოვების სახლში დიდუცობას მინდა დავუძახო. იმედი მაქვს, შენცა და ბართლომემაც პატივი დამდოთ.

თქვა და თავდაღმართს ნელი ტაბტით დაადგა.

აღმართზე ორი ბიჭი ამოდიოდა. გრიგოლ ზანდაროვმა მათ ყურადღება არ მიაქცია, გვერდში უცხოსავეთ ჩაუარა.

— დედი, ეგ კაცი ვინ იყო?

მოაძახეს ქვემოდან მაიკოს ზანდაროვის შეილებმა.

— ნათლიანთ გიგა.

ჩახლეჩილი ხმით უპასუხა მაიკო კურტანიძემ და საჩქაროდ კიშქრისკენ გატრიალდა, რათა მისი ბრაზით და ბოლმით აღეწილი სახე შეილებს არ დაენახათ.

1831 წლის 11 ივნისი

I

ბავშვობის დღიდან ჩემი სული ოცნებამ ზარდა, —  
იგი უცნაურს დაეძებდა. მიყვარდა ვნებით  
ქვეყნის ცდუნება, თვით ამ ქვეყნის მაღალ წრის გარდა, —  
სადაც ცხოვრება მიხდებოდა მხოლოდ წუთებით;  
და ეს წუთებიც იყო სავსე ტანჯვით, წვალებით,  
და მე ჩემს სიზმრებს საიდუმლოს ამგვარ წამებით,  
ვაფსებდი მუდამ... მაგრამ სიზმარი  
რჩებოდა ისე, ვით სამყარო, მშვიდი და წყნარი.

2.

ხშირად ძლიერი ჩემი ფიქრით სულ მოკლე ჭაშში  
საუკუნეებს მე ევოცხლობდი სხვაგვარ ცხოვრებით,  
მე დედამიწას ვივიწყებდი, და ასეთ წაშში,  
შემფოთებული კაეშნიან ფიქრის ქროლებით,  
ვაფრქვევდი ცრემლებს, მაგრამ განცდით რაც ჩემში ვნახე,  
ვითომ სიავის ან ტრფობისა ხაგანთა სასე.  
არ ედრებოდა მიწით შექმნილ არცერთ არსებას, —  
ხან ჯოჯოხეთთან, ხან კი ცასთან კქონდა მხგაესება.

3.

ცივი სიტყვებით ვერ გადმოსცემ ფიქრთა დუღილსა.  
არ გააჩნია ადამიანს ისეთი ხმები  
საკმაოდ მძლავრი, რომ შეახხას ხორცი სურვილსა  
ბედნიერების, ნეტარების. გუნებას ენებისას  
კეთილშობილურს მე განვიცდი, მაგრამ გრძნობისთვის  
ვერ ვპოვებ სიტყვას, და მზადა ვარ მაშინ იმისთვის  
ვიქვე ზვარაკად, რომ როგორმე სხვის გულს გადავცე  
თუნდაც აჩრდილი იმ განცდათა მე რომ მიტაცებს.

## 4

სახელ-დიდება ნეტავ რაა? — მაგრამ, ცხადია,  
 წუფლებიან მე ისინი და მიბრძანებენ,  
 რომ ყველაფერი მათ შევწირო, რაც მახადია.  
 გარსებობ ასე და დღეები მე მაწამებენ  
 უსაქმურობით — ობლადშთენილს, ჩირქმოსებულსა;  
 მაგრამ მე მაინც მათ ვენდობი! შეუცნობელსა.  
 წინასწარმეტყველს უკვდავება ჩემთვის აღუთქვამს,  
 და მე, ცოცხალმა, სიკვდილს მივცე, რაც ქვეყნად სუნთქავს.

## 5

მაგრამ სამარე ზეციურსა ვერ მიიკუთნებს  
 ოცნებას ჩემსას, როს სხეული იქცევა მტვერად,  
 გაკვირვებული ეს ქვეყანა მაინც აკურთხებს,  
 თუმც ვერ მიწვდება; ო, ძვირფასო, მე მაინც მჯერა,  
 რომ ჩემთან ერთად არ მოკვდები: და ჩემი ტრფობა  
 სიცოცხლეს უკვდავს დაგიბრუნებს შენს შესამკობად  
 შენც ჩემთან ერთად გახსენებენ მოგონებისას:  
 ვის დასჭირდება განშორებით დასჯა მკვდრებისა?

## 6

დაღუპულთადმი კაცი იჩენს ღმობიერებას;  
 შვილი აღმერთებს, რასაც მამა სწყველიდა მხოლოდ.  
 არ საჭიროებს დაუცადო გაჭაღარებას,  
 რომ მიხვდე ამას! ყოველივეს აქვს თავის ბოლო;  
 ყვაეილზე ოდნავ არის კაცი მრავალხნიერი,  
 მარადისობის ქროლებიწი წილ მათი იერი  
 თანაბარია და ამო; სული კი მუდამ,  
 ოდეს სხეული დაიშლება, ცოცხლობდეს უნდა.

## 7

ახევე მისი ქმნილებანიც. ზოგჯერ სულ მარტო  
 მჯდომი წყლის პირას, ყველასაგან დავიწყებული,  
 ვაკვირდებოდი, რომ მდინარე ლალად და ფართოდ  
 მიაქანებდა ცისფრად ტალღებს, აჭაფებული.  
 თუ როგორ კრთოდა და ბრწყინავდა ზვირთებზე ზოლი.  
 ვუცქერდი ჩუმად და მდუმარედ, სხვა ფიქრთა სრბოლით  
 არ ვერთობოდი, და უდაბურ ტალღების ხმებსა  
 ვუზიარებდი საიდუმლო ოცნებას ჩემსას.

## 8

მაშინ ვიყავი ბედნიერი... ო, ნეტავ მერგოს  
 დაუვიწყარის დავიწყება! ქალის სიტურფის!

მიზეზის ცრემლთა, მღვლეარება, სიგიჟის ერთ დროს!  
 დიდი ხანია სხვას ეკუთვნის, ის სხვასთან არის,  
 სხვამ შეიყვარა და სინაზით მეც შევეტრფი სხვასა.  
 მსურს რომ მიყვარდეს, — მთელი არსით შევედრი ცასა  
 ახალი ტანჯვა მომანიჭოს: მაგრამ ეს გული  
 ისევ სავსეა განვლილ დღეთა მძლე სიყვარულით.

## 9

ამქვეყნად არვის არ ვუყვარვარ, არცინ მათასებს,  
 ისე, ვით ყველას, მე მოვბეზრდი საკუთარ ჩემ თავს;  
 ღრმა კაემანი შუბლს მიღარავს, მოწყენით მავსებს,  
 ვარ მუდამ ცივი და ამაყი; ბრბო ჩემში ზედავს  
 ზოგჯერ არსებას მხოლოდ ბოროტს; მაგრამ მან განა  
 უნდა გაიგოს თავხედურად გულში რას ვფარავ?  
 მას ამის ცოდნა რად სჭირდება? ხომ სულერთია  
 მისთვის — ჩემს სულში ღამეა თუ ცეცხლი ანთია?

## 10

ცაზე პირქუში და მრისხანე ღრუბელი ჩნდება,  
 საბედისწერო იმალება იქ ცეცხლის ალი;  
 იგი ყველაფერს ანადგურებს, რაც გზაში ხედება,  
 და ფერფლად აქცევს. საოცარი წარმტაცი ძალით  
 იელვებს წამით და ისევე ღრუბელში რჩება;  
 მის წარმოშობას ვინ გაიგებს, ან ვინ მიხედება?  
 ან ვინ ჩახედავს მოცურავე ღრუბელს სიღრმეში?  
 რისთვის? ისედაც ის გაქრება მალე სივრცეში!

## 11

ჩემს მომავალზე მე ვოცნებობ სიმწუხარეში.  
 სიცოცხლეს როგორ დავამთავრებ და, როს მოვკვდები,  
 სული ხად წავა საცხოვრებლად, რომელ მხარეში,  
 ჩემთვის საყვარელ და სანუკვარ საგნებს შევხვდები?  
 მაგრამ თუ ვისმეს მე ვუყვარდი, ის ჩემს ხმას ნეტავ  
 კვლავ თუ მოისმენს, ან შეიცნობს... ცუდია, ვხედავ,  
 გიყვარდეს ისე, როგორც ჩემ თავს წილად რგებია,  
 მაგრამ, ჩანს, ნაკლებ სიყვარული არ შემძლება.

## 12

მრავალს ამქვეყნად სიყვარული არ სწამს, არ სჯერა,  
 და თავსა გრძნობენ ბედნიერად; სხვებისთვის კიდევ  
 იგია სისხლის მღვლეარება, კუნთების ბგერა,  
 აგზნება ტვინის, ან სიზმრების მსუბუქი რიდე,  
 არ შემიძილა, რომ განვსაზღვრო მე სიყვარული,  
 მაგრამ ვე არის უმძლავრესი ვნება ფარული! —



მე ვთვლი საჭიროდ, რომ მიყვარდეს, და სიყვარულსა  
ვემორჩილებდე ჩემს არსებას და ჩემსა სულსა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 13

ვერაგ ლალატმაც მე ამას ვერ გადამაჩვია.  
ვნებათა დუღილს მე არ ვხვდები გულისა ცემით,  
დაკოდელ ჩემს გულს ერთადერთი რაც გააჩნია —  
სიყვარულია, ყრმობის დღეთა ღვთაება ჩემი.  
ამგვარად ზოგჯერ ნანგრევების გამსკდარ კედელზე  
არყის ხეს გაზრდილს დაინახავთ, გაფურჩქენილს მზეზე  
იგი ფოთლების სიელვარით ახარებს თვალსა  
და თან ამშვენებს ნანგრევების ხავსიან ქვაბა.

## 14

და ვინმე უცხო მოგზაური მას შეიბრალებს,  
რადგან უმწეო, უსუსური, ღონემიხდილი  
პირისპირ უდგას სტიქიონის მრისხანე ძალებს.  
და მას უდროოდ ელოდება ჭკნობა, სიკვდილი.  
მაგრამ ვერასდროს ფესვიანად ჩემს არყის ხესა  
ვერ მოჰგლეჯს ქარი: ის სიმკვრივით ედრება კლდესა;  
ამგვარად, ვნებას შეუძლია მძლავრად და მწველად  
მხოლოდ ჩაგრულ გულს დაეუფლოს განუსაზღვრელად.

## 15

ტიერთი ყოფნისა ვერასოდეს ვერ დაამძიმებს,  
ვერ გააცვივებს საამაყით აღსავსე სულსა;  
ბედი მუსთალი მას უდროოდ ვერ მიაძინებს,  
მხოლოდამხოლოდ ააჯანყებს, ამხედრებულსა,  
დაუძლეველის წინააღმდეგ მას ბოროტება  
რომ ჩაიდინოს შეუძლია, და თანაც ხვდება —  
ხალხს ნეტარება მიანიჭოს ის არის მზადა:  
ასეთი სულით შენ ღმერთი ხარ, ან არამზადა...

## 16

მუდან მომწონდა და მზიბლავედა უდაბნოს მზერა,  
შიშველ გორებზე მონაყარდე ნიავე გრილი,  
ზუციის წიაღში თავისუფლად მფრინავი ძერა  
და გაშლილ ველზე დაცემული ღრუბლების ჩრდილი.  
ცხენების ჯოგებს აქ უღელი არა სჩვევია,  
სისხლისმსმელ ფრინველს ფრთები ლაღად დაურსევია,  
და გაშლილ ველთა მოკამკამე ცაზე ღრუბლები  
ბიჭრიან ნათლად, რაღაც მეტის თავისუფლებით.

## 17

მარადისობა ბუმბერაზი და საშინელი  
ადამიანის სუსტ გონებას წარმოუდგება.

როს ოკეანეთ გადაშლილი უსაზღვრო ველი  
 მის თვალთა ხედვას ელვარებით წინ აღუდგება;  
 სამყაროა დიად ქარმონიის ბგერა ყოველი,  
 ყოველი წუთი სიამის და ტანჯვის მომგვრელ-  
 ხდება ნათელი, გასაგები, და მხოლოდ მაშინ  
 ჩვენ შეგვიძლია გავერკვიოთ ბედის წინაშე

## 18

მთები ველური ვის უხილავს, როდესაც ფარჩებს  
 წუთი ნათელი კიდევ აფენს მომაკედავ დღესა.  
 დაახალეთისკენ გადახრილი მზე ხანძარს აჩენს  
 და ღამის ლანდი აღმოსავლეთს აპარებს ბნელს.  
 კვევით — თხემები, ჩირგვეთია, მორევი ჯანღის,  
 ირგვლივ კი მთები მონიბლავეი, ლაგვარდის თადი,  
 და მწვერვალები, ვით გრიგალის შემდეგ ღრუბლები,  
 დგანან, შემკულნი ჩამავალ მზის სამკაულებით.

## 19

გული სავსეა, ისევ სავსე უწინდელ წლებით,  
 და ძლიერ მიცემს; უსხეულო ჩონჩხი წარსულია  
 ისევ ცრცხლდება აგზნებული ჩემი ოცნებით,  
 იგი დგას ჩემ წინ თვის შეგნებით შემოგარსული.  
 საკუთარ პორტრეტს ჩვენ ასევე ვუცქერით ხშირად.  
 თუმცა მსგავსებას ჩვენ ვპოულობთ იქ უკვე ძვირად.  
 ტილოზე კიდევ დარჩენილა თვალთ ელვარება,  
 რაც ჩაუჭირა ეამთა სვლასა და მღელვარებას.

## 20

რა შეედრება სილამაზით ამ პირამიდებს  
 ბუნებით შექმნილს — მთებს, აზიდულს ცათა სამკობად?  
 ეამთა ქროლება მათ ვერ შესცვლის, ხელს ვერ ჩასჭიდებს  
 ვერც სამეფოთა განდიდება, მათი დამსობა;  
 მათ ფერდობებზე დაჯახებულ ღრუბელთა ჯარებს  
 არბევენ კლდენი; ვლგის შუბი გმირავს მწვერვალებს,  
 მაგრამ ურყევი რჩება მათი ტანი ძლიერი:  
 ვინც ცის ახლოა, ვერ დაამზობს მას მიწიერი.

## 21

იწყვეს მოწყენას, როცა ველის უსაზღვრო არს  
 ვერცხლად ადგელებს მობიბინე ბალახის ფერსა,  
 ოდეს თარეშობს უბინადრო, ფრთიანი ქარი  
 და თავისუფლად მიაქროლებს სიერცემი მტვერსა,  
 ირგვლივ, რაც უნდა არ იცქირო, შეამჩნევ მხოლოდ  
 სადღაც აქა-იქ არყის ხეებს, გაზრდილს უტოლოდ.

ლურჯი სიბნელით დაფარული ისინი დგანან  
და ხალამოს ჟამს უდაბნოში მოშავოდ ჩანან.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 22

მოსაწყენია, თუ უბრძოლოდ მიდის ცხოვრება,  
როს ვარჩევთ წარსულს, ნათლად ვხედავთ მაშინ მარტოდენ  
საქმეებს მცირედს; აყვავების ჟამს სასოებას  
სულს არ მოგვრიან ეს საქმენი უსახელონი.  
საჭირო არის ვიმოქმედო, მსურს დღე ყოველი  
უკვდავყო ისე, ვით აჩრდილი შუქისმთოველი  
დიადი გმირის; და არ მესმის, თან მეძნელება  
გავიგო, რაა დადლილობა და მოსვენება.

## 23

ჩემს გონებაში განუწყვეტლოვ არის დუღილი,  
რადც თანდათან იქ მწიფდება. ჩემს გულს ყოველთვის  
აღელვებს მძაფრად საიდუმლო ნატვრა, წუხილი,  
მაგრამ რა ვუყო? შოკლე არის ცხოვრება ჩემთვის,  
სულ ვშიშობ იმას, რომ ვერ ვასწრებ და დრო არ ყოფნის  
რაიმე შევქმნა, შევასრულო! — წყურვილი ყოფნის  
ჩემში ძლიერი არის უფრო, ვიდრე ტანჯვები,  
თუმც მეზიზღება, მეძაგება ცხოვრება სხვების.

## 24

არის დრო ზოგჯერ — იყინება გონება ჩქარი;  
არის წუთები, როს ბურუსი მოიცავს სულსა,  
ოდეს საგანი სურვილისა შავბნელი არი;  
იძინებს ფიქრი, არც ტანჯვას გრძნობ, არც ლხენას-სრულსა,  
სული თვით არის შეზღუდული, ღონემისდილი,  
გმაგვს ვე ცხოვრება, საშინელი არის სიკვდილიც,  
ხედავ, რომ თვითვე შენში ბუდობს ტანჯვა-წამება  
და ბრალს ვერ დასდებ ვერაფერში ციურ განებას.

## 25

მდგომარეობას მე ამნაირს ვარ შეჩვეული,  
ამის ხიტყვებით გადმოცემას ვერ შესძლებს სახსედ  
ვერც ანგელოზთა, ვერც დემონთა ენა გრძნეული:  
მათ არ სჩვევიათ მღელვარება ამისა მსგავსი,  
ერთს სისაბეტაკე, მეორეს კი რგებია ხვედრად  
თვით ბოროტება, მხოლოდ კაცში მოხდა შესვედრა  
წმინდა და ბილწი გრძნობებისა. ადამიანის  
ყოველი ტანჯვა წარმომდგარი აქედან არის.

## 26

არვის არასდროს არ რგებია, რაც სურდა გულით,  
ან რაც უყვარდა; და ისიც კი, ვისაც განგებით,

ვით გამონაკლისს, მიენიჭა სიკეთე სრული,  
 თუ იგი წარსულს წარმოადგენს სწორი გაგებით,  
 ნახავს, რომ უფრო იქნებოდა ის ბედნიერი,  
 რომ ღმობიერი ყოფილიყო ბედი ძლიერი  
 და არ ჩაეკლა იმედები, მაგრამ ხელახლა  
 ვერ შეძლებს ნაპირს დაუბრუნდეს მბორგავი ტალღა.

## 27

როცა მრისხანე ქარტახილით შორს გატყორცნილი  
 აქაფებული ის მიილტვის ოხვრით, ზრიალით.  
 მას აგონდება თავის ყურე ნათელი, გრილი  
 და ლაქაშები მოალერსე ნაწი შრიალით.  
 ეგების იგი კვლავ მიადგეს სხვა ზღვათა ყურეს,  
 მაგრამ სიმშვიდეს იქ ვერ აპოვებს, არ მოისურვებს  
 ღინც შეეჩვია ხეტიალსა მშფოთვარე ზღვებში,  
 რომ უდარდელად მიიძინოს კლდის ძირას ქვებში.

## 28

წინასწარ ვიცი ჩემი ხვედრი და ჩემი ბოლო,  
 ნადრევე სევედია დადაღული უნდა ვიწოდე:  
 და რარივ ვწვალთ ეს განგებამ თუ იცის მხოლოდ,  
 გულცივ ქვეყანამ იგი როდი უნდა იცოდეს!  
 დაეიწყებული არ მოგვედები. გარდაცვალება  
 საშინელი იქნება ჩემი; გაიმსჭვალება  
 გაკვირვებით უცხო ქვეყნები, — მშობელ მხარეში  
 მე მხოლოდ არეინ მომიგონებს წყველის გარეშე.

## 29

არავინ. მაგრამ არის მაინც ერთი არსება,  
 რომელსაც შესწევს რომ უყვარდეს — თუმცა მე არა,  
 დღემდე მას ჩემი არა სჯერა. მაგრამ მსგავსება  
 არა აქვს სხვებთან; მისი გული სხვებისა დარად  
 ხაერთო აზრსა არ აყვება მოაგონდება  
 წინასწარტქმული ერთდროს ჩემგან და დაღონდება, —  
 სიცოცხლით ხავსეს და მზიარულს აძჟამად თვალებს  
 ცრემლი ამო მას აუმღერვებს და დაუსველებს.

## 30

მე სისხლიანი მელოდება საფლავის კარი  
 უდაბურ მხარეს, სადაც ისმის წკრიალი წყალთა,  
 არ ფლირსება ჩემ სამარეს ლოცვა და ჯვარი,  
 მე მხოლოდ ზეცა გადამხურავს ნისლიან კალთას,  
 იქნება ირგვლივ მდუმარება, სიცარიელე,  
 მხოლოდ ყრმა უცხო, აქ მოსული ნორჩი იურით,

ჩემზე თქმულებით, სიბრალულით გატაცებული,  
საფლავის ლოდზე ჩამოჯდება ჩაფიქრებული.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 31

და იტყვის: რისთვის ვერ გაიგეს იგი, დიადი?  
რისთვის ვერ ჰპოვა მეგობრები მან ამა ქვეყნად,  
რად არ აღირსა სიყვარულმა მზე განთიადის,  
რომ იმედები ისევ სულში მისთვის დაემყნა?  
იგი ამისა იყო ღირსი. — ფიქრი მწუსარე,  
მას ააღელვებს, დადუმებულს გახედავს არეს,  
იხილავს ღრუბლებს, ლაქვარდოვან ტალღების ჯარსა,  
თუარ აფრას შორით, ზღვის სიფრცეში პატარა ნავსა, —

## 32

და ჩემ სამარეს! — საყვარელი ჩემი ოცნება  
მას ემსგავსება. გვერის სიხარულს და სიტკბობებს,  
რაც არ ასრულდა, მიუწვდომი რაც ისევ რჩება, —  
ამ სურათებშიც სილამაზე მოიბოვება;  
მაგრამ ქალაღზე გადმოცემა ძნელია მათი:  
მძლავრია აზრი, თუ არ ბორკავს სიტყვების ზღარით,  
თუ ბავშვის თამაშს ის ედრება თავისუფლებით,  
ან ჩანგის ეღერას — ღამის დუმილს რომ არხევეს ფრთებით!

თარგმანი კოლაუ ნადირაძისა

1831



ილიან ვოლფგანგ პოეტი

## ფ ა უ ს ტ ი

ტრაგედია

ფაუსტის სამუშაო ოთახში

შემოდის ფაუსტი პედელთან ერთად.

### ფ ა უ ს ტ ი

აი დავტოვე ღამეულ ბნელეთ  
გარემოცული მინდორ-ველები.  
ყურდება გული, დაუდგრომელი  
მისწრაფებებით ანატგერები.  
სულს ეუფლება ნეტარი თრთოლვა,  
რადგანაც მასში მთელი სისავსით  
იღვრებებს ისევ დეთისადმი ლტოლვა  
და სიყვარული მოყვასისადმი.

ჩუმად, პედელო! ყუფა აღარ გავიგო შეგი!  
სულ ზღურბლს რას სუნაე და წკმუტუნს და წრიალს არ იშლი?  
ჩქარა დაწექ და მოისვენე ღუმელის გვერდით,  
აჰა, შენ გქონდეს ეს ყველაზე რბილი ბალიში.  
უნდა გითხრა, რომ საკმარისად გაგვართე გზაში  
სირბილითა და ხტუნვა-ხტუნვით, ჩემო ძმობილო.  
აქ კი უკვე ვე საქციელი არ მომდის თვალში  
და ამიტომაც ვარ მე შენით უკმაყოფილო.

როგორც კი ჩვენს ბნელ ოთახში კრძალვით  
ინთება ხოლმე მყუდრო ღამბარი,  
სულშიც უმაღვე ახალი ძალით  
იღვრება შუქის მძლე ნიაღვარი.

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7. 1975 წ.

გონება ისევ იუფლებს გრძნობებს,  
შეერდში იმედი გაფურჩქვნას ლაშობს  
და კვლავ ვსწრაფვით კეთილისმყოფელ  
ძალით აღსავსე სიცოცხლის წყაროს.

ჩუმად, პუდელო, და შეწყვიტე აქ ეს წრიალი.  
ნუკუ ვერა გრძობ, შენი ღრენა რათდენ ნაკლებ  
შეჭყერის ჩემში ატფერებულ უწმინდეს ქანგებს!  
თუმც ცნობილია: ძალზე სშირად ადანიანი  
თავგამოდებით უღრენს იმას, რაც ბევრად მასზე  
მალა დგას, რადგან, ბრმადქცეული და შურით სავსე,  
ვერ ეთვისება მშვენიერის ღვთაებრივ ძალას-  
მერედა განა ძალღივ უნდა ბედავდეს აპას!

მაგრამ ვაი რომ სანეტარო სიმშვიდე უმაღ  
წყვეტს ჩვენი სულის აღვსებას და გვტოვებს კვლავ მწყურვალთ.  
რად იშრიტება ასე სწრაფად იგი ნაკადი,  
ჩვენ რომ პიცოცხლის ცხოველყოფელ წყაროდ ვსახედით?  
თუმცა ამგვარი დანაკლისი ძალიან ნაღ  
შეივსება და გულს ნათელი მოკვეფინება,  
თუკი ჩვენ, როგორც მრავალგზისი გამოცდილება  
გვასწავლის, მზერას ნივამპრობთ კვლავ ზეციურ ძალებს  
და ხაცნაურს ვყოფთ მით ღვთაებრივ გამოცხადებას,  
რომლის ნამღვილი სიდიადე არსად მგლავნდება  
მართლაც ისეთი ჭეშმარიტი მოწინააღმდეგით,  
„ახალ აღაქმას“ რომ დღემდე ასე ძალუზად ახლავს.  
მინდა მივხარო მის წმინდა ტექსტს და ღვთის წყალობით  
ჩემს უსაყვარლეს გერმანულზე ვთარგმნო ის ახლა.

(გადამლის წიგნს და იწყებს მუშაობას.)

აქ სწერია, რომ პირველთაგან ს ი ტ ყ ვ ა იყოთ,  
პოდა, არ გინდა, შესატყვისი ცნება იპოვო!  
ს ი ტ ყ ვ ა ს ნ ე ასეა მნიშვნელობას ჯერ ნიქანიტებ,  
თუმც ხის სანაცლოდ ჯერ არც ვიცი, სხლას რას ავირჩევ.  
როგორმე უნდა გადავლასო ეს დაბრკოლება!..  
იქნებ დავწერო: პირველთაგან იყო გონება.  
მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდი ამ პირველ სტრიქონს,  
თავის ადგილზე არც გონება არ უნდა იყო.  
ქვეყნად ყველაფერს იგი ქმნის და განაგებს განა?  
სჯობს დაიწეროს, პირველთაგან რომ იყო ძალა.  
მაგრამ რაც უფრო ვუფიქრდები, მით უფრო ნათლად  
ვგრძნობ, რომ არც ძალა არ შეჭყერის დედანში ნათქვამს.  
სული მშველის! და ჰა, საჭირო ცნებასაც ვაგნებ,  
და ვწერ თამამად, პირველთაგან რომ იყო ს ა ქ მ ე.

თუკი, პუდელო, ჩემთან ერთად დარჩენა გინდა,  
რად არ წყნარდები და ხმას რატომ არ გაიკმინდავი!

გაიგე, ჩემო მეგობარო, რომ შენებრ ყბედი  
 მეზობლის გვერდით  
 აღარ ძალმძის გაძლება მეტი.  
 ისე მომბეზრდა შენი ღრუნა, რომ აღბათ მალე  
 ერთ-ერთ ჩვენთაგანს გაბრძანება მოუწევს გარეთ.  
 თუმც ძალზე მიმიძის, მაგრამ, როგორც ჭირვეულ სტუპარს,  
 გიცხადებ: კარი ღიაა და დამტოვე უმალ!  
 მაგრამ, ვაი, ეს რა უცნაურ რაშეხა ვხედავ!  
 სინამდვილე თუ მოჩვენება არის ეს ნეტავ?  
 ჩემი პუდელი სიმაღლეში ისე იზრდება,  
 რომ სადაცაა ჭერსაც მისწვდება.  
 ასეთ ურჩხულზე უკვე ძალღიჯ კი აღარ ითქმის,  
 სიგანეშიაც ერთითად მატულობს თითქმის.  
 ეს ვინ მყოლია თურმე სახლში ამ შუალაშით!..  
 პირს ისე აბრუნს, ვით ნამდვილი ჰიპოპოტამი-  
 ცეცხლოვან თვალებს აბრიალებს და არ წყნარდება;  
 ეშვებზე ვატყობ, ვინცა ბრძანდება.  
 მე ამ უწმინდურს ვერაფერს ვერ დავაკლებ ისე.  
 თუ „სოლომონის გასაღებს“\* არ მივმართე მყისვე.

### ს უ ლ ე ბ ი

(დერეფანში)

კარს იქით უკვე მოემწყვდა ერთი  
 და შიგ ნურავინ ნუ შევა მტტი.  
 როგორც ხაფანგში გაბმული მელა,  
 ჩვენგან მოელის ხსნასა და შველას.  
 ნუ მოსცილდებით დაგმანულ კარებს  
 და უთვალთვალეთ, რა ხდება შიგნით-  
 სულ ზევით-ქვევით იფრინეთ ირგვლივ  
 და ისიც მალე გამოვა გარეთ.  
 რითაც კი ძალგიძთ, შეუწყვეთ ხელი,  
 რადგან ქვესკნელის ბუბერი მგელი  
 თავისიანებს მუდამ გვშველოდა,  
 თუკი რაიმე საფრთხე გუელიდა.

### ფ ა უ ს ტ ი

ვიცი, ურჩხული რომ მარცხს იგემებს,  
 თუ ოთხის ლოცვას გამოვიყენებ:

სალამანდრა \* ცეცხლის აღში დაიდალოვ,

\* „სოლომონის გასაღები“ — ძველებრათუ შე-  
 ლოცვათა წიგნი. ბაბილური მეფე სოლომონი შუა საუკუნე-  
 ებში ყოელისშემძლე ქადოქრად იყო მიჩნეული.

\*\* სალამანდრა ცეცხლის სტიქიონია, უნდინე —  
 წლის, სილფე — ჰერის, კობოლდი მიწის სტიქიონი და  
 აგრეთვე სახლის ფუძის სულია.





უნდინე წყლის მრუმე ტალღად დაიკლაკნოს,  
სილფე ახლავ უგზო-უკვლოდ განიფანტოს  
და კობოლდმა რამე საქმე გამონახოს.

უნც არ იცნობს სტიქიონთა  
ძალასა და თვისებას,  
სულთა დამორჩილებას ის  
ვერა, ვერ ეღირსება.

ცეცხლის აღში დაიდაღე,  
სალამანდრა!  
მყის განვერცე მრუმე ტალღად,  
უნდინე!  
მოკაშკაშე მეტეორად აენთე და დაიკლაკნე,  
სილფევე, აქვე!  
ინკუბუსო\*, ინკუბუსო, შენ კი მალე  
გამონახე საქმე რამე  
და ყველაფერს მორჩი ბარემ!

სჩანს, ამ ურჩხულში არც ერთ მათგანს არა აქვს ბინა,  
რადგან ჩემს ფერხთით გამოტილა ის არხეინად  
და კბილებს მიდრჭუნს.  
ალბათ საჭირო ძალას ვერ ვიჩენ.  
თუ ასე არის, მაშ ისმინე შელოცვა ჩემი,  
უფრო ძლიერი და ზარდამცემი.

იცოდე, ჯოჯოხეთიდან თუ ზარ ამოსული,  
განადგურება მოგელის სრული.  
კარგად შეხედე ამ წმინდა ნიშანს,  
რომლის წინაშეც დადაღვის შიშით  
მყის ქედს იხრიან ბნელი ძალები.

დაგიდგა უკვე ყალყზე ბეწვი? გრძნობ, რომ გაები?!

წყევლო არსება,  
სწუდები თუ არა შენ  
მას, დაუხაბამოს და მიუწედომელსა,  
მას, გამოუთქმელსა და შეუცნობელსა,  
თავისით თვით ზეცა მოუცავს რომელსა —  
დანამაულებრივ კაცთათვის ჯვარცმულს?!

ღუმელს იქით მიმწვედელი, როგორც სპილო,  
იბერება და კვლავ ზევით ასვლას ცდილობს,  
სურს როგორმე დაიუფლოს მთელი სივრცე

\* ინკუბუსო — Incubus (ლათ.) — სახლის, ოჯახის ფუძის  
სული, იგივეა, რაც კობოლდი.



და ბურუსად შეეფინოს მალა ჭერსა.  
 თუ არ გინდა, ყოვლად წმინდა ცეცხლს რამ მიგცე,  
 ახლაც ქედი მოუხარე მბრძანებელსა!  
 შენ ამით შექარა ნუ გვერნება  
 ჯადოჭარის შელოცვა და შეგონება!  
 იძულებულს ნუ მზდი, სამგზის დამდაღველი,  
 სამგზის უფრო მრისხანე და სამინელი  
 ვთქვა შელოცვა და მზაკერული საქციელა  
 სანანური გაგინადო!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(როგორც კი ბურუსი გაიფანტება, გამოდის ღუმელიც  
 უკნიდან მოხეტიალე სქოლასტიკოსის\* ტანსაცმელში)

რა გახზაურებთ? რა სურს ჩემგან განსწავლულ ბატონს?

### ფ ა უ ს ტ ი

ეს რასა ვხედაე! ჩემს პუდელში სქოლასტი მჯდარა!  
 მე ეს ამბავი სასაცილოდ აღარა მყოფნის.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უმორჩილესად გიძღვნით წრფელ სალამს!  
 კარგა მაგრა კი მაღინეთ ოფლი.

### ფ ა უ ს ტ ი

შენი სახელი?

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რა უმწეოდ იხმის ეს კითხვა  
 იმის ბავთგან, ვინც არაფრად არ აგდებს სიტყვას,  
 გარვეწულ მხარეს ვისთვისაც სულ არა აქვს ფასი  
 და სურს, როგორმე ამოიციოს საგანთა არსი.

### ფ ა უ ს ტ ი

შენი და შენთა მსგავსთა არსის წარმომსახველი  
 ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს სახელიც!

\* ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში იმ სტოდენტებს,  
 რომლებიც სასწავლებლიდან სასწავლებელში დაფხვრებოდ-  
 ნენ და მოწყალებით ირჩენდნენ თავს. სქოლასტიკოსი  
 ანუ სქოლასტი აქ იგივეს ნიშნავს, რასაც სქოლარი, სტუ-  
 დენტი.

როცა ბუზების ღმერთებს\* თუ დამღუპველ სულებს  
გიწოდებენ თქვენ, შეჩვენებულ ქვესკნელის მდგმურებს. არცაწმული  
სთქვი, რომელ მათგანს ეკუთვნის შენ, ბოლოს და ბოლოს. არცაწმული  
მზღვირთიქსა

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რომელიც ბოროტს  
ესწრაფვის მუდამ და სიკეთეს კი იქმს ყოველთვის.

### ფ ა უ ს ტ ი

როგორ გავიგოთ ჩვენ ვე შენი მიეთმოეთი?

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე ვარ ამქვეყნად სული ყოვლის უარმყოფელი.  
და მართალიც ვარ, ვინაიდან უცილობელი  
დაღუპვა ელის ყოველივე არსებულს. კი და,  
ნამდვილად ბევრად უმჯობესიც კი იქნებოდა,  
რომ მათ საერთოდ არც ეარსებათ!  
ამიტომ ის, რაც გგონიათ თქვენ ტანჯვა და ვნება,  
რასაც უბრალოდ ბოროტებას და ნგრევას აჩქმევთ,  
შეადგენს სწორედ ჩემს სტიქიას, ჩემს ნამჯვილ საქმეს.

### ფ ა უ ს ტ ი

ნაწილს ირქმევ და აქ ჩემს წინ კი მთლიანად დგახარ!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეს თავმდაბლობით მომივიდა... რას იზამ ახლა!  
თუ ადამიანს, ან სულელურ მცირე ქმნილებას,  
კგონია, რომ მთელს წარმოადგენს აუცილებლად,  
მე ვარ ნაწილი ბირველთაგან არსებულ ბნელის,  
რომელიც იყო ყოველივე და ყველაფერი  
და თვით სინათლეს კი წარმოშვა, დღეს მშობელ დედას  
რომ ეცილება ბატონობას სამყაროს ზედა,  
რასაც ის ალბათ ვერასოდეს ვერ შესძლებს, რადგან  
მას სხეულები აქვს საყრდენად და სწორედ მათგან  
იძენს მშენებებს სწულეზრებებს და ძალას ცხოველს,  
თუმც სხეულებსვე ძალუძთ, რომ მას დაუდონ ზღვარა.  
ამიტომ, ვფიქრობ, ის დროც უკვე შორს აღარ არის,  
როს სხეულებთან ერთად ისიც აღსასრულს აქოვებს.

\* ბუზების ღმერთი — der Fliegengott — სიუეტა-  
სიტყვით ქველუბრაულ ბელზებულს ნიშნავს.



ფ ა უ ს ტ ი

მიგიხვდი მაგ შენს საპატიო დანიშნულებას!  
არ ძალგოდს დიდის მოსპობა და განადგურება  
და ამიტომაც წვრილმან საგნებს დარიე ხელი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე სატრაბახო არც ამაში არა მაქვს ბევრი.  
რაც კი არ ვცადე ამ უბადრუკ სამყაროს მიმართ,  
ყოველ ჩემს დარტყმას ის ჯიუტად აღუდგა წინა.  
სრულიად ფუჭად ჩამიარა ამდენმა გარჯამ,  
ზღვა და ხმელი კი, როგორც იყო, ისევე დარჩა.  
თუმც ხანძარს, წარღვნას და მიწისძვრებს არ ვიმურკობდი,  
მაგრამ რას უზამ ცხოველთა და კაცთა ბუნებისა  
ამ გამრავლების წყვეულ უნარს, რომელიც ყველგან  
შეუპოვარი სიჯიუტით იცავს თავს შენგან!  
რამდენიც გინდა ანადგურე მჩქეფარე სიხსლი,  
კვლავინდებურად ცირკულირებს ნაკადი მისი.  
ლამის გავცოფდე, როცა ვხედავ, ჰაერში, წყალში,  
თბილ ნიადაგში, ნესტიანში, ციფში თუ შშრალში,  
როგორ ჩნდებიან თაობები ახალ-ახალი.  
ასე რომ, ცეცხლი მაინც რომ არ შემომენახა  
ჩემს სტიქიონად, აი მაშინ უნდა გენახათ,  
ფეხის დასადგმულ ადგილსაც რომ ვერ მოენახავდი!

ფ ა უ ს ტ ი

შემოქმედებითს თაოსნობას და ძალას უშრეტს,  
გამოდის, რომ შენ სულ ამოდ უღერებ მუნტებს,  
და მაინც პირად გაჭირვებას ვერაფერს შველი.  
ერთი მითხარი, ქაოსის შვილო,  
ამის შემყურე, რად არა ცდილობ,  
რამე სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი?!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე ვფიქრობ, ბევრად სასარგებლო იქნება უფოო,  
ამის შესახებ მომავალში რომ ვისაუბროთ.  
ახლა კი იქნებ გამიშვათ გარეთ.

ფ ა უ ს ტ ი

წადი! არ ვიცი, ვინ გიმლის ამას!  
მე შენთვის წასვლა არ ამიკრძალავს,  
როგორც კარგ ნაცნობს, მომავალშიც გააღებ კარებს.  
აი სარკმელი, აგერ კარი, საკვამლე მიღშიც,  
თუ მოისურვებ, შეგიძლია თამამად გაძვრე.

## მეფისტოფელი

უნდა გამოვტყდე, ვარ გასაჭირში,  
რადგან შე გასვლის ნებას არ მაძლევს  
ვე დროდეს ფეხი\*, კარბ ზღურბლზე კამისახულა.

## ფაუსტი

შენ პენტაგრამა \*\* გაბრკოლებს ალბათ.  
არ შეაჩის, შენებრ გაქნილი სული  
რისთვის ძვრებოდა მაშინ აქ აბა,  
თუ ეს ნიშანი ასე აფრთხობდა!

## მეფისტოფელი

თუ მას შეხედავთ ცოტა ახლოდან,  
ნახავთ, რომ მისი ერთ-ერთი ქიმი  
ოდნავ განზეა გახრილი და გასასვლელს სტოვებს.

## ფაუსტი

ახლალა მივხვდი, რაზედაც ჩივი!  
მართლაცდა სასაცილოა სწორედ,  
რომ შენისთანა გაიძვერა მახეში მოხვდა!

## მეფისტოფელი

პუდელი ზღურბლზე ისე გადმოხტა,  
რომ ჯერც კი შესძლო დანახვა ნიშნის.  
რე კი ვხედავ მას და გასვლას მიშლის.

## ფაუსტი

რატომ ფანჯრიდან არ გადაძვრები?

## მეფისტოფელი

ვშმაკებსა და მორწმუნებებს იმავე გზებით  
გვქვს გასვლის ნება, რა გზებითაც შევდივართ ზიგნით-  
შესვლით აცედივართ, მაგრამ შემდეგ ვხვებით მონები.

\* დ რ ლ ე ს ფ ე ხ ს — ეშმაკის ერთმანეთზე გადაქდობილ ფეხთა გამოახლებას — იმისათვის აქედგოდნენ კარას ზღურბალზე, რომ შივ ავსულთ ვერ შეეღწათ.

\*\* პ ე ნ ტ ა გ რ ა მ ა — ხუთქიმიანი მაგურა ნიშანი — ქრისტეს სიმბოლოდ და ავსულთა დამორგუველად იყო მიჩნეული.

## ფ ა უ ს ტ ი

ჯოჯობხეთშიაც არსებულა მამ კანონები?!  
 ძალიან კარგი! როგორც ვხედავ, იმაზე ფიქრიც  
 ღირს, რომ დაიდოს თქვენთან რამე ხელშეკრულება.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დაპირებულის მტკიცედ ვიცით ჩვენ შესრულება  
 და არც არაფერს არ წაგტყუებთ, გვენდო ამაში.  
 მაგრამ ასეთი საქმეები ასე ადვილად  
 არ წყდება ხოლმე და ამაზე ჩვენ მომავალში  
 კიდევ გვექნება სჯა-ბაასი, ცხადზე ცხადია.  
 ახლა კი უმორჩილესად გთხოვთ გამიშვათ გარეთ.

## ფ ა უ ს ტ ი

მოიცა ერთხანს! ნეტავ ასე სად მიიჩქარი?  
 საინტერესო მიამბე რამე.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, ამჯერად სჯობია, რომ გამიღოთ კარი,  
 კვლავ დაგბრუნდები აქ ისევ მალე.

## ფ ა უ ს ტ ი

შემოტყუება სრულიად არ მიცდია შენი.  
 მოგეხსენება, რომ მახეში თვითონ გაეები.  
 ვინც უშმაკს იტერს, მაგრად უნდა ჩასტოდოს ხელი,  
 რადგან მეორედ ახლოს აღარ გაეკარება.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაკი ასეა, მამ წასვლაზე მითქვამს უარი;  
 მცირე ხანს კიდევ დაგრჩები აქ, თუ მომცემ ნებას,  
 ჩემს აქ ყოფნაში მთელი ცოდნა, მთელი უნარი  
 რომ მოვახმართ შენს გართობას და დროსტარებას.

## ფ ა უ ს ტ ი

სიამოვნებით დამითმია დრო და ადგილი,  
 ოღონდაც ვიგრძნო ხელოვნების ძალა ნამდვილი!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამ ერთ საათში, მეგობარო, შენ შეგიძლია  
 ბევრად იმაზე მეტი იგრძნო, ვიდრე გიგრძნვია  
 მთელი მთელი შენი მარტოობის განმავლობაში.

ის, რასაც ასლა გიჩვენებენ სათუთი სულნი,  
 ან რასაც მათგან მოისმენ აქ საკუთარ ყურით,  
 ნუ გვერნება ჯადოქრობის ფუჭი თამაში.  
 ამო სურნელით და გემოთი შენი გრძნობები  
 მყის დატკებებიან და მოგვევრიან სანატრელ ბურანს.  
 ამიხათვის კი მომზადება არ მინდა სულაც.  
 აბა, დაიწყეთ! ყველა უკვე აქ ვიმყოფებით.

### ს უ ლ ე ბ ი

განქარდით, ბნელო თაღებო,  
 უკურნებელო ნაღველო,  
 დასთმე საუფლო შენი!  
 შიგ შემოიჭერ, ეთერო,  
 შენ, მარადდაუშრეტელო  
 სილურჯევე ცათა ბჭუნის.  
 განქარდით ღრუბლის ქულებო,  
 თქვენ, ავადდაქუფრულებო,  
 რომ უფრო მეტას ღზუნით  
 გვეფნდნენ შუქს ელვარებითა  
 ციური ვარსკვლავები და  
 გვირგვინოსანი მზენი!  
 იქ, ზევით, წარმტაც მწკრივებად  
 იწყონ ცის სათნო შეილებმა  
 ლტოლვით აძრული ფრენა,  
 და სიხარულით უღვეით  
 აღასოს ჩვენი გულები  
 მათგან მოგვერიღმა ღზენამ.  
 მათმა მზრუნველმა კალთებმა  
 და მოშრიალე ბაფთებმა  
 დააფარონ თავის ჩრდილით  
 მუდამ ღრმადჩაფიქრებული,  
 ცხოვრებისაგან ვნებული  
 შეყვარებული წყვილი.  
 დაატკბეთ მზერა უძღვები  
 და უხვად დაიხუნძნენით,  
 თვალუწვდენელო ზერებო.  
 მაგ გაყურსული მტვენებით  
 ააფხეთ საწნებელეები,  
 რქებზე გასული რქები!  
 რომ ღვინომ დაუსრულებლად  
 დაიწყოს ნაკადულეზად  
 და ჩანჩქერებად სარბოლა;  
 იაგუნდისყრად ღვიოდეს  
 და შუშუნებად სცვიოდეს  
 მზენასაგან სბივთა კონა.  
 ო, ზღვამდე გაიშალენით,  
 თქვენ, მწვანე შემოვარენით

დამშვენებულო მთებო!  
 თქვენ კი, ფრინველნო, ლხენითა  
 მზისკენ იჩქარეთ ფრენითა.  
 იქ, სადაც საოცნებო  
 და ამოდ მოფარფატენი  
 ჩანს კუნძულები ნათელი,  
 უცხო სამოთხის დარი;  
 სად ერთადმოფრენილები,  
 ლტოლვით აღსაყვ წყვილები,  
 ვცეკვავთ სიამით მთვრალნი,  
 ვცეკვავთ ველებზე გასულნი  
 ჭაბუკები და ასულნი,  
 ვცეკვავთ ამოდ და ლაღად.  
 ზოგს მთებზე ასვლა სწადია,  
 ზოგნი კი ზღვაში გადიან,  
 ზოგნიც ჰაერში მალლა  
 ფრენენ და ერთად ხარობენ  
 და ქების ჰიმნს უგალობენ  
 უჭკნობ სიცოცხლის ძალას;  
 სად ყველა მზეს ეტანება,  
 ვარსკვლავებს და ნეტარებას,

ხელთუქმნელსა და მარადს.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰაეროვანო ყმაწვილებო, მას უკვე სძინავს  
 და ამ მშვენიერ კონცერტისთვის მადლობას გწირავთ!  
 შესანიშნავად გააბრუნეთ თქვენ მართლაც იგი.  
 არა, ფაუსტო, შენ არ ჰგავხარ ეშმაკის დამჭერს.  
 ჰა, უფრო მეტის მონდომებით უფრინეთ ირგვლივ,  
 მცირე ხანს კიდევ ამ ბოდვათა ზღვაში რომ დარჩეს.  
 მე კი ჯადოსნურ ნიშნის წვერთა გადაბადრღწლად  
 ვირთხის კბილები მჭირდება ხელათ.  
 თუმც ამას გრძელი შელოცვები არ უნდა სულაც, —  
 იგი ჩემს ნებას ალასრულებს ბრძანების უმაღ.

ჰეი, ვირთხების, ბაყაყების, თაგვების, რწყილთა,  
 ბალღინჯოების და ბუზების მბრძანებელს მინდა  
 დაუყოვნებლივ გამოსტე აქ და გაბედულად  
 გადახრა ზღურბლზე ეს ნიშანი, მე ასე მტრულად  
 გზას რომ მილობავს და რომელსაც წავეუსვი ქონი.  
 ყოჩაღ, შენ უკვე აქა ხარ, მგონი.  
 აბა, შეუდექ საქმეს ასლავე!  
 კარგი იქნება, მას შუაზე რომ გადახრავდე—  
 ჰა, გამოსცადე შინა და ძალა მაგ კბილებისა!  
 მალე შევხვდებით კვლავ, ფაუსტო. ძილი ნებას!



## ფ ა უ ს ტ ი

(იღვიძებს)


 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ნუთუ კვლავ დაფრჩი მოტყუებული  
 და სულთა გუნდმაც დამცინა მწარედ?  
 ეშმაკი სიზმრად ვნახე წყეული,  
 ზოლო პუდელი კი გამეცა გარეთ!

გერმანულიდან თარგმნა ბიორბი ჯორჯანელმა



გეორგი ნატროშვილი

ღმინა შენგელაიას შემოქმედება

1924 წელი იყო. სწორედ ამ ხანებში და-  
არსდა ქართული საბჭოთა მწერლობის პირვე-  
ლი სქელტანაიანი თურნალი „მინათობი“, მან  
ირველივე შემოქმედება ფუძემდებლები ახალი  
ქართული საბჭოთა ლიტერატურისა; რა თქმა  
უნდა სქელტანაიანი მხატვრული თურნალი  
ურთმანოდ წარმოუდგენელი იყო. და ამ პირ-  
ველი ქართული საბჭოთა რომანი, რომლითაც  
„მინათობი“ თავისი არსებობა დაიწყო, იყო  
ღმინა შენგელაიას „სანავარდოს“

პირველი კვლის ბატონა, პირველი ნაბიჯის  
გადადგმა წინდა. მაგრამ აქ საქმე ის იყო, რომ  
ქართულ პარტის უმდიდრესი წარსული მქონ-  
და, — როგორც შორეული, ისე ახლო წარსუ-  
ლი, საკმარისად ითქვას, რომ პირველი ქართუ-  
ლი მითბარება — იაკობ ცურტაველიძის „წამე-  
ბა წმინდისა სულსიებისა დედოფლისა“ დაწვე-  
რა თხოთმეტი საუკუნის წინათ, ჩვენი წელთ-  
ადრიცხვის 476-483 წლებს შორის, ამ პირველ-  
მა წიგნმა საბედლოვანი ტრადიცია შეუქმნა ქა-  
რთულ მწერლობას; მოთხრობის გვირგვინ ქალმა  
უჩვენა მკაღიითი მომღერლო თაობებს სულთს  
სამტყისისა სამშობლოთისათვის ბრძოლასი, ახ-  
წავლა გაუტყველებსა, გვიჩვენა მალაღი და კე-  
თიღმისიღი სული აღამინათა, რომელიც  
არად აკვდებს საკუთარ სიცოცხლესაც, როდენ  
სამშობლოთს იცოცხლოს. შეშინავე წამებით  
ტყდავენ და მისი ბოლო სიტყუები ეს არის,  
მოთქოს ანუწმითით რომ უტოვებს შთამო-  
მავლობას და მომღერლო საუკუნეებს: „...მე  
საუფარდენო, ამა ებერა, წინაგამწავლულსა  
მას ტახსა წარადი საუკუნესა პირისა ამის წად  
ჩემისა... მომშადლოს მე საბარული, სატამ-  
წველთა ამით წილ — განსვენება“.

ამ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ზე-  
ლტერისტულ ქმნილებაში გადმოცემული იყო

მალე პატრიოტიზმისა და კეთილშობილური  
ბუნებისის იდეები.

და საყვებით ბუნებრივი და გახატება იყო,  
რომ „სანავარდოს“ ეპიგრაფად მიუძღოდა  
სიტყუები „შეშინაიის წამებიდან“. ეს კიდევ  
ერთი დადასტურება იყო იმისა, რომ ღმინა  
შენგელაიას კარგად გრძნობდა ძველ ფიქვებს,  
რომლებზეც უნდა აღმოცენებულყო ასალი  
ქართული საბჭოთა რომანი, თხოთმეტი საუ-  
კუნემ გააარა „შეშინაიის წამების“ დაწერიდან  
და მთელი ეს დრო ქართული ლიტერატურის  
ისტორიაში დამშვენებული იყო სიტყუას  
ბრწინავალე ოსტატების სახლებით. ჩვენ აქ  
ამ სახლებს არ ჩამოვთვლით, ეს შორს წაგვი-  
ყვანს. მხოლოდ გვინდა ვთქვათ, რომ მიუხე-  
დავად ამ დიდი და სახელოვანი ტრადიცებისა  
მანც ადვილი არ იყო ჩანდგომოდა სათავეში  
მთელ ლიტერატურულ ეპოქას. „სანავარდოს“  
ეს როლი კარგად და წარმატებით შეასრულა  
— მისი მთავარი პათოსი ის იყო, რომ ეჩვენე-  
ბინა მკითხველისათვის ძველი, ჩაგვრისა და  
უსამართლოებაზე დაშუარებული სამყაროს  
წგრევის და ახლის დაბადებისა და დამკვიდ-  
რების ისტორიული პროცესი.

„სანავარდოს“ ფართო მასშტაბები და დი-  
და განზოგადოებანი ახასიათებს. ამათა ერთ  
ძველ ქართულ სოფელში იწვება, რომელიც  
დაქაობებულ კოლხიდაში მდებარეობს; ეს  
არის სოფელი სანავარდოს. შექმედ რამაის  
ფურცლებზე წნდება ძველი პეტერბურგი,  
მთელი ძველი სამყარო თავისი წარმადობას  
სვდითა და სასოწარკვეთილებითა. მწერალი  
შესანიშნავად გადმოხტა განწირულნი ძველი-  
სა და წინათორმნი ახალი ეპოქის დამკვიდ-  
რებასა. ოცინა წლებს ლიტერატურისათვის  
ამის გადარწვეტი ნინუნელია მქონდა; ამ

სიახლის შეგრძნობით შთაგონებული და ძალ-  
ღონემოცემული დგამდა თავის პირველ ნაბი-  
ჯებს ახალგაზრდა ქართული პროზა და პოე-  
ზიაც.

ცხადია, „სანაჲარდო“ არ იყო მწერლის პი-  
რველი ნაწარმოები. ჯერ ისევ 1914 წელს,  
როცა დემნა შენგელია თერაპიულ წილს ჰა-  
ბუცა იყო, გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხ-  
რობა „ნირვანა“, რომელმაც იმთავითვე ლი-  
ტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება  
დაიმსახურა. მას მოჰყვა მთელი ციკლი პატარა  
მოთხრობებისა, მაგრამ უკვლადღერს ეს იყო  
მისი ლიტერატურული დაოსტატების, წერაწი-  
ნისა და შემოქმედებითი ფორმირების წლები.  
მისი ნამდვილად მაღალი შემოქმედებითი ბი-  
ოგრაფია კი იწყება „სანაჲარდოთი“, და რო-  
გორც უკვე ვთქვით, ამ რომანიზე იწყება  
ახალი ქართული საბჭოთა პროზა. ცხადია და  
განსაზღვრია, დემნა შენგელია აქ მარტო არ იყო:  
იმავე წლებში გამოვიდნენ ქართული სიტყვის  
სხვა გამოჩენილი ოსტატები; დაფუნდება ახა-  
ლი ქართული რომანისა არ შეიძლებოდა ჩვენს  
ეპოქაში ერთი მწერლის ტიტრით ყოფილიყო,  
ეს იყო მთელი ჩვენი ლიტერატურული საზო-  
გადოებრიობის საქმე; იმავე წლებში თავიანთ  
პირველ რომანებს წერდნენ კონსტანტინე ვამ-  
სახურდია, მიხეილ ჭავჭავაძე, ს. კლდიაშვი-  
ლი და სხვები. ეს არის მთელი თაობა ქართუ-  
ლი სიტყვის ოსტატებისა, და ყოველი მათგანი  
ძალზე თავისებური და ორიგინალური ხაღე-  
ნავებით გამოხატავდა თავის დროს, განახლებ-  
ულ ეპოქას, იმ დიდ გარდატეხებს, რომლებიც  
ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ხდებოდა.

დემნა შენგელიამ სულ მალე დაამტკიცა,  
რომ მისი სახით ქართულ მწერლობას მოთხ-  
რობებისა და პოეზიის მწვენივალე ოსტა-  
ტი მოედგინა. „სანაჲარდოს“ თან მოჰყვა მთე-  
ლი ციკლი მოთხრობებისა სამოქალაქო ომის  
თემზე. ქართული მწერლობისათვის ესეც ახა-  
ლი თემა იყო, და მწერალმა აქაც, თავის თანა-  
მოკალმებელთან ერთად, პირველმა გაყვალა ბი-  
ლიტები; მან ერთმა პირველთაგანმა ასახა ქარ-  
თულ ლიტერატურაში სამოქალაქო ომის ქა-  
რიშლიანის დღეები, როცა საბჭოთა ქვეყანა  
ებრძოდა ყოველი მხრიდან შემოსეულ ინტე-  
რვენტთა და თეთრგვარდიელთა ურდოებს, რო-  
ცა საბჭოთა ხალხი ვიბრულად იცავდა სოცია-  
ლისტური რევოლუციის მონაპოვარს, სამოქა-  
ლაქო ომის თემას მწერალმა მოთხრობების  
მთელი ციკლი მიუძღვნა („პორტი“, „გურამ  
ბარამანდია“, „პატარა ქალი“ და სხვ.) ამ მო-  
თხრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ახლე-  
ბური რეალიზმის განვითარების, ქართულ პრო-  
ზაში ახალი თემატის დაქვიადრებისა და  
განმტკიცების თვალსაზრისით; საბჭოთა ადამ-  
იანების მსახობრივი გმირობა, მათი თავდაუ-

ბა საშობლობისათვის აქ მძაფრ, ცოცხალი და  
კონკრეტული სახეებით იყო წარჩვენები.

დემნა შენგელია უაღრესად ფართო დიამე-  
ტრის მწერალია. თავის ნაწარმოებში ის-  
ერთნაირი ძალით აცოცხლებს და ხატავს რო-  
გორც აწუხოს, ისე ახლო თუ შორეული წარ-  
სულის სურათებს. სწორედ იმავე ხანებში ის  
წერს მოთხრობას „შემოქმედი“, რომელმაც  
მეორამეტვ საუკუნეში გადაუყვართ, მაგრამ  
მასში მწერალმა თქვა ის, რაც თანაზრად აინ-  
ტერესებს და აღელვებს უკვლე საუკუნეს და  
უკვლე თაობებს. მოთხრობაში მწერალმა გა-  
მოთქვა უკვლე დიდი მხატვრის დაუცხრომელი  
ნატვრა და ოცნება — გამოხატოს სიცოცხლე  
აღამიანი და ბუნება სიტყვაში, სურათში, ქვა-  
სა და მარმარილოში, გამოხატოს არულყოფი-  
ლად, განუმეორებლად. ხელოვნების ნაწარ-  
მოების შექმნა აქ სულიერია არსების, სიცოც-  
ხლის დაბადების სიმაღლეზეა აყვანილი. ავ-  
ტორს მარტო თავისი მთავარი გმირი — უზა-  
დლო ფერმწერალი ბეშქენ ოპიზირი კი არ აინ-  
ტერესებს, ის ცოცხლად და ძლიერი საღებავე-  
ბით გვიჩვენებს საერთოდ სიცოცხლის დაუშ-  
რტედელ ძალას, მის მარადიულ სიახლეს და  
უკვდავებას, გვიჩვენებს ქალს, დედას, კალ-  
თაბარაქიან გლეხის დედაკაცს, რომელიც თავის  
აყვანში ზრდის ვაჟკაცებს და რომელმაც  
აბარა კერა, რომ მისი ნაპერწყალი არ ჩაქ-  
რეს, გადაკვებული სიცოცხლე ჰუვაოდებს  
ქვეყნად, იზრდებოდებს და იფურჩქნებოდებს.

მწერალი მუდამ ცხოვრების შეუადგომი  
ტრალიდებდა, როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო  
საკოლმეურნეო მოძრაობა, იგი უშაღვეე გამო-  
ცხმურა ამ თემას. დემნა შენგელიაა „შუღლი“  
არის ამავე იმის შესახებ, თუ როგორ იხა-  
დებოდა კოლმეურნეო საქართველოს მთია-  
ნეთში. მოკლედ, რამდენიმე გვერდის მანძილ-  
ზე, დაგვიხატა მწერალმა მთის სპეციფიკურ  
პირობებში საკოლმეურნეო მოძრაობის პირ-  
ველი წლები. აქ ისე შეაფიოდ არის ნაჩვენები  
მთიელი ხალხის ყოფა, მოჭაჭაჭირ მწუხმობა  
სულიკვეთება, რომ მკითხველი გრძობს: სა-  
კოლმეურნეო მოძრაობის მარცვალი ნაყოფი-  
ერ და მოწადებულ ნადაგზე იცემა. და მა-  
რთლაც თოქოს თვლით ვხვდავთ, როგორ  
მქიდრო წრედ იყვრება ღარიბი მეწობლების  
ჭვუფო ახალგაზრდა ალუდა ნაწლიანის ირგვ-  
ლივ, როგორ ერთანდებთან ისინი, რომ თავი  
გაითავისუფლონ ძველი ადათებისაგან, სიხხ-  
ლის აღების ტრადიციისაგან და გაბედულად  
გამოვიდნენ ახალი ცხოვრების ფართო და  
მზიან გზაზე.

ომის წინა წლებში გამოაქვეყნა დემნა შენ-  
გელიამ თავისი „ბათა ქეჩა“. იყო ვრცე-  
ლი სოციალური და ფსიქოლოგიური რომ-  
მანი, რომელიც ვიხატავს ქართველი გლეხ-  
კაცობის ცხოვრების ისტორიას საგლებო რე-

ფორმის დღეებიდან ჩვენს დრომდე. ამრავად, რომანი საქმოდ ვრცელ დროს მოიცავს; ბათბ ჭერ ისევ ახსოვს ბატონუმობის დღეებო, ბოლო მისი შვილები და შვილიშვილები ხყო-ღმურენო მოძრაობის პირველი ენთუზიასტე-ბი არიან, ღატაკი გლეხკაცის შვილი, ადრე დაობლებული ბათა ბავშვობის წლებიდანვე იძულებული ხდება ლუკმა-პურის საქმენელად იხტიალოს. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი სოფლიდან ქალაქში მიხყავთ და ხელზე მისა-სახურად გააბარებენ. დანაგრული და გაწამე-ბული აქკვლავ თავის დარბიული კერაზე ოცნე-ბობს, შემდეგ, სიკაბუკის წლებში კვლავ სო-ფელს უბრუნდება, ამიერიდან მის თავზე გა-დაივლის ყველა უბედურება და განსაცდელი, რაც ამ დროს მშრომელი გლეხკაცის ზეიდრი იყო.

აქ ვხედავთ ჩვენ ქართველ გლეხკაცს მიმიე შრომაში, ვხედავთ საბარძოლველად გამოსულს, როცა ის პირველი რევოლუციის წლებში ია-რალს იღებს ხელში და პროტესტს ნიშნად ტყეში მიდის, ვხედავთ, მის ოჯახურ ყოფას, მის პირველ გაცრუებულ სიყვარულს, და რაც ყველაზე საინტერესოა — მწერალმა აქ არა-ერთი პიროვნების, არამედ მთელი ხალხის ბე-დი გვიჩვენა, დაგვიხატა, რა ვაა ვიარა მან, რა ტანჯვა ხედა წილად, ვიდრე თავისუფლე-ბას დაიპყრებდა. „ბათა ქეჩია“ მიეუფო-ნება ქართული პროზის ამ ნაწარმოებოა რიცხვს, აადაც ყველაზე მკაფიოდ, ყველაზე სრულყოფილად გამოიხატა ერთნული ხასი-ათი, მისწარაფება მთელი ხალხისა, მისი ვაუტე-ხელი სული, მისი თავისუფლებისსიყვარებოა, მაღალი პატრიოტული შეგნება.

... ამ რომანში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა დემნა შენგელაიო, როგორც მოაზროვნე მხა-ტყარი, რომლის ქმნალებშიც ყოველი ეპოზოდი თუ სერაპოი მეტყველებს, ღრმად გამოხატავს სოციალების შინაგან არსსა და დულიას; რომა-ნი თვალწინ წარმოგვიდგენს იდეას ხალხის უყვავებაზე. უკვე მოხუცი ბათა ამბობს: „შერე რა, რომ დავრებებულვარ, ტანზე კო-რქები რომ დამსხდომია! მაინც გამტანი ვარ, მაინც უყვავო ვარ... შევხედავ ცას — მიხა-რია, გავხედავ მიწას — ისევ ვხარობ, გავცქე-რი მიწდორ-ველებს. მუდმივი თოვლით ჩამო-ფენულ კავკასიონს, ზოდებუნებს, რიონს, ტბას ნაირიონს, შვილებს, შვილიშვილებს — ვინ მოთვლის მათ. და მიხარია: შევხარია ახალ-გაზრდობის უფარდელ სიცილს, სოფლის ზა-ლისიან ყუიონას და რა ვქნა, შვილებო, ბიჩიე-ბო, რომ მიხარია? მიხარია, რომ ამ დღეს შე-ვისწარბ, რომ ცოცხალი ვარ. რომ ყოველივე ეს ჩემთვის არის გაჩენილი რომ, ყოველივე ეს მე შეკეთებია, მე მას ვუკეთებოვარ“.

დემნა შენგელაიამ ამ რომანში მთლიან და კლორიტული სახეებით დაგვიხატა ქარ-

თველი გლეხკაცის ბულიერი მხნეობა, მისი ომბიანობა, მისი ვაუტეტელობა, მისი ექველდ-შობილება და დაუსრტეტელი კლდე, მომბაზე-ღელი იუმორი, აწყარა წყაროსავით რომ ჩქეფს.

მწერალი მუდამ შემბატინავთ თავისი ქვეენი-სა; მემბატინის ჩამწედენი თვალი და მხატვრის ძლიერი ფანტაზია მთელი ძალით იგრძნობა რომანში „რიონის ნახტომი“, რომელშიც კო-ლორიტულად არის გაცოცხლებული ძველი თბილისი, ზელოსანთა საშუარო და ნაწევნება იხიცი, როგორ მოდიოდა კაპიტალიზმი და, ანგ-რევედა რა ძველ ურთიერთობას, ამკვიდრებდა თავის დაუნდობელ რევიმს, უფრო მეაციცი უსამართლობით ცვლდა ძველ უსამართლო-ბას. ამ რომანში მწერალი ზელს ჰკიდებს ღრმა სოციალურ პრობლემებს. გვიჩვენებს რეყო-ლუციური მოძრაობის ჩასახვას თბილისში, მრავალი რამ აქაც ახალია, როგორც ყოფის აღწერის და ძველი თბილისის კლორიტის გაღმორციმის, ისე აღამიანთა სულიერი ვითა-რების ასახვის თვალსაზრისით. აქ არის მამინ მშრომელი ადამიანისადმი, ოსტატის მარჯვენისადმი. ამ რომანის გმირები უბრალოდ ხელო-სნები კი არა, ბეჭა და ბეჭენ ოპირტების მხვა-ცის შემომქმედენი არიან, ოსტატი შიო დარაშვი-ლი თუბნება თავის შეგირად:

— ბიჭო, ჭერ კიდევ ლადიდ ვერ მუშაობ, ზელები გაშალე, ნუ გვიწინია იგრე იმუშავე, თათქო გემდერება და არ შეგაქლია არ იმ-დერო.

დაბო, შრომა მათთვის სიმღერაა, შემოქმე-ღებაა, მგერამ ამ სიხარულს კლავს და აბნობს კაპიტალიზმი, რომელსაც თავისი მგლური კა-ნონები მოაქვს. და აი მშრომელნი ეძებენ ვაას თავისუფლებისაკენ, რათა შრომის პირვანდე-ლი სიხარული დაიბარუნონ. ასე ორგანულად შემოდის რომანში თემა რევოლუციური ბრძო-ლისა, რომლის სათავეში დგებიან ხალხის წია-ღიდან გამოსული ადამიანები — ეხენი არიან ოსტატ შიო დარაშვილის ვაგი ოთარი, რომე-ლიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მოწინავე იდეების მგნებასეგ პროპაგანდისტე ხდება; მას მხარში უდგას შეგირდი ვანო, რო-მელიც ბოლოს ქარხნისაკენ მიეშურება, რათა აქ მუშათა მილიონებს შეუერთდეს, იმათ რი-გებში ჩადგეს, ვისაც ოსტარიამ შრომის გან-თავისუფლების დიადი მიზია დააციარა; მებ-ბრიოდ ხელოსნებსა და მუშებს აქ გვერდში უდგანან ღატაკი გლეხები, კერძოდ ზურიაა გო-ლაშვილი, რომელიც გადაჭრით დგება ახლი-სათვის მებრძოლთა მხარეზე და გადამწევრტი იერიშისათვის აშნადებს თავის დანიგრულ მო-ძმეებს.

1940 წელს დემნა შენგელაიამ გამოაქვეყნა რომანი „შთავილება“. მთელ ამ წიგნში გვისიით რიტმი და მიღვარი მაჩისცემა ახალი თბლა-

სისხ, გვსმით სუნთქვა სოციალისტური ქალაქისა, სადაც უფლაფერს, უფლა უბანსა და კუთხვს თავისუფალი შრომის მადლი და სიღამაზე ატყუა.

მარტო ახალი პიუზუის ჩვენების გზით როდი დახატა მწერალმა ჩვენი დედაქალაქი: მან ახალი ადამიანის სულიც გავჩვენა — დაგვიხატა ის საქმიანი და ხალისიანი ხალხი, ის მხნე და შეუდარებელი თაობა, რომლისთვისაც შრომა და შემოქმედება, შრომა და სიხარული განუყოფელი ცნებებია. ეს არის შთამომავლობა იმ მებრძოლებიანა, რომლებმაც ამ საუკუნის პირველ წლებში დაიწვეს გმირული ბრძოლა თეთრმკობელთა და კაპიტალისტური წყობილების დასამხობად. რომანში რეტროსპექტიულად ამ დაუფიწვარი წარსულის სურათებიც არის მოცემული. ორჯერ (მესამე და მეოთხე თავებში არის აღწერილი ცხრაას ზუთი წლის თვრამეტა დეკემბრის დამე. როცა თბილისელი მშრომელები იარაღით ზღაპრულად აღდგნენ და გმირულად შეებრძოდნენ მეფის დამპყრობს. წარსულის რომანტიკა ნათელ შუქსა ჰფენს რომანში ასახულ დღევანდელობას, გმირული წარსული და გმირული აწუხო აქ ორგანულად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან, ნაჩვენებია ერთი მხრივ თაობათა ოცნება და მეორე მხრივ ამ ოცნების განხორციელება.

ამ რომანში ნათელი გამოხატულება ჰქონა ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის დაუცხრომელობა შრომამ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნაყოფიერად მუშაობდა მწერალი დიდი სამამულო ომის წლებში. მისი ამ დროის მოთხრობები გვიხატავენ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების სახეებს, გვიჩვენებენ იმ სულიერი სიღაღის, სიამაყისა და თავგანწირულების მკაფიო მაგალითებს, საბჭოთა ხალხმა პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის წლებში რომ გამოიჩინა. იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საბჭოთა ხალხის გმირულ შემართებას მიუძღვნა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დემნა შენგელაიას ვრცელ მოთხრობას „წითელი უაყარო“. სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა აქ ნა-

ოლად და დამაქრებლად დახატა ის ძლიერმოკლებმა ხალხისა, ის ჩაუქრობებელი სიყვარული სამშობლოს, სწინდარი რომ გვხვდა ჩვენს გემარჯვების სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში

მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის გადასარჩენად. მოთხრობის გმირი ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი ბუჯან დავლაძეა, რომელმაც კარგად იცის, რომ როცა სამშობლო განსაცდელშია, მისი ადგილი ბრძოლის ველზეა. მოთხრობის მთავარი გმირი მწერალია და, მამხალადმე, აქ ნაწარმოებს პათოსიც და მიზანიც ის არის, რომ გვიჩვენოს, რა როლს ასრულებდა ამ დიდ ბრძოლაში მწერლის სიტყვა. ეს ფრთხილ კეთილშობილური ამოცანაა. და დემნა შენგელაიამაც შეძლო გრძენებინა ჩვენი ღრობის მწერალი-მოქალაქე, რომელიც იბრძვის და იღწვის თავის ხალხთან ერთად.

დემნა შენგელაიას ბიოგრაფიულად მოთხრობა „განძი“ მიძღვნილია საყოფისადმი, თუ როგორ სძლევს ახალი შეგნება, ახალი მორალი ჭკულებ, დრომოჭმულს, ავტორმა გვიჩვენა ამ ძველისა და ახლის, ბოროტისა და კეთილის მშაფრი და ტრაგიკული შებრძოლება ერთი ადამიანის სულში და ამასთან დაგვიხატა, როგორ იმარჯვებს კეთილი საწყისი.

დემნა შენგელაიას თემატიკა უაღრესად ფართოა, მაგრამ ის უფელგან რჩება ჭკვიან, დაკვირვებულ შემოქმედად. რომელსაც უხუად აქვს მიმადლებული უნარი ჩანწვდეს ხალხის სულს, გამოძერწოს ზასიათები, რომლებიც ხშირად მთელ ეპოქას განახლებებენ. დემნა შენგელაიას შემოქმედება გამოირჩევა იმ ხალხურობით, სიბრძნითა და სისადავით, რომელიც მუდამ რეალიზმის მთავარ თვისებად იყო მიჩნეული. დემნა შენგელაიას მაღალი პროფესიული კულტურის მწერალია, ღრმად თვითმყოფელი ხელოვანი, რომელმაც თავისი შესანიშნავი რომანებით, მოთხრობებითა და ნოველებით დიდად გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურის საგანძური. ეს არის მოწინავე ოსტატ, ნოვატორი და შთაგონებული მესიტყვე ახალი ეპოქისა.



## ქართული სიტყვის დიდოსტატი

ქართული საბჭოთა რომანის ფუძემდებელთა შორის ერთი პირველთაგანია გამოჩენილი მწერალი-აუღმავლო დემნა შენგელაია. მისი რომანები — „სანავარდო“ და „ბათა ქეკია“ შესულა ქართული საბჭოთა რომანისტიკის ოქროს ფონდში და მისი ისტორიის ერთ-ერთ თავფურცელს წარმოადგენს, ხოლო საუკეთესო მოთხრობები და ნოველები დღესაც გავლენას ახდენს ქართული საბჭოთა პროზის განვითარების გზაზე. ასევე ფასდაუდებელია მწერლის ფოლკლორული და ისტორიულ-ლინგვისტური დაკვირვებები, ლიტერატურული წერილები და ესეები — დიდი ქართველი და რუსი მწერლების, აგრეთვე, მხატვრებისა და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელთა შესახებ.

დ. შენგელაია სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდა (1915 წელს). ადრინდელ ნაწარმოებშივე (მოთხრობა „ნირვანა“ და სხვ.), რომლებიც გამოაქვეყნა გაზეთ „თემში“, გამოჩნდა ავტორის მიდრეკილება ფოლკლორისა და ზღაპრულ-მითოლოგიური სამყაროსადმი. შემდეგში ახალგაზრდა მწერლის მხატვრულ ბუნებაში შეინიშნება გატაცება დეკადენტური პროზით. ეს შემთხვევათა არ იყო. საქართველოს იმდროინდელი გათვლებული პოლიტიკურ-კულტურული ვითარება, როგორც ჩანს, შესაფერის ნიადაგს ქმნიდა დეკადენტური სკოლების წარმოშობისათვის და, მართლაც, ათათი წლების მერე ნახევრიდან ქართულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით მწერლობაში, ვხვდებით მოდერნისტული, სიმბოლისტური იმპრესიონისტული პრინციპებს.

დემნა შენგელაიას ერთგვარად განსაკუთრე-

ბული მხატვრული პოზიცია კჟონდა ოციან წლებში და ბოლომდე არ იზიარებდა არცერთი მაშინდელი ლიტერატურული მიმართულებისა და დაჯგუფების ესთეტიკურ კრედოს. ამას გვაფიქრებინებს არა მხოლოდ მწერლის მხატვრული პრაქტიკა, არამედ ეს თეორიული წერილებიც, რომლებიც პრინციპული პოზიციებიდან დაწერა დემნა შენგელაიამ და თავის სათაუვანებელ კრებებად აღიარა სრულიად განსხვავებული სტილისა და მიმართულებების მწერლები — გოგოლი, ანდრეი ბელი, ქართული მწერლობიდან — ილია ქავჭავაძე, კოლა ლომთათიძე და ნიკო ლორთქიფანიძე. დემნა შენგელაიას „სანავარდო“ (მნათობი, №№ 1, 2, 3 — 1924) პირველი ქართული საბჭოთა რომანია, რომელშიც რთული სხეობრივი სტრუქტურა და მითოლოგიურ-სიმბოლური მნიშვნელობები აუვანილია ქართული პროზისათვის ადრე უცნობი სიმაღლემდენაშ, ავტორი შეეცადა მოდერნისტულ-სიმბოლისტური მიმართულების შერწყმას რეალიზმთან და ამაში დაინახა მან ახალი ხელოვნების განვითარების გზა.

ამ მიზნით ნაწარმოებში მკაფიოდა მოხაზული დროის ლოკალი ქვეშარტი რეალიზმისათვის დაშახისათვის სიმართლითაა გამოხატული ეპოქის ხული და მისი განვითარების ტენდენციები; რომანის მოავარი პერსონაჟები კონკრეტულ მხატვრულ-ისტორიულ ნაშენებს ატარებენ, მაგრამ მთლიანად ნაწარმოებში ფაქტურა, როგორც ძლიერადაც არ უნდა იყოს მასში გამოქვეყნებული სიმბოლისტისადმი ერთგულება, სკოლებმა რეალიზმის ხალღურებს და საქმე გვაქვს სიმბოლისტისა და რეალიზმის თავისებურ სინთეზთან.

ავტორის ცდა, შერეგებინა მოდერნისტი

რეალზმთან, გაპირობებულია თვით მისი ინ-  
დევიდუალურ-შემოქმედებითი ბუნებით და  
მამიწველი ლიტერატურული აქმისფეროთი.  
შემდეგში ამ გზით არ განვითარებულა ქარ-  
თული რომანი და არც თვით დემნა შენგელა-  
იას შემოქმედება (თუმცა არც იმის უარ-  
ყოფი შეძლება, რომ, როგორც მწერლის,  
აქვე ქართული საბჭოთა პროზის ისტორია-  
ში, განსაყუთრებით ოციან წლებში, შეინიშ-  
ნება „სანავარდოსის“ დამახასიათებელი  
ცალკეული მხატვრულ-სტილიური ნიშნები).

„სანავარდოსი“ თემა — ფეოდალურ-მემა-  
ნუღური უოფის სრული დეგენერაცია და მისი  
აღსარული — არ არის ახალი, ამ თემაზე  
მდებარი ლიტერატურა შეიქმნა ევროპულსა  
და რუსულ მწერლობაში. არაერთი მაღალმა-  
ტერული ნაწარმოები გვაქვს ამ თემაზე მე-19  
საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც (ი. ჭკ-  
კვაძე, გ. წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ე. ლ-  
ნოშვილი, ა. ერისთავ-ხოშტარია). ახალ ასექ-  
ტებში გააშტეა ეს თემა XX საუკუნის რევო-  
ლუციამდელი ქართულმა მწერლობამაც (მ.  
დუღაძე, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ.). ამის ში-  
შედადად იგა ოციან წლების ქართული პრო-  
ზის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოტივია.  
საქმარისია ითქვას, რომ ერთდროულად იქ-  
მნებოდა მ. ჭავჭავაძის პირველი რომანი  
„ქაული ხიზნები“ (1924), კ. გამსახურდიას  
პირველი რომანი „დიონისოს დიმილი“ და  
თვით დემნა შენგელაიას „სანავარდოსი“.

ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. საქართ-  
ველოში კაპიტალიზმი ისტორიულად დაგვიან-  
ნებით შემოიჭრა, ამასთან იგი განვითარდა  
პარსებულა გზით და სოციალისტური რევო-  
ლუციის გამარჯვებამდე წლებში კაპიტალისტურ-  
ი ძალების პარალელურად მნიშვნელოვან  
სოციალურ ძალას წარმოადგენდა ფეოდა-  
ლურ-შემამუღური საზოგადოებაც.

დ. შენგელაიამ დრამად გაიარა თემა და ასა-  
ხა ერთ დროს გაბატონებული ამ სოციალურ  
ფენის სრული დაცემა, მისი სულიერი დე-  
გენერაცია და ფიზიკურ-ბიოლოგიური კვდო-  
მა.

ავტორმა ფეოდალური ოჯახის — კილაძეთა  
საგვარეულოს სრული გადაშენება წარმოსახა,  
როგორც ახალი სოციალურ-ეკონომიური და  
პოლიტიკური სინამდვილეს კანონზომიერი  
მოვლენა.

მართალია, მან ერთგვარად სუსტად გვიჩვენ-  
და ის სოციალური ფენი, რომელმაც განაპი-  
რობა კილაძის ოჯახისა და მისი კლასის ის-  
ტორიული ბედისწერა, მაგრამ რომანში ვარკ-  
ველად ჩანს კილაძის საგვარეულოსა და  
მთელი მისი კლასის დამბობის ისტორიული  
ფაქტები. თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტზე მი-  
თითება, რომ „უფერად გლეხთა განთავისუფ-  
ლების ამბავიც მოვიდა“, მხოთხველს ნათლად

მითითებს ამ სოციალურ-პოლიტიკურ ვითა-  
რებაზე, რომელმაც განაპირობა „ქარაშენი“  
კილაძის სოციალური ფენის გატეხვა. „ქარაშენი“  
ავტორი რომანის საექსპოზიციო ნაწილში  
შეამბეჭდავად გვაცნობს შთაბარა პერსონა-  
თის — უარამან კილაძის ბუნებას: „თავადი უა-  
რამან ახოვანი ვაჟავი, იქა-აქ კილაძა შექარა-  
ვია, სიარული ნელი, დინჯი, მაღალი, მხრებ-  
ში ოდნავ მოხრილი, შემოხედავა ამაყი, ჭიშ-  
ანი... ამღვრელი თვალები, ჩვეულებად გა-  
დ-ქცეული შუბლზე ხელის გადახმა (აღბოა,  
სისხლი უფარდებოდა თავში)“.

ამასთან თავისი დიდი გვიარწილობით ამა-  
ყი და გიროზი უარამანი „როცა მარტო და-  
რჩებოდა და ფუკრებს კრილოსანზე ჩათლი-  
და, მას ახერობდა შიში იმ საგვარეულო სე-  
ნისა, დიდებულან ერთად რომ დაუტოვეს წი-  
ნარებმა და კვადკვალ რომ მოსდევდა მის  
მოვდგამს. ეს ღეტალები — „ამღვრელი თვა-  
ლები“ და „საგვარეულო სენის“ შიში — ფე-  
ვე მოვანაშენებს სიმბოლოზმისათვის ეოადენ  
დამახასიათებელ მხატვრულ აქსესუარზე, მაგ-  
რამ მწერალი რომანის პერსონაჟებს უშთაგ-  
რესად რეალისტურ ფერებში ხატავს. ქარბი  
საღებავები და ცალკეულ მოვლენათა გაზეა-  
დებული აღწერები ვერ ანელებს რეალიზმის  
სიცხადეულს. ამასთან დეკადენტურ-სიმბოლის-  
ტური მწერლობისათვის დამახასიათებელი მი-  
თოლოგიურ-ზღაპრული სახეების შემოტანა  
და პერსონაჟთა აშკარად მახინჯი, ავადმუფური  
ბუნება არ ნიშნავს რეალიზმზე უარის თქმას.  
ეს ხერხი მწერალს საშუალებას აძლევს შეა-  
ფაოდ გამოხატოს კილაძეთა სოციალური  
წრის სულიერი დეგენერაცია.

თით უარამან კილაძისა და მისი მთელია  
კონკრეტულ-ბიოგრაფიული დეტალები და  
მათი შეილის — ბონდოს ცხოვრების გზა ოდ-  
ნავადაც არ არის გადაჭარბებული. აქ გამაშ-  
რებულია მხოლოდ ბონდო კილაძის უცნაუ-  
რი ზილები, მოლანდება კინეკებისა და სხვა  
ზღაპრულ-ფოლკლორულ თუ მითოლოგიურ  
სახეებისა, რაც ავტორს დეგრაფირებული პერ-  
სონაჟის ბუნების გამოსახატავად დასჭირდა.

უარამან კილაძე ღუარასა თათქარბის ლე-  
ტერატურული ძემა, იგი ახლო ნათესავია გ-  
ერისთავის, გ. წერეთლის, ა. ერისთავ-ხოშტ-  
არიას, ნ. ლორთქიფანიძის, შ. დუღაძის, მ. ჭა-  
ვახიშვილისა და კ. გამსახურდიას მიერ შექმ-  
ნილი მსხვილ ფეოდალთა სახეებისა და კლდე-  
აშვილისეული არისტოკრატისა. მათ ენათესა-  
ვება იგი სულიერად, ინტერესებით და, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში  
ცხოვრობენ და მოქმედებენ, ყველა მათგანი  
მოლაპულ გზაზე დგას და იღუპება.

მწერალი ოსტატურად ხატავს უარამანის  
სულიერ დრამას: „უარამან ან ლოთობდა, ან-

და ფიქრობდა ვულგარული". იგი შეუძლებელია ერთად მძიმედ განიცდის შვილის ფსიქიურ დაავადებას და ფარულად ცრემლებს ღვრის...

უარაპანის ფარაგონის ამბავებს ის, რომ ავტორი ზოგჯერ სოფლის ტრადიციას — სანაწარმოს მძიმე ხედვებს — ორგანიზებად უყავს შერტებს მთავარი პერსონაჟის ავადობას და ამ შემთხვევაში პერსონაჟი ბუნების სტიქიასაც საკუთარ შტრად მიიჩნევს.

მეგრე? მხოლოდ ბიოლოგიური და სტიქიური ფაქტორები რომელიც განაპირობებს ქალაქურთა დანაშაულის გადაშენებას; მათ ნიადაგს ურყევს ახალი ყოფის სიმბოლო — რკინაგზა. ეს „რკინის ქაი“, რომელიც მოდის და მოაბრკიანდებს ფოლადის კბილებს, უღმობილად არღვევს უწყვეტ საპანებას და ძველი ცხოვრების ადგილებს.

რომანოს იდეურ-მხატვრული კონცეფციის ვასაყვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბონდოს სახეს და არა მხოლოდ, რომ იგი ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟია და რომანის სიუჟეტური ხაზები უშუალოდ მასთან ერთდებთან, არამედ იმიტომ, რომ ბონდო ქალაქის სახეში ავტორი ხედვად მთელი სოციალური ფენის განწირულებას.

დურგის აღმინია: იგი არა მარტო არ უყვარს, არამედ მისაც არ შეუძლია სიყვარული, — ანუ უყვარს მალაღობრივი ცხოვრებისეული ბედნიერების განცდა არ შეუძლია. ბევრს პოეტი მიაჩნია თავდავიწყებებს მადრეკიულებს შქონე კაცად. მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, პოეტი თვით სიყვარულიც არ არის თავდავიწყებული. მას არ შეუძლია და არც აქვს უფლება სხვებზეთა უბრალოდ და უშუალოდ თქვას: — შე შეყვარს. არ შეუძლია, რადგან მას მხოლოდ ის უყვარს, რომ უყვარს. სიყვარულის მსგავსად, არც სიძულველი შეუძლია ისევე ბუნებრივად, როგორც სხვებს, ამის მისწავლა კი ისაა, რომ აგი თითქმის გამოუღმებო და თითქმის ყველაფერს (საკუთარი თავის ჩათვლით), თითქმისა მესამე მხილველი თვალთა უთავალუცრებს — საბედისწეროდ მას აქვს მესამე მხილველი თვალი, რომელიც არასდროს, თვით ძალშიაც არ იხუდება, ყოველივეს გარდატეხს თავის ფოკუსში და თავის ფსერზე, სსონის ფოსოში სამუდამოდ აღბეჭდავს და გამოაწვევდეს. ერთადერთი რაც უშუალოდ უყვარს პოეტს — ეს პოეზიაა ანუ ცხოვრებას დაპირისპირებული ფენომენი. ცხოვრება არ ასატებს პოეტს დაპირისპირებულ არსებობას, ვინც პოეტის ბედს შენატრის, ის შენატრის ტანჯვას და უბედურებას, — დაახლოებით ასე ავითარებს ოსკარ უაილდი თავის მსჯელობას პოეტის სიყვარულსა და ცხოვრებაზე. საოცრად ზუსტია და მართალია შემდეგი ორი განსაზღვრა: „ხელიდან არის ის აღმინია, რომელიც ცხოვრების სანახაობს ხედავს საკუთარი გრძნობებით“ (გრძნობებით დანახვა ანუ გრძნობის დანახვა, — ეს მეტაფორულად გამოთქმული სიმატლავი ხელოვანის სულიერ ცხოვრებაზე). და კიდევ: „სიყვარული ხელფანისათვის წარმოადგენს მხოლოდ მშვენიერ ლუბის განცდას, გრძნობას მშვენიერობა“ (საქარულის განცდა როგორც მშვენიერობის, უკვე თავისთავად მგულისხმობს ესთეტიკურის მომენტს, ფრთად განსხვავებულს სიყვარულის ჩვეულებრივი განცდასაგან, რომლის დროსაც ძირითადად გაუცნობიერებლად განიცდი ემოციურ მიმართებას ქალისადმი, როგორც სასურველი და საჭირო ცხოვრებისეული ინდივიდისადმი და არა მშვენიერობისადმი, და რომლის დროსაც არც ფიქრობს მის მშვენიერებასა თუ არამშვენიერებაზე. ჩვეულებრივი განცდების ასპექტში ქალი მოქმედებს როგორც მშვენიერი და არა როგორც მშვენიერება).

„უფნებო ვნებით მინდა ვწავადე ვნებით თავილებს!“ ტიციან ტაბისის ამ პოეტურ ფრაზის ამოკეთება არა მარტო ხელოვანების არის, არამედ ზედოც ხელოვანისა.

და მართლაც, თუ გავითვალისწინებთ ხელოვანთა დღიურებს და წიგნილებს, მიკვებდ

ბით, რომ ამ ქვეყნად ცოტაა ისეთი ქალბერი, რომელთაც ძალუბი პოეტის სიყვარული, ანუ სიყვარული სულ სხვაგვარი სულიერია თუ ვნებები და შეიძლება ითქვას, თანდაყოლილი ნიჭიც სჭირდება. პოეტთა დიდი უმეტესობა „სიყვარულით გამოზარა“ დიდხანს არ დიარებოდა. სამაგალითოდ ხაყმარისია გავისსენოთ ბარათაშვილის, პუსტინის, ლერმონტოვის და ანუ გალაკტიონის ფენომენი.

თუმცა, ქალის ამგვარ დამოკიდებულებას პოეტიც დარსეულად პასუხობს — პასუხობს იდეალისადმი ერთგულებით, ფანტაზიაში ცხოვრებით. ავივ ოსკარ უაილდი წერს, რომ პოეტს შეუძლია უმშაბრების, ფსახვარის სიყვარულის განცდაც და მინიჭებაც ქალისადმი. ოღონდ, ეს სიყვარული ფანტაზიური სიყვარული იქნება და ბევრი რამ ეწნება საერთო გამოწავონთან, წარმოც „სიბერესთან“. იგი არაშეარს და არასრულყოფილი გამოდგება ყოველივე ცხოვრებისეულისადმი და პრაქტიკულად სადღი იმდენად, რამდენადაც მტკიცედ და სრულყოფილი აღმოჩნდება ცხოვრებისაგან მოწყვეტით. ყოველივე ეს იმითმ აღწინსნე, რომ შეთქვა: პოეტი ძირითადად გამოწავონის განიცდის ქალს (რადგან მას მოუღი ცხოვრებას იდეების, ფანტაზიის სფეროში გადააქვს უნებურად), და გალაკტიონსაც თავისი „მერი“ — ანუ გამოწავონის არსებული იდეა ქალზე, შეეძლო დაენახა და განცდას როგორც უმშვენიერეს მალაღობრივ წრის მანდილოსანში, ასევე ქუჩის მეშვენი. „ცისფერის“ იდეა ორთავეში ნაგულისხმევი. მთავარია, რომ გალაკტიონმა ფანტაზიაში განიცდიდა „მერის“, განიცდიდა როგორც რწმუნებს და ხილვებს. და ის, რომ ზოგჯერ რომელსავე კონკრეტულ ქალში დიანახავდა „მერის“, ერთი მხრით, აინსება ამ სტილი-ფიქრად გამოვლენილი მალეციენტარული მიმეტაზიითაც, რომელიც თითქმის ყველა პოეტს ზომიერების ფარგლებში მეტ-ნაკლებად ახანიათებს.

გალაკტიონისათვის „მერი“ წარმოადგენდა ხატებას იმ სასურველი ქალისა, რომელიც „სადღაც, ოდესღაც ფიქრში ზმანებული“ უნახავს „მერის ცკლიდან“ ყველა საუკეთესო ლექსი მიგვანსნეებს იმაზე, რომ მათში „ფანტაზიის გრძნობა“ გამოხატული და არა „ჩვეულებრივი გრძნობა“ — ამ ლექსებში ზელი გვეძლევა არა ცხოვრებისეული მოვლენა, არამედ ფანტაზიის მოვლენა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გალაკტიონის ფანტაზიაში „მერი“ აღმოცენდა მანამ, სანამ სახელად მერი ღაერქმეოდა, სანამ გაჩნდებოდა თვით ლექსიც „მერა“ და სანამ იგი მერი შერეაშინება თუ რასა ჩიხლაქებს შეხვებოდა. მერის სახე-იდეა მის შემოქმედებში პრაქტიკაში დასაბამს პოულობს ჭერ კიდევ 1908 წელს — ლექსში „რაც უფრო შორს ხარ“ პირველად

და ამკარად იწინა თავი იმ ვრძობითა მიმართებაში, რომელიც შერის ცხელისა და, საერთოდ, პირველ პერიოდში სახეობარულ თემაზე დაწერილ ლექსებში განვითარდა და გამრავალდებოდა. ამ პერიოდის ლექსებში ქალი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც მიუწვდომელი და ზღვუბლებელი, რომელშიც პოეტს თავისი ოცნება უყვარს, რომლითაც პოეტი მით უფრო სტებება, რაც უფრო შორსაა იგი; ხოლო, მეორე მხრივ, ცხოვრებაში ამაოდ ძიება იმ ქალისა, „ვისაც ჰქვიაოხს“ პოეტი. ამგვარად, ქალისადმი განცდა ძირითადად ამ ორი მიმართულებით განვითარდა: როგორც მოლოდინი სანაწილისა და ზმანებაში ხილვა ხაწადელისა, და როგორც სასოწარკვეთა სიღბდელი.

კონკრეტულად „მერის“ აღმოცენებას (1915 წელი), წინ უსწრებს ისეთი ლექსები, როგორც: „რაც უფრო შორს ხარ“, „ო, ვიპოვე“ „სადღაც მინახავს“, „ლანდი არაკვეციური“, „ნიშორით შენთან“, „უსიყვარულოდ“ და სხვა. ამ ლექსებისა და „მერის ციკლის“ შედარებისას ყველაზეა თვალსაჩინო ვახდება, თუ რაოდენ დიდი შინაგანი სხვაობაა თავ შორის. პოეტში ქალისადმი ეს გრძობითი მიმართება თანმიმდევრული სიზუბტით თუ არა, ძირითადად მაინც პოლომდე ვახვევა ვალაკტიონის შემოქმედებით ცხოვრებას. ასე რომ, განსაუთრებთ მისი შემოქმედების პირველ პერიოდში, „მერის ციკლს“ უნდა მიაყუთონთ ის ლექსებიც, სადაც სახელი შერი არ არის ნახსენები. სახელის ზენება არც არის სავალდებულო ლექსთა გარკვეული ციკლის დადგენისათვის. ამ შემთხვევაში მთავარია ფანტაზიის სახის მოდუნის და გრძობითი მიმართების ხაერთო მნიშვნელობის გამოჩენა. ამგვარადვე „მერის“ განცდა თავისუფლად შეიძლება აღმოვანიშნოთ სრულიად სხვა თემაზე დაწერილ ლექსებში. მაგრამ ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ლექსის სახეობად „ფანტაზიის ციკლის“ მტიციებით, სრულიადაც არ უარყოფ ცხოვრებისეულ განცდათა მნიშვნელობას. ჩვეულებრივი გრძობები უდაოდ გარკვეულ როლს თამაშობენ შემოქმედებითი ფანტაზიის ამოქმედებისათვის და შემოქმედებითი პროცესისათვის. მაგრამ თვით შემოქმედებითი ობიექტუკაციის პროცესში ჩვეულებრივი გრძობები აღარ მოქმედებს. შემოქმედებით პროცესში ობიექტუფრდება სწორედ „ფანტაზიის გრძობა“ (როგორც უწოდებს ა. ს. ვიგოტსკი), ანუ, მხატვრული გრძობა, რომელიც ფრიად განსხვავებულია და სპეციფიკურია. ეს მხატვრული გრძობა აღმოცენდება უშუალოდ განწყობის სფეროდან — უფრო ზუსტად, იმ მომენტადან, როდესაც „შეპოვებული განწყობა“ ფანტაზიის ზატით გამოცხადდება პოეტის ცნო-

ბიერებას. ჩვეულებრივი გრძობა კი განწყობის სფეროს გადმოიანებულს წარმოადგენს და იმვე განწყობის სფეროში „შეპოვება“ — კი არ იყარგება, არამედ ტრანსფორმირდება.

რადგან უნებლიედ ამ საკითხზე ნაშთად სიტყვა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მხატვრულ გრძობას და ჩვეულებრივ გრძობას შორის კავშირს განწყობა კიდევ თიშავს და კიდევ ამყარებს: პოეტის განწყობა ისეთ დამაკავშირებელ „გვარაბად“ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ცხოვრებასა და ზღვუბლებას შორის, სადაც შეხული „ცხოვრებისეულად მოართობა“ გრძობაა, „ფანტაზიის სახლში გამოწყობილი“ მოგვედგინება. ან, კიდევ: განწყობა პოეტისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთ აღქიმიურ ნივთიერებად, რომელში მოხედრილი ჩვეულებრივი ლითონი-ჩვეულებრივი გრძობა, იძენს ძვირფასი ლითონის — მხატვრული გრძობის მნიშვნელობას — ე. ი. განსხვავდება თვისობრივადაც და ხარისხობრივადაც. არ განსხვავდება მხოლოდ არსობრივად: ორივე ლითონია — ორივე გრძობაა.

შემოქმედებით პროცესში ზღვოვანი განიცდის არა რაიმე ცხოვრებისეულ მოვლენას, არამედ ცდილობს რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს წარმოსახული მოვლენის მიმართ აღძრული განცდა. საგანი, როგორც ცხოვრებისეული მოვლენა, განსქარალია შემოქმედებით პროცესში. აქ აქტივობს მხოლოდ საგანი როგორც ფანტაზიის მოვლენა ანუ განწყობიდან ამოშუქებული იდეა. ზღვოვანების სფეროში უკველ ცხოვრებისეულ მოვლენას და ფაქტს უფრო მხატვრული ეფექტის ხელშეწყობა უნდა დაჰრავდეს, — ანუ, აქ უკველ ფაქტი ეფექტად უნდა გადაიქცეს. არც ერთი ცხოვრებისეული მოვლენა თუ ფაქტი არ შემოდის ზღვოვანებას სფეროში თავისი ცხოვრებისეული, ემპირიული ნიშნით, რადგან არც ერთი ნაშვლი ზღვოვანი არასტრის არ ზედავს საგნებს და მოვლენებს ისეთებად, როგორცადაც ისინი ჩვეულებრივად მონანან. ის ზღვოვანი, რომელიც ჩვეულებრივად ზედავს და განიცდის საგნებსა და მოვლენებს, არ არის ნაშვლი ზღვოვანი, საგანი კი არ იწვევს თავის მხატვრულ განმორცოვლებას, არამედ ზღვოვანის განწყობა და ინტინქტი მხატვრულობის სფეროში „ზედავს“ საგანს და სწორედ იმ სფეროდან „გადმოიკვს“ ტილოზე. მართალია, უორდუფორთი ტბებს ეწევა დიდი ზნათ, მაგრამ არასტრის გაზზარა ტბების აღწერაში პოეტი ტბათა შემოვარტენში მან იმეუა მხოლოდ ის სიტყვები, რომელიც თან მოხვეა მის სულს და რომელიც თავად გაანია კვებას, წყალსა თუ ხეებსში. იმაც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ტბებიდან წამოსვლის შემდეგ და-

წერა მან საუკეთესო ლექსები „ტბების შესახებ“.

ოღლა ოცუჯავაც, რაისა ჩიხლამეც, მერი შე-  
რავშიძეცა და ვანუ სხვა ქალიც, როგორც  
ცხოვრებისეული ინდივიდები და ფაქტები, გა-  
ნაქარანი არიან „მერის ციკლის“ ლექსებიდან.  
აქ არც იმას აქვს მნიშვნელობა, გალაკტიონმა  
მერი შერავშიძის განცლით თუ დაარქვა თავი-  
სი ფანტაზიის ქალს მერი, და არც იმას — ახა-  
ზულაა თუ არა ლექსებში რაიმე ცხოვრების-  
ეულად მსგავსი სატუაყია. ლექსში უფველ დე-  
ტალს მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრული  
გრძნობა და ფანტაზიის ხატი.

და ის ლექსი ან მეტისმეტად ცუდია, ან  
უბრალოდ ცუდია, ან მაინც და მაინც კარგი  
ვერ არის, რომელშიც ჩვეულებრივი გრძნობაა  
გამომცემული და აშკარად „ცხოვრებისეუ-  
ლია“. ასეთი „ცხოვრებისეული“ განცდით არის  
დაწერილი „შენს ცისფერ თვალებს“, რომელ-  
საც უკვე ხელგაწაფული გალაკტიონის შეტა-  
ფორებიცა და მძაფრად ემოციური ფრაზებიც  
ვერ შეუღლის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ.  
რომ, ლექსში გამოთქმული ძირითადი გრძნობა  
და ლექსის ხატი არის მეტისმეტად ჩვეულებ-  
რივი და ბანალური. აქ გალაკტიონი უკვე აშკა-  
რად ამოდის ცხოვრებისეული „ქაღალბიანი შე-  
რიდან“ და არა განწყობის „მერიდან“. ეს,  
უბრალოდ, არ არის კარგი ლექსი.

და ის ლექსიც უფველთვის მოიკლებებს,  
„ცხოვრებისეულად პოეტურ გრძნობაზე“ თუ  
„პოეტურად ცხოვრებისეულ გრძნობაზე“ რომ  
არის შექმნილი. თუ რას ვგულისხმობ ამ ფა-  
ნასენელში ახლავ მოკახლენებთ: ეს ისეთი  
გრძნობაა, რომელსაც პოეტი უშუალოდ ცხო-  
ვრებაში პოეტურად განიცდის, ანუ, რომელიც  
შედეგია პოეტის მიერ ცხოვრებისეულ მოვ-  
ლენათა უწყვეტი პოეტოზირებისა. ასეთი  
გრძნობა ამოცნენდება იმ შემთხვევაში, როდესაც  
პოეტი პოეტურად უყურებს ანუ „ლექს-  
იდან“ უყურებს“ ცხოვრებისეულ მოვლენებს  
და ცხოვრებაში საგნებს განიცდის უშუალოდ  
როგორც ხელოვნების მოვლენებს. ასეთ შემ-  
თხვევაში უფველთვის არსებობს და მოქმედ-  
ებს გაუნობიერებელი ან გაცნობიერებელი  
წინასწარგანწყობის მომენტუ ვარკვე-  
ული „იძულების“ მომენტი ცხოვრების გა-  
პოეტურებისა. და ლექსიც „პოეტურად ცხო-  
ვრებისეული გრძნობიდან“ უშუალოდ აღ-  
მოცენდება. ეს არის ერთგვარი „უშუალო  
ლექსები“, „მძაფრად ემოციური ლექსები“  
და მათში უფველთვის გამოხატულია პოეტი-  
ზირებულად ცხოვრებისეული გრძნობები. და  
ეს გრძნობები უფველთვის ეგზალტირებულია.  
კარგი პოეტი ასეთ ლექსებს ოსტატურად ში-  
ანიჭებს ფორმას ლოკურად განვითარებადს,  
დინამიურსა და მძაღუპოეტურს. მაგრამ რა  
წესტადაც არ უნდა იყოს აგებული ასეთი ლე-

ქსი და რა კარგი პოეტის მიერაც არ იყოს  
დაწერილი, მაინც ატარებს სრულყოფილების  
დაღს. გალაკტიონის „მეტრის“ და უწყვე-  
ლი პერიოდის ზოგადი სხვა ლექსისაც სწო-  
რედ ეს ნაკლი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ  
გენიალური გალაკტიონის კალმით დაწერა.  
ამგვარი რამ თითქმის უფველ პოეტს ახსია-  
თებს, თითოეულ ამგვარ ლექსში უნებუ-  
რად შევკაცუნებს ის „ტყუილი“, ის მეტის-  
მეტად რაგაგეული და მორთილვარე ტო-  
ნები, რაც ცხოვრებისეულ მოვლენათა პოე-  
ტიზირებიდან გამოწმინდარებისა.

რაც შეეხება „ტყუილს“ ხელოვნებაში:  
ობიექტური ცხოვრების პოზიციებიდან ფი-  
ლოსოფოსები და ესთეტიკოსები საკსებთ  
სამართლიანად „ბრალოდ სდებდნენ“ ხელო-  
ვნებას ტყუილსა თუ გამოხატონს, ხელოვნების  
პოზიციებიდან კი, იგივე ფილოსოფოსები და  
ესთეტიკოსები ხელოვნების ისეთ სიმართლეს  
აღიარებდნენ, რომელიც არსობრივად ავლენს  
ცხოვრებას. ჯერ კიდევ მესიოდემ „თეო-  
გონიაში“ აღნიშნა ეს მომენტი: პოეტი ა-  
ბობს მრავალ სიცრუეს, რომელიც სიმართლის  
მსგავსია და ხელოვნების სიცრუე თავის თავ-  
ში სინამდვილეს და კუმშარიტებას შეიცავს.  
სინამდვილე ანუ კუმშარიტება სიცრუისა —  
ეს ერთ-ერთი პარადოქსალური კუმშარიტებაა  
ამ ქვეყნად და, მე ვიტყვია, რომ არა მარტო  
თავის თავის მიმართ, არამედ ცხოვრების მი-  
მართაც ხელოვნების ტყუილი ისეთი ტყუი-  
ლია, რომელიც ტყუილს ვერ იტანს.

ხელოვნების სფეროში ტყუილის შემომა-  
რების ერთერთი „უფენებელი“ ნაიზანებოა კი-  
სწორედ „პოეტოზირებულად ცხოვრებისეულ  
გრძნობათა“ შეშობანა. დღი პოეტის შე-  
მოქმედებაში — ეს არის წამიერი, პატარა  
ცოდებები. მაგრამ მათ ცოდებებს, სამწუხა-  
როდ, ხარბად დაეწაფებთან ხოლმე პატარა პო-  
ეტები და, რადგან პატარები უფველთვის მე-  
ტნი იყვნენ და არიან, პოეზიაში „უაღბი ე-  
ზალტაციის“ ისეთი ქარბუქია დაუფენებელი,  
რომ თავისუფლად სუნთქვაცა და ნამდვილი  
გზის დანახვაც მეტისმეტად გაკირდა.

გალაკტიონის პირველი პერიოდის ისეთი  
ლექსები, როგორებიცაა „ოცდელი“, „უცნ არის  
ეს ქალი“, „შენ ზღვის პირად“ და სხვა, მიუ-  
ხედავად „მერიზე“ უფრო მძაფრი ხამოლი-  
სტური ფორმისა, მიუხედავად მოვლენათა  
განვითარების ნაკლებად შესაძინდვად ლოკა-  
სურობისა, რომანტიკული ამაღლებულობისა,  
პათოსისა და რთული მეტაფორულობისა —  
ეს ლექსები არ ატარებენ არც უაღბი ეგზა-  
ლტაციის დაღს, არც ტყუილს; ისინი უფრო  
რეალურნი, უფრო არსებითნი და უფრო მარ-  
თალნი არიან იმიტომ, რომ ნამდვილად მა-  
ღალმხატვრული ქმნილებებია — განწყობი-  
დან ამოშუქებული და ფანტაზიის ხატის

საფუძვლზე შექმნილი ლექსებია. მათში გადმოცემულია ფანტაზიაში ზილული მოვლენება და არა „გამოცემისთვის“ ცხოვრებისეული საგნები. და რომ ვთქვათ, „მერიში“ ჩვეულებრივ მოვლენათა გაფანტაზიურებასთან“ ვაქვს საქმე, — ამით ვალაქტიონის სიდადის ვერაფერს დავაცლებთ უდავოდ და ჩვენს მიერ პოეზიის ობიექტურად შეფასების უნარს კი ასევე უდავოდ განვაშტაცებთ. ბოლოს და ბოლოს, პოეტის მიზანია ფანტაზია განჩვეულებრივის და არა ჩვეულებრივი გაფანტაზიურის, ანუ, უფრო პარადიპირ რომ ვთქვა: პოეტის საქმეა ფანტაზიის ხატი გრძნობადი, ჩვეულებრივი, კონკრეტული საგნებით გამოვყვიღონ და არა ჩვეულებრივი საგნები ფანტაზიურად წარმოვივიწიოს. ჩვეულებრივის გაფანტაზიურება ცხოვრებისეული ემოციებისათვის არის ნიშანდობლივი და, თვით ცხოვრებაშიც, ეს უფროდ არასაზოგადოებრივ მოვლენაა. მით უმეტეს, პოეზიაში, შემოქმედებითი პროცესი — ჩვეულებრივის ფანტაზიის თვალთ დაწახვას და გამოხატვას კი არ ნიშნავს, არამედ განწყობაში არსებულსა და არსებულს არსის განცდას და ობიექტივაციას. ამაზე ნაკლებად მთავრად ვალაქტიონის ბრწყინებულ შემოქმედებას მისი ლირიკა ცხვენები, ეფემერები და ქება-ქებანია.

პოეზიის და, საერთოდ, ხელოვნების პარადოქსალობა კიდევ ისაა, რომ იგი ცხოვრებას ქმნის ცხოვრებისეულ განცდათა უარყოფის გზით. და მიუხედავად იმისა, რომ პოეზია მთავრად განვსაზღვრებებს ცხოვრების სიმაართელს, მისი სიმაართლე მაინც განსხვავებულია ცხოვრებისეული სიმაართისაგან — შეიძლება ითქვას, რომ სიამისსირცოცა. პოეზია გამოხატავს ცხოვრების სიმაართელს და არა ცხოვრებისეულ სიმაართელს. პოეზიას აბსოლუტურთან, საყოველთაოსა და აბსტრაქტულთან აქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ იღებსა და სახეებს ინდივიდუალურად, გრძნობითი და კონკრეტული ნიშნებით ვადმოსცემს. მხატვრული გრძნობა ცხოვრებისეულს კი არა, ცხოვრების სიმაართელს შეიცავს. ეს გრძნობა მთელი ცხოვრების სიმაართ არის მართალი დროისა და სივრცის დაუქვემდებარებლად. ცხოვრებისეული გრძნობა კი მართალია მხოლოდ ცხოვრებისეულ, დროთა და სივრცის შემოსაზღვრულ და განპირობებულ სიტუაციებში — იგი მხოლოდ სუბიექტურად, ლოკალურად არის მართალი და, უმეტეს შემთხვევებში, სხვებისთვის მიუდებელი. მთლიანად ცხოვრების სიმაართ არამართებული გამოდგება.

პოეზიის ამ პარადოქსალობას განაპირობებს თვით პოეტის შემოქმედებითი ბუნება: სწავლება რა სულიერად ცხოვრებისეულს და ენაობა რა წარმოსახვისა და აბსოლუტურს, პოეტის ისე უბრუნდება ყოფიერებას და უბრუნდება უკვე თავისი პროდუქტით, ხელოვნების ნიმუშით, რომელიც მისი დაუნებურად იქცევა ისეთივე ობიექტურ მოვლენად, როგორც ხე, ყვავილი ან ქვა. ხელოვნის ტრაგიკულობა კი კიდევ ის არის, რომ ცხოვრება თავისად მიიწვევს, ძირითადად, სწორედ ხელოვნის მიერ შექმნილ პროდუქტს და არა თვით მას. ცხოვრებისათვის ხელოვანი არსებობს მხოლოდ როგორც მხატვრულ ნიმუშთა შემქმნელი და, სიამაფილესში, მთელი მისი ცხოვრება მართლაც მხატვრულ ნიმუშთა შექმნაში მდგომარეობს. ხელოვნის თვით ადამიანური ცხოვრება მის შემოქმედებითობაში მდგომარეობს და, შემოქმედებითობის გარეშე, იგი არის „მცირე ზეარედა“ ანუ მის არსებას დანიშნულება და მნიშვნელობა, აზრი ევარდება. სწორედ ამ მოსაზრებით იქვეა ქონ კიტსმა, რომ პოეტი უველაზე არამოეტური არსებობა აქვეყნად, რადგან იგი თავის თავში ატარებს უველაფერს, ყოველგვარ საგანთა ცხოვრებას, გარდა საკუთარისა.

ასევე ატარება ვალაქტიონი თავის ხელში „მერის“, განსაკუთრებით პირველი პერიოდის მანქალზე. ამ პერიოდს, პირიპითად „მერის“ პერიოდს, ან, ცისფერი პერიოდს შეგვიძლია ვუწოდოთ. და კითხვა: „იგი არის „მერი“? — თუ ვინ არის ვალაქტიონის ამა თუ იმ ლექსში გამოხატული „მერის“ პროტოტიპი „ქალბატონი მერი“, — სხვაგვარად, შეიძლება სიტყვითა და წინდახედულობით არის საპირო, რათა ვუღებურველი შეიხვედესა და მწერალსაც მაცოფრი იქვები, სწრაფვანი და შეხედულებები არ ვაუწინდეს. თვით ინფორმაციული ხასიათის წერილებსაც ლიტერატურულად სწორი პოზიციები უნდა აქონდეს. რაც შეეხება ლიტერატურულ წერილებს: იქ უნდა დაისვას კითხვა, თუ „რა არის და როგორია ვალაქტიონის „მერი“ და, თვით ინფორმაციული წყაროების გამოყენებით, მერის არსებობა და როგორობის ძიება პოეზიის სფეროთი უნდა შემოიფარგლოს. ეს ასე უნდა სდებოდეს, რადგან პოეტური ქმნილება და, საერთოდ, ხელოვნება ისეთივე სუბსტანციონალური, თავისთავადი მოვლენაა, როგორც ყოველი დასრულებული ფორმა ჩვენს გარემოში არსებული ობიექტური რეალობისა.



კონსტანტინე წარბთაძე

## არამეული ენა საქართველოში

### I

არამეული ენა ერთერთი უმნიშვნელოვანესი სემიტური ენაა, რომელსაც III-საუკუნოვანი ფიქსირებული ისტორია აქვს. მართალია, ამ ენის მატარებელმა არამეელებმა ვერ შექმნეს დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, მაგრამ მათი ენა ასრული წლების განმავლობაში სამსახურს უწევდა ისეთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს, როგორცაა ასურეთისა და ირანის იმპერიები. მათი არსებობის მანძილზე (ძვ. წ. VII-IV ს. ს.) არამეული განსაკუთრებულ გავრცელებას პოუბეს და მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას შდ. ნილოსიდან ურმიის ტბამდე (ირანი); ირანის აქემენიანთა იმპერიის ზრდასთან ერთად ფართოვდება არამეული ენის ხმარების ფარგლებიც და იგი მთელ ამ ვრცელ ტერიტორიაზე საყარველარია-აღმინის-ტრაციული ენის ფუნქციით გველიენება.

კიდევ უფრო ფართო გავრცელება მხოვა არამეულმა დამწერლობამ, რომელიც ძვ. სემიტური დამწერლობიდან მოდის. მას იყენებდნენ არა მარტო სემიტური მოდგმის ხალხები (არამეელები, ებრაელები, არაბები), არამედ არასემიტებიც (ირანელები, უიდურები, მონღოლები და სხვ.) ამ უკანასკნელოვან აღზანი-შნაგა ძველი ირანის ფარგლებში მოქცეული ხალხები. მოგვიანებით, პართულ და სასანურ ხანაში (ახ. წ. I-VI ს. ს.) ირანელებმა არამეული დამწერლობა გამოიყენეს საკუთარი ენი-სათვის როგორც იდუგარა-ფიყული დამწერლობა, ასეა საშუალო ირანულში — ფარსურ-სა და ფარსულში, ხოლო თვით არამეულმა ენამ დაკარგა ოფიციალური ენის ფუნქცია და მხოლოდ იმპერიის პერიფერიულ ნაწილში (ან მის მუშობლად) შეინარჩუნა იგი, რასაც ადა-

ბტურებს არამეული წარწერები და ლოკუმენტები ეგვიპტედან, სუზიდან, თაამიდან, კილ-კოლან და სხუ. თვით ირანში (საქუარაც ირანში) არამეულ ენაზე დამწერილი ძველები აღარ გვხვდება, გამოსაკლბია არსყოლებს მონეტები.

არამეული დამწერლობით შესრულებული ძველება ძველი საქართველოს ტერიტორია-ზეც გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კვან-სტელები არამეული წარწერებით: ერთი — ერთენოვანი არამეული ტექსტია, მეორე — ბერძნულ-არამეული ბლინგვა. როგორც ცნობილია, აყად. გ. წერეთელმა წააქიბა ეს ტექსტები, დაათარბდა ისინი (ახ. წ. I-II სს.) და გაარკვია, რომ ტექსტები შესრულებულია არამეული დამწერლობის მანამდე უცნობა სახეობით, რომელიც მხოლოდ არმაზში შეგვხვდა. რას გამოც არამეული დამწერლობის ამ სახეობას „არმაზული“ ეწოდა.<sup>2</sup> აღზანიშნაგა, რომ აქემენიანთა ხანის არამეული დამწერლობა მთელი იმპერიისათვის ერთიანი ხან-მხოლოდ ამ იმპერიის დაცემის შემდეგ, მომდევნო ელენურ და პართულ ხანაში (ძვ. წ. III ს. — ახ. წ. III ს.), როდენაც არამეული იმპერიის პერიფერიასა და მის მუშობელ ზონაში შემორჩა, იყუება ერთიანი „სახელმწიფო არამეული დამწერლობის“ ლოკალურ სახესხვაობათა განვითარებამ დღევანდლამდე მოპოვებულ მასალის მიხედვით მათი რაოდენობა არც თუ ბევრია (7-8); მათ შორის ვარკვეულ ადგილს იჭერს „არმაზულიც“, რომელიც ტიპობრივად ჩრდ. მესობოტამური არამეული დამწერლობის შემდგომ განვითარებას

უნდა წარმოადგენდეს. ამრიგად, „არმაზულ-მა“ არამეული დამწერლობის ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიკავებდა და აღდგენილიყო მდებარეობა არამეული დამწერლობის განვითარების მთლიანი ხარისხის წარმოდგენა საქართველოში ნაშრომი არამეული ძეგლების ვარაუდზე. წარწერებმა სპეციალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია და დღემდე მსჯელობისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს (იხ. უკანასკნელი წლები: გამოკვლევები ურ. აღტაშიძისა, რ. შტილის, ე. ელსნერისა და სხვ.)<sup>10</sup> ათეული წლების განმავლობაში იყო დავა, თუ რამდენი ენაზე დაწერილი არამეული ტექსტები არამეულზე თუ საშუალო ირანულზე, რომელიც იდენტურად დამწერლობისათვის არამეულ ენას იყენებს. უკანასკნელი მოსაზრება ე. ბ. ბენიშის ეკუთვნის.<sup>11</sup> იგი წლებია განმავლობაში იდევნებდა აღტაშიძისა და შტილის, რომლებიც არამეულ ტექსტების არამეულობას (არამეულ ენაზე დაწერას) უპირდნენ შმარს<sup>12</sup> ეს აზრი გაიზარდა აგრეთვე ისეთმა გამოჩენილმა სემიოლოგებმა, როგორც არიან ლევი დელა ევა, ა. დუპონ-სომე, ი. შნიცერი და სხვ.<sup>13</sup> პირველად ეს ვარაუდი გ. წერეთელმა გამოქვეყნა „...იღრე წარწერაში არ არის გამოყენებული აქარად სპარსული ფორმა, ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ მისი ენის სპარსულობაში“<sup>14</sup>

შემდეგში გამოყენებულმა წარწერებმა და აღრევე ცნობები არამეული ტექსტების შედარებითმა შესწავლამ დაადასტურა ეს მოსაზრება. ამავედ, ვფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ არამეული ტექსტები, ისევე როგორც დახელოებით ამავე ხანის სხვა არამეული ძეგლები, არამეულ ენაზე შესრულებული, ენაზე-არამეული ახ. წ. III ს-მდე (სანაინისა დრომდე ირანის განაპირა რაიონებსა და მის უშუალო მეზობლობაში ოფიციალურ ენად რჩებოდა მართალია, ზოგიერთ ტექსტში გვხვდება ირანულური, განსაკუთრებით ლექსიკური ხასიათისა, მაგრამ ენა არამეულია და იდენტურად დამწერლობის მქონე საშუალო ირანულისაგან არსებითად განსხვავდება. ჩვენს წარწერების ანალიზური (ენისა და არა დამწერლობის ტიპის თვალსაზრისით) სხვა არამეული ძეგლებზე ძველი ირანის იმპერიის პერიოდში. დან, როგორცაა ოსტრაკა პართულ ქალქ ნისინიდან, ავრომანის (ქურთისტანი) პერსიანტი, პალმირული და ნაბატური წარწერები, აგაია-კალეს წარწერა მცირე ასილიან და ზოგი სხვადა, არამეული წარწერები აღმოჩენილი იქნა საქართველოს მეზობლად სომხეთშიც (სევანის ტბის მახლობლად; ახ. წ. III და ვარნიში, ახ. წ. II ს.)<sup>15</sup> უნდა ამ ტექსტის ენა ე. წ. სახელმწიფო არამეულია (სხე უწოდებდნენ აქემენიანთა იმპერიაში გავრცელებულ არამეულ ენას), რომელიც გარკვეული ხნის განმავ-

ლობაში აქემენიანთა იმპერიის დაცემის შემდეგაც „ინტერციო“ კიდევ იხმანებდა მსხვერპლ რაიონში როგორც აღმოსავლეთში ახლანდელი ისტორიის ენა. მომდევნო ხანაში შევადარო „სახელმწიფო არამეული“ ადგილობრივი ცოცხალი ენათა იცვლება, დამწერლობა კი თავის არსებობას განაგრძობს, მაგრამ ახლა უკვე ამ ცოცხალ, ადგილობრივ ენებს ემსახურება (ფილიპურს, ფარსულს, სოლდურს და სხვ.).

ის ფაქტი, რომ ახ. წ. I საუკუნისათვის საქართველოში უკვე გვაქვს არამეული დამწერლობის განსაკუთრებული სახეობა, ე. წ. არამეული, მოგვიანშენებს იმაზე, რომ არამეული დამწერლობის ხმარებას ზღვნი კარგა ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, მართალი უნდა იყოს გერმანელი მეცნიერი ელსნერი, რომელიც არამეული დამწერლობის ნაშთები ენაზე წილი წილიადრიცების ბოლო საუკუნეებში (II-III) ვარაუდობს. ამასთანავე, მისი თქმით, არამეული დამწერლობა არამეულის ჩრდილო-მესობოტამიური ტიპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.<sup>16</sup> ეს აზრი ადრეც გამოთქმულა (ე. წერეთელი, ა. ფერისანიანი).<sup>17</sup> თუ ეს ასეა, მაშინ არამეული ენის ხმარებას საქართველოში (აღმ. საქართველოში) ხანგრძლივი ისტორია აქვს და სახელობა ბუნებრივი ჩანს, რომ ამ ისტორიის დასაწყისი აქემენიანთა ხანაში ვეძებოთ. სწორედ მაშინ უნდა დაწესებულიყო საქართველოში (და სომხეთშიც) არამეული ენის ხმარება როგორც ადმინისტრაციის ენისა. შეიძლება ჩვენს აქ შევედოთ, რომ საქართველო აქემენიანთა იმპერიაში არ შედიოდა<sup>18</sup> და ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა. ისტორიული წყაროები და სათანადო არქეოლოგიური მასალა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული, ამ უკანასკნელ ვარაუდს დიდად არ უჭერს მხარს.<sup>19</sup> და თუნდაც ასეც არ იყოს, საქართველო აქემენიანთა იმპერიის ფარგლებს გარეთაც რომ ვივარაუდოთ, ამ იმპერიის მეზობელ ზონაში მისი არსებობა ხომ უდავოა. ექვს აღარ იწვევს არც ამ ზონაში არამეული ენის იმავე ფუნქციით გამოყენება, როგორც ეს აქემენიანთა იმპერიის ფარგლებში გვაქვს; და მაშინ, საქართველოში არამეულის ასეთი გამოყენება მეზობელი სახელმწიფოს წრელობით ტრადიციებს უნდა დაუკავშირდეს. თუ არა მათი გაუღწეობა, სხვაგვარად ვერ აიხსნება აქ არამეული ენისა და დამწერლობის ანალიზური ხმარება. დამთხვევა, როგორც ენაზე, პროლოგიურიცაა, ეს ფაქტია და მისი უარყოფა ძნელია. შესაძლებელია იგი იმავე მიუთითებდეს, რომ საქართველოს აქემენიანთა იმპერიისთან ურთიერთობის საკითხი დამატებით შესწავლასა და დარწმუნებას მოითხოვს. სამწერლობო ენის ფუნქტია არამეულს საქართველოში ახ. წ. III ს-მდე შეიქმნა (ჩვენს ზედა არსებული მასალის მიხედვით), რაც ასე

დამახასიათებელია ძველი ირანის იმპერიის პერიფერიისათვის (შტრ. წემოს), ხოლო დამწერლობის ხანგრძლივმა სპარტამ საქართველოში ბიჭვი მისცა ამ დამწერლობის ლოკალური სახეობის — „არმაზულის“ განვითარებას, რომელმაც ჩვენამდე ქვის სტელეზე გაკეთებული წარწერების სახით მოაღწია (I-II ს. ს.). ამ ტრადიციის ადასტურებს ამავე დამწერლობით შესრულებული ზოგიერთი სხვა ძეგლიც, რომლებიც საქართველოში აღმოჩნდა. ასეთია იმავე არმაზში ნაპოვნი ოქროს სამკაულები (სამაჭურო, აშლუცო, ბეჟედი) და ბორის (დას. საქართველო) ვერცხლის პინაკი არამეული წარწერით (ახ. წ. III ს.).<sup>15</sup> ამავე ხანისა (ახ. წ. II ს.) არამეული წარწერა გარნიდან. წარწერა, სამწუხაროდ, ურცელი არ არის, მაგრამ დამწერლობა, რომლითაც ეს წარწერაა შესრულებული, დიდ სიახლოვეს იჩენს ჩვენს არმაზულ დამწერლობასთან (შტრ. ფერხანაიანი, ელსნერი).<sup>16</sup> მცირეოდენი სხვაობის გარდა, რაც ანალოგიას სხვა არამეულ წარწერებში პოულობს, იგი იდენტურია არმაზულისა და სამართლიანად შენიშნავს ელსნერი, რომ გარნის წარწერა მესხეთის წარწერებთან ერთად უნდა მოთავსდეს<sup>17</sup> (რასაც ვერ ვიტყვით იმავე სომხეთში აღმოჩენილ მეორე წარწერაზე — სევანის წარწერაზე). საუბრედღებოა, რომ არმაზულის ტრადიციის გავრცელებად მიჩნიათ ალტაისისა და შტილს დამწერლობა, რომლითაც შესრულებულია ჩრდ. ირანში — შაზანადარანში აღმოჩენილი ორი ვერცხლის პინაკი (VIII-IX ს. ს.) და რომლებსაც სხვებმა მეცნიერებმა „გვიანარაზულს“ უწოდებენ<sup>18</sup>. შეიძლება ეს იყოს გვიანი გამოცახილი იმ წერითი ტრადიციისა, რომელიც აღმ. აზიურკავკასიაში უნდა გვეჩვენაძე. წ. ბოლოს და ახ. წ. პირველ საუკუნეებში. ელსნერი შესაძლებლად მიიჩნევს „არმაზული დამწერლობის“ გავრცელებას კასპის ზღვის დასავლეთით და სამხრეთით.<sup>19</sup> ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს თანა ჩრდ. დასავლეთით მდებარე „არმაზული ზონიდან“ შემოეტანათ, რადგან ამ დროისათვის საქართველოსა თუ სომხეთში საკუთარი დამწერლობის მოქმედებდნენ.

ამრიგად, ახ. წ. I-II ს. ს. საქართველოში (ბერიაში) არამეული ენა სამწერლობო (სკანდელარიო) ენა იყო, რომლისთვისაც დამწერლობის ლოკალური სახეობა იმპარებოდა. დას. საქართველოში (კოლხეთში) კი ამ დროისათვის და უფრო ადრეც (ძვ. წ. IV-III ს. ს.) ფართოდ გამოიყენებოდა ბერძნული ენა, როგორც ეს ვანის ვაზარებმა დაადასტურა,<sup>20</sup> ხოლო მოგვიანებით (ახ. წ. II-III ს. ს.) ბერძნული აღმ. საქართველოშიც გვევლინება არამეულის გვერდით (შტრ. ბერძნულ-არამეული ბილენგვა) და არმაზის სამარხებში აღმოჩენილი ნივთები ბერძნული წარწერებით, სადაც მოხსენიებულია პი-

რები არამეულ წარწერაშიც გვხვდება, მაგალითად, ზევახიქ.21 შარათლია. (ს. 111) ნივთები ელსნერიდანაა ბორის პინაკი არამეული წარწერით. 'აგრამ ეს ისეთი ნივთია, რომელიც ადვილად შესაძლებელია აღმ. საქართველოში დამზადებული და აქედან დას. საქართველოში მოხვედრილიყო (დას. საქართველოში ბერძნული ენა ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგაც იმპარებოდა ერთხანს).<sup>22</sup> ახ. წ. III ს-ის შემდეგ არამეული საქართველოს ტერიტორიაზე აღარ ჩანს. მომდევნო წერილობითი ძეგლები აღმ. საქართველოში ქრისტიანულ ხანას განეუთვნება და ქართულ ენაზეა ქართული დამწერლობით შესრულებული. ასეთია უპიკატორი ეთარბება დღეს (ანალოგიური მდგომარეობაა სომხეთში).

ამდენად, არ არის გამორიცხული (ყოველ შემთხვევაში დღეს-დღეობით არსებული მასალის მიხედვით), რომ იმ ხანისათვის (I-III ს. ს.) საქართველოში საკუთარი დამწერლობა ჯერ კიდევ არ იყო (შტრ. აგრეთვე კ. კუმელიძე, ა. ფერხანაიანი)<sup>23</sup> და ამ მიზნით ბერძნულსა და არამულს იუენებდნენ. „მსებთა-არმაზის ვაზარების შედეგთა მიხედვით, — შენიშნავს კ. კუმელიძე. — შესაძლებელია ვიფიქროო, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საქარობას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით“.<sup>24</sup> ის ფაქტი, რომ არამეულ ენას საქართველოში გარკვეული ტრადიცია უნდა ჰქონოდა და რომ „არმაზული“ ამ ტრადიციის პროდუქტია, ბუნებრივია, მხოლოდეს ქართული დამწერლობის წარმოშობის გარკვევისას არამეულს სერიოზული ანგარიში გაეწიოს, ამით აიხსნება, რომ ყველა, ვინც არამეული წარწერების საქართველოში აღმოჩენის შემდეგ ამ საკითხს მუშაობდა (გ. წერეთელი, რ. პატარაძე, თ. ვაშკარელიძე, ა. ლუკაშვილი და სხვ.), არამეულს გვერდს ვერ უდებდა. უფრო მეტიც, სწორედ არამეული ძეგლების აღმოჩენამ ჩვენში ხელახლა დააყენა საკითხი ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. გ. წერეთლის ცნობილი შრომები ამ დარგში

(«Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита», «Эпиграфические находки в Мухета», და სხვ.) წარმოადგენს ხსენებული პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტულ ცდას არამეულის მოშედეგებით. ეს საკითხი (ქართული ანხანის წარმოშობა) სპეციალურ მსჯელობას მოითხოვს და მასზე არ შევჩერდებით. ჩვენ აქ მხოლოდ გვიჩვენა ხაზი გავსევთა ძველი არამეულის, მისი დამწერლობის მნიშვნელობისათვის ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ამასთანავე ხსენებული ქართულ-არამეული ურთიერთობა შეუქ ფუნს ჩვენი კვყენის, ჩვენი ხალხის ისტორიის უძველეს ეტაპს (ძვ. წ. V-IV ს. ს.).

2.

ქრისტიანულ ეპოქაში აღმოსავლეთში განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს არამეული ენის ედების დიალექტი, რომელიც სირიული ენის საბუნძროდებოთა ცნობილი, იგი საშუალო არამეულს უმნიშვნელოვანეს დიალექტა, რომელზეც შეიქმნა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, უმთავრესად საეკლესიო-სასულიერო ხასიათისა (პატროლოგია, მაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია და სხვ.). სირიულად შესრულებული წარწერები თითო-ორიოა წვენი წილობრივების პირველ საუკუნეებშიც გვხვდება, მაგრამ ძირითადად სირიული ლიტერატურა III-XVII ს. ს. შიგვხვდება, ხოლო მისი აუცილებელი ხანა V-XIII საუკუნეებშია (თუმცა ისლამის შემოსვლის შემდეგ, VII საუკუნეიდან, სირიული ენის საღაპარო ჟურნალით ხმარება სულ უფრო და უფრო იზღუდება, მის ადგილს თანდათან არაბული იჭერს). დღეის სირიული ენის მნიშვნელობა ე. წ. ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის (საქართველო, სომხეთი, ეგვიპტე, სირია-პალესტინა), სადაც იგი ხშირად დახვედრული (ბერძნულ-ბიზანტიური) და აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს მკაცრად გვეხვედრება.

დღეის სირიული ენისა და ლიტერატურის და თვით სირიელების როლი საქართველოს სინამდვილისთვისაც, როგორც ცნობილია, სირიელებს (ასურელებს) უკავშირებს ჩვენი მემკვიდრე ქრისტიანობის შემოსვლასა და გავრცელებას საქართველოში. მათ დაარსებს აქ პირველი მონასტრები, რომლებიც იმ ხანებში ქართული კულტურის მძლავრ კერებში იქცნენ (შოი მღვიმის, ზედაზნის, ვარქისა და სხვ.). სირიასთან კავშირა ამით როდი ამოიწურებოდა, კიდევ უფრო ადრე, ვიდრე ჩვენში ხსენებული მონასტრები დაარსდებოდა (ყოველ შემთხვევაში V ს.), ქართველები შეეშურებოდნენ ანტიოქიასა და სირია-პალესტინის სხვა პუნქტებში (შაი მთა, პალაფარა, საბა განწმენდილის ლავრა და სხვ.). სადაც სირიული ენა და ლიტერატურა ამ მოღვაწეობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. სირიულის წალობით, ისევე, როგორც ბერძნულის დამხმარებით, ქართველები ეცნობიან ქრისტიანულ საეკლესიო-სასულიერო ლიტერატურას. სირიული ენისა და ლიტერატურის ცოდნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველ მწიგნობართათვის მოწმობს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც ივარაუდება გრიგოლის მიერ უფრომ ასურის თხზულებათა უზარადად დასწავლა (VIII-IX სს.)<sup>25</sup>, იმ ხანებში (V-X ს. ს.) განათლებული ქართველთათვის შეესრულებოდა იყო სირიულის არცოდნა ისევე, როგორც ბერძნულისა. რა თქმა

უნდა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა მოგვიანებით უკვე აღარ იმეორებინათ სირიული, ან, რომ სირიულ ლიტერატურას ურთიერთობა X-ის შემდეგ შეწყვეტილი იყო. ასე, მაგალითად, ბეტრე იბერის ცხოვრება ქართულად სირიულადან XIII-XIV ს. ს. თარგმნა მაკარი მესხის მიერ, ხოლო სირიულად ამ თხზულების დაწერა ან ბერძნულიდან მისი თარგმნა (ბერძნულად შემონახული არ არის) V ს-ს განეკუთვნება (სირიულად შემონახული ამ „ცხოვრების“ ვრცელი ვარიანტი, რომელსაც ერთ დროს ამონიშვარს უწოდებდნენ, ახლა კი თანე რუფუსს მიწერენ, VI ს-შია დაწერილი).<sup>26</sup> შედარებით გვიანდელია აგრეთვე ზოგიერთი სხვა, სირიულიდან ქართულად გაცემებული, თარგმანიც, მაგრამ ინტენსიური კავშირი (მუდმივი ხასიათისა) ქართველებისა სირიულთან, „ქრისტიანული აღმოსავლეთის“ ტრადიციები განსაკუთრებული სიმძლავრით აღმოსავლეთ საქართველოში X ს-დე შეინახნება. ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობა სირიული ლიტერატურის აუცილებელი მთელ პერიოდში (V-XIII ს. ს.) არსებობდა.

ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს სირიულის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიისათვის. ეს ცხადი იყო ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილისათვის, კორნელი კეკელიძისა და ილია აბულაძისათვის, ყოველი მკვლევარისათვის, ვინც ქართული ლიტერატურისა თუ ენის ისტორიით იყო სერიოზულად დაინტერესებული. ასეთ ეთარებაში მოსალოდნელი იყო ქართულ-სირიულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ ურთიერთობას თავისი კვალი დაეტოვებინა, პირველ რიგში, ქართულად არსებული ლიტერატურული ძეგლების სირიული ვერსიებისა თუ სირიული რედაქციების სახით (ბერძნულისა და სომხურის გვერდით). და, მართლაც, ასეთი ძეგლები არც თუ ისე ცოტა უნდა გვეომდეს. ჯერ კიდევ ნიკო მარი ქართულ ენაზე არსებულ რიც ძველს სირიულ წყაროს უკავშირებდა. ასე მაგალითად, მისი აზრით, იოსებ არამათეელის თხზულება ლუდის კულების აშენების შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულადაა შემორჩენილი, სირიულიდან უნდა მომდინარეობდეს არაბულის გზით<sup>27</sup>. კ. კეკელიძე აღიარებს მხოლოდ ბერძნულიდან ნათარგმნ ალკარაულ თხზულებას „თქმული წმინდისა შამისა ჩუენისა და ფერეშის თარგმანი დებადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის, ვითარ მისცუაღეს გუამი მისი და დამარბეს გოლგოთს და ცუალება ნათესავთა“ უკავშირებდა სირიული თხზულების „განმთა ქუანის“ ერთერთ რედაქციას<sup>28</sup> და სხვ. ჯერ კიდევ 1980 წ. კ. კეკელიძე აიგიოგრაფიის განხილვისას მართებულად შენიშნავდა, რომ „...ის ცოტა რამ, რაც გაცემებულია



ამ დარგში, საკმაოდ ნათელყოფს, რომ ქართველებს ძველად, პირველ პერიოდში (750 წლამდე), წმინდათა ცხოვრებანი უფარველით ყველა საქრისტიანო მწერლობის ენიდან, როგორც, მაგალითად, სომხური, არაბული, ახურული, და ბერძნული<sup>30</sup>. ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებვითა სახა განწმენდილის ლავრაში მოღვაწე ქართველთა თხზულებანი, რომელთა ავტორებს შვიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არაბ და სირიულ მოღვაწეებთან.

სირიულიდან ქართულად ნათარგმნად მიიწვეს ვ. ვარტა სვიმონ შესვეტელისა და ეფრემ ასურის ცხოვრებათა ქართულ ტექსტებს<sup>31</sup> ანთელივე მოსაზრება გამოთქვა მან მარტირა სახაწმინდელის თხზულების „სინანულისთჳს და სიმდაბლისა“ შესახებ<sup>32</sup>. ქართულ-სირიულ ლიტერატურულ ურთიერთობაზე მართობებენ სხვა უცხოელი მეცნიერებები (მოლატორი, უტიე და სხვ.)<sup>32</sup>

ქართული ბიბლიური ტექსტების ფილოლოგიურ-ლინგვისტურმა შესწავლამ დადასტურა სირიულის კავშირი ამ ტექსტებს ზოგიერთ რედაქციასთან. ეს კარგად ჩანს „უხალმუნის“ ტექსტის შესწავლის მაგალითზე<sup>33</sup>. ბიბლიის ორიგინალისთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების კვლევაზე ქართულ თარგმანებში აგრეთვე ცხადყო გარკვეული ქართული რედაქციების განსაკუთრებული სიახლოვე სირიულ ბიბლიასთან<sup>34</sup>. ამრიგად, ქართული ბიბლიური ტექსტების წარმოშობის საკითხი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთერთი კარდინალური საკითხია, ვერ გადაწყდება სათანადო სირიული მასალების მოშველიების გარეშე (ებრაულიცა, ბერძნულიცა და სომხურის გვერდით).

წინად წახიმეს ცხოვრების ქართული ტექსტის წარმოშობის მიმართ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ ძველი მომდარეობის კოტორიდან (ე. კეკელიძე)<sup>35</sup> ან სირიულიდან (პ. პეტერსი)<sup>36</sup>, სირიულ-არაბულ-ქართული ტექსტების შედარებითა შესწავლაში ნათელყო, რომ ქართული ვერსია ნათარგმნა ახალულიდან, რომელიც თავის მხრივ სირიულიდან მოდის<sup>37</sup>. სირიული ვერსიები ან სირიული წყაროები ეძებნება ბევრ სხვა ქართულ წერილობით ძეგლსაც (წმ. დროსის ცხოვრება, მარტირა სახაწმინდელის თხზულება „სინანულისათჳს და სიმდაბლისა“ და სხვ.), აქვე შეიძლება დავასახელო ერთერთი უწინაშენილოდესი ქართული რომანი „ხალაგარიანი“, რომლის არაბული ვერსიის სირიულიდან მომდინარეობას ნაკო მარი ვარაუდობდა<sup>38</sup>.

ჩვენ მარწმუნებელი ვართ, რომ ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შემადგომი შესწავლა სათანადო სირიულ მასალებთან შეპოისირებით (რაც ავსებდა ინტენსიურად

მიმდინარეობს), სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კიდევ უფრო მაგალითს გამოავლენს.

საუფრეთა მანძილზე არსებულ სირიულ-ქართულ ლიტერატურულ თუ საეკლესიო ურთიერთობას არ შეეძლო რაიმე კვალი არ დეენინა ქართული ენისთვისაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სირიული წარმოშობის რამდენიმე სიტყვა, ხმარებული ქართულში. ასეთია, მაგალითად, „თარგმანება“, „თარგმანი“ (შდრ. სიტ. targmānā), აქედან წმინა „თარგმნის“ არაბულიდან მომდინარე სიტყვის „თარჯიმანი“ (არაბ. tarjuman) გვერდით: „გუნდა“, „შეა“ (= „შეისა“), „შევა“ და ზოგი სხვა. აქვე შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი საერთო სახელიც, როგორცაა „ადარნაე“ (სპარს. adar-nāe შესული ქართულში სირიულის გზით), ვვარის სახელწოდება „ღამბარაშვილი“ სიტ. სიტყვიდან gambarān (<გამბარან> „გოლათი“, ვმარი“.

ყოველივე წემოთქმული, ვფიქრობთ, ნათელს ზღის, რომ სირიული (სურული) ენა უართად იყო გავრცელებული შუაწინობარ ქართველთა შორის რაგორც საქართველოში, ისე მის გარეთ, ყოველ შემთხვევაში IV-X სს-ში.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ უთანასწოლ ხანებში ძველი სირიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძველ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები, სახელდობრ, სირიის არაბულ რეპუბლიკაში ქ. დამასკოს ნაციონალურ მუზეუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტიკოლოგის კათედრის ასისტენტმა შ. ჩაბიაიამ, რომელიც სირიულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას სწავლობს, მიაგნო ძველი ქართული ხელნაწერების ფრაგმენტებს (18 გვერდი, X-XI სს.)<sup>39</sup> მასზე უფრო ადრე ფრანგის მეცნიერი ბ. უტიე წააწდა ლიბანში ბზომარის სომხურ მონასტერში დაცული ქართული ლექციონარის ფრაგმენტებს, რომლებსაც X ს-ს განკუთვნიებენ (ბზომარის მონასტერი ძველი სირიის ტერიტორიაზეა). აქედან ერთერთი ფრაგმენტი დიდი ფორმატის 40 გვერდის მონაცეს, ხალა ოთხი დანარჩენი ფრაგმენტი სხვა ლექციონარისა სომხური ხელნაწერების უვად იყო გამოყენებული<sup>40</sup>.

ქართულ-სირიულ ურთიერთობათა კიდევ ერთი საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი სახეობა სირიის ერთერთ მონასტერში, რომელიც ნავსაფორს ზომის მასლობლად მდებარეობს და წმინდა გიორგის სახელს ატარებს, დაცული თბილისში ნუსხურად დაბეჭდილი სახარება, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ თანამშრომელმა რ. მირიანაშვილმა მიაგნო რ. მირიანაშვილის

ცნობით, ეს სახარება საკურთხეველთან კათედრაზე მეც, სახარება მონატერს შეწინა ერთკლე II ძემ გიორგისა<sup>2</sup>

3.

მესამე ეტაპი არამეული ენის განვითარებაში — ახალი არამეული ენაა, ენა, რომელზედაც იქმნებოდა ლიტერატურა XIX ს-ის 40-იანი წლებიდან და რომელზედაც დღესაც მტკუველებზენ ანტილიანის შთებიდან მოყოლებული ურშია ტბამდე მტკიცე ჭავულებად კომპაქტურად მოსახლე არამეელები ანუ ასურელები, როგორც ისინი თავისთავს უწოდებენ („ასურელი“ ქართული და სომხური ტრადიციით „სარელი“, ე. ი. ქრისტთან არამეულს ნიშნავს).

ახალი არამეული საქართველოს ტერიტორიაზეც მოიხსნა; კერძოდ, ამ შეხედებით მისი აღმოსავლური დაღვტების მთელ ჭავუხს (ფრმოელს, საღამასურს, ვანურს, ჭალუს, ზოტანის), ასურელების (არამეელების) საქართველოში ჩანისახლება ვახული საფუნის პარველ ნახევარში უნდა მომხდარიყო (რუსეთი-ირანის 1828 წ. საზავო ზღმეკრულების დაღების შედეგს). თუმცა არ არის გამოჩენსული როგორც უფრო ადრეული, ისე უფრო გვიანდელი იმიგრაციის შემთხვევები. ჭერკოდეე ვრტულე II დროს იყო ცდა მუსლიმანური ქვეუნებიდან (თურქეთი, ირანი) ქრისტიანი ასურელების გაღმოსახლებებისა საქართველოში. ჩვენამდე მოაღწია მათი ეპისკოპოსის ისახს წერილმა ერთკლე II-სადმი (წერილი ერთკლეს 1770 წ. 28 სექტემბერს მიუღია). ამ წერილს აქვს ერთკლეს მიწაწერი: „ასურთ ეპისკოპოსი ისახა, რომელიც ამის უწინარეს ჩვენთან მოვიდა და გვიანბრ ასურთ შემოერთება უნდათ თქვენი...“ სამწუხაროდ, ჩვეუნილის უცნობია, თუ რა შედეგი მოხვეა ამ მოღამარებებს. გვიანდელი იმიგრაციის ვიღ ნკატხა ადგილი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქონდა, როდესაც ირანიდან დაბრუნებული რუსეთის ჭარს კვალიდაცა ქრისტიანი ასურელები მომეტეოდნენ. 1916 წელს საქართველოში სახლდებიან ენის ვალაეთიდან (თურქეთი) დტოლველი ასურელები.

ამჟამად ასურელები საქართველოში კომპაქტურად ცხოვრობენ მცხეთისა და ვარდანის რაიონებში, ასევე ქალაქებში — თბილისში, ზესტაფონში, სამტრედიასში. საკუთარ ენასთან ერთად ჩვენმა ასურელებმა შეიარჩინეს მამამამათაგან გავრცელები ზღამრები, არაკები, ანდაზები. ურადღებამ იქცევს მათ მიერ შექმნილი პოეტური თუ პაროზული თხზულებანი. საქართველოში მცხოვრებ ასურელებ პოეტთაგან, რომლებაც მშობლიურ ენაზე წერენ, ფართოდ ცნობილია ფრიდუნ ათურაიას, დავით

ილიანისა და სხვათა ხახელები. საქართველოში ერთ ხანს ვამოდიოდა ასურული ჟურნალი და ვაზეთი, რომლის ფურცლებზე ხახტემატურად იბეჭდებოდა ადგილობრივ მკვადროსა ნაწარმოებები, ათლელორული მასალები, თარგმანები ქართული ლიტერატურიდან (მათ შორის ქართული ზღამრები და თქმულებები). ორკვირეული ჟურნალი „მადინსა“ („ამოსავლეთი“) ვამოდიოდა თბილისში 1913-14 წლებში სირიული დამწერლობით. ჟურნალი ძირითადად განუფონილი იყო ამიერკავკასიაში და რუსეთში მცხოვრებმა ასურელებსათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ჟურნალით უცხოეთშიც სარგებლობდნენ (მიწერილია ფხანს როგორც რუსეთისათვის, ისე ირანის, ამერკიხისა და (ინგლისისათვის). ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც ახალი ამბები და პოლიტიკური სახათის სტატები, ისე ლექსები, არაკები, ანდაზები. ვარკვეული ადგილი ეთმობოდა თბილისურ ქრონიკას. 1926-28 წლებში თბილისშივე ვამოდიოდა ასურული ვაზეთი „ქობეა დ-მადინსა“ („აღმოსავლეთი ვარსკულაე“), სადაც სირიული შოფტის გერდით ვამოუენებულა ლათინური აზბანის საფუძველზე საბჭოთა კავშირში შექმნილი დამწერლობა (ამ უყანახტენელმა ასურელთა შორის ფხივერ მოიკიდა და დღეს საბჭოთა ასურელებმა, მსგავსად საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა, მხოლოდ საკუთარ (სირიულ) დამწერლობას იყენებენ). ვაზეთში, ვარდა ჩვეულებრივი საგვეთო მასალისა, მრავლად იბეჭდებოდა მსატრული ლიტერატურის ნიმუშებიც: მათ შორის ზმირად თარგმანები ქართულიდან („ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგომები, ქართველი კლასიკოსების თხზულებანი და სხვ.).

ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს ასურულ მწერალთა მთელი ჭავუთი, რომელთა თხზულებანი უმეტესად რუსული თარგმანის საბით ქვეუნდება.

თანამედროვე აღმოსავლურში არამეულში დაღვტებმა, რომელთა წარმომადგენლები დღეს საქართველოს მკვიდრნი არიან, ძირითადად დაიკვეს ძველი სემიტური ტიპის ენისა, თუმცა მისმა სტრუქტურამ მრავალი ცვლილება ვამოცადა ძირითადად ცვლილება ენება ზმნას, ზმის დროკალითა წარმოებას, ასევე ბერკით სხტემასაც. საყურადღებოა, რომ თანამედროვე არამეული დაღვტებობიდან სწორად ჩვენ ასურელთა მეტყველებაში დასტურდება თანხმუნათა ისეთი რაკები, რომლებიც სემიტურისათვის ცნობილი არ არის, ხოლო ქართულისათვის (ასევე სომხურისათვისაც) დამახასიათებლად მოიწინევენ, ასეთია ე. წ. მკვეთარი თანხმოვანი (პ. ტ. კ. კ). აქვე გვიანდა დაქმნილი, რომ საქართველოში მცხოვრები არამეელების (ასურელების) დიდი ნა-

წლისათვის ღღეს სირიული დამწერლობა უცნობია და შობადურ ტექსტს ჩვეულებრივ ქართული ასოებით გადასცემენ (ყერას წერილები, ლექსები, ზღაპრები, რომლებსაც თვითონვე თხზავენ).

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულ ასურეული მეტყველების მიხედვით დადგინდა არსებობა აქამდე უცნობი დიალექტის — ვანის დიალექტისა, რომელიც საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება (მასზე მეტყველებენ თურქეთშიც, კერძოდ ვანის ვლახეთიდან ღტოლადანი ასურელები).

საქართველოში მცხოვრები ასურელების (არამეელების) საერთო რიცხვი (1979 წლის აღწერის მონაცემთა მიხედვით) 5617 ხელს შეადგენს.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვეცადეთ ვეჩვენებინა, რომ არამეულ ენას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს — იგი 20 საუკუნეზე მეტია საქართველოში ისმის, უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ არამეულის გამოყენებას საქმერლობო ენად (თუნდაც საკანცელარო მიზნებისათვის) სათავე უნდა ჰქონდეს აქემენიანთა იმპერიის (ე. ი. ძვ. წ. VI-IV ს. ს.). ხანიდან სწორედ „სახელმწიფო არამეულის“ ხანგრძლივი ხმარების ნიადაგზე შეიქმნა „არამაული დამწერლობა“ — არამეული დამწერლობის სახეობა, რომელიც ძირითადად საქართველოსთვისაა სპეციფიკური. არამეული ენის ხმარებას ტრადიცია, ამ ტრადიციის პროდუქტი „არამაული“ არ შეიძლება განეგდარჩეს ქართული დამწერლობის წარმომავლობის გარკვევას, დამწერლობისა, რომელმაც ჩვენს

ხელთ არსებული ისტორიული ფაქტების მიხედვით, შეცვალა „არამაული“ ტექსტების დამწერლობა.

შენიშვნები

ძველ არამეულ ენას ახ. წ. III ს-დან საშუალო არამეული ცვლის (სირიული, მანდერო, ბაბილონის არამეული და სხვა). არც ამ ხანაში წყვეტს კავშირს არამეული საქართველოსთან. საშუალო არამეულის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული დიალექტი — სირიული — ფართოდ ვრცელდება მწიგნობარ ქართველთა შორის და ხშირად მათთვის სამწერლებო ენასაც წარმოადგენს (ყვარაუდობთ ქართველების მიერ სირიულად დაწერის შემთხვევებს). არც ასეა არამეული დარჩა საქართველოს ფარგლებს მიღმა. ისტორიულ-ლიტერატურულ ვითარებამ არამეულთა გარკვეულ ნაწილი საქართველოში გადაიაროლა, ამ ქვეყანაში, სადაც მათი წინაპრები 15 საუკუნემდე წინ მოვიდნენ ქრისტიანობის გახავრცელებულად, ზოლო ბევრად უფრო ადრე მათი წინაპრების ენა — ძვ. არამეული სამწერლობო ენის ფუნქციას ასრულებდა. ამრიგად, არამეული, მართლაც, უადრესად შენულდულადა, მაგრამ მანაც კვლავ ისმის საქართველოს მიწა-წყალზე.

საქართველოში არამეული ენის ამა თუ იმ სახით გავრცელების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, არამეულ-ქართულმა კულტურულ-ისტორიულმა ხანგრძლივმა ურთიერთობამ განსაზღვრეს ჩვენს რესპუბლიკაში არამეული ენის შესწავლის აუცილებლობა და აღმოსავლეთმცოდნეობის სათანადო დარგის — არამეისტიკის განვითარება.

#### შ ი ნ ი შ ვ ი ბ ი

1. R. Stiehl, Aramäisch als Weltsprache.—Neue Beiträge zur Geschichte der Alten Welt, B. I, Berlin, 1964, S. 72—75.
2. გიორგი წერეთელი, არამზის ბილინგვა, ენისკის ნომერი, ტ. XIII, 1942.
3. შტრ. J. Oelsner, Bemerkungen zur schriftgeschichtlichen Einordnung der Inschriften aus Armaz. — Wiss. Zeitschrift der Friedrich-Schiller- Univ. Jena, Ges.- und Sprachwiss. R., 1973, Hf. 3, S. 430.
4. Fr. Altheim, R. Stiehl, Die zweite (aramäische) Inschrift von Mzech'a, „Forschungen und Fortschritte“, B. 15, Berlin, 1961, გვ. 172. შედგ. მათვე, Die aramäische Sprache unter den Achämeniden, B. I, Frankfurt/M., 1963, S. 2-45 შედგ. Oelsner, სს. შტრ., ლი სხვა.
5. ი. ბ. შ. პენინგის სტატია წიგნში „Handbuch der Orientalistik“, 4, 1958, S. 21—40.
6. Altheim, Stiehl, The Greek-Aramaic Bilingual Inscription of Kandahar and its Philological Importance. — „East and West“, N. S., vol. 10, Nat. Rome, 1950, გვ. 250; იმ, ახვევ მათი ზემოხსენებული შრომების.
7. ი. ბ. ლევი დღეს კვილის მოხაზრება ფრ. ალტჰაიმის წიგნში „Geschichte der Hunnen“, II, Berlin, 1960, გვ. 295; Szyzzer-Dupont-Sommer, Die Aramäische Sprache, 1960, S. 234, შედგ. H. Donner, W. Röllig, Kanaanäische und aramäische Inschriften, B. II, Wiesbaden, 1964, S. 328.
8. გიორგი წერეთელი, არამზის ბილინგვა, გვ. 30.
9. შტრ. R. Stiehl, Aramäisch als Weltsprache, S. 75; Oelsner, სს. შტრ., გვ. 432—434.
10. А. Г. Перихания, Армейская надпись из Галии, — Историко-филоло-

- რეჩеский журнал АН Армянской ССР, Ереван, 1964, № 3, стр. 123—138; К вопросу о происхождении армянской письменности, — *Проеазнатский сборник*, т. 11, Москва, 1936, стр. 102, და შემდეგ 11. Oelsner, *Bemerkungen...*, S. 434—435.
12. Г. В. Церетели, Армазская надпись эпохи Митридата Иверского, — *Труды 28. Междунаодного конгресса востоковедов*, т. 1, Москва, 1962, стр. 374—378; А. Г. Перихания, К вопросу о происхождении армянской письменности, *тр.* 103.
13. შტრ., *შეკითხვები*, Oelsner, *Bemerkungen...*, S. 430.
14. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 198, გვ. 118.
15. *შესვლა*, I: ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ი. კალანდარიძე, გ. ლომთათიძე, არქაობის ბუფის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 118—120. შტრ ასევე, გვ. 56; Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, I, — *Эпи графика Востока*, 11, 1948, стр. 94.
16. А. Г. Перихания, К вопросу о происхождении армянской письменности, *стр.* 125—126; Oelsner, *სს. შტრ.*, გვ. 434.
17. Oelsner, *სს. შტრ.*, იქვე.
18. Fr. Altheim, R. Stiehl, *Die Araber in der alten Welt*, B. V, Berlin, 1918, S. 85—91.
19. Oelsner, *სს. შტრ.*, იქვე.
20. თ. ვაუხანიშვილი, ვინაა ბერძენული წარწერები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 1, 1967.
21. *შესვლა*, გვ. 25; გ. წერეთელი, არმაზის ბილენგვა, გვ. 37—40.
22. შტრ., ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 118.
23. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 36—37. Перихания, К вопросу о происхождении армянской письменности, *стр.* 125—126.
24. კ. კეკელიძე, *სს. შტრ.*, იქვე.
25. კ. კეკელიძე, *სს. შტრ.*, გვ. 134, შენ. 21.
26. Ed. Schwartz, Johannes Rufus, ein monophysitischer Schriftsteller. — *Sitzungsbericht der Heidelberger Akademie der Wissenschaften, Historisch-philologische Serie*, B. 3, Hf. 16, 1919; შტრ ასევე, Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Дионисия Ареопагита, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, № 59, 1955, გვ. 64.
27. *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, т. 11, 1960, *стр.* 20.
28. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 243.
29. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 502.
30. G. Garitte, *Les vies géorgiennes de S. Syméon Stylite...*, Louvain, 1957.
31. G. Garitte, *Le sermon géorgien du moine Martyrius et son modèle syriacque*, *Muséon*, t. LXIX, p.p. 243—312.
32. J. Molitor, *Altgeorgische Evangelienübersetzung als Hüterin syrischer Tradition*, — *Revue de Karthvélogie*, Paris, vol. 23, 1957, pp. 136—142; vol. 25, 1958, pp. 158—193; vol. 26, 1959, pp. 162—169; B. Outtier, *Les enseignements des pères*, *Une recueil géorgien traduit de l'arabe*, id., vol. 31, 1973.
33. М. Шанидзе, *Древнегрузинские переводы „Книги псалмов“* (Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук), Тбилиси, 1974.
ნა, ვარდსა — ნაპა (689,3; 686,3);  
ავთანდილ მისმან მხსენებმან ლაწეი ცრემ-  
ლითა მინამან (691,3; 689,3);  
ზეტყვა: ბროლსა ზეტყვს და ვარდსა აზ-  
რობს, ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა (139,3;  
138,3);  
ცრემლსა ზეტყვს და ვარდსა აზრობს, წამ-  
წამთაგან მოქრის ბუქი (1143,4);

„ეიცი, რომე გაუწყველად თვალთა ლაწეი  
გოხეტყვაი“ (130,3; 129,3); შარქი წყლში  
აქაც ჩვენთვის უპირატესად [წარმართს  
„თვალთათ“.

ქროლ: ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზ-  
რობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი (1143,4);  
წეშება: მუნვე წეშა წეშა ბროლისა, ჰვია  
ვიშრისა ღარს სად (87,3; 86,3);  
ნარგისნი ქუნან, ცრემლსა წეშა, ნარცის  
ბროლსა და მინასა (975,4);  
იტყვის „რა ექმნა, რა შერგების?“ — აწ-  
ვიშება, ცრემლთა ჰღერადა (1082,4);  
უოლა სიტყვა არ მოგვივო, ოდენ ცრემლ-  
თა გარდმოსწეშადა (522,3; 519,3);  
უველა ზემომოყვანილი შესიტყვება ქარ-  
თული პოეტური მეტყველებისათვის ბუნებ-  
რივია.

„ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი სტროფი:  
(ავთანდილი) ამას მოსთქვაში, ცრემლსა აბ-  
ნეცს, ათრთოლებს და აწაწარებს,

ველ-ამოსკენით, ოხერა-სულთქმით მიხრას  
ტანსა, მიწარებს.  
საყვარლისა სიახლესა მოშორებდა  
გამაწარებს,  
ვაბ, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუღარებს,  
აზეწარებს (718; 716).

ჩვენი ვაგებით ამ სტროფში უველა შემას-  
მენელი გარდამავალი (პირდაპირი წყობის)  
ზნაა. პირველ და მეორე ტემში კვეთდებარე  
ავთანდილი (საბ. ბრუნვში), დამატებებია:  
„ამას“, „ცრემლსა“, „ტანსა“. ერძოდ, („ავ-  
თანდილი) ცრემლსა აბნეცს, ათრთოლებს და  
აწაწარებს“ შემასმენლების მიხედვით შერწყ-  
მული წინადადებაა. მაგრამ ასეთი წყითხვით  
გამოდის, რომ ავთანდილი „ცრემლს ათრთო-  
ლებს“. ასეთი სინტაქსი კო რუსთაველის ენის  
თვის (და საერთოდ ქართულისთვის) უჩვეუ-  
ლოა, არაბუნებრივია.

ენასით, როგორც ესმით ამ სტრიქონის აზ-  
რი სპეციალისტებსა და მთარგმნელებს:  
მ. უორდროსი: „...ცრემლს ღერის, თრთის და  
ცახცახებს; ს. ოორდანიშვილი: Говора это,  
он лия слезы, дрожал и трепетал. მ. ნე-  
ციბიძე: Витязь слезы льет, трепещет,  
слышит волея плучевных слов. ნ ზაბო-  
ლოცი: Витязь с этими словами сотря-  
сался, как падучей.  
ე. ურუშაძე: ...თრთოლ და ცახცახებდა.

ასეთი ვაგებით გამოდის, რომ რუსთაველმა  
დაიწყო გარდამავალი, პირდაპირი წყობის  
ზნებით („ამაბოს“, „აბნეცს“), შემდეგ უცებ  
შეცვალა თბრობა, იმპარა ინვერსიული წყო-  
ბის ზნებით („ათრთოლებს“, „აწაწარებს“),  
რამაც სიტყვა „ავთანდილი“-ს მიცემით ბრუნ-  
ვაში გადაყვანა გამოიწვია, ხოლო შემდეგ  
სტრიქონში ისევე გარდამავალი, პირდაპირი

წყობის ზმნები ისმარა და ქვეშედად (აქ-თანდლი) სახელობით ბრუნვაში დაბრუნა. ცხადია, ლექსის თხზვისას ეს გრამატიკული ტერმინები არავის ახსოვს და უფელადური ქვეყნობიერად ხდება, მაგრამ წინადადების წყობის ასეთი შევეთრა ცვლა, მისი უცებ „გახლება“ აგრეთვე ქვეყნობიერად საცნაურია ხდება და იწვევს ლექსის ექსპრესიის შენელებას. ასეთი რამ სადავო სტრიქონში არ უნდა იყოს.

ჩვენი აზრით აქ ტექსტი შეაკენალია. თუ ზემომოყვანილ სინტაქსებს გავითვალისწინებთ, ერთადერთი ზმნა, რომელიც აქ „ცრემლს“ შეიძლება შეეწყოს, არის „ათრთვილებს“. „ცრემლს ათრთვილებს“ რუსთველისი, სრულიად ბუნებრივი სინტაქსია. როგორც ვნახეთ, ცრემლისა „თოვნი“ შეიძლება, „ათრთვილებს“, „ლაშქარს“ (ნაშქარს), სეტყვას, „ქროლას“ (ბექის სახით) და „წვიმებად“. თუ სადავო სტრიქონში ჩავსვათ ზმნის „ათრთვილებს“ (ამას მოსთქვამს ცრემლსა აბნევს, ათრთვილებს და აწაწარებს“), იგი აზრობრივად გაიმეორებს შემდეგ სტრიქონს: (ფაქტში) იტყვის: „რა უქმნა, რა შერგვის?“ — აწაწაწა, ცრემლითა მღვრიდა (1084,4).

ჩვენი კონიექტორით აზრი სრულიად ნათელი და გასაგებია: ავთანდილი ცრემლს აფრქვევს, ცრემლი ხან თრთვილად ეღება მის სახეს, ხან წვიმად (ნამად) მოწაწაწარებს. აქედ. ა. შანიძე განმარტავს: „აწაწარებს — აწაწავს“—ო. ჩვენ არ ვიცით, სადმე რეალურად დასტურდება ამ ზმნის ეს მნიშვნელობა, თუ იგი „ათრთვილებს“ ზმნის სინონიმად იქნება გააზრებული და განმარტებული. ჩვენი აზრით წაწარ არის პირველი საფეხური წაწარ და წაწარსწარსწარ ფორმებისათვის. „ა“ უფელად მეთორქეა. ამ კომპოზიტის „ნაგლეჯია“ რუსთველიანე დადასტურებული „წარს(ი)“: ცრემლითა მისას შეეყარნეს, წყაროსაებრ ისმნეს წყარო (1102,3).

ლექსიკონებში ასეთი ვითარებაა. „წაწარის წარილით დინება“ (საბა), „წაწარის წყლის წერილად დინება“ (საბა), „საამოვნო ხმა წყაროდინებისა“ (წ. ჩუბინა), „წყლის პატარა ნაქალის ხმანობა“ (ჭებელი), „წაწარის — იხ. წაწარის (ქველ). ვეფხისტყაოსანში საშვე საფეხური დასტურდება:

ამას მოსთქვამს, ცრემლსა აბნევს, ათრთვილებს და აწაწარებს (7 18. 1102,3) ცრემლსა ათრთვილებს და იმღერდის (7 18. 1102,3) ცრემლსა აწაწარით“ (1633,4; 57 წ.).

კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მერ წაწარისა (510,4; 498,4).

როგორ შეიძლება შეცვლილიყო „ათრთვილებს“ „ათრთოლებს“ — ზმნით? რაიმე ფონეტიკური კანონზომიერებაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია. ალბათ, გადამწერმა ერთის მაგიერ მეორე ზმნა ამოიკითხა ცრემლად და ელვადობით ხომ ისინი ძალიან ჰგავანან ერთმანეთს), ანდა ნაკლებად ცნობილი „ათრთვილებს“ უფრო ბუნებრივი და გასაგები ზმნით („ათრთოლებს“) შეცვალა, შინაარსს კი ანაგრიში ვეღარ გაუწია.

სადავო სტრიქონში „აბნევს“ ზმნის ნაცვლად DEFGHIKOUVWYZ ხელნაწერებსა და უველა ნაბეჭდში იკითხება „აფრქვევს“. 1966 წლის იმ გამოცემაში, რომელსაც ჩვენ ვიმოწმებთ, ეს წაკითხვა დაიწვეს და „აბნევს“ — ზმნით შეცვალეს. „აბნევა“ — ზმნის აგეგმისტყაოსანში“ ღვრისა თუ დაქცევის მნიშვნელობა არა აქვს, „აფრქვევა“ კი ცერძოდ, ცრემლს ფრქვევა ტექსტში ძალიან ხშირად გვხვდება ამასაც უნდა გავიხსოვდეს და აბნევს, რომ მთელს სტრიქონი „ა“-ს აღიტრიაციუსე აგებული, და ამიტომაც „აფრქვევს“ უნდა იყოს რუსთველისეული. ამრიგად, სადავო სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს, ათრთვილებს და აწაწარებს“, რაც პრინციპულად გარდაიქმნის: (ავთანდილი) ამას მოსთქვამს, ცრემლს აფრქვევს, ცრემლს ათრთვილებს და აწაწარებს.

კონიექტორა (ისიც ისეთ ძველში, როგორიც ვეფხისტყაოსანში) ძალიან სარისყო საქმეა, მით უმეტეს მაშინ, როცა არც ერთი ხელნაწერი არ გვიჭერს მხარს. როცა ამ (ან სხვა) კონიექტორას ვთავაზობთ მკითხველს, ჩვენ მხოლოდ მის გულისხმობას მივაქცევთ სადავო ადგლს: როგორ უნდა გავიგოთ ეს სტრიქონი თუ სიტყვა? ჩვენი აზრით, აქ უფელადური თავის ადგილზე არ უნდა იყოს, შეიძლება ვინმემ დაასაბუთოს, რომ არავითარი კონიექტორა და გარედან ჩატევა საჭირო არ არის. ჩვენც ეს გვირდა.



## აკაკი შანიძის ახალი ნაშრომის გ ა მ ო

(იტილთა და შუღთა მნათობათჳს)

გასულ წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა ორი ფრიად მნიშვნელოვან ნაშრომად: „უკლთა და შუღთა მნათობთა თჳს. აბტროლოგიური თხზულება III საუკუნისა“ (თბილ. უნივ. გამოშტეტობა) და „ბოლნისის წარწერები“ („ნაწილი“, № 1). ამჟამად ვებტებით პირველს.

ნაშრომა დართული აქვს წინასიტყვაობა, ენის მამოხილვა ლექსიკონატურთ, ძველს შინაარსის გადმოცემა რუსულ ენაზე და ილუსტრაციები ზღაპრებიდან (მნათობთა გამოსახულებანი და სხვ.).

წიგნის მოკლე ანოტიაციაში თქმულია, რომ „აქ დაბეჭდილი თხზულება მე-12 საუკუნისაა და ნათარგმნი ჩანს. იგი შედგენს სამ თხზულებას: მოძღვრებას ცაურ ეკლესია სებასტოპოლისის, მოძღვრებას მთავარს ანთოლიანსკელს სებასტოპოლისის (სამთავარიო) და მოძღვრებას შუაღთ მნათობის სებასტოპოლისის, მთავარსა და ხუთი ცთომილისა“ და რომ „აქ მოყვანილ აბტროლოგიურ ცნობებს მხარს უჭერს ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 4). ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე აკაკი შანიძე ადგენს ძველის თარაღს: „ბედლნაწერი გაადაწერილია თამარის მეფობაში 1188 წელს“ (გვ. 6).

ტექსტის ანალიზი ჩინებულა, ზოლო ლექსიკონი — ასევე ბრწენიწავლიდ შედგენილი და განმარტებული.

გამოცემულ ძველს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ისტორიისა და, რაც მთავარია, ვეფხისტყაოსანთან ნიშნობების თაღსაწარისთი, აკაკი შანიძის ნაშრომი უძველეს ზღის იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი კარგად იცნობს მის დროინდელ აბტროლოგიურ სისტემას და სათანადო ტერმინოლოგიას, რომელიც ჩვენში იყო გავრცელებული“ (გვ. 8). ამნათობთა ცხრილში წარმოდგენილია მზე, მთვარე და ხუთი ცთომი-

ლი (პლანეტა): ზუღალი, მუშთარი, მარანი, მთიები და ოტერიკა“ (1), რუსთველის ზოგნაში კი „ფრიდონისას ავთანდილი მიმართეს თვითველ მნათობს ასეთი რიგით: მზე (057), ზუღალი (058), მუშთარა (059), მარანი (060), ასპიროზ (061), ოტარიდი (062), მთვარე (063). განსხვავება ამ რიგსა და აქ მოთავსებულის მნათობთა ცხრილის რიგს შორის ის არის, რომ მზე, როგორც უველზე დიდი მნათობი, პოემაში წინ არის წამოწეული, ზოლო მთიების ადგილი ასპიროზსა აქვს დაკავებული, სხვა მხრივ რიგი და საბელები ერთი და იგივეა აქაც და პოემაშიც“ (8).

ნაშრომის მე-8 გვერდზე მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი 961 სტროფი, რომელშიაც შუაღ მნათობთა რიგი შეკრებით ასეა წარმოდგენილი:

აი, მხოწმობენ ვარსკვლავნი, შუაღნივე  
მენოწმებანი;  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუღალ  
ჩემთვის ბნლებიან,  
მთვარე, ასპიროზ, მარანი მოვლენ და  
მოწმად მყებობან,  
მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი  
უშრეტნი მღებობან.

ამ სტროფში მნათობთა ზემოთ აღნიშნული თანმიმდევრობა დარღვეულია ლექსის მეტრიკის გაველნიოთ და ეს სახესებით გასაგებია:

აკაკი შანიძის „წინასიტყვაობას“ ეპიგრაფად წინ უძღვის რუსთველის სიტყვები:

მოწერვილ იყო ზღუბელი,  
ქვეყნიოთ ამოსლვა მწუანისა,  
შინსა ცეკლება ეტლისა,  
შეგლომა სარატანისა.

გამოცემული ძეგლის მეოთხე თავს კი აქვს სათაური „კირჩხიბი, რომელსა არაბულად პრქვან სარტან“ (მ ხელნაწერთა: კირჩხიბი, რომელსა არაბნი სარტანს უწოდებენ. იენისი“ (გვ. 14). მკონი ეს პარალელურ ნაბეჭდოებს რუსთაველის მხრივ ამაჲად ბეჭდურად გამოცემული ტრაქტატის შესაძლებელ ტოდანს. ასტროლოგიაში განსწავლული ვახტანგ VI სწორად განმარტავდა დიდი პოეტის ტაქსს: „სარტანი კირჩხიბსა ჰქვია“ (შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა. 1712 წლია აღდგენილი აკაკი შანაძის მიერ. ტფილისი 1947, გვ. ტომი). „სარტანი“ ტერმინის არაბულ-სპარსულ წარმოშობაზე წერდა ნ. შარი („ეტიმოლოგია ბარს. შეყრთ... 1917, გვ. 482); ზემოთ მოტანილი განმარტება ტერმინისა საეკლ. მღვდელის ხელნაწერის მიხედვით მოყვანილი აქვს პ. ინგოროვს (რუსთაველიანი“, 1926; შდრ. ვარსკვლავმეტყველება, გვ. 108; ვრცლად „სარტანის“ შესახებ იქვე, გვ. 106-111 და მისივე „ვეფხისტყაოსნის მისამართებულება“, 180-181).

შის მიერ კირჩხიბის ზოდიაქოში შესვლის შესახებ წარმოდგენა ქართულ კლასიკურ პოეზიაში პირველად გამოთქმული აქვს შავოელს, რაც რეკონსტრუქციულ რუსთაველოლოგიაშიცაა აღნიშნული:

სწორად არს შისა  
კირჩხიბსა ზისა.

თემურაჲ I კი უშუალოდ რუსთაველისაგანაა დამოკიდებული, როცა ამბობს:

შე კირჩხიბზე გარდაქდების,  
შეიქმნების ქვეყნად თობსა.

შოთას შვიდ მნათობადმი ვალოზის ასტრონომიული და ასტროლოგიური შინაარსის ძიებების შესახებ არსებობს ვრცელი ლიტერატურა. ამ საკითხზე ზვეს ღრწი უწერიათ მ. წერეთელს („გაგაჲშინი“. ბაბილონური ეპოსი. ბაბილონური ტექსტით თარგმანი მ. წერეთლის მიერ. კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 134-136), რომელიც რუსთაველის შვიდ მნათობთა ლექსის შინაარსის გენეტიკურ ძიებებს „ასურულსა და უძველეს სუმიერულ მწერლობაში“ ხედავს (იქვე, 156) და წ. ავალიშვილს („ვეფხისტყაოსნის საკითხები“, შარი, 1931), რომელიც რუსთაველის პერსონაჲთა ასტროლოგიურ წარმოდგენათა წყარობებს უფრო გვიანდელ ორიენტალურ ლიტერატურაში ეძებს; ამავე პარალელურად უფრო ვრცლად ეხება ავტორი ნაშრომისა „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავმეტყველება“

(1957, გვ. 8-29, 44-53, 57-59, 81-84, 84-98, 99-109), ხოლო „ვეფხისტყაოსანი“. შინამეტყველებაში“ (1957) ივანე ავტორი განიხილვს შვიდ მნათობადმი ვალოზის ასტროლოგიურ შინაარსს (გვ. 180-184) და შის სხვადასხვა ასპექტს (შდრ. აგრეთვე მისივე „ვეფხისტყაოსნის განკითხვანი“, 1954, გვ. 9, 104. ამავე საკითხებს შეხება სხვა არა ერთი რუსთაველოლოგიც, ისევე, როგორც რუსთაველისა და ნიშანის ურთიერთობის საკითხებს (ნ. შარი, კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, დავით კობიძე, პ. ინგოროვსა, ს. კაკაბაძე და სხვ.). კერძოდ, შვიდი მნათობის ლექსის სპეციალური გამოკვლევა მოუძღვნა შოთა შამცხაძემ (ს. ვალოზა შვიდი მნათობათათვის ნიშანის „ლელია და შავოელსა“ და „ვეფხისტყაოსანში“. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია. 1972, № 3 გვ. 61-68 და „კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი“. X111 სამეცნიერო სესიის თეზისები. 1971, გვ. 93).

ამჲამად საერთოდ გავრცელებულია ის აზრი, რომ ჩვენი გენიალური პოეტის ასტრონომიული წარმოდგენები (ისევე, როგორც შოთა სუვერენთა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვა უდიდესი პოეტებისა) პტოლემეოსის გეოცენტრულ სისტემის ემყარება. აღქმასდარიელი გეომეტრიისა და ფიზიკოსის კლავდიოს პტოლემეოსის (დაახლ. 100-178) ერთ ერთ მთავარ შრომას ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში ეწოდება „მეტეგისტე სინტაქსის“ ანუ „დიდი შენობა“, რომელიც შოთა საუყუებელში არაბულად ითარგმნა და „ალმაგესტ“-ის სახელით იყო ცნობილი (თარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე, არსებობს მისი სრული რუსული თარგმანიც), დაწერილია 1150-1160 წლებს შოთა, ხოლო მოჭრება პლანეტებზე წიგნის მეტეორ ნაწილშია გადმოცემული. პტოლემეოსის სისტემის მიხედვით სამყაროს ცენტრში მოქცეულია უძრავი დედამიწა, ხოლო მთვარე, მზე და პლანეტები მის ირგვლივ ბრუნავენ ერთმანეთსაგან დაშორებით, პტოლემეოსთან პლანეტებს ანტიკური დემოკრის სახელწოდებით აქვთ (მერკური, ვენერა, იუპიტერი, სატურნი) და ეს ანტიკური პანთეონი ძირითადად სპარსულ-არაბული ონომასტიკით გავრცელებული აღმოსავლეთში. პტოლემეოსის გეოცენტრული ასტრონომიული სისტემის წინააღმდეგ სიტყვის დაჭრა ბიზანტიაში, სპარსულ-არაბულ სამყაროში და კათოლიკურ დასავლეთში ერებად იყო მიჩნეული (მაგ. ცნობილია, რომ მსგავსი მერებულობისათვის კასტოლის მეფემ ალფონს X სამეფო გვირგვინი დაჰყარა). კომპერნიკის (XVI ს.) პელიოცენტრული სისტემის მოკლინებაამდე კოსმოსის წყობა კაცობრიობას II საუკუნეიდან ძირითა-

დად აღქმანდრიელი მეცნიერის მიერ შემუშავებული მოძღვრების მიხედვით ჰქონდა წარმოდგენილი და მასთან დაკავშირებულ ასტროლოგიურ ცრუმორწმუნობასაც იზიარებდა (თუმცა უკანასკნელს — არა უფლად და არა სიფლად დროს. ყველაზე ძლიერ მის წინააღმდეგ თავდაპირველად ქრისტიანობამ გააღაშქრა).

ასტრონომიული თეატლსაზრისით რუსთაველი, როგორც ფიქრობენ, პტოლემეოსის სისტემის მიხედვს. აღქმანდრიელი მეცნიერის ხახელს იგი არ ახსენებს, მაგრამ ყარვად იცნობს ნიზამის შენიკმელებას (პოემში დასახელებულია მისი გმირი ყაისი ანუ კან) რომელზედაც გეოცენტრული სისტემის გავლენა ცნობილია, „ღუფსიტყუნიანში“ დიდი პოეტი ზუსტად ჩამოთვლის მნათობებს შემდეგი რიგის მიხედვით: მთვარე, ოტარაღი (ქლანტა მესკურა), ზუპრა (ქლანტა ვენერა), შტე, მარსი (ქლანტა მარსი), მუსთარა (ქლანტა თუპატრა) და ზუსალი (ქლანტა სატურნი) (იხ. ნიზამი, ზუთი პოემა, გ. ე. ლეტელისა და გ. ე. გოლცუვის რედ. მოსკ., 1916, გვ. 324-325; თავი: „მოქმედის ვედრება უზუნესის სამყოფელისაში“ და სხვაგან). იმავე ნიზამის „შვიდ მზეთუნახავში“ მნათობები დღეების მიხედვითაა დასახელებული. „ნიზამიძ მოღლიანად შეინარჩუნა ძველი ასტრონომიული ტრადიცია“ — წერს პოემის ერთერთი რუსული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორი (იხ. ნიზამი გიანჭყევი, შვიდი მზეთუნახავი. ბაქო, 1917, გვ. 20. ტექსტის გვ. 84 და სხვ. შიღრ, ნიზამი, რს. თხზ., ენკერტლის შესავალი წერილითა და ტექნიკურ ნებთ. მოსკ., 1947 და გ. ე. ბერტელის სიდიდი აზრბააჩანელი პოეტი ნიზამი. ბაქო, 1940, გვ. 90-91 (რუს.). მეფულმანურ ხასუაროს სიაშიაუეს მგერაღა ეს გარეყოფა, რომ მათს პარველ მნათობს — მთვარეს — პტოლემეოსის სისტემაშიაუ პირველი ადგილი აქორა.

იხილ უნდა აღნიშნოს, რომ ნიზამი განქელი უშუალოდ იცნობს თავისი ასტრონომიული ცოდნის პარველ წყაროს — პტოლემეოსის მთავარ თხზულებას. „ბოსრიკ-მარსინაში“ არქიტექტორ ფერხაღზე თქმულია:

Все измерения он решает выиг.

Евклида он познал и Меркаторе постиг. (ნიზამი, რს. თხზ., მოსკ., 1947, გვ. 16. ტაბები 1165-1166).

„მეჩისტე“ ანუ „დიადი“ შემოკლებული სათარია პტოლემეოსის ზეწოდასახელებული მთავარი ასტრონომიული ნაშრომისა „მეჩისტე სინტაქსის“.

ნიზამის ამ ტაბებს პარდაპარ ემთხვევა დანტეს „ღუფსიტყუნი კომედის“ ერთი ტერცინის პირველი სტროქონი, რომელშიაუ ქო-

ცობეში ეყოფი ევკლიდე და პტოლემეოსია დასახელებული („დიდინა კომედია“ „მეჩისტე-ნი“, კანტო 4. ტაბი 142):

Eucledae geometra e Tolomeo.

(ევკლიდე გეომეტრი და პტოლემეოსი). მ. ლონინსკი ასე თარგმნის პოეტნილ ტაბეს: Там—геометр Евклид, там—Птоломей. პტოლემეოსის სისტემასთან დანტეს დამოკიდებულების შესახებ იხ. შორის დე განდელიაკის შესანიშნავი გამოკლევა „დანიტე“. პარიზი, 1968, გვ. გვ. 29, 65, 72, 151 და 169. 65 გვერდის წინ დაბეჭდილია XVI სის გრავიურა „ქვეყნის პტოლემეოსისხეული სისტემა“.

ზუსტაა ა. შანიძის მიერ გავლებული პარალელი ძეგლში დასახელებულ შვიდ ცხა და რუსთაველის შვიდ ცხა შორის, რომელიც პოემის 1300 ტაბშია დასახელებული (გვ. 9): რისხეით მარბუნდა პორხალი წვეწვედა ცხისა შვიდისა (1809, 4).

წვეწვი დიდი მეცნიერი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ცხრა ცაც არის ნახსენები“. ისევე, როგორც ასტროლოგიურ ტრაქტატში (გვ. 10):

— გერუო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუშცა ცხრითავე ვზი ცათა (113). და დასქენს, რომ ასტროლოგიურ ლიტერატურაში ცხრა ცის შესახებუ მოიპოვება ცნობები“ (10), დამოკიდებულია საბას ლექსიკონი, სადაც ლეღამირის ირგვლივ 10 კონცენტრიული სფეროა შემოვლებული (იქვე) და მუათე სფეროს („სამუარო“) ზემოთ ხასუფეველია მოთავსებული. ყოველივე ეს ძალიან უახლოვდება ერთოდ დანტეს ესპოლოგიურ წარმოდგენის ღმერთის საშეიღროს ანუ ემპირიუმის შესახებ (იხ. სეარტაყინის ნაშრომის „დანტე“-ს რუს. თარგმანი და შორის დე განდელიაკის დასახ. წიგნი).

რუსთაველის შვიდი და ცხრა ცის შესახებ მსჯელობენ ზ. ავალიშვილი და ავტორი „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველებისა“ (გვ. 48). მაგრამ თეატლსინო ქართული წყარო მთხელს არ ჰქონილ. მართალია, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველებაში“ დასახელებულია ზოგი ქართული ძეგლი (იხ. გვ. 27), მაგრამ საკითხის დოკუმენტური პარალელით ვასაშეჭებულად იხსნი არ გამოდგებინ. ამიტომ რუსთაველის პოემის სტროქონების გაანალიზების თეატლსაზრისით ა. შანიძის გამოცემულ ძეგლს ვასაყურატებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი „ძველი XII საუკუნის ხელნაწერ კრებულშია შემონახული და იმავე საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი არაბულიდან ან სპარსულიდან და რამდენაღმე გადმოკოებული ქართულ მეცნიველისაყა.“ კოსმოგონიურ წარმოდგენათა და სისტემა-

თა ისტორიის თვალსაზრისით, ინტერესს არ იქნება მოკლებული თუ გავითვალისწინებთ, რომ პტოლემეოსისა და კოპერნიკოს სისტემათა თანაბარუფლებიანობას ჩვენს დროში იცავდნენ. ალბერტ აინშტაინი და მისი მოწოდებელი მოწინააღმდეგეები დიდი ინტერესით ცნობილ შრომაში „ფიზიკის ევოლუცია“ (რუს. თარგმანის მეორე გამოც. მოსკ., 1956), თუმცა ასეთი გავება შეცნობებამ კატეგორიულად უკუაგდო. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ფიზიკოსს, მაგ. გაბონინილ სახეობა მეცნიერს აკად. ვ. ლ. ვინზურგს დღემდე ნეიტრალური პოზიცია უკავია აღნიშნულ საკითხში (ცერ. „კომარსი ფილოსოფი“, 1971, № 3, გვ. 49).

სპარსეთში ასტროლოგიის გავრცელებაზე ბევრი დაწერილა. ვთუ კიდევ ძველ ირანულ რელიგიაში (ზოროასტრისა და კეილის დედოფლის), კერძოდ მითრიასტრია (კეთილი ღვთაების მითრას კულტის აღმსარებელი). თავიანთ სტუმრებს პლანეტებს, რომელია იდენტიფიცირებული ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან მათთანაც იყო აღიარებული. მითრიასტრისავე სწამალი ზოლიაქოთა შეგავლენა აღმანიებზე და ა. შ.

ილამის პერიოდის სპარსულ ლიტერატურაში ასტროლოგიურ წარმოდგენათა ასახვა უკვლავ თვალსაჩინოდ გამოხატულია ნინა-მისთან, რაზედაც ზემოთ უკვე მოკლებ იქცა.

არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ხალიფატის დროს, თეოდებისა და აბსიდების ეპოქებში, X-XI საუკუნეებში და შემდეგაც ასტროლოგია ძალზე გავრცელებულ სისტემად ითვლებოდა. ამ დროისათვის არაბებს უკვე თარგმნილი ჰქონდათ არა მარტო პლატონის, არისტოტელის, ევლიდესა, პტოლემეოსისა და სხვა ბერძენი მეცნიერების შრომები, არამედ ასტროლოგიური ტრაქტატებიც (ორიგინალურა და თარგმნილი). თეოდ ითქმის არაბულ-ენაში მწველიანობაზედაც. ამ ენაზე არსებული უმდიდრესი ასტროლოგიური მეცნიერების უმნიშვნელო ნაწილია გამოცემული და თარგმნილი ევროპულ ენებზე, რაზედაც საგარეოდ ევროს ძარღვ ბრწყინვალე მანია თავის მონუმენტურ შრომაში „არაბული ლიტერატურის ისტორია“ (რამდენიმე ტომი). რაც შეეხება საერთოდ არაბულ მხატვრულ ლიტერატურას, უმთავრესად პოეზიას, ხაქმარისა მხოლოდ ორი უდადესი პოეტის აღმშენებლობის (915-965) და აბუ-ლ-ალა-ლ-მ-ა-არის (973-1055) სახელების ვახსენება. მათს შემოქმედებაში ასტროლოგიას ვერცხული ადგილი ექვია. მხედარ და მემორალ-მეტანბის თეთი ბრძოლებშიაც ეს უნაწილობა და ზოლიაქოთა გამოხმაურება, ხოლო პესი-მისტი და სკეპტიკოსი, ენციკლოპედიური გა-

ნაოლებლის აღ-მ-ა-არ, რომელიც 14 წლისა დაბრმავდა და ცალ თალს ვერტყავდა, შეეძლო ამბობდა — „მე არა ვარ დაწმუნებული ვარსკვლავთა მარადიულობაში და არა მკონია თვითონ სამყაროც იყოს მარადიული“. მიუხედავად ამისა, აღ-მ-ა-არ ფიქრობდა, რომ მიწის ქვეყანაში აღმანიები, პირუტყვი, არა ორგანიზალი ბუნება, — უკვლავური ცხოვრობს და ეთარდება ვარსკვლავთა მოძრაობის შეგავლენით და რომ აუცილებელია ვარსკვლავების თუვანისცემა, რამდენადაც მათ თვითონ მამალი ადამიანები (ახ. Ханика аль-Фохური. История арабской литературы, მოსკ. 1951, ტ. 2, განაკ. გვ. 107 და 168, ისტორიკოს მხედველობაში აქვს მისი დევანი „დუ-ზუ-მ-ი-ი-ა-ტ-ი“ ანუ „აუცილებლობა არა აუცილებელია“, რომლის მხოლოდ ნაწილია რუსულად თარგმნილი. ახ. Абу-л-Али аль-Маари. Стихотворения. მოსკ. 1971).

სხვათა შორის, არაბულის გზით შეიქმნა ასტროლოგია ჩვენს მოამე დაღისტანშიაც. შამილი, რომელიც დროს მორწმუნე და ნაქმუნედის (XIV ს.) ორდენის სუფიური მოძღვრების მიმდევარი იყო, ასტროლოგიის ჩინებულ ცოდნასაც ფლობდა (ნაქმუნდის ორდენის შესახებ, ხანაიკოვის დაქველდებულ ნარკვევის ვარდა, არსებობს აკად. გორდელეცკის კარგი გამოკვლევა, ხოლო შამილის ასტროლოგიურ ცოდნაზე სპეციალურად სწერდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ორიენტალისტი ა. კაზემ-ბე-გო, რომელიც 1859 წელს ვაცელო ექიმობის იმპერიის საბატონში, შამილს არ სწამდა კოსმონიკის სისტემისა და რიცხუ პულკოვოს მხატვართაში ასტროლოგია სტრუქტურის მის ანუქა წიგნი ლათინურ-არაბულ ენაზე „პტოლემეოსის სისტემა“, იგი უფრო დარწმუნდა, რომ უძრავი დედამიწა სამყაროს ცენტრშია, ხოლო მზე და სხვა მნათობები მის ორგანიზაციის ირგვლივ (კავასიის ასტროლოგიური კომისიის აქტები, ტ. XII, გვ. 785-786). შამილისათვის არ უოქვამთ, რომ მეცნიერ პტოლემეოსის მიუწერება ასტროლოგიური შრომაც „ტეტრაბიბლიონ“ (ოთხი წიგნი), რომელიც ალექსანდრიელი მათემატიკოსის და ასტრონომის მთავარ თხზულებაზე ნაკლები პოპულარობით არ ხარკვებლობდა შუა საუკუნეებში.

ქრისტიანობამ გეოცენტრულ ასტრონომიას დაუკავშირა რწმენა იმისა, რომ თუ უძრავი დედამიწა სამყაროს ცენტრში მდებარეობს და მის ირგვლივ ბრუნავენ მათობები, ხოლო დედამიწაზე მშენდება ამ კოსმორის სხეულისა — ადამიანი — მამხადაც. უკვლავური ანათებს ადამიანისათვის, ემსახურება მას, წარმართავს მის ბედ-იბბულს უნივერსუმს

ანუ ღმერთის ნების მიხედვით, ახტ ანტროპო-გეოცენტრულ მოფლვადებას თავისთავად უნდა მოჰყოლოდა ფაქტობრივი მოძღვრებაც იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა წინასწარმეტყველება ხალხებისა და ცალკე ადამიანების ბედისა მნათობებისა თუ პლანეტების ცაში ამა თუ იმ მდებარეობის მიხედვით და ზოლიაქობებზე დაკვირვებით. სწორედ ამ მოძღვრებას ეწოდება ასტროლოგია ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა. გენტიურად იგი მომდინარეობს ქალღვრელებისგან. უძველესი ბაბილონური კულტურიდან ეს სწავლა გადავიდა ეგვიპტეში, სადაც ამ ცოდნას ქურუმები ფლობდნენ და იქ დიდი გავრცელება ჰპოვა. აქედან ვარსკვლავთმრიცხველობამ შეაღწია ძველ საბერძნეთში და თუმცა არისტოტელეს არაფერი სწამდა მისი, სამაგიეროდ დიდი მეცნიერისა და ფილოსოფოსის მოწაფეს თეოფრასტეს კალამს ეუფუნის ასტროლოგიური ტრაქტატი „ნიშანთა შესახებ“. საბერძნეთიდან ვარსკვლავთმრიცხველობა გავრცელდა რომში და რომის გზით — ბიზანტიასა და სპარსეთ-არაბეთში.

ძველ ქალღვრელთა ასტროლოგია არ იყო ისეთი რთული სახისა, როგორც მან შიღო ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ სამეაროში, თუმცა ყველგან და ყოველთვის იგი რელიგიურთან დაკავშირებული აღმონდა რის გამოც მითოლოგიური მითითების ზაიათი დაჰკარგა.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ასტროლოგია პოპულარული ზღვება აღორძინების ეპოქაში. ამ დროს (XIV-XVI სს) გუღდასმით სწავლობდნენ არამატო „აღმაგისტს“. არამედ „ტრეკაბიბლიონსაც“. მეცნიერული მნიშვნელობა ასტროლოგიამ დაკარგა XVII საუკუნეში. ჯერ კიდევ ეპილოტოს (1571-1630) სასაყლოდ არ შეოფნიდა იგი. შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში ეს ასტროლოგიის მოთავს მდევრულად გვევლენება ქრისტიანობა, თუმცა იუდაისტურ-ქრისტიანულ ქვეყნებში ასტროლოგიის ჩანასახს ზოგი თეოლოგი ზედაუდა-თვით ძველი აღთქმის წიგნში „შესაქმე“, სადაც ნათქვამია (I, 14), რომ ღმერთმა შეივის თაღზე შექმნა მნათობები დღისა და ღამის განმსაზღვრელად. დროისა, დღეებისა და წლების მანიშნებლად. რაც შეეხება ძველი აღთქმა სწავლას ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზე ევეს დღეში და მეშვიდე დღის დასვენების ურად გამოცხადებას, მისი პროტოტიპი მოძებნილ იქნა იმავე ქალღვრელებთან, იგი ჩაწერილი აღმონდა თიხის გამოშვვარ ფირფიტებზე, რომლებიც ძვ. წ. XVI ს-ის განუყოფებმა 7 კლანტის წმანდა რიცხვი 7200 ნაგულისხმებია ფრანკში. რომელიც ამ ფირფიტებზე შენახულა ღმერთზე, რუსი ასტროი.

კონის თარგმანი იგი ასე გამოაუტრება: «Седьмой день он сделал днище неба и повелел отдыхать в этот день от всех своих трудов». (Г. А. Гуров. Астрология и религия. Москва. 1940, стр. 12. იქვე: მოკლე ბიბლიოგრაფია, გვ. 134) პირველ საუკუნეში ჩვ. წ.-ით აპირო გახდა დადგენილიყო კალენდარული ცხრილი პლანეტა-ღმერთის მიხედვით, ასტროლოგია შეიქმნა მედიცინაში და ა. შ.

ახტ წარმართულ კოსმოგონიის შეებრძოლა ქრისტიანობა. ასტროლოგია, უწინარეს ყოველისა, ღმერთი-სამების ინოციატივის სტერონი იტრებოდა, ღვთაებრივი დეტერმინიზმის ნაცულად ფებს იყიდებდა ფაქტობრივი, რომლის მიხედვით ადამიანთა და ხალხთა ბედის საქე მნათობთა ზღვში იყო მოქცეული. რათქმა უნდა, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე არც ერთ უდიდეს მოაზროვნე ფილოსოფოსის ან მეცნიერის ასტროლოგიის არაფერი სჭეროდა. პლატონის სისტემას იგი არ შეეხებოდა. არისტოტელე დასცილოდა ასტროლოგიას („ფიზიკა“). ციციერონი პირდაპირ ილაშქრებდა ამ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ (ტრაქტატი „მარჩიელის შესახებ“) და ა. შ. ასტროლოგია უმოკრესად წარმართული რელიგიების ეპოქებში ზემოზდა. ვარსკვლავთმრიცხველობით იყვნენ ვარშემორტყმული ბაბილონისა და ასირიის მეფეები, ბევრი რომელი იმპერატორი, მაგ., ტიბერიუსი, რომლის შესახებ მისი ბიოგრაფი წერს: O boгах и об их почитании он мало беспокоился, так как был привержен к астрологии и твердо верил, что все решит судьба (Гай Светоний Транквилл. Жизнь двенадцати цезарей. Моск., 1964, гл. 101). ასევე სჭეროდა ვარსკვლავთმრიცხველებისა ბერძნულ, სულთანსა და ხალხს. დასავლეთში ქრისტიანობის გამარტვებამდე ასტროლოგია ეწეოდა წარმართულ რელიგიასთან ადვილად ნახულობდა საერთო ენას, ზოლო შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში — სხვადასხვა ერეტიულ მიმდინარეობებთან, წარმართული ერების ნაშთებთან და ა. შ. ასტროლოგიურ ფაქტობრივ წინ აღუდგა გენიალური ავრელიუს ავგუსტინე (გარდ. 430 წ.), კათოლიკური ეკლესიის ბურჯი, რომელიც ასტროლოგიას სატანის გამოგონილად მიიჩნევდა. XII-XIII სს. სქოლასტიკამ რადიკალურად გამოირცხა ვარსკვლავთმრიცხველობა, იგი არისტოტელეს მისხევდა ბუნებისმეტყველების საყოფებში (თომას აკვინელი და სხვ.). მიუხედავად ამისა, ასტროლოგიის გავლენა მაინც დარჩა დასავლეთში, ბიზანტიასა და აღმოსავლეთში (უმოკრესად სპარსულ-არაბულ სამეაროში), თუმცა ამ მერიდიანებზე ვარსკვლავთმრიცხველობას არც იუდაისტურ-მამადაანური ერთი დმერთის რწმენა შეუტყუვია, არც ქრი-



სტიანული ერთი-სამებისა. მნათობ-  
თა სფეროს არ შეეძლო უველა  
სფეროებზე ამაღლებული ემი-  
რიუმის, ანუ ღმერთის სადგო-  
მის შენაცვლება. მათალია, ასტრო-  
ლოგიას იზიარებდა ქრისტიანული ეკლესიის  
ერთ-ერთი გენიალური მამა — ორიგენე (ვარ-  
სკვლავებს გონიერ არსებებდა თვლიდა), მაგ-  
რამ იგი ერთგოსნად იქნა შერიცხული, დატო-  
ვალბული და დასაპირებული (მეოთხე საუკ-  
დასასრული. ორიგენეს შესახებ ნახე: A. P. Kap-  
savin. *Святые отцы и учителя церкви*  
*Paris*,

გვ. 88-114). ისიც ცნობილია, რომ ასტროლო-  
გები მოხერხებულად იცავდნენ თავს ეკლესი-  
ის წინაშე, მათ შთამაგონებელი სახელი წაუ-  
ყენეს მოწინააღმდეგეთ: მათეს სახარებაში  
თქმულია (თავი 2, მუხლი 1, 2, 7, 9-11), რომ  
პეროდე მეფის დროს აღმოსავლეთიდან პური-  
სტანში, ბეთლემში მოვიდნენ მოკენი („ქალდე-  
ველნი“) ახლადშობილი და ბავაში შწოლი ღმერ-  
თს — ურძის იესოს თაყვანის საცემად. მათ წი-  
ნისწარ უხილავთ ვარსკვლავი, რომელიც მგზავ-  
რობისას მოკვებს წინ უძღოდა. ევანგელისტი  
მყვება, რომ ეს ვარსკვლავი „დაადგრა ადგილ-  
სა მას, რომელსა იყო ურძამ იგი“ (მთ. 20),  
„ხოლო მათ ეითარცა, იხილეს ვარსკვლავი იგი,  
განახარეს სიხარულითა დიდითა ფრიალ“ „... და  
დავარდნეს და თაყვანის-სცეს მას“ (მთ. 10-11),  
შესწირეს „ოქრო გუნდრუკი და მური“ და ა. შ.  
ამ საკითხს მოკლედ ეტება გ. გურაძის შრო-  
მა.

მოგვთა თაყვანისცემის სიუფერტე შექმნა  
ღმერთს და ევანგიმ თავის ერთ-  
ერთი შედეგით — „მოგვთა თაყვანის-  
ცემა“. მასვე ეკუთვნის ამ სურათისათვის წი-  
ნისწარ ფანქრით დახატული ეტიუდიც.

ეკლესიის მამებს საკმაოდ დიდი დრო დას-  
ჭირდათ ასტროლოგების „არკუმენტის“ ვასაბა-  
თილებლად, მაგრამ მიუხედავად ვარსკვლავთ-  
მრიცხველობის დედნისა, მისი სიმულარობა  
დღესანს არ შეწყვეტილა (იხილეთ სარალოქსულა  
ის ფაქტი, რომ მას დღესაც მყავს თევზამოდე-  
ბული დამცველები და მომდევრები (ევროპისა  
და ამერიკაში). ეკლესიის მიერ ასტროლოგიაზე  
ოფიციალურად დადებული ტაბუ უძღვრია აღ-  
მონდა კონსპირაციულად მისი არსებობის წი-  
ნაღმდეგ. ქრისტიანული და მუსულმანური  
კულტის აღმსარებელთა გარკვეულ წრებში,  
ჩანს, ასტროლოგიური მომდევრება მოსათმენ  
სისტემად იყო მიჩნეული, ასე იყო ბიზანტი-  
აში, მუსულმანურ აღმოსავლეთში. ბიოლოგიურ  
სამყაროში... ამიტომ ვასაყვით ანაა მისი არ-  
სებობაც შუა საუკუნეების საქართველოშიც.  
აკაკი შანიძის სიტყვით „აქ (ტივლიში, ა. ე.)  
მწიგნობართუხუცესებზე, კათალიკოსებზე და  
ეპისკოპოსებზედაც არის საუბარი, აგრეთვე ევ-

ლესიებზე და მონასტრებზედაც და მკვლევნი  
სახატოო პირებთან ერთად არის დასაბუთებული-  
სოლო მამადიანთა სასულიერო პირებზე არ-  
სად არ არის ერთი სიტყვა“ (11). ასტროლოგიის  
სიმულარობაზედაც მსჯელობს ტრაქტატის გა-  
მოყვარებული: „ასტროლოგია, სხვა ქვეყნების  
სხვაგვარად, ზენოზე იყო გავრცელებული, რაც  
„ეფესისტაონიანადან“ ჩანს“ (12). ავტორი გა-  
ნაგრძობს: „როგორც ჩანს, ქართველ სამღვდ-  
ლოებას შესაწინარებლად მიანდა ასტროლო-  
გური ცნობები, რასაც ის ადასტურებს, რომ  
აქ დაბეჭდილი ტრაქტატი მოთავსებულია ისეთ  
კრებულში, სადაც სხვადასხვა სახის სასულიერო  
თხზულებებია შესული“ (13). ასეც უნდა ყო-  
ფილიყო!

ასტროლოგია არსებითად ისეთივე მკდარი  
სისტემა იყო, როგორც დიდი მეცნიერის პტო-  
ლემეოსის სისტემა, მაგრამ მათი სიმპიოზი შუა  
საუკუნეებში საზოგადოების გარკვეული ფენე-  
ბისათვის ტემპარატ მომდევრებად იყო მიჩნეუ-  
ლი, ამ ფენებში მას ბევრი დამცველი მყვდა.  
სრულიად არაა ვახვერთ ის ფაქტიც, რომ  
რუსთაველის შინა მშათობთა ლექსს ქართულ-  
სავე მწერლობაში მოქებნა ტექსტური პრო-  
ტოტი. მაგრამ ეს გარემოება რ-  
ნადაცაა არ გულმსმობს რუს-  
თაველის მართლმადიდებელური  
მარქამისის საწინააღმდეგო რაი-  
მეს, პოეტურ ნაწარმოებში, ს-  
უფეტის მხრივ გარკვეულ სიტუ-  
აციაში ჩაუყენებული პერსონა-  
ჟის ასტროლოგიური ასოციაცი-  
ების (რასაც ხშირად შეესაბამის  
ვანარის ისტორიულ-მხატვრული  
კლიშეები უძველეს საფუძველად) არ  
შეიძლება თვითონ ავტორის ძი-  
რითადი რელიგიური მარქამისის  
ან მსოფლმხედველობის ნიშნე-  
ბად გამოვაცხადოთ. ისინი აბსოლუ-  
ტურად არ არყვენ პოემის უმთავრეს თეოლო-  
გურ დენიციებს, რომელთა მიხედვით სამ-  
ყარო შექმნილია პირველი აბოლუტის, ერ-  
თი ღმერთი — სამების მიერ... XII ს-ში, ე. წ.  
ქართული განვითარებული ფეოდალიზმის ეპო-  
ქაში, ქრისტიანობის აღმსარებლის რუსთავე-  
ლის მომთხრობი სარქველების „ერთი“  
არ შეიძლება იუდეველთა იემოვან მამადიან-  
თა აღიბ იყოს, რე სამირიფანია და „ერთარ-  
სება“ („ერთარსებობა ერთობა“), შეფსწობელი,  
გამოუთქმელი, უფლება უფლებათა და უხილა-  
ვა („უცნაურო და უთქმელი, უფლება უფლე-  
ბათათა“, „ცინ არს ქალი უხილა“). იგი „წი-  
ს მიუწვდომელ ბნელში“ ანუ „სადმართო ნისლ-  
ში“ („Божественный нравъ“), ზეცის სფერო  
თა ზემოთ, ხოლო საღმრთო ნისლში „წი-ს“ ან  
იუდეველთა ერთი — მამადმერთი, ან ახალი აღ-  
თქმის „ერთი — სამება“ („Троица“). შოთას





ქრისტიანულ მოწოდებებში არ შეიძლება დავი-  
ნახოთ პლატონის ან ნეოპლატონიკოსების უპი-  
როვნო არსი ანუ მთავარი იდეა. „ერთი“ ანუ  
Единое იგივე ნათქვამი ანუ სიყვითე, სახეობა  
(ქვედავალი ტრიადის — ერთა, გონი, ხელი —  
პირველი, განუყვანელი იპოსტაზი). რუსთავე-  
ლის პოემის შესავალშივე დამტკიცებთ თქმულია:  
„რომელმან შექმნიდა სამყარო“, ხო-  
ლო მომდევნო სტროფში შეაფიქრებ დანიშნუ-  
ლია: „მე, ღმერთო, ერთო, შენ შექ-  
მენ“... ნეოპლატონიკოსების განუყვანელი  
იდეა „ერთი“ კი არსად არ „ზის“, იგი არც  
სამყაროს შექმნილია“ და არც არავის მიუ-  
ბოძებს რასმე („ჩვენე კაცთა მოგვცა  
ქვეყანა“). ამასთან რუსთაველის ღმერთი  
საზღვრებს დაუსაზღვრებს ად-  
მიანთა ტომებსა და ანგელოსებს („ვიან საზღვა-  
რსა დაუსაზღვრებს ზის უწყალო ღმერთი ღმერ-  
თად“). ნეოპლატონიკოსების „ერთი  
ღმერთი“ კი არავის არაფერს  
დაუსაზღვრებს, ხოლო ანგელო-  
სებს წარმართული ანტიკური  
სამყარო ხეობით არ იცნობს.

ყველა ამ ცნებთა გაგება შეიძლება მხო-  
ლოდამხოლოდ (ვიშვორებთ — მხოლოდდა-  
მხოლოდ) ძველი და ახალი აღთქმის, აგრეთვე  
ეკლესიის მამთა მოძღვრების ფონზე. პანთეი-  
ზმი, ნეოპლატონიზმი ან სხვა „იზმი“ აქ არა-  
ფერ შეუძია.

ნიჰაისი, რუსთაველისა და დანტეს უკვლავ  
ქმნილებებში გაფანტული ასტროლოგიური ასო-  
ციაციების მიხედვით მათი რელიგიური ცრემ-  
ის შესახებ მსჯელობა არ შეიძლება. არც ელინფ-  
რი ოლიმპის ღმერთების (და საერთოდ ანტიკუ-  
რი მითოლოგიური პანთეონის) „რეტერაგია-  
ზე“ შეიძლება საუბარი ნიჰაისთან, რუსთა-  
ველსა ან დანტესთან დაკავშირებით. შავ „ლუთ-  
ებრივ კომედიაში“ აღნიშნულია, რომ ჭოქოხეო-  
ში მდინარეს ეწოდება აქერონი (ბერძნების პა-  
დლის მდინარე), დასახლებულია თვითონ ხა-  
რონი, ოლიმპოს ღმერთებიც (პოლონი და სხვ.);  
ჭოქოხეთის ერთი გარსის მცველია ურწხული  
მინოტავრი და ა. შ. მაგრამ არავის შეუძლია.  
იყვი დანტეს ფიქტურ კათოლიკურ მრწამსში.  
აქ მისი ერთ-ერთი მასწავლებელი, რუსთავე-  
ლის მსგავსად, იყო ფსევდო-დაონისე არკოპ-  
კელი (V ს.), აღმოსავლური და დასავლური ეკ-  
ლესიების უდიდესი თეოლოგი და მისტიკოსი.  
ამ უყანასკნელს კი (ისევე როგორც დიდ კაპა-  
დოკელებს) ვარსკვლავები (მნათობები) ღმერ-

თების ნების მიხედვით არასოდეს არ შეიძლე-  
ვა, ასეთებლ იგი მხოლოდ ანგელოზებს უკუ-  
და. ფსევდო-დაონისე მსჯელობის  
აგრეთვე განუყოფელი სამებაა.

ნიჰაისა და რუსთაველის პერსონაჟთა ასტ-  
როლოგიური წარმოდგენები მათს სარწმუნოებ-  
რივ სფეროს არ ეხებოან. ისინი არც ნე-  
ოპლატონიკოსები იყვნენ და  
არც ბერძნულ-რომაული მითო-  
ლოგიური პანთეონის რესტავრა-  
ციას ინახავდნენ მიზნად. არც  
ერთს არ მიუჩნევენ; მნათობები  
და მამიანის ბედის გამგებლებად  
ყველაფერი ეს ძალიან შიშავს რუსთაველის  
„ატერიალისტურ პანთეისტობას“, ნეოპლატო-  
ნისტური „ერთისა“ და „მრავლობის“ დაპირის-  
პირებას“ (რაც თითქოს ვეფხისტყაოსნის აბო-  
რის მსოფლმხედველობის საფუძველია) და სხვა  
მსგავს „მეცნიერულ“ კიმერებს, რომელიც აქ  
კიდევ ზოგიწობს რუსთაველოლოგიაში. აქვე  
შანიძის მიერ ჩინებულია გამოყვანილი ქართუ-  
ლი ასტროლოგიური ტრაქტატი XII საუკუნის-  
სა, სხვათა შორის, ასეთ კიმერებსაც აქარწუ-  
ლებს. ყოველივე თქმულს ისიც უნდა დავუმა-  
ტოთ, რომ თვითველი გენიალური პოეტური  
მეგობი, რომელიც შეთხზულ თუ ისტორიულ  
სიუჟეტს შეიცავს, არასოდეს არაა რომელიმე  
რელიგიური თუ ფილოსოფიური სისტემის პი-  
რამიდის ილუსტრაცია, მასში შეიძლება შეგვხ-  
ვდეს ავტორის რწმენის ძირითადი პირთების  
„საწინააღმდეგო“ შტაბები. მხატვრული  
გარსი და განუყოფელი და „მწყო-  
ბრად დალაგებული მსოფლმხედ-  
ველობრივი სისტემა“ უდიდესი  
პოეტებისა შეიძლება არაორი-  
გინალური და დარბილუ კი აღ-  
მოჩნდეს მსოფლიო მნიშვნე-  
ლობის რელიგიური ან თეოლოგი-  
ურ-ფილოსოფიურ სისტემებთან  
შედარებით (ამის მშვენიერი მა-  
გალითია დანტე). გენიალური  
პოეტი თვითონ ქმნის მსოფლიო-  
სა ახალ სურათს და არც ერთი  
ფილოსოფიური სისტემის ან  
რელიგიური დოგმის ყურმობ-  
რილ მონად და ვახალად იგი არ  
შეძლებიანება. ამის მიზეზი ისი-  
ცაა, რომ პოეტური შექმნალება  
დინამიკური პროცესია და ყო-  
ველგვარი „წინააღმდეგობანი“ ამ  
პროცესის თანმხლები მოვლე-  
ნებია.

# კ. დონდუას შრომათა ახალი კრებული

საქართველო  
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ გამოსცა პროფ. კარპეზ დონდუას შრომათა ახალი კრებული სათაურით „სტატიები ზოგადი და კავასიური ენათმეცნიერების საკითხებზე“.\* შედგენილია იგი გ. ფ. ტურნიანოვისა და ი. ო. გეწაძის მიერ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ვ. ლენინციას (რედაქტორი), პროფ. ვ. ი. აბაევის, პროფ. ვ. დ. დონდუას, ფილოლოგიის მეც. დოქტორ გ. ფ. ტურნიანოვის და ფილოლოგიის მეც. კანდიდატ ი. ო. გეწაძის რედაქციით. შედგენილებს წამდელიად დიდი შრომა ვაუწყებთ პოლიგრაფიულად ასე რაღღა წიგნის ბეჭდვის ხელმძღვანელობაზე. გამოცემა შეიძლება ითქვას, ჩინებულია.

კრებულის სარედაქციო წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

«Профессор Карпез Дариспанович Дондуа (1891 — 1951), статьи которого составили предлагаемую читателю книгу, был выдающимся лингвистом. Видный специалист по общему и кавказскому языкознанию, Дондуа в своих работах ставил и разрешал некоторые важные и интересные языковедческие проблемы и вопросы, каких другие последователи либо не касались вовсе, либо касались бегло, вскользь»; «Издавая сборник статей К. Д. Дондуа, Ленинградское отделение Института языкознания АН СССР надеется, что он будет во многом полезен специалистам по общему и кавказскому языкознанию. В работах Дондуа читатель, несомненно, найдет ответы на некоторые вопросы, интересующие современное языкознание. Коллектив сотрудников Института, выпускающая этот сборник, посвящает его восьмидесятипятилетию со дня рождения Карпеза Дариспановича Дондуа».

კ. დონდუამ, ფართო განათლების ბრწყინვალე ფილოლოგისმა-ლინგვისტმა, შიშამიშვილობას საქმარისად მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. ის იყო ქართველურ (ქართული, კოლხური, სვანური) და აღიღერა აფხაზური ენებში აღიარებული სპეციალისტი. პირველი მეცნიერული წართობა მან პეტროპოლის უნივერსიტეტში მიიღო ნ. მარის ხელმძღვანელობით. ცოდნის მწვერვალს აქ იგი ნ. მართან ერთად ვეფხეზობდა მეცნიერების ისეთ კორიფეებთან, როგორც ი. ვაჟაბიშვილი,

ა. შახმატოვი, ი. ბოლდუენ-დუ-ეურტენე, ვ. სიპოვსკი, ლ. ოესიანიკო-კელაიკოვსკი, ს. ვენგე როვი იუენენ, ვართსა და იმავე დროს ორ ფაქულტეტზე სწავლობდა, ხოლო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1922 წელს, ნ. მარის რეკომენდაციით იქვე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

არაწვეულებრივმა შრომისმოყვარეობამ, ფართო ერუდიციამ, შრავალი ენის ცოდნამ და ღრმა ლინგვისტურმა აღიღო კ. დონდუას საშუალება მისცა ახალი ასპექტით ეყვლია ქართველოლოგიისა და კავასიისმცოდნეობის პრობლემები და თავისი დამოუკიდებელი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში. მისი გამოკვლევები ნიშნულია სიზუსტისა და სიფაქიზისა, ფაქტობრივი მასალის სერუბელოზური ანალიზისა და სიახლისაგან განიწვევებულ სწრაფებისა, სპეციალური ლიტერატურის პატივისცემით გამოყენებისა და თავმდაბლობისა, მკვლევრის მთელი ნათელი ცხოვრება და შიღვეწიობა მიეძღვნა ქუშმარობების დაუცხრომელ ძიებას, სისხეტაცეს, მალაიპრინციტულობის დაცვას მეცნიერებაში. მართალია, კ. დონდუა არ იზოაბდა მისი მასწავლებლის, ნ. მარის, შრავალ თეორიულ შეხედულებას, მაგრამ ბოლომდის დარჩა მისი ერთგული და ღრმა პატივისმცემელი, კ. დონდუას გამოკვლევებსა და სტატიებს წითელი ზოლივთ გასდევს მოკრძალები მასწავლებლისადმი. საუკლისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ მასწავლებელიც პატივს სცემდა ერთდირებულ მოწაფეს, აფასებდა და ენდობოდა მის ცნობებს, უწონებდა პრობლემატკასა და ძიების გზას, ამას მოწმობს, ვენებუთ, ორი დამახასიათებელი ფაქტი. ვერ ერთი, მოძღვარმა შევირღს გამოსაქვეყნებლად მიანდო სვანეთში მოგზაურობების საკეთარი დღიერები (1911-1912) და ადგილებზე წლების განმავლობაში შეკრებილ-შეყვარებულ აფხაზური, სვანური და სხვ. ენების უნიკალური მასალები; ხოლო, მეორეც, 1932 წელს ვადასცა თავისი კათედრა ლენინგრადის უნივერსიტეტში, ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში რომ ხელმძღვანელობდა.

მასწავლებლის უტრადლება კ. დონდუამ ვერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიქცა და შემდეგ არ ვაუწყებოდა მასთან ურთიერთობაში. ცნობილია, რომ ნ. მარი იყო პირველი საბჭოთა ლინგვისტი, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ვერ კიდევ 1921 წელს შექმნა ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მასთან თავისი თეორიის შესატყვისი სახელი —

\* К. Д. Дондуа. Статьи по общему и кавказскому языкознанию, Ленинград, 1975, стр. 1—320.

«Институт яфетидологический изысканий» უწოდა. ეს იყო ამ ხანად ენათმეცნიერების პირველი ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში. რამდენიმე წელს ინსტიტუტი მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა: არ სქონდა ბინა, არც მატერიალური სასრობები. სტოდოვს ზელმძღვანელის საცხოვრებელ ბინაში მართავდა. ამ ინსტიტუტის დანამშრომელი 1922 წელს კ. დონდუაჲ ვახდა. ხსენებული ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი დანამშრომლის, გ. ფ. ტურჩინაინოვის, შოგონებაში ამის შესახებ, სხვათაშორის, ნათქვამია შემდეგად:

«Университет Дондуа окончил в 1922 г. и был оставлен при нем акад. Н. Я. Марром для подготовки к профессуре. С того же года Карнез Дариславович стал посещать основанный в 1921 г. Н. Я. Марром Институт яфетидологических изысканий Академии наук, числясь в нем научным сотрудником второго разряда. В те же годы этот институт существовал почти что на общественных началах. Были сотрудники, но не было штатных единиц. По официальным документам, все финансирование института выражалось в 1922 г. в одной ставке в 28 рублей, которую делили пополам между собой заместитель директора и ученый секретарь. И тем не менее работа шла полным ходом, регулярно проводились научные собрания, писались доклады, — энтузиастов было достаточно. Среди них был и молодой К. Д. Дондуа».

კ. დონდუა ავტორია ასზე მეტი დასახელების ნაშრომისა, რომელთაგან 70 გამოქვეყნებულია, ხოლო სხვები ხელნაწერადაა დარჩენილი და ელოდება პუბლიკაციას.

ოცი წლის განმავლობაში კ. დონდუა ლენინგრადის უნივერსიტეტში განაგრძობდა კავკასიური ფილოლოგიის კათედრას. ამ მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ფართო წრე სპეციალისტებისა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ სტუდენტებთან და უძღვებოდნენ ახალ სასწავლო დისციპლინებს. თავად კ. დონდუა კითხვობდა კავკასიის ფილოლოგიის შესავალს, ძველი და ახალი ქართლის, ძველი ქართული ლიტერატურის კურსებს, მისი უმცროსი ძმა, გ. დონდუა — საქართველოსა და კავკასიის ზალთა ისტორიის, ა. ჰენკო — მთის კავკასიური ენების ზოგადი ფონეტიკის, რ. შუშუანი — ლეკური ენის, ა. ბოკარევი ზენჭური ენის, გ. მეგრულინსკი — ლეკური ენის, გ. ტურჩინაინოვი — ყაბარდული ენისა და ლიტერატურის, ა. აკელიანი და კ. გრიგორიანი — სომხური ენისა და ლიტერატურის, ლ. ლაეროვი — კავკასიის ეთნოგრაფიის კურსებს. თხუთმეტ წელზე მეტ ხანს კ. დონდუა სააფეთქში ედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის კავკასიურ განთავსებულ (ცანაყოფილებას), რომლის მუშაობაში იმ ხანად აქტიურად მონაწილე-

ობდნენ აგრეთვე ი. შუშუანი, ს. ბიბრესკია, რ. შაჰმანი, ი. მეგრული, ა. ბოკარევი, ე. ბოკარევი, ი. ცუკერმანი, ვ. რასტორგოვი, ც. სხვები სხვადასხვა დროს კ. დონდუა საქართველოშია მოღვაწეობდა. 1934 წელს ჩვენს უნივერსიტეტში განაგრძობდა კათედრას, მოვიყენებთ, დიდი სამამულო ომის წლებში, იქვე მუშაობდა ჩერ ფილოლოგიის ფაкультეტის დეკანად, შემდეგ — პირატორად სამეცნიერო დარგში, უველგან, სადაც კი მეცნიერს უმეზაჲ, ღრმაპატა-ვისეცემა და კოლექტივის სიყვარული მოეზვეჲა. ავი გარდაეცემა 60 წლის ასაკში, თავისი შემოქმედებითა ძალეების აყვების პერიოდში. მისი გარდაეცელება, უშუალოდამომე დანაჲ-ლის იყო მეცნიერებისათვის.

სამომენებით უნდა აღინიშნოს, რომ წიგნს ატყუა იმ სამეცნიერო დაწესებულების კოლექტივის მზრუნველი ხელი, სადაც კ. დონდუა თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

კრებულში შეტანილია მეცნიერის 22 ნაშრომი. აქედან 17 აღრეც იყო დაბეჭდილი რუსულ და ქართულ ენებზე, ხოლო ხელნაწერად დარჩენილი ხუთი ნარკვევი პირველად სწორედ ამ არის გამოქვეყნებული. ესენია: «ფრანტი ბოზი და კავკასიური ენები», «პეკო შეხართი», «ნიკო იაკობის ძე მართი», «რუსთაველის ენა» და «კერო ლაბალიზებული ხმოვნების შესახებ ქართველურ და აფხაზურ ენებში».

პირველად გამოქვეყნებულებიდან ჩვენს ინტერესს, უწინარეს ყოვლია, რუსთაველის ენისადმი მიძღვნილი ნაშრომი იწვევს. ამ სოლოდურ ნარკვევში რუსთაველის ენის თავისებურების მრავალი საკითხია ახლებურად დასმული და გაშუქებული. მიმოხილვა ყურადღებას იქცევს სისრულითა და ავტორისათვის ჩვეული სიზუსტით. გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები დასაბუთებულია უზევი ფაქტობრივი მასლით, წარმოდგენილია «პოემის ენის ანალიზი». განხილულია პოემაში დამოქმედებული რთული სიტყვები (დადგენილია ოთხი ტიპი რუსთაველური კომპოზიციებისა), ნეოლოგიზმები, სტილიტიკური პარალელიზმები, მიმართულების პრეფიქსები. უარყოფითი ნაწილაკები და მათი ფუნქცია. მანს, ნაშრომი ნაწილია ჩაფიქრებული ვრცელი მონოგრაფიისა, რომლის დამთავრება, სამწუხაროდ, ავტორს ევლარ მოუსწრია. რუსთაველის ენის თავისებურების პრობლემას აღრეც და უკანასკნელ ხანებშიე მრავალი ნარკვევი და სტატია მიეძღვნა. ამ საკითხზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული ქართული ფილოლოგიური მეცნიერების რიგორც ძველი, ისე ახალი თაობის მოღვაწეებს. კ. დონდუას დაკვირვებები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას და ვეჭვრა, ისინი საპატიო ადგილს დაიკავებენ რუსთაველის ენისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერა-

ტრიაში. მისი გამოქვეყნებით, უაპეველად, ხასარებლო საქმე ვაყვითღა.

კრებულში შეტანილი ნარკვევები ეძღვნება ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. აქ ახალი ასპექტითაა გაშუქებული ძველი ქართულის სტრუქტურის არა ერთი საკითხი მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებიდან. ფართო ინტერესს იწვევს ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული ბრუნების ავტორტანციურ ხასიათს, მრავლობითი რიცხვის ორ სუფიქსს (-ნ და -ვს) ქართულში, ემფატიკურნიშნის ნათესაობის ძველ ქართულში, ზოლმეობითის ფორმებს, ჰარაქტისა და ჰიპოტაქსის გენეზისს ძველ ქართულში, ინკლუზივისა და ექსკლუზივის კატეგორიის სვანურში და მის კვალს ძველ ქართულში. დამხვლი საკითხები შესწავლილია ობიექტური მიღგომლობით, უხეი და გემოვნებით შერჩეული მასალის საფუძველზე. შესადაარებლად მოშველიებულა მონათესავე ენათა მონაცემები, რაც წარმოდგენილ დასკვნებს მეტ დამაყრებლობას ანიჭებს. ამ მხრით განსაყოფრებით გამოირჩევა მსკვლავა ზოლმეობითისა ჰარაქტემგებლ აქტურ კონსტრუქციასი, საკითხი ქართულურ და მისი კავასიურ ენათა ტობოლოგიური კავშირის შუქზეა შესწავლილი. საეტაპო მნიშვნელობა აქვს ჰიპოტაქსური კონსტრუქციების ევოლუციის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს, რომლებიც ძველი ქართული მონაცემების ანალიზს ეყრდნობა. აქ გამოთქმულ მოსარებებს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული დამოკიდებულის წინადადების წარმოშობის ისტორიის ძიებას საკითხში. ცნობილია, რომ ამ ნაშრომებში თავის დროზე ფართო გამოძახილი ჰქოვა სპეციალისტთა შორის (ისინი პირველად 1940-1944 წწ. დაიბეჯდა).

თავისი გამოკვლევებით კ. დონდუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგად ენათმეცნიერებაშიც. ამ მხრით განსაყოფრებით აღსანიშნავია „გრამატიკული უარყოფთა როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა“, „ადილერის ტიპის ერგატივი სვანურში“, „მრავლობითი რიცხვის განსაყოფრებული ფორმის საკითხისათვის სვანური ნათესაობის ტერმინები“, „სინტაქსური ასიმილაციის“ ა. ა. პოტბინის ვაშუქებით“ და სხე. ამ გამოკვლევებში ვაანალიზებულ მასალასა და განზოგადოებებს სიეხადე შეაქვთ ენათა ზოგადი ბუნების რამდენიმე სპეციალური საკითხის პოზიტურად გაგებაში. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ დასაბეჯებულმა ნაშრომებმაც სპეციალისტთა ცხოველი ინტერესს გამოიწვია.

კრებულში დაბეჯილი 15 ნარკვევი (ოცდაორიდან) ადრე შეტანილი იყო ზემო რედაქციით შედგენილ და 1967 წელს „შეცნარების“ მიერ გამოცემულ კ. დონდუას „რჩეულ ნაშ-

რომთა I ტომშიც“. ეს ცდელ როდია, მაგრამ აქობებდა, ცხადია, რომ ამ სპეციალურ კრებულში უფრო მეტი ადგილი უნდა მიეცა ნიერის სხვა, არანაკლებ საინტერესო, ნაშრომებსაც, დღეი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად რომ იქცენ. კრებულის სარედაქციო კოლეგიას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. მართალია, ეს ვარემება ერთგვარად იათქოს აუფერულებს გამოცემას, მაგრამ მილიანად კრებულე უეპეველად მოწონებს იმსახერებს და მისი გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩათვალოს. პირველ რიგში, სხვასამგლო ის არის რომ აქ დაბეჯილია კ. დონდუას ექვსი ქართული ნაშრომის მშვენიერი რუსული თარგმანი, რაც რუს მეათხველს საშუალებას აძლევს, გაეცნოს აეტრობის შეცნიერული ინტერესების ფართო სფეროსა და დაკვირვებების ფრიალ საყრადღებო შედეგებს. ხუთი უთარგმნია ი. ო. გუქაძეს („მიმართებითი ნაცვალახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის“, „ამაოკიდებელი წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში“, „სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსთა რაობა მრავლობითში“, „ართული პრეფიქსებისათვის სვანურსა და ქართულ ზნებში“, ხოლო ერთი („ადილერი ტიპის მოთხრობითი ბუნება სვანურში“) — კ. ფ. ტერჩინანოვს.

კრებულის ღირსებას ზრდის კ. დონდუას გამოცემულ და გამოუცემელ შრომათა ბიბლიოგრაფია, საწოდ შედგენილი მეცნიერის მოწოდეს ლ. ს. შევლივას მიერ. ეს ბიბლიოგრაფია შედარებით სრულია, თუმცა ზოგი რამ აქაცა გამოჩნენილი და შემდგომ შევსებას საჭიროებს.

კ. დონდუას ნაშრომები ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის დარკში საზოგადოებრიობისათვის კარგადია ცნობილი და მათზე აქ სიტყვის შემდგომი გაგრძელება საჭიროდ აღარ მიმანჩია. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მხოლოდ ერთ, ნემა აზრით. მნიშვნელოვანი საკითხზე აეტრობს ანვარტმასაწვეი დაკვირვებები აქვს ნატარებულა მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე ძველ ქართულში. ამ საკითხს მკვლევარმა რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, ხოლო ცალკე შენიშვნებს სხვა სტატებშიც ვეცნობთ. პირველ რიგში უნდა ვაეხსენოთ ორი ნარკვევი: «Об агглютинативном характере грузинского склонения» (1931) და «О двух суффиксах множественности в грузинском» (1932).

ორივე მათგანში აღძრულია ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის საკითხები სინქრონიული და დიაქრონიული პლანით. მ. შარის, ა. შანიძისა და სხვა მკვლევართა მსავსელ, კ. დონდუა თელის, რომ ქართულ ენას სხეღთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად მოე-

პოეზია ორი სუფიქსი — -ი და -ებ. ამასთან კარგად იცის, რომ გვაქვს ავრეთვე -თ (ა) სუფიქსიც, რომელიც სახელთა მრავლობის აწარმოებს მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში (მონათა ჰეიდრეს, მონათ მისეულთ, მონათ ნახვ). -ნი მორფემა ავტორმა სამართლიანად ღარიბა არა მართო სახელობითსა და წოდებითში (რაც აღრე აღნიშნული ჰქონდათ სხვა მეცნიერებსაც), არამედ, დიალექტთა ჩვენებით, მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითშიც (ჩვენ დავუმატებთ: ჩანს მოქმედებითსა და ვითარებითშიც), ოღონდ ზოგიერთ ნაცვალსახელში: სახ. ესე-ნი მავე-ნი მოთხ. აშვე-ნი-მა მავე-ნი-მა მიც. აშვე-ნის მავე-ნის ნათ. აშვე-ნის მავე-ნის

შველეთარი აქვე მართებულად მიუთითებს, რომ ამ დიალექტურ პარადიგმებს სალიტერატურო ენის ამა-თ, მავა-თ, იმა-თ შეესატყვისებო. ეგ, ცხადია, უდავოა, მაგრამ პარადიგმებში მხოლოდ -ნის გამოყოფა მრავლობითი რიცხვის ნიშნად დასაბუთებული არ არის, უნდა გამოყოფილიყო -ენ, თეცო ორივე ვარიანტი (-ნი II -ენ) საერთოა ზმნებისათვისაც (შტა. წერო-ნი მთ, ავთო-ნი მთ; წერ-ენ ისინა, ავთებ-ენ ისინი). პარადიგმებიდან ნათლად ჩანს ქართულში ბრუნების ავლტრინაციური სტრუქტურა და არა ფლექსიური.

კ. ღონღუას მიერ დამოწმებულ მაგალითებს უნდა დავუმატოთ გურული დიალექტის ჩვენებაც (მაგინი იყვენ, მაგინმა თქვეს, ჰაინს უთხრეს. მაგინის ვაყეთებელია, მაგინით ტრახახოტენ, მაგინთ ვახადეს...):

- სახ. მავ-ი-ნი აშვე-ნი
- მოთხ. მავ-ი-ნი-მა აშვე-ნი-მა
- მიც. მავ-ი-ნის აშვე-ნი-ს
- ნათ. მავ-ი-ნის აშვე-ნი-თ
- მოქმ. მავ-ი-ნი-თ აშვე-ნი-თ
- ვით. მავ-ი-ნათ აშვე-ნი-ათ

დასაბუთებულ ნაცვალსახელთა მრავლობითობის ეს დიალექტური წარმოება საკულისხმო და დამაღიქრებელია, მისში სისტემის სრული სახე ჩანს. არც ძველსა და არც ახალ სალიტერატურო ქართულს ეს სისტემა აღარ შეიშორა. მხოლოდ ზოგი დიალექტი (მაგ., გურული) გვჩვენებს -ნი/-ენ მორფემას ზმნებულ ნაცვალსახელებთან ერთად რამდენიმე სახელის მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში. ჩვენ შემთხვევა გვეჩინდა, რომ ჟერ კიდევ 1936 წელს გურულში დავუდგინებდნენ იმის მეტად იშვიათი მაგალითები (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936, გვ. 342):

- სახ. ბადიშ-ენ-ი
- მოთხ. ბადიშ-ენ-მა
- მიც. ბადიშ-ენ-ს
- ნათ. ბადიშ-ენ-ის
- შეზობლ-ენ-ი
- შეზობლ-ენ-მა
- შეზობლ-ენ-ს
- შეზობლ-ენ-ის

ვით. ბადიშ-ენ-ათ  
წოდ. ბადიშ-ენ-ათ  
ეს პარადიგმები მიწმობენ: **მეზობლ-ენ-ათ**  
**შეზობლ-ენ-ათ**  
ეს პარადიგმები მიწმობენ: **ტრქმ** **სყრტმ**  
ისტორიულად სრული ყოფილა. მრავლობითი რიცხვის წარმოება სახელებისა ავლტრინაციურია. -ნი/-ენ მხოლოდ რიცხვის მაჩვენებელია და არა ბრუნვისა და მას შეაძლება დაერთოს ბრუნვათა ნიშნებიც (გვიხსენით ბადიშ-ენ-მა და მისი ტრახა პარადიგმები).

ამასვე გვიჩვენებს -თ(ა) მორფემის ზმარეულებაც. -თ(ა)-ს ფუნქციაც ისტორიულად სახელთა მხოლოდ მრავლობითი რიცხვის წარმოება ყოფილა და მას ბრუნვასთან საქმე არ ჰქონია, ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი დიალექტური წრიდან მოდის ეს შეთვისებულობა ეგ სისტემა, მაგრამ ძველი ქართულს ემინიშნულობავს ძველებში რვალიზებულია. შესაფერისი ნიშნები დამოწმებული აქვს თვით კ. ღონღუასაც იმ, მაგალითად, რა შემთხვევებს ვპოულობთ ძველ ქართულში (მოგვეყვას კ. ღონღუას მაგალითები):

- ა) მსახლერელი მიცემით ბრუნვაში:
  - ქელ-თა მტერ-თასა (წარტყვ. ია, 30, 31). წარვედით შეზობარ-თა გზა-თასა (იქვე, იბ., 3).
  - ძე-თა მთ ხარჯ-თასა სცა აბრაჰამ საცმელი (დაბ., 25, 6, ოქც.).
  - დასღვიან ბებთ ზედა კაც-თასა (აღიშ., მათ. 23, 4).
- ცელი ძირ-თა თანა ხე-თასა ქეს (იქვე, მათ. 3, 10)...

- ბ) მსახლერელი ნათესაობით ბრუნვაში:
  - საყრველ-თა ქორც-თა-ნსა (პ. ინჯ., სსს, 3, რაფ).
  - ძე-თა თვის კაც-თა-ნსა (ცელა, 184, 11, 3).
  - პირთა-ვან მთავარ-თა მსა (კომ., 2, 3)...

ამ მაგალითების ჩვენების შემდეგ ბუნებრივია კ. ღონღუას დასკვნა: -თ(ა) არის არა ბრუნვის, არამედ მრავლობითობის ნიშანი, გამოყენებული ირბ ბრუნვებშიც. აქვე, სქოლოში, ავტორი მიუთითებს, რომ ეგვევ -თ მრავლობითობის ნიშანი ზნის ზირველი და მეორე პირისათ: ვწერ-თ, სწერ-თ... ძველ ქართულში, როგორც ენობილია, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვაში სახელთ მრავლობით რიცხვში იშვიათად გვხვდებოდა და მას მხოლობითი რიცხვი ცვლიდა. ეს ფაქტურ, აღრე შენიშნული მ. ბროსეს მიერ; მართებულად მიიჩნია კ. ღონღუამაც და ბეჭი ახალი მაგალითით ცხადყო. ებ-იან მრავლობითში ბრუნვის სისტემა იშვიათად სრული იყო და ასევე დარჩა საშუალოსა და ახალ ქართულშიაც. ამიტომ კანონზომიერად ჩამოკო-

ლბდა აზრი, რომლის თანახმად ნა.რ.თ.ან.ან მრავლობითს არ მოეპოვება მოქმედებით და ერთარებითი ბრუნვებით. როგორ უნდა გარჩეულიყო მრავლობითი რიცხვი მოქმედებითსა და ერთარებითში? მხოლოდ კონტრაქტით ანდა თარგმანის წყალობით. ამისთანა შემთხვევების გამო მარჯვედ შენაწავდა ივ. იმნაიშვილი: მათ აქვთ „ფორმა მხოლოდითისა, შინაარსი მრავლობითისა“.

კ. დონდუამ ორიგინალური ახანა მოუძებნა მრავლობითი რიცხვის ორ სუფიქსს ქართულში — -ნ და -თს და -ებს. პირველი გონიერია, მეორე — ნოთთან კლასის მაჩვენებელი მიიზნა. ე. ი. აქ მან ე. წ. გრამატიკული კლასის კვალი დანახა. ამ აზრმა შეცნობებში მხარდაჭერა ვერ პოვა და საცოლობად იქნა აღიარებული. ჩვენ კი ვთვლით, რომ მოვლენის დონდუაშვილი ახანა ნამდვილად ორიგინალური და საინტერესოა; ორიგინალური, გნებათ, იმიტაც, რომ იგი ქართულში გრამატიკული კლასის ოდესღაცდელ არსებობას ვარაუდობს, მაგრამ საამისოდ ყურყურებით, როგორც მიუთითებდა ივ. იმნაიშვილი, დამაჯერებელი დასკვნები არა გვაქვს. იქ, სადაც გრამატიკული კლასის ნიშნები ვგვხვდებით, უარყოფითად აღვიღო ჩანს (თქვამს ეს არ ნიშნავს ძიების უპერსპექტივობას).

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სპეციალურ ლიტერატურაში ც დონდუას წარმოდგენა და მკვლევრებულ შეხედულება შემდგენიარად:

1. ქართულში გვაქვს სახელთა მრავლობითი რიცხვის არა ორი აფიქსი, ე. ი. ორი მრავლობითი ა-ნ, -თ(ა) და ბ-ებ, არამედ სამი: ა-ნ, ბ-თ(ა), გ-ებ.
2. ისტორიულად ამ აფიქსთა წარმოების სიმივე სიტემა სრული უნდა ყოფილიყო (ახლა სრულია ძბოლოდ -ებ სისტემა), სალიტერატურო ენამ ეს ნაწილობრივ შემოინახა, დიალექტებში — შედარებით მთლიანად. ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთი სახელისა და ნივთიანების ბრუნვის დაილექტებში (ყვარულ გერულში).
3. -თ(ა) არის სახელთა არა ბრუნვისა და რიცხვის საერთო ნიშანი, დატვირთული ორი ფუნქციით (ე. ი. მაჩვენებელი მრავლობითი რიცხვისა და ირბიბი ბრუნვისისა), არამედ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რასაც ემატებოდა ბრუნვის ნიშანიც (შდო: თა-სა, თა-სას).
4. სახელთა მრავლობითი რიცხვის აგლუტინაციურ წარმოებაში ქართულში არ იყის ტალოლოგიური რყევა ფლექსიურ ზოხისაყენ გადახრის სახით.
5. -ნ-ენ, -თ(ა) სახელისა და ზნის მრავლობითობის საერთო სუფიქსებია, -ებ დიალექტური შემონაერთია ძველ სალიტერატურ

არ ქართულში. სამივე სუფიქსის თანამარება ძველი სალიტერატურო კანონულსა კანონს ზომიერი თავისებურება იყოს. მაშინ მარჯვედ შედარებით იშვიათობა ძველი სალიტერატურო ქართულის ძველებში არ ნიშნავს მის გვიანდელ წარმავლობას, ან სიახლეს. იგიც ისევე ძველია, როგორც -ნ-ენ და -თ(ა), ოღონდ გარკვეული დიალექტური წრიდან შეთავსებული. -ამ მორფემის სინტაქსური ძალა შემდეგ უფრო გაფართოვდა. რყევის ვხვდებით არა მარტო ძველი ქართულის ძველებში (-ებთან მრავლობითში დასმული საზღვრული უბირატესად ვერ ითანხმებს რიცხვში მსახლერესს), არამედ ახალ ქართულშიც. ახალ ქართულში ხშირად ებ-თანა ქვემდებარე ვერ ითანხმებს რიცხვში შემასმენელს და სტრუქტურულად ძველი ქართულისაყენ იხსრია (შდრ.: ჩვეულებრივ არის ზნებები ჯა არა არიან ზნებები; იღვა სახლები და არა იღვენენ სახლები). ამ რყევას, როგორც არა ერთგზის აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, თავისი საფუძველი აქვს.

კრებულა პოლიგრაფიულად სინიმემოდაა გამოცემული. ზოგი ტექსტები ნაკლი (ხშირად მორფოლოგიური ელემენტების უმართებულოდ გამოყოფა, აღდა-აღვ გრამატიკული შესაბამისიანი) და ცალკე კორექტორული ცდომილებანი (სამწუხაროდ, არც თუ ცოტა), რაც ასე რთული წიგნის გამოცემას უოველთვის თან სდევს ზოლში, შობაბეჭდილებას ოდნავადაც ვერ აწელებს. ამ კრებულას გამოცემით ემატებულ დიდი და საქარო საქმეა ვითარებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება განაგრძობს დაწყებულ საქმეს და უფროოდ გარდაცვლილი მოღვაწის შეცნობრულ შემკვიდრებას სრულად გამოამზებებს. პირველ რიგში სასტრუქტურო იქნებოდა კ. დონდუას კაპიტალური სეანერ-ქართულ-რუსულ ლექსიკონის“ გამოცემა. ცნობილია, რომ ამ ლექსიკონის შედგენაზე კ. დონდუა მთელი 30 წლის განმავლობაში მუშაობდა, დაამთავრა მისი საბოლოო ვარიანტი დ კლდეც გადასა წარმოებას, როგორც ვაუერტ, ამ რთული წიგნის აწყობაც იყო დაწყებული, მაგრამ ავტორის მოულოდნელად გარდაცვალებამ საქმე შეაფერხა, ლექსიკონი თავისი სტრუქტურით უნიკალურია და ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. უოველი მეთაური სიტყვა აქ დოკუმენტრებულია ნაორფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით, რაც ავტორს შეეჩრებული ჰქონდა გამოცემულ სეანერ ტექსტებთან და შემოწმებული ადგილები სანდო ინფორმაციებთან. არა ვრთი და ორი ლექსიკონი ერთდროულ შეწყობულია შესაბამის ქართულ და კლხერ მასალისთან და მარჯვედ

რეკონსტრუირებულია საერთო ქართული ფუძემდებები. ლექსიკონში წარმოდგენილია სვანური ლექსიკის სპეციფიკა და ქართველურ ენათა ლექსიკის საერთო საფუძველი. მერხველი, თა-

ვად ავტორი როგორ ელოდა თავისი ამ დიდი სიუვერული შედეგნილი ნაღვერის გამოცემას! **ხელოვნება**  
**პლ. დღონდი**

# რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები

ელგუჯა ხინთიბიძის წიგნის „მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“ გამოსვლის გამო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფ. ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომი „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“. იგი უძველეს საგულახსმო მოვლენა როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის, ისე ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა შეხსენების თვალსაზრისით.

ავტორი მიზნად ისახავს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ახლებურად გადაკრას რუსთაველის ფილოსოფიურ შეხედულებათა ძირითადი პრობლემები და შეშლუბისაშებრ განსაზღვროს პოეტის ადგილი შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში.

ეს საინტერესო შრომა ოთხი ნაწილად იყო შედგება. პირველ ნაწილში ავტორი არკვევს ვეფხისტყაოსანში ასტროლოგიური ნაკადის საკითხებს; მეორეში იგი ეხება უზუნაეის არსებობის, მარლ მესამეში — ეთიკის ძირითად პრობლემებს, მეოთხე ნაწილში ავტორი მსჯელობს რუსთაველის ადგილიანათვის შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში. აქვეა განხილული ვეფხისტყაოსნისა და არეოპაეტაკის ურთიერთობის საკითხები.

ავტორს რუსთაველის მსოფლმხედველობითი კვლევის თვალსაზრისით საქმად რთულია ვსა აურჩევია; იგი ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას ძირითადად პოეტის მხატვრულ სახეებსა და გამოთქმებს ემარება და მაღალი მეცნიერული მჭელობის გზით მათი უოველმზრითა ანალიზის ნიადაგზე სათანადო დასკვნება გამოაქვს. ამ თვალსაზრისით განხილულია ვეფხისტყაოსნის „მთარის მოვანება“, „ქაღნი ზეცერნი“, „ცხრა და შვიდი ცა“, „მშანნი დამე“, „უთამო ვამი“, „ერთ-არსებობა ერთიანა“, „ბუნება-ზიარა“ „სახე უოველისა ტანისა“ და სვცა მისთანანი.

ნაშო.იმში უძველესად ვეაქვს მოცემული და-

მჭერებელი ახსნა-განმარტებანი მთელი რიგი მხატვრული სახეებისა, რომლებშიც ჩაქსოვილია რუსთაველის მრწამსი და თვალსაზრისი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

ავტორს გულდასმით შეუწყაილა საკითხის ირგვლივ ქართულ, რუსულ და ევროპულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ამა თუ იმ ლიტერატურული და ფილოსოფიური საკითხების კვლევისას ჩინებულად იუენებს ბერძნულ ტექსტებს და წარმატებით მიიკვლევს ვსას ზოგჯერ ძალიან რთული პრობლემის ძიებისას. უოველვე ამას თან ემატეა ის დიდი ღირსება, რომ ე. ხინთიბიძე, როგორც ეს შრომიდან ჩანს, შესანიშნავი მეოღენა ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და მისი ვარიანტობისა. უოველვე ამან განამარტოა ის ფართო კვლევის შესაძლებლობა, რასაც ავტორი აწარმოებს და ის საგულახსმო დასკვნები, რაც ღრმა ძიების შედეგადაა მიღებული.

ავტორი მსჯელობს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად, სათანადო მასლის მომარტებით; რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები ახლებურად, ორიგინალურად არის გადაკრალი.

შრომის ავტორი მის მიერვე შერჩეულ მხატვრულ სახეთა და გამოთქმათა ფილოლოგიურ-ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე, მსოფლმხედველობითი პრობლემების თვალსაზრისით ადგენს მათ (ამ სახეთა) ერთიანობას, მათ საერთო რაქვსა თუ ვსას, რაც ადგილი საქმე როდით.

ამასთან დაკავშირებით იგი განიხილავს ვეფხისტყაოსნის პრობლემებს, როგორცაა, ვაგალითად ასტროლოგიური ნაკადი, საკითხი უზუნაეის არსებისა, ეთიკის პრობლემები, რუსოველის ადგილი შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში.

ამ ძირითადი პრობლემების განხილვისას



იგი ძალიან ბევრ საკითხს ეხება, მას ურბად-  
 ლების გარეშე არ ჩანება არცერთი წერტილი-  
 ნი საკითხიც კი და მათი მიმოხილვის საფუძ-  
 ველზე აგებს, ამ სიტყვის ქვეშაობა მნიშე-  
 ნელობით, საფულისხმოდ მეცნიერულ წარმოქმ-  
 ნის, რომელიც, როგორც აღინიშნა, თვალსაზრის-  
 ადგილს დაიკურს ვეფხისტყაოსნის ტექსტის  
 სათანადო ადგილების გაგებისა და მისი ავ-  
 ტორის მხოველმთიანელობის ცვლადის თვალ-  
 საზრახით.

ელ. ხინთიბიძის გამოკვლევით ვეფხისტყაოს-  
 ნში მძლავრი ასტროლოგიური ნაყოფი არსებობს;  
 მისი ცა ასტროლოგიურია. დღევანდელი ასტრო-  
 ნომის მიხედვით შეუძლებელია მთვარის მო-  
 ვანება. ჩაღვანად მას ვახი (სადგომი, ბინა) არ  
 გაჩნდა; იგი მუდმივად შობრაობს. მაგრამ ჰვე-  
 ლად, როცა ციურ სამუაროზე აღმართა შე-  
 ხედულებებს ამუამად უკვე მკვდარი მეცნიე-  
 რება — ასტროლოგია განაპირობებდა, ასე არ  
 იყო, ჰველი შეხედულებებით ცთომილებს, მათ  
 შორის მთვარესაც. ცაში თვითნათი ბინა (მუ-  
 რჩი) გაჩნდათ. ამ ბურჭთა სახელებია: ღრან-  
 კალი, თხის-ჩქა, მერწყული, თევზი, კურა,  
 მარჩბივი, ლომი, ქალწული, ვერძი, კირჩხიბი,  
 სსწორი, მშვილდისანი.

ასტროლოგიური მკითხაობა დამოკიდებული  
 იყო იმაზე, თუ ბურჭებში ცთომილი როგორ  
 არიან გამოლაგებულნი. ცთომილთაგან ზოგი  
 კეთილია, ზოგიც — ბოროტი.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, როგორც ეს  
 შრომის ავტორსაც აქვს აღნიშნული, ცთო-  
 მილია სახელები შემდეგია: მზე, მთვარე, მე-  
 შთარი, ასპირონი, მარბიბი, ზუალი, თთარიდი,  
 სულ შვადი ცთომილია.

საბას ლექსიკონში მუშთარის ნაცვლად  
 დია ვახვდება, ასპირონის ნაცვლად ა.უ.  
 რ.ო.დიტი, მარბიბის სამაგიეროდ არ.ო.ა.  
 (არეა), ზუალის ნაცვლად — კ.ო.ნ.ს.ო, ხო-  
 ლო ოტარიდის ნაცვლად ტერმინი ერ.ში არის  
 გამოყენებული.

მუშთარი, მარბიბი, ასპირონი, ოტარიდი,  
 ზუალი ციურ ცთომილი აღმნიშნული სპარ-  
 სულ-არაბული ტერმინებია, რაც ქართულში  
 ადრევე დამკვიდრებულია.

ელ. ხინთიბიძის მიერ შენიშნულია ის გა-  
 რემოება, რომ მზე რუსთველს პირველ ად-  
 ვალზე მოუთავსებია.

ავტორის გამოკვლევით, „მთვარის მოვა-  
 ნება“ ნიშნავს ამ მნათობის ასტროლოგიურ  
 სავანი, სადგომში შესვლას. საუთარ ბი-  
 ნაში დავანებული მთვარე მთელი ძალით ვა-

დმოაღრქვევს თავის ბრწყინვალეობას და მის  
 გარშემო ნათელი დგება.

ავტორის აზრით, რაზედაც უნდა დავუთარ-  
 ხნოთ მას, მთვარის სავანეში შესვლის აღმნი-  
 შნელ ტერმინად ქართველებს უნდა გამოე-  
 ენებინათ მოვანება ან ვანება. მკვლევარმა და-  
 მკურებლად გააჩყვია „მთვარის მოვანების“  
 შესატყუელი სახე და იგი უფლასათვის გასა-  
 ვება ვახადა; ამასთან, მან აჩვენა აღნიშნული  
 სახის გამოყენების შემთხვევები რუსთველის  
 შემდეგდროინდელ ლიტერატურაში და ახსნა  
 მათი მნიშვნელობანი.

ვეფხისტყაოსნის სათანადო კონტექსტები,  
 ავტორის გაჩვენებით, ასახავენ მთვარის ას-  
 ტროლოგიურ სახეს სწორედ იმეგარად, რო-  
 გორც იგი ვაზრებულია ბერძნულ-ლათინურ  
 და ქართულ ლიტერატურაში.

უფლადერი ეს სწორია, მაგრამ, ეტყობა,  
 ავტორი იმედნად ვაუტაცია სავანების (ბურ-  
 ჭების) ასტროლოგიურ თეთრისას, რომ რუს-  
 თველის მეტაფორებიც (ტარბელი — ლომი,  
 ნესტანი — მზე) ასტროლოგიურ სახეებად ჩა-  
 უთვლიდა. მისი მსჯელობის მიხედვით ტარბელი  
 — ლომი და ნესტანი — მზე ერთმანეთს უნდა  
 შეხედნენ, ისინი უფრთხანეთოდ ვერ იქნებან;  
 ლომმა და მზემ ერთმანეთი დაკარგეს, ისინი  
 ერთმანეთს დაეძებნენ. შოტანილია ბტრიქომა:  
 „ცნა ამირბარმან, წაეიდა ლომი მის მსახა  
 მებნელად“ (1236,1). ავტორის აზრით, „ლო-  
 მი — მზის სადგომი“ (ბურჭი) წაეიდა მისი  
 მოხინადრის — მზის საძებნელად. სხვა მაგა-  
 ლითებიცაა წარმოდგენილი იმის დასადასტუ-  
 რებლად, რომ აქ თითქმის ასტროლოგიური  
 სახეებია ვახსნილი, რაც, ჩვენი აზრით, სინამ-  
 დვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. თვით ას-  
 ტროლოგიის თვალსაზრისითაც ვაუშართლე-  
 ბელია, რომ ბინა, სადგომი (ლომი) მის მო-  
 ხინადრეს (მზეს) დაეძებლეს. აქ, ვფიქრობთ,  
 ჩვეულებრივი, რუსთველისათვის დამახასია-  
 თებელი შედარება-მეტაფორები გვაქვს და  
 მცდარი იქნებოდა ისინი ასტროლოგიურ სა-  
 ხეებად გავგავო.

ძალიან საინტერესო მსჯელობას წარმართავს  
 ავტორი „ძალნი ზეცურიის“ მნიშვნელობის  
 გასარკვევად. ზოგიერთი მკვლევარის (ა. შანიძის  
 და სხვათა) განმარტებით „ძალნი ზეცურიის-  
 და „ციის ძალთა დასი“ ანგელოზებია. ერთი  
 მკვლევარის აზრით, მაგალითად, „ძალნი ზეცუ-  
 რიანი“ და „ციის ძალთა დასი“ ქრისტიანული  
 ანგელოზის ცნებანია.

ტერმინი „ძალნი“, როგორც ეს კარვად მოე-  
 ხსენება ე. ხინთიბიძეს, ცნობილია სასულიე-  
 რო ლიტერატურისათვის და იგი ანგელოზთა  
 საშუალო იერარქიის სახელწოდებაა (გვ.15);  
 აქ შემოდინა: უფლებანი, ძალნი და ხელწი-  
 ფებანი; უმაღლეს იერარქიას განეუთვნებანი;  
 სერაფიმნი, ქერამიმნი და საუდარნი; დაბალ  
 იერარქიას შეადგენენ: მთავრობანი, მთავარ-

1 საწაწილზე აღებულია სერათი ასშათის  
 მიერ ავთანდილის ტარიელთან მოუვანისა; „ხე-  
 ლი მოქიდა, მოქუანდა, ვით მთვარე მოსა-  
 ვანებლად, იგი რა წახა ტარიელ, თქვა მზისა  
 დასავანებლად (280).



ველონი და ანგელონი. ეს დღეობა მიღებულია მიწის საქრისტიანო სამყაროსათვის.

საინტერესოა, რომ „ქალნი ზეციერნი“ ღვთისმეტყველებაში და რუსთველის ეპოქის პოეზიაშიც (ანბნულშეხია) ანგელოზების მნიშვნელობითაც იხმარება. საფიქრებელია, რომ იგი ეფუზისტუროსანშიც ამავე მნიშვნელობით იქნებოდა გამოყენებული. მაგრამ, შეკვლევარის აზრით, ეს ასე არ ვახლავთ.

ეფუზისტუროსნის არც ერთი გმირი არ მიმართავს და არ ახსენებს ანგელოზებს. პოეზიაში არსად არ იხსენიება „ქალნი ზეციერნი“, როგორც „უსბულონი ქალნი“, მსგავსად საღმრთო წიგნებისა. პოეზიაში არც ერთი ანგელოზის სახელი არ იხსენიება. შეკვლევარის მოსაზრებით, თუ ავტორს სამოქმედო ასპარეზზე მართლაც ანგელოზთა გამოყვანა სურდა, მის მიერ დახატული ქალები ერთი რომელიმე ნიშნით ჰქონდა უნდა უსგავსებლად ადამიანთა წარმოდგენას ამ ზეციურ არსებებზე, სხვა შემთხვევაში პოეტის მიერ დახატული ზეციური ქალები არ იქნებოდა ანგელოზები (გვ. 52).

ბიბლიური ტექსტების სიბრძნეო ანალიზის შედეგად ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსთველის „ქალნი ზეციერნი“ ვარსკვლავებს, ასტროლოგიურ მნათობებს ნიშნავს. ავთანდილის გალობაში მნათობება ასტროლოგიური ნიშნებითაა დახასიათებული. მნათობებს თავისთავად არავითარი ძალა არ გააჩნიათ. არსებობს ერთი ღმერთი, რომელსაც ისინი ემორჩილებიან. ეფუზიური ღვთის ნებით ხდება და არა მნათობებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ელ. ხიზთბიძეს, როგორც შეკვლევარის, დადებითი მხარე იხივია, რომ იგი სკაროსის არგვლად არსებულ მასალებს სრული სახით წარმოყვადგენს; სინამდვილეს. ტექნიკიტებას ეძიებს და სრულიადაც არ უფრთხობს მისი დებულებას საწინააღმდეგო ფაქტების გამოწვევებისადაც. ნათლად დაგვიხატავს არსებული ვითარების სურათს, ორივე მხარეს გვიჩვენებს და ერთ-ერთ მათგანს მიემხრობა. ასე, მაგალითად, „ქალნი ზეციერნი“ შესაბამისად საქრისტიანო დაატერატორიან წარმოადგენს მსგავსებებს, სადაც აღნიშნული ტერმინი ანგელოზებად არის გაგებული. ამჟამად დროს გვიჩვენებს ისეთი შემთხვევებიც, სადაც „ქალნი ზეციერნი“ მნათობებს ნიშნავს. შეკვლევარმა შენიშნა, რომ როცა „ქალნი ზეციერნი“ ანგელოზებს მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ მას ახლავს ამხსნელი სიტყვა „უბოტციონი“. „უსბულონი“ და სხვა მისთანაში, მაგრამ მნათობების მნიშვნელობით მისი გამოყენებას შემთხვევაში იგი უოველგვარი ამხსნელი სიტყვების გარეშეა ნაშვარი.

ეფუზისტუროსანში სწორედ ამ მეორე შემთხვევაშიან გვაქვს საქმე: რუსთველი ტერმინებს „ქალნი ზეციერნი“, „ციხე ქალთა დაბი“

მნათობების მნიშვნელობით ზმარობს და არა ანგელოზებისა.

ამ ტერმინებს შეიძლება შევამოთ, სიტყვა „ციერნიც“, რომელსაც პოეტი, ჩვენი აზრით, აგრეთვე მნათობების მნიშვნელობით უნდა ხმარობდეს:

იტყვის: ეპ, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,

ერთ-არსებისა ერთისა, ვინ უქამოსა ქამისად,

ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,

ბედსა ნუ მიცელი, შიაცე. შეყრამდის ჩემად და მისად!

ვის ხატად ღმრთისად ვიტყვიან ელიოსოფონსი წინანი,

შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, გაქვნი მამიან, რეინანი (მპნ).

ამ სიტყვებით მიმართავს ავთანდილი მზეს, რომელიც არის „ხატი ღვთისა“, — მზიანი ღამისა“, „ერთ-არსებისა ერთისა“, „უქამო ქამისა“.

ეს მზე განაგებს ცხა და მიწასაც (აღამისების ბედს), იგი „უმძლესთა მძლეთა მძლეთა“, რომელსაც მძაბალთა გააძლესა შეუძლია:

მიშველი ცხა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჭუბო შენ უმძლესთა მძლეთა მძლეთა,

ვინ მძაბალთა გაამძლეს, მეფობასა მისცემ, სეესა,

მე ნუ გამურო საეუბრესა, ნუ შემიციელი ღამედ დღესა (957).

შეუველფრის შემძლეა, იგი ღვთაებაა, რომელსაც მსოფლიო (ცა და ხელი) ემორჩილება:

„სტრიქონი — ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად, ღვთის შექება, მისი ძალისა და დიდების გამოვლენაა. მას შეუძლია ერთ წამში, თვალის დახამამებაში, დამორჩილებს მნათობების და სურვილისამებარ წარმართოს მათი მოძრაობა.

ქართული ლიტერატურის დიდი მკვლევარს კორნელი კეკელიძის აზრით, „ერთ-არსება“ implicite ჰგულისხმობს სამებას, ისე მას არავითარი აზრი არა ექვს.

„ერთ-არსების“ ამ გაგებას მხარი დაუჭირა აგრეთვე თეოლოგიური ტერმინოლოგიის კარგა მკოდნებ კ. ეკაშვილი და სხვებმაც. ამ სტროფის, შესაბამისად თვალსაჩინო სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა.

ისტორიულად ერთ-არსების, როგორც სამპიროვანი ღმერთის გაგება, უოველთვის ერთნაირი არ იყო. არ იყო ნათელი, თუ რაში გაშობიხატება ერთი ღმერთის სამპიროვნება.

ნიკეის პირველმა მსოფლიო კრებამ 325 წელს შეიმუშავა სამპიროვანი ღმერთის ცნე-

ბა, რაც ორთოდოქსალური ქრისტიანობისაჲს აღეშინებოდა.

ყველა ქრისტიანული მწერლობის წარმოადგენლის შუქსაჲ ალმასარბლის (VIII საუკ.) მიხედვით სამპროვანი ღმერთი ასე გააგება: „სრული ღმერთი არს შამა, სრული ღმერთი არს ძე, სრული ღმერთი არს სული წმიდა, არამედ სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთი ღვთაება. სამითა ვუამითა, თანა არსითა. არცა ბუნებითა განყოფიან, არცა ადგილით, რამეთუ სადაცა არს შამა, მუცა ძე და სული წმიდა, და სადაცა არს ძე, მუნ შამაცა და ძეც“ (სამინანი, გვ. ე).

ასეთი გახლავთ ქრისტიანული ერთ-არსება — სამპროვანი ღმერთი.

როგორც ცნობილია, აქედ. კორნელი კეველიძემ ნაცვლად გამოქმენა „მზიანისა ღამისად“ წაიკთხა — „მზიანისა სამისად“. ეს შესწორება რუსთველილოვანისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ კ. კეველიძემ რუსთველის ღოგაყის არსი სწორად ამოცნო, მისა თვალსაზრისით სამივე გამოქმენა შინაარსობრივად ერთი და იგივეა. „მზიანი ღამე“ და „უფამო უამის“ სამპროვანი ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვებია. რომ ეს უფრო ცხადი გახდება, გამოქმენა „მზიანისა ღამისად“ წარუყვნილად მიიჩნია და მის ნაცვლად, როგორც აღინიშნა, „მზიანისა ხამისად“ შემოკვთავაზა.

„ერთ-არსება ერთი“ ამ კონტექსტში ერთ ღმერთს უნდა ნიშნავდეს (არა სამპროვანს); ავი ავთანადელი იქვე ეუბნება მუცს:

მე. მზეო...

ვის ზატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი. მასხდ უნდა ნიშნავდეს „მზიანი ღამე“ და „უფამო უამის“.

შრომის ავტორმა ელ. ხინთაბიძემ კარგად იცის, რომ საქრისტიანო ლიტერატურაში მზე ზოგჯერ ქრისტეს მეტაფორული, სიმბოლური სახელია. ეს სხვადაც აქვთ შეგანსწული (პროფ. ფ. ლოლაშვილი, კ. ევაშვილი); ამ სტროფში მზე „ხატა ღვთისა“, ეს დებულება კი თეოლოგიურ აზროვნებაში ცნობილი და გარკვეული დებულებაა.

გვაპოება რა მ. გვიგენიშვილის მოსაზრებას, ე. ხინთაბიძე უიკრობს, რომ „მზიანი ღამე“ გასხვოსნებულ დამეც ნიშნავს. იგი არ არის შუალამის მზე; მისი აღრევა მისტერიების შუალამის მზესთან შეუძლებელია მისტერიების შუალამის მზე არ არის ღვთაების სახელი, თუ „მზიანი ღამე“ ვეფხვიტეაობანში ღვთაების სახელად გვევლინება. იგი ნიშნავს კოსმიურ ქრისტეს შეხებებ მომღვრების ზიარებას და არა კოსმიურ ქრისტეს, „მზიანი ღამე“ არის უზენაესი არსება, ერთი ღმერთის კატეხატორ-ამოფ-ტორი სახელი. „უფამო უამის“, ავტორის მტკიცებაჲ, არის აგრეთვე უზენაესი არსების სახელი და არა

მაინდამაინც სამების მეორე მიმოსტებას ქრისტეს სახელი. ამ ადგილას ერთ-არსება ერთი — ესაა ავტობოტი. ეს სამივე სახელი არის უზენაესი არსების, ერთი ღმერთის და არა მაინდამაინც ქრისტიანული სამების, ანდა ამ სამების რომელიმე პირის (მაგალითად ქრისტეს) სახელი.

„ერთ-არსება“ ქრისტიანული სამების თვისებაა. ქრისტიანული სამების თვისებაა არსებით ერთობა. ავტორის მტკიცებით ავთანადლის ღმერთი არის არსებითად ერთი და ერთპროვანი. ავთანადელი ღვთაებას უწოდებს მზიან ღამეს, ერთ-არსება ერთს და უფამო უამს (გვ. 149).

ელ. ხინთაბიძის დასკვნების მიხედვით აგრესისტოპოსის უზენაესი არსების სახელესა ქრისტიანული დოგმატიკის სტეფანეურ დოგმების ამოკითხვის ვეფხვიცა კნა ზედოვწერია, რუსთველის პოემაში თვალსაზრისთა გამოხატული პოეტის არადოგმატიკური რელიგიურ ტენდენცია და ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს“ (გვ. 167).

ამ დებულებებით უარყოფილია ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ ზაგრატიონის, კ. კეველიძის, ე. ნიშანის, ა. ვაგრელიას და სხვათა შრომებში გამოთქმული მოსაზრებანი, სადაც რუსთველის „ერთ-არსება“ ქრისტიანულ ღვთაებადგა გაგებულია.

ვეფხისტეაობანში ავტოლოგიურა ნეაჲდის არსებობა არც მოულოდნელია და არც გასაკვირი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, ამ ეპოქის აღმოსავლეთის პოეტების (ხუანის, ნიშანის და სხვათა) შემოქმედებაში მძლავრადგა გამჭდარი ავტოლოგიურა თვალსაზრისი. მნათობების ავტოლოგიურა დახასიათება მტკიცედ დამკვიდრდა პოეზიაში; მან გამოყოლო ილანობა და ქრისტიანობის საუყურეები და დღესაც პოეზიისათვის ავტოლოგია მკედრად არ ჰაითვლება, მეცნიერულმა ავტორონიამ იგი მოეზიიდან ვერ გამოდევნა.

აქვე აღნიშნავთ, რომ ე. ხინთაბიძე არ არის პირველი მკვლევარი, რომელმაც ვეფხისტეაობანში ავტოლოგიურა აზრები და დებულებები ამოიკითხა. მას აღრევეც ჰქონდა ადგილი, მისი დამსაბურება ისაა, რომ მან შეაქაზა ამ მიმართულებით ზატარბული მუშაობა, ადრე გამოთქმული მოსაზრებება, გამოაღენა ახალი ფაქტები და უფრო ვადრბევა ხაკითხის კვლევა.

შესაძლებელია შრომის ავტორს ზოგიერთი შეიკთება შეეცეთ:

ა) ავთანადლის შეხედულებათა კვლევისას არ უნდა დაევიწყოთ, რომ იგი არაბია, მხედარბთბთაგარი (სასხეტე) და, მამაბამე, მამაბიანური რელიგიის მადიარბელი, რუსთვილმა შესანიშნავად იცოდა მუხულმანური ზევებე, მათი წესები, მოვიგონოთ, თუნდაც

როსტვეან მეფისა და ავთანდილის ნაძლევი: „იწყა იყოს უარესი, თავ-მიშველი სამ დღე ვლიდეს!“

საქმე ის არის, რომ მუსულმანი მუღამ თავ-დახურული უნდა იყოს, მისი თავშიშველი სიარული დიდი სასტილია, შერცხუენაა, თუ ქრისტიანისათვის ეს ასე არ არის.

ავთანდილს, როგორც მუსულმანს, არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლო დახმარებისათვის მიემართა ქრისტიანული ღვთაებისათვის — ერთ-არსებობისთვის, ანუ სამიაროვანი ღმერთისათვის. მისთვის, როგორც მამადიანისათვის, აქ მართალია შრომის ავტორი, ღმერთი ერთია და ერთბაროვანი. მაგრამ ამავე დროს უცნაურად ჩანს მნათობებისადმი, ანუ ვარსკვლავებისადმი მისი მიმართვა, რადგან მუსულმანურ სამუაროში მნათობებს კი არ ევადრებიათ, არამედ ერთბაროვან ღმერთს. ყურანის დებულებით ღმერთი ერთია და მას მოადგულებენ და თანაშემწეები არა შევს, მითუქუტის მნათობები; თუ ავთანდილს ქრისტიანული მოძღვრების მიმდევრად გავივებთ, ასეთ ვითარებაშიც დაუშვებელია მისი მხრავ მნათობებისადმი ევადრება, მათთვის ვანცდებისა და გულისწადების გაზიარება; მაგრამ ფაქტია, რომ პოემში ამახ დაგილი აქვს. ავთანდილი შორდება როგორც მამადიანურ, ისე ქრისტიანულ დოგმატიკას, თითქოს მისი ღვთაებრივი რწმენა ცვალებადობა განიცდის.

ავტორის განცხადებით პოემის გმირთა რელიგიური რწმენა არ თავსდება მუსულმანური, არც ქრისტიანული აღსარებას წარჩევაში, ავტორი ვეფხისტყაოსნისა არ ღვას თან-მიმდევრულად ისტორიულად არსებული რწმენაზე რელიგიის საფუძვლებზე, მის მიერ უფლებებულყოფილია ყოველგვარი რელიგიური დოგმატიკა, რუსთველის უწენაესი არსება დაპოეადებელია; იგი უშუკვლად გამოდის ქრისტიანული რელიგიიდან, მაგრამ არ რჩება მის საზღვრებში.

შესაძლებელია ყოველივე ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს, იყოს ასახვა პოემის აღმანდელ ტექსტში არსებული ფაქტებისა, მაგრამ შევნიშობთ ანტიტრესებს ახლა მხოლოდ ასახვა სინამდვილისა, არამედ ახსნა იმისა, თუ რატომ არის ასე და არა სხვანაირად?

ბ) თუ ვეფხისტყაოსნში ძირითადად ქრისტიანული მრწამსი არ არის გახატონებულა, საიდან გაჩნდა მასში ასე უხვად ქრისტიანული თეოლოგიური ტერმინოლოგია: ძალი, ძალი უხილავი, უფალი უფლებათა, ზეცაჲა ძაღნი, ცის ძაღთა დასი, ერთ-არსება ერთი, უფაო უამი და სხვა მისთანანი, თუ ამ ტერმინებს პოეტი არაქრისტიანული გავებით იყენებდა?

გ) აღიარება იმისა, რომ რუსთველი არ თავსდება ქრისტიანული აღსარების წარჩე-

ვებში, ზომ არ ნიშნავს ვეფხისტყაოსნის ერთგორც ქართული დიდი ერთგული ეპიკოსი საფუძვლების წგრევის, ზომ არ არყვეს იგი მისი რიგინალობის საძირკველს?

ელ. სინაბოძის ნაშრომი უშუკვლად მდებარია ახალი მოსაზრებებითა და პრობლემების დასმით. ერთ საინტერესო პრობლემად განს, რომელსაც იგი განიხილავს, რუსთველის მსოფლმხედველობის არისტოტელეს ფილოსოფიასთან ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენს.

შრომის ავტორი სპეციალურად განიხილავს ვეფხისტყაოსნის ეთიკის საკითხებს. მისი აზრით, რუსთველს ეთიკის ახლებური სისტემა აღმოცენებულია ქრისტიანულ ცოიკაზე, მაგრამ პრინციპულად და თვისობრივად მისგან განსხვავდება.

რუსთველის ეთიკური შეხედულებების ფორმირებაში, ვარდა XII საუკუნის საქართველოს სოციალურ პოლიტიკური მდგომარეობისა, ქართული ერთგული წყნობისა და ქრისტიანული შორაღისა, მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია არისტოტელეს ეთიკურ კონცეპციას (გვ. 257-258).

რუსთველის ეპოქის საქართველო კარად იცნობდა არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებას; მისი თხზულებები ქართულად უთარგმნათ ისეთ გამოჩენილ ფილოსოფოსებს, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი — გელათის ავადმეის ზღუამდენელი, და არსენ ავლთოელი — მეთაური იყალოის ავადმეისა, სადაც ვადმოცემით, რუსთველი აღიზარდა.

გამორიცხული როდია შესაძლებლობა, რომ ძველი ქართველები არისტოტელეს ფილოსოფიას არა მხოლოდ ზერწმული, არამედ სპარსულ-არაბული წყაროებითაც იცნობდნენ. ძველ ქართულ თარგმანებას და წყაროებას მისი სახელა ზოგჯერ ვადმოცემულია არისტოტელის, სწორედ ისევე, როგორც ეს ფილოსოფოსი წარსულ-არაბულ წყაროებში ასახეობა.

შრომის ავტორი განიხილავს არისტოტელეს ეთიკის თვალსაზრისით მიზნის, სათნობისა, სიუხვის, ვეჯაცობის და სხვა ცნებების განსაზღვრას, უხადავებს ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედებას, ადგენს მათ შორის საერთოს და ასეთი დასკვნა გამოაქვს:

„ეს მსგავსება ჩვენ შემოხედვით მოვლენად არ მიგვიჩნია, რუსთველი შეგნებულად იყენებს არისტოტელეს ეთიკურ პრინციპებს საკუთარი ეთიკური სისტემის ასახვად ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედება, მათი მიზანი არისტოტელეს ფილოსოფიითაა განსაზღვრული, მას ემორჩილება“.

რუსთველის ეთიკურ შეხედულებებსა და არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებას შორის საერთო მომენტების დასახვა და მათი

ვანალიზება ახალ სიტყვას წარმოადგენს რუსთველოლოგიაში. ავტორის შეხედულებათა უკვლავ დიდი და მკაცრი შემფასებელი დროა. ვაუტლებს თუ არა ეს ახალი თვალსაზრისი ეპოქა დენას, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

რუსთველოლოგიის ისტორიას კარგად ახსოვს ის ვარცხნიბა, რომ რუსთველს სხვადასხვა დროს სხვადასხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობებს (ისლამი, მანიქეიზმი, ნეოპლატონიზმი და სხვ.) უსადაგებდნენ; მაგრამ დღეს, სავსომ დროის გახვლის შემდეგ ნათლად ჩანს ის შეცდომები და უზუსტობანი, რაც ამ მიმართულებით სხვადასხვა მკვლევართა მიერ იყო დაწვრილებული. მასთანავე, დრომ თავისი დასკვნა გააკეთა.

ავტორისადმი ასეთი შენიშვნა გვაქვს: არისტოტელის ფილოსოფიის მცოდნეთათვის ცნობილია მისი გამოქმული დოქტრინა „საშუალოსა“, რომელიც, შორის ავტორის სამართლიანი განცხადებით, მთავარ მომენტს წარმოადგენს არისტოტელის ეთიკურ სისტემაში, ელ. ხინთიბიძეს ვეფხისტყაოსანში ამ „საშუალებას“ დასაბამად სხვა მავალითებთან ერთად წარმოადგენილი და განხილული აქვს თათბირი ქაჭეთის ციხის აღების წინ. ფრიდონისა და ავთანდილის გეგმა ორ უკადურსობად არის გაგებული. მათთან შედარებით ტარიელს გეგმა „საშუალია“ და ამდენად სრულწინილი, აცხადებს ის (გვ. 289).

შესარღვებლია რუსთველის გენიალურ ქმნილებაში მართლაც ამოკეთობით ისეთი აზრები და შეხედულებანი, რომელნიც, თავის მხრივ, არისტოტელეს ეთიკურ მოძღვრებას ენათესავებოდნენ, ან სხვებით ემთხვეოდნენ; მაგრამ ჩვენ მაინც შეუძლებელია მიგვიჩინოთ დედ პოეტის რუსთველს არისტოტელეს წაშრომი „ნიკომაქეს ეთიკა“ ჰქონდა წინ გაშლილი და მის მიხედვით განსაზღვრა ამა თუ იმ გზორის მოქმედება. ასე რომ, ქაჭეთის ციხის აღების წინ გამართული თათბირი, არც ტარიელია მოსაზრებით არისტოტელეს მოძღვრებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ეს არის მსჯელობა ციხის აღების სხვადასხვა გეგმზე, რაც მტ ინტერესს იწვევს. იგი რუსთველს, მფიქრობთ, არისტოტელეს ეთიკის გარემცე შემოლო წარმოადგინა.

ნათქვამი, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ამცირებს ავტორის დავიარებულებას და მოსაზრებებს, რომელიც მას ამ მიმართულებით დიდი შესაბამისი შედეგად მოუღია. როგორც ითქვა, ეს არის ახალი ცდები, ახალი ნაბიჯები რუსთველოლოგიაში და ძიების საბოლოო შედეგები ჩერ ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ავტორმა, რუსთველის მსოფლმხედველობაზე საუბრისას განიხილა მთელი რიგი მომენტები, რაც სხვადასხვა მკვლევართა მიერ დღე-

მდე სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული. ესენია: 1. რუსთველის ეპოქის ქართულ სახელწოდების სოციალ-კონომიური სტრუქტურა, როგორც განსაზღვრელი საზოგადოების ახალი ტენდენციებისა და აზროვნებისა; 2. რუსთველის წინადროინდელი ქართული საზოგადოების განვითარების გზები; 3. რუსთველის ეპოქის მსოფლიო პროგრესული აზროვნების ხასიათი და მიმართება. 4. ვეფხისტყაოსანში აშკარად გამოვლენილი რენესანსული სულიერკეთება.

ავტორმა შენიშნა და სათანადო ძიების შედეგად დაადასტურა, რომ „საკეთობა ის ნაკადი, რომელსაც რუსთველის მსოფლმხედველობა ემყარება არის XII-XIII საუკუნეების პროგრესული აზროვნების პრობლემებიცა, რომელმაც ევროპული აზროვნება მიიყვანა რენესანსამდე და სწორედ მათი რუსთველური გადაწყვეტა შეესაბამება რენესანსული აზროვნების დონეს“ (გვ. 334).

რუსთველი, ამბობს, XII-XIII საუკუნეების ახალი პროგრესული აზროვნების ახალი ტიპური წარმომადგენელია, რომელმაც გაუწირო თავის ეპოქას და ევროპული რენესანსის აზროვნების დონემდე ამაღლა (გვ. 335).

ავტორი მსჯელობს იმ ზორციელი სიყვარულის შესახებ, რაც თავის დროზე აღმოსავლურ ზელოვნებასა და პოეზიაში იყო გაბატონებული და შემდეგს შენიშნავს:

„აღმოსავლეთის ეს ოდები ახდენდა გავლენას დასავლეთზე და ეს გავლენა სხვა სამყაროზე უფრო ადრე სპარსული პოეზიის გზით ქართულ კულტურას უნდა განეცადაო“. (გვ. 336).

სპარსული კულტურა და ლიტერატურა რომ ქართულზე გავლენას ახდენდა, ეს უარსყოფი არ არის; ეს ისტორიული და ლიტერატურული ფაქტი არაერთხელ აღუნიშნავს დედ ივანე ჯავახიშვილს. უნდა გავარკვევს, რაში ვლინდება ეს გავლენა, რა ხასიათისაა ის და როგორი ეკვლი დატოვა მან საერთოდ ქართულ აზროვნებაში, კერძოდ კი პოეტურ აზროვნებაში.

სპარსულ პოეტებსა და რუსთველს შორის სიყვარულის დახატვის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა, უკეთ. სხვადასხვაობაა სპარსულ პოეზიაში (ვეფხისტყაოსანში კლასიკურ ხანას), ძირითადად, მიწურის ორი სხვა წარმადგენელი: ერთი (რამანი, საღმანი) ვენებათა ღელვით არიან ამოწარავებული, მეორენი (მარსენი, ფარაჯი) მისტიციზმის ბურუსში არიან გახვეული და მათთვის საერთოდ ვენებათა ღელვა არ არსებობს.

ეს უკიდურესობანი რუსთველს მიერ უარყოფილია. რუსთველმა არ ვანიზარა სპარსულ პოეტების ეს თვალსაზრისი, მჭე ნაწერებში გამოთქმული იდებები; უფრო გასაგებად რომ



ვითაც, დამლია სპარსული ვაფლანა და სანინადმდევი პოლიციებზე დაღვა დაგვიბატა ამალღებული, ქართული წერიბიზა და სიფაქიზით დამწვენებული სიფარული, რომელსაც საფუძვლად საუქუნეთა განმავლობაში შექმნავებული ერთეული, ქრისტიანული მორალა უძევს.

ამათან დაკვეშირებით უადგილო არ იქნება ვაფიბნეთო რუსთველის შემოქმედების დაუცხრომელი მედევიის პრთვ. იუსტ. ახლუაღას სიტყვებს რომელიც 1924 წელს პოემის მისეულ გამოცემაზე თანდართულ გამოკლევებში იყობებდა:

„თამამდ შეძლებდა იქნეს, რომ სპარსეთია ლიტერატურის უბრწინავლეს ვარსკლავებს ფარლოფისა და ნინამი განქელს, არც სხვას ვასმე სპარსელ პოეტთაგანს, ეპიკორომანტოკული პოეზიის სფეროში არ შეუქმნიათ არც ერთი ასეთის ხასიათის ნაწარმოები, როგორიც არის „ეფუხისტავოსანი“, რომელშიაც ვხვდებით ქალ-ვაფის რომანული სიფარულის ქრატარმულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე განვითარებას, წმინდა და წრდელი რაინდული სიფარულის კელტს“ (რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967, გვ. 215).

თუ XII საუქუნის ქართული ფილოსოფიური აწროვნება ეწიწნება აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ახალ სიტყვას ამბობს ამა თუ იმ

პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე რუსთველი ეწიწნება აღმოსავლურ-სპარსულ პოეზიას. მის მოპარლამირე მხარეზე დღემდე კრდევებს საუქუნეთა განმავლობაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, სიფარულისა და მეგობრობის იდეებთან ერთად ახალ სიმალქვეზე ასუფს პოეტური აწროვნება რა მარტო ქართული, არამედ მთელი აღმოსავლური პოეზიის თვალსაზრისით.

შრომის ავტორმა ვეღლადერი ეს შესანიშნავად იცის, ოღონდ, ჩვენი აზრით, ხაჭირია ამ მიმართულებით ჩატარებული ძიების შედეგად წარმოდგენილი დასკვნები ზოგ შემთხვევაში შერბალღებს.

ამით ვამთავრებთ ეღ. ხინთიბიძის შრომის განმალღვას. ჩვენი აზრით, იგა მალღ მეცნიერულ დონეზე დგას. ავტორმა ვეღლადერიანის მხატვრული სახეები ახლღურად ახსნა. მოგვეცა მათი დრმა ფილოლოგიური ანალიზი და ამის საფუძველზე განახიღა რუსთველის ფილოსოფიურ შეხედუღებათა საკითხები, განაზღვრა მისი ადგილი შუა საუქუნების აწროვნების ისტორიაში.

აღნიშნული ნაშრომი, რომელიც მრავალი მასალიზა და წვაროს შესწავლაზე დაფუძნებული, უძვეღლად ახალ სიტყვას წარმოადგენს რუსთველოლოგიაში.

დავით კოხიძე

## ქართული ლექსის სათავებთან

მკლეეარები ადრევე დაწერესდნენ ზევსურული ზეპირსიტყვიერების შესწავლით. ცალღე კრებულად, თუ სხვა კუთხეთა პოეზიის ნაღლშობთან ერთად იბეჭღება ზევსურული პოეზიის ნიღღებში, შექღება ზევსურული პოეზიის თაფისებრებების ზოგი ასექტო. ამ მსრიღ განაკუთრებით დიღია ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, აკად. ა. შანიბის დამასურება, რომელსაც 1931 წელს შენიშვნა-კომენტარებითა და ვარიანტებით ცალღე წიღნად გამოსცა ზევსურული ლექსები („ხალსური პოეზია“ (ზევსურული), თბ., 1931 წ.). მიღხედღად ამისა, მკითხველისათვის დღემდე არ იყო ხელმისაწღდომი ამ კუთხის მეღღესეთა ტრადიციები. ამიტომ, ზუნებრივია, მკითხველო დრმა ინტერესით შეზღდა დ. გოგოჭურის წიღნს „მეღღესობა ზევსურეთში“.

დ. გოგოჭურის ზევსურული ფოლკლორული ტრადიციების საგანგებო კლეეა დაღსახავს მიზნად. ამგვარ კლეევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით. ამასთან იგი გარკვეულ

წელიღს შეიღტანს ქართული ხალსური პოეტური შემოქმედების საწესების ძიების საქმეში.

ავტორის მეცნიერული კლეევის ცენტრში განსაკუთრებით ზევსურული ზეპირსიტყვიერების ისეთი მოღღენებია მოქეეული, რომელნიც მხოლოდ ზევსურულისათვისაა არსებითი, მხოლოდ აქღ გვზღდება და საერთო ქართული თუ ზოგადი ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს. გამოკლეევაში გვერდი არა აქვს ავლით ისეთ მოღღენებაც, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული ნიღანისთ შემონახულია საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერების ტრადიციებში.

წინამღებარე ნაშრომი წინათქმისა და სამი ნაწილისაგან შეღღება. წინათქმაში ავტორი ეზენა ზევსურული ზეპირსიტყვიერების შეკრება-გამოკემისა და მისი მეცნიერული შესწავლის მღღომარეობას.

გამოკლეევის პირველ ნაწიღში „მთქვათა ტრადიციები“ გვანალიზებულია ზევსურული ხალსური პოეზიის ტერმინთა კლასიფიკაცია, გარკვეულია მათ შორის მსგავსება-განსხვავება ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, ნათელიყოღღია, რომ ამ პოეზიის სამივე ვერს: სიზღერას,

ღვეით გოგოჭური, „მეღღესობა ზევსურეთში“, ხაბჭოთა საქართველო, 1974.

ლექსა და შირის თავისი საკუთარი შინაარსი და ფუნქცია აქვს. ამასთან მოცემულია ლექსის მოხვედრის აღნიშნული ტერმინები: „მათქვა-მი“, „მუბარაი“, „მალექსებელი“, „მალექსარი“, „მელექსე“, „მეშაირე“, „დამბარებელი“ და სხვა. ეს მრავალრიცხოვანი ტერმინები ძირითადად სამ ტერმინზეა დაყვანილი: „მათქვაში“, „მელექსე“, „მეშაირე“, აქვე ლაპარაკია ზევსურული პოეზიის ძირითად და ზოგად ფუნქციებზე, განხილულია როგორც მისამაჰ, სახატო თემაზე შექმნილი ნაწარმოებები („ქება“), ისე ავის დამკვირვებელი და უწყობის გამკაცრი ლექსები (სენევა).

ნაშრომში ნაწევრებია ფოლკლორული ტექსტების ხალხში გავრცელების გზები და ფორმები. ავტორის მართებული თქმით, „შუემღებელია ვილაპარაკეთ უოველი ცალკეული ხალხური ნაწარმოების შექმნის კონკრეტულ პირობებზე“. ვინაიდან ზემოხსენებული მითაბარი სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ მისი ავტორი გაუჩინარებულია, არ არსებობს ნათელი მსახლეობის განათვალისწინებლად, თუ ვინ, როდის და რა გარემოში შექმნა ესა თუ ის უქველესი პოეტური ნაწარმოები, როგორი იყო იმდროინდელი პოეტების ტრადიცია და სხვ., გამოკვლევაში ლაპარაკია ლექსის შესრულების გარემოს თაობაზე. ავტორი ზევსურ-შემსრულებელთა და მშენებელთა ავღიტორიას ორ ძირითად ჯგუფად უფხვს: 1. ჰველი საეღვლო-რელიგიური ხასიათის თავშეუბრები, რაც კალენდარული ხატობების (ათენგენა, მარიაპობა, გიორგობა), საღმთობებისა და ღამისთევების სახით არის წარმოდგენილი. 2. საყოფიერო-სამეურნეო წეს-ჩვეულებანი: ქარაჭილი, ახალ-უხალი, მთიბელ-მამაქალი, მწერელ-ტოლის-მთელავნი და სხვ.

ავტორი ეხება მელექსეთა გასარჩევლოს — „სალექსოს“ რაობას და მისი გენეზისისა და ადრეული ფორმების ახსნის გასაღებს თემურ უოფაში ეძებს. მკვლევარის დაკვირვებით, „სალექსო“ დამახასიათებელია საგმირო-საფეკაციო და სამკლოვიარო-სოტობითი შინაარსის ნაწარმოებებისათვის.

გამოკვლევის მეორე ნაწილი ტრადიციულ თემატიკას ეძღვნება. აქ განხილულია სატრფიალო და სამონადირო პოეზია, სტემარ-მასპინძლობის თემაზე შექმნილი ლექსები, გამსაზღვრულია აღნიშნული მოტივების პოეზიის ნიმუშების (გალექსება და გამაირება) ადვილი სემურულ ფოლკლორში.

ზევსურეთში სატრფიალო-სამეურნეო მოტივები ერთგვარად დაუსრდილავს საგმირო-სისტორიო თემატიკას პოეტლარობას. ამისდა მიუხედავად, ზევსურთა სატრფიალო პოეზია ერთგვრით უმშვენიერესთავანია თავისი მრავალფეროვნებითა და გამოსახელობითი სერბების პოეზიით. ზევსურული სატრფიალო პოეზიის

შემქმნელნი მხოლოდ ქალები არიან. იგი მთლიანად განდევნილია მამაკაცთა ზემოქმედებისგან. ამ ფაქტს ავტორი თემური ზემოქმედებებისგან სწნის. იგი წერს: „თემური წყობილება და ამ ეუთობის გეოგრაფიული მდებარეობა აქ მსოფრობთ აიქლებდა, მკაცრი საფეკაციო-ეთიურ ნორმები გამოემდგავედინათ. თემური ცხოვრების პირობები ხმალშემაართულსა და თავგანწირულ ვეფაკს მოითხოვდა, რომელსაც უოველგვარი ფუფუნება და ხორცეული სიამოვნება უნდა დავემო და გვერდზე ვადავგლო“.

ნაშრომში განალაზხებულია ნადირობის თემზე შექმნილი ლექსები, ის უქველესი რწმენები და წარმოდგენები, რაც ზევსურებს ნადირობის ტრადიციასთან დაკავშირებით გაჩნდათ (მაგ. ნადირთა წყეშის — ონობინტარს ეღტრ, წიხის რქებით ხატების შეგკობის ტრადიცია და სხვ.).

მკვლევარი განსაზღვრავს სტემარ-მასპინძლობის ამსახველ ლექს-სიმღერებს, ახდენს შედარებას ბარის წეს-ჩვეულებებთან, აღნიშნავს მათ შორის მსგავსება-განსხვავებას. ავტორის შენიშვნით, ზევსურული სტემარ-მასპინძლობის ტრადიციებს ბევრი რამ ისეთიც მოეპოვება, რაც მარაში ამ სრულიად აღარ გვხვდება, ანდა ვადახეაფერებელი და თანამედროვე უოფას შეფარდებულია.

ავტორი ეხება ზევსურული პოეზიის პოეტლარულ სახეს — ვალექსება-გამაირებას („ლექსობა-მაირობა“). მისი აზრით, ლექსობისა და შირობას შორის არსებითი განსხვავებაა, თუმცა ორივეს ერთი დანიშნულება აქვს — მავნე საზოგადოებრივ მოვლენათა გამომკარაება და აღკვეთა.

გამოკვლევის მესამე ნაწილი უქველესი ზემოქმედების თემატიკის ეხება სტრუქტურას ეუთობა.

წარმართული ხალხური საგლობლები საკმაო მსახლს გვაძლევს უქველესი ქართული ლექსის ხსოვნების გამსაზღვრისათვის, მისი უქველესი სტრუქტურისა და ვერსიფიკაციის შესწავლისათვის. გამსაუფორებული არქეოლოგია და საშემსრულებლო რიტუალის კონსერვატიულობით ხასიათდებიან წარმართულ ლეთისშესაზღვრებასთან დაკავშირებული ეანრები: სახატო სიმღერები და ფერხისელები, ქადგობანი და ხეღობანი, სეღთანობანი და დატრებანი. ამიტომაც ამ ეანრებთან დაფეკტირებული საკითხები აქტუალური არა მარტო ფოლკლორისტული, არამედ ლიტერატურის-მკოდნეობის თვალსაზრისითაც. აღნიშნულ ეანრთა სპეციფიკური თვისებებებანი დღემდე არ იყო შესწავლილი. ზოგ მკვლევართა მიერ თინი პირობად ან რიტუელი პროზის ნიმუშებდდა მინიშნული. დ. გოგოჭქტრმა საგანგებოდ შეისწავლა მათი სტრუქტურა და ვაარქვია, რომ წინაქრისტანელ წარმართულ სა-

გალობლებს აქვს ლექსისათვის დამახასიათებელი ყველა აუცილებელი ნიშანი: გარკვეული მეტრი, კანონზომიერად განწყობილი რიტმი და სხვ. ასე, მაგალითად, ქადაგობათა და ზეცობათა ტექსტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ ტექსტებში სრულიად მოწყობილებული და ნათლად გამოკვეთილი რიტმი და მეტრი გვაქვს, რომ ამ გვაქვს თანაბარი ტაქტები, თანაბარი მუხლებისა და ტერფების განწყობილებით. ეს ფაქტი გვეუბნება, რომ იგი რიტმული პროზა კი არაა, არამედ ლექსია.

საყურადღებოა, რომ ის ტექსტები, რომლებშიც ავტორმა ლექსები აღმოაჩინა, ადრევე აკად. ი. ჭავჭავაძემ მისა და მთავრის სადიდებელ წინაპრებისაგან საგალობლად მიიჩნია და მათი შინაარსის მიხედვით ვაარჯვია ქართული წარმართობის ზოგიერთი ასპექტი, რაც მათ სიძველზე მიუთითებს.

ავტორი ჯეროვან ყურადღებას უთმობს მთიბლურ და ჰიფნატორალ ტექსტებს და მეტი სინათლე შეაქვს სადისკუსიო საკითხებში. მაგალითად, უმთავრად მთიბლურის დამოუკიდებელ წარმოშობას არ სცნობდნენ, მას დატარებდნენ მომდინარე ენარად მიიჩნევდნენ. ეს შეცდომა იმით იყო გამოწვეული, რომ თიბურის პროცესში ძალიან მწირად მდებრიან ხმით ნატორალ ტექსტებს, რადგან სტრუქტურას შრივ ორივე ენარის ტაქტები ავბულებით მსგავსნი არიან. ავტორმა ვაარჯვია, რომ მთიბლური და ხმით ნატორალ სხვადასხვა ენარია, განსხვავებულია მათი შინაარსი და თემატიკა, გამომსახველობითი ზერებები, კოლო და ტონი.

წინამდებარე ნაშრომში დამაჯერებლადაა ახსნილი და დასაბუთებული, რომ ცხრამარცვლიანი ორმუხლური (5+4) საზომი არც მხოლოდ მთიბლურის კუთვნილებაა და არც ნატორალს. იგივე ზომა დამახასიათებელია ქადაგობის, ფერხისულისა და საგმირო-სახობებო სიმღერებისათვის; ეს საზომი, რომელსაც ამჟამად მხოლოდ პოეტებია იუენებენ, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ყოფილა ვაბატონებული ხალხურ პოეზიაში და მისი კვალი არა

მართო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუმ-შევა-ხევსურეთი, შიქრეფუფ-ფაქრე მყარია, ხევი და სხვ.), არამედ რუსეთის რუსულ უძველეს სარიტუალო პოეზიაშიც შეინიშნება.

გვაქვს შენიშვნებიც ავტორის აზრით, „სწორფრობა“ ფშაური „წაწლობის“ ვაღენით გვან შეიქმნა. ამ მოსაზრებას მეტი დასაბუთება ესაჭიროება. ვფიქრობთ, წაწლობის და სწორფრობის და მათი ამახველი პოეზიის სათავე, როგორც ეს სატრფიალო ლექსების მიმართ არის შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, სავაზაფხულო და საზაფხულო დღეობების წარმოშობის მიხედვით უნდა მოიძებნოს.

ავტორი დამაჯერებლად დასაბუთებს, რომ ხევსურული სატრფიალო პოეზია მხოლოდ ქალთა რეპერტუარს ვანეუთენება და ამ ფაქტს ხევი-ურული თემური ცხოვრების პირობებით ხსნი. მაგრამ როგორ უნდა შეუეთანხმობთ ამას, რომ მეზობელი ფშაველებისათვის იმავე თემური ყოფას, ფრთხიარ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია ფშაურ სატრფიალო პოეზიის შექმნაში მამაყევსაც მიეღოთ აქტიური მონაწილეობა. თანაც ფშაურ პოეზიაში სატრფიალო თემატიკა უფრო ვაერცვლებულია, ვიდრე საგმირო-საეპიკო. თუმცა ავტორი მიუთითებს ვაფაფშაველას მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ ფშაურმა პოეზიამ სახე იცვალა და საგმირო პოეზიის ადგილი საყოფაცხოვრებო-სატრფიალომ დაიკავა მანც, ზვენი აზრით, ქალთა პრიორიტეტობას ხევსურული სატრფიალო პოეზიის შექმნაში, ვარდა თემური ყოფისა, რალც სხვა ფაქტორიც უნდა ვანაპირობებდეს.

წინამდებარე ნაშრომი — „მელექსეობა ხევსურეთში“ ფრიად საინტერესო საკითხებს ეძღვნება. მისი საზით სასარგებლო და საჭირო წიგნი მიაღო როგორც ხალხური პოეზიით, ისე ქართული ლექსის ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველმა.

გივი აბულაძანი



9310 80 333



საქართველოს  
ხალხთა ბიბლიოთეკა  
ИНДЕКС  
76128

## „МНАТӨБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ